

Даниил Гранин  
Алеонид Зорин  
Владимир Маяковский  
Андрей Битов  
Эдуард Кочергин  
Борис Екимов  
Владимир Крутин  
Аюдмила Улицкая  
Алеонид Юзефович

Гарри Гардинер  
Дина Рубина  
Юрий Бондарев  
Владимир Сорокин  
Андрей Волос  
Михаил Шолохов  
Ульяна Бабичева  
Виктор Голубин  
Евгений Водолазкин  
Андрей Селиванов  
Евгений Смирнов  
Александр Иличевский  
Роман Сенчин

Михаил Елизаров  
Герман Садулаев  
Захар Прилепин  
Гузель Яхина  
Александр Снегирев  
Сергей Шаргунов  
Анна Козлова  
Алексей Пескин

## თანამედროვე რუსული პროზა



## მოთხრობები

თანამედროვე რუსული პროზა

## მოთხრობები



„ანდრეი ბილიაევი“  
„ამერიკელი“

СОВРЕМЕННАЯ РУССКАЯ ПРОЗА

## РАССКАЗЫ

გამომცემლობა „მერიდიანი“

2019

ნიგნში შესულია 30 თანამედროვე პოპულარული რუსი მწერლის თითო მოთხრობა.

ნიგნი დაინტერესებულ მკითხველს გარკვეულ შთაბეჭდილებას შეუქმნის თანამედროვე რუსული ლიტერატურისა და იმ რუსი ავტორების შესახებ, რომლებიც ამინდს ქმნიან თანამედროვე რუსულ ლიტერატურაში.

რედაქტორი **ზაალ ბოტკოველი**

მხატვარი **სოფიო ქელიძე**

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2019

© ა. დაუშვილი

ISBN 978-9941-25-598-4



ლუონიდ იუზეფოვიჩი „სამი ხმა“

რუსულიდან თარგმნა  
აკაკი დაუშვილმა



ბორის ეკიმოვი „ილაპარაკე, დედა, ილაპარაკე...“

წიგნი გამოიცა ბატონ ვაჟა შთიშელიძის ფინანსური მხარდაჭერით

## დანიილ ბრანინი

რუსული ლიტერატურის კლასიკოსი დანიილ გრანინი (1919-2017) დაიბადა სოფელ ვოლინში (კურსკის გუბერნია). 1940 წელს დაამთავრა ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტრომექანიკური ფაკულტეტი. არის მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, მიღებული აქვს არაერთი ლიტერატურული პრემია. 2011 წელს დანერილი რომანი „ჩემი ლეიტენანტი“ 2012 წელს დაჯილდოვდა რუსეთის პრესტიჟული ლიტერატურული პრემიით „დიდი ნიგნი“.



## დაბრუნება

კარგა ხანია, დივიზიისა და პოლკის დაზვერვა მოენეზე ნადირობდა. სწორედ ამაზე ლაპარაკობდნენ საკონტროლო პუნქტთან, ბატალიონის მეთაურ როგოზინთან. უცებ, უმცროსმა ლეიტენანტმა იპატოვმა თავისთვის ჩაილაპარაკა: „უნდა ვცადოთ“. ბატალიონის მეთაურმა მიიჩნია, რომ მოეყურა და ჩაეკითხა. იპატოვმა ჩაფიქრებულმა შეხედა და გაიმეორა: „უნდა ვცადოთ“. ბუნებრივია, ყველას გაეცინა, რადგან იპატოვს ამ საქმისა არაფერი გაეგებოდა – არც ნადირის კვალის აღება იცოდა და არც პოლენოვივით გამოცდილი ციმბირელი მონადირე ყოფილა, ეს ნაღდი ქალაქელი ინჟინერ-ტექნოლოგი მხოლოდ არტილერიის ტექნიკოსი იყო და სამიზნეების, უკუდარტყმის სანინალმდეგო მოწყობილობებისა თუ მსგავსი რალაცეებისთვის თვალყურის დევნება ევალებოდა. გაიცინეს და დაივიწყეს. არადა, ამ საუბრის მერე იპატოვი მთელს ორ დღეს სანგარში ჩაჯდა სტერეომილით. ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ეგებ, ტექნიკოსი სტერეომილს ამონმებდა? ეს მერელა გაიხსენეს. მაგრამ ის გერმანელთა გზის მონაკვეთს სწავლობდა. იქ რთული რელიეფია. გერმანელები ბორცვზე, სამეთაურო სიმაღლეზე იმყოფებოდნენ, ჩვენი სანგრები კი ფერდობზე გადაჭიმულიყო და რამდენიმე უბანს მტერი დროდადრო ცხრილავდა, ეკლესია-

სთან ყველაზე ძლიერად, განსაკუთრებით – თოვლის დადებამდე. სანგრები ვინრო იყო, მიწა გაიყინა და თავის შეფარება გაძნელდა. თებერვლის დადგომისთანავე თოვლი სანგრების გაყოლებაზე ააკოკოლავეს და წელგამართულები დადიოდნენ.

ბატალიონის მეთაურთან ტექნიკურ ზეთზე ლაპარაკი რომ მოათავა, იპატოვმა დაზვერვაში, უფრო ზუსტად, მოენის მოსაძებნად წასვლა სთხოვა. როგოზინმა ამოიოხრა და თქვა, რომ ეს ასე ადვილი არაა, გეგმას შედგენა, ყველაფერს მოფიქრება უნდა. იპატოვმა პასუხად რუკა ამოიღო, რომელზედაც ხრამამდე და უფრო შორს, გერმანელებამდე მთელი გზა დაეხაზა, ისრები დაესვა, მეტრები მიენიშნებინა, გაეთვალა საათები და წუთები. დივიზიის დაზვერვის განყოფილებაშიც მოიწონებდნენ ასეთ გეგმას, თუმცა როგოზინმა უზუსტობებიც აღმოაჩინა – ბატალიონის მეთაური ასეთ წვრილმანებში კარგად ერკვეოდა. იპატოვის ჩანაფიქრი მარტივი იყო: როგორც ჩანს, გზატკეცილის მიწაყრილში, საგაზაფხულოდ, წყლის გასატარებლად ჩაედოთ დიდი ბეტონის მილი, ახლა რომ თოვლით იქნებოდა ამოვსებული. მილი კვეთდა მიწაყრილს და გადიოდა ნეიტრალურ ადგილას, გაყოლებაზე კი გერმანელებს საკმაოდ უსაფრთხოდ მოენყოთ ბლინდაჟები, საველე სამზარეულო, საკონტროლო პუნქტი და ვინ იცის, კიდევ რა აღარ. იპატოვი მოენის გამოთრევას სწორედ დიდი მილიდან აპირებდა. მან ზუსტად განსაზღვრა, როგორ უნდა მიეღწიათ მილამდე, რა მანძილით დაშორებოდნენ, მონიშნა ლამის ორიენტირები, მოკლედ, ყველაფერი მოიფიქრა.

– დარწმუნებული ხარ, რომ იქ მილია? – ჰკითხა როგოზინმა.  
– როგორ დაინახე?

– გამოვთვალე, – თქვა იპატოვმა.

როგოზინმა დაკვირვებით შეხედა. ის იყო საშუალო ტანის, ხმელ-ხმელი, გაურკვეველი ასაკის კაცი – უფრო ახალგაზრდას მიაგავდა. უტყვი, მაგრამ სასიამოვნო სახის და რაც უფრო აცქერდებოდი, მით უფრო სერიოზული და ფიქრიანი ხდებოდა.

„ვისთან მეგობრობს? – ჩაფიქრდა როგოზინი, – ვისთან ერთადაა მიწურში?“ უნდოდა, რაღაც დანვრილებით გაეხსენებინა უმცროს ლეიტენანტზე, მაგრამ ვერ შეძლო. სულ უფრო და უფრო საკვირველად ეჩვენებოდა, რომ აქამდე ეს ადამიანი არ შეემჩნია.

– როგორ გამოთვალე?

– ძალიან მარტივად, – იპატოვმა აღნიშვნებით სავსე რუკა დააძრო, საიდანაც ამკარავდებოდა, რომ მინაყრილთან წყალი გაზაფხულზე გროვდებოდა და მინა რომ არ ჩამოშლილიყო, რალაც დაქანება აუცილებლად ექნებოდა, – საჭიროა, მშენებელთა ჩანაფიქრი ამოიცნო...

თეორიულად ყველაფერი მართლაც მარტივად გამოიყურებოდა, თუმცა მილი, შესაძლოა, ათასი რამით ყოფილიყო გამოტენილი, ანდა დანაღმული, გამორიცხული არაა, იქითა მხრიდან რალაც მიეშენებინათ.

– ყველაფერს ვერ გაითვალისწინებ, – თქვა იპატოვმა. – ეს ჩვენთვის კარგი შანსია... სხვა არჩევანი არ გვაქვს. გზატკეცილს ტყვიამფრქვევებით ცხრილავენ.

„ყოველისმცოდნე! ეს საშენო საქმე არაა. თუ მოგკლეს, პასუხს როგოზინს მოსთხოვენ – რატომ გაგზავნე ინჟინერ-ტექნოლოგი, რატომ მიეცი ამის უფლება, ჯილდოებს გამოეკიდე?“

ეგებ იპატოვისთვის მადლობა გადაეხადა, გეგმა კი პოლკის დაზვერვისთვის გადაეცა და ყველაფერი ამით მოეთავებინა?“

– კარგი, – თქვა მან. – ბიჭები მოამზადე.

„გამოითვალა“, – აი, რამ გააოცა როგოზინი. – მოაზროვნე კაცი მოენის ასაყვანად გამოადგებოდათ.

– მშვიდობიანობისას რას აკეთებდი? — ჰკითხა როგოზინმა.

– ლაბორატორიაში ვმუშაობდი.

– რას საქმიანობდი?

– მეცნიერ თანამშრომელი ვიყავი.

ლამით მილი განმინდეს. ქარბუქი ქროდა და დილით ყველაფერი გადათეთრდა, ფანტელები დღისითაც ცვიოდა და სანგრების განმენდას ძლივს ასწრებდნენ. ზეცაში ავარდნილ მამხალებს ცისფერი რკალი მიჰყვებოდა და თოვლის თეთრი საბურველი სუსტად ნათდებოდა. როგოზინს ჩასთვლიმა. ის ოთახის კუთხეში, მაგიდასთან იჯდა. გაყინულ კედელზე, სიცივის შესაკავებლად, ხალიჩები აეკრათ. მერე, იპატოვის ჯგუფის დაბრუნების მოლოდინში, ჩაეძინა.

როგოზინი უფროსმა ლეიტენანტმა ოსადრიმ გააღვიძა, იპატოვის ჯგუფის დაბრუნება და მოენის აყვანა აცნობა. პოლენოვი

ზურგში მძიმედ დაჭრილიყო, ტყვია ხერხემალს შეეხო. გერმანელიც დაჭრილია, დანარჩენები კარგად არიან. დაბრუნებულებს აჭამეს, დააღვინეს და მოსასვენებლად დაანვინეს. როგოზინი მეკავშირეს მიუბრუნდა, მაგრამ ლეიტენანტმა ოსადრიმ არ აცალა:

– პოლკის მეთაურს უკვე მოვახსენე.

– უნდა გაგელვიძებინე, – თქვა როგოზინმა.

– გაგალვიძეთ კიდეც, – ოსადრიმ თავხედურად ჩაიცინა, – ამხანაგო კაპიტანო, ძალიან ტკბილად გეძინათ.

როგოზინმა გაოცებული და გაღიმებული პოლკის მეთაური წარმოიდგინა, ოსადრი სიტყვებს მკაფიოდ წარმოთქვამდა: „ზუსტად ასეა!“, „ვემსახურები საბჭოთა კავშირს!“ და დამცინავად ყვებოდა, თუ რა ღრმად ეძინა ბატალიონის მეთაურს.

მართალია, როგოზინს სიხარული ჩაშხამდა, მაგრამ როდესაც მეორე ასეულს მიაღწია და მოენე დაინახა, თანაც ოფიცერი, ასეთი ზორბა, გერმანული მუნდირითა და მაძლარი ფიზიონომიით, სიამოვნებისგან მხარზე ხელი დაჰკრა. გერმანელი კბილებს აკანკანებდა და მთლად ცახცახებდა. შესაძლოა, ეს ტკივილის ბრალი იყო, რადგან, შეპყრობისას, სერჟანტმა პანტელეევმა თავში კონდახი ჩასცხო. ის გმინავდა და თავს ვერ სწევდა. ასეულის მეთაურმა ტატარჩუკმა ადგომა უბრძანა, მაგრამ გერმანელი კიდეც უფრო აცახცახდა და თავზე ხელები შემოიჭდო.

– ჭკუაზე არ შეირყეს, – თქვა ტატარჩუკმა, – არაყი დაალევიან.

– რა, გერმანელს პატივი ვცეთ? – თქვა სერჟანტმა, – მას ხომ მაინც...

– ნუ ლაყობ! – გაანყვებიან ტატარჩუკმა.

სერჟანტი გერმანელთან მივიდა, უზარმაზარი ხელი თმაში ჩაავლო, თავი აანევიანა და ჭიქა გაუნოდა:

– შნაპსია, შნაპსი, გადაჰკარი!

გერმანელმა დალია და დადუმდა.

ყველანი უხმოდ მისჩერებოდნენ.

– არაფერია, გონს მოვა. ისეთი მოენეა, უკეთესს ვერ ინატრებს კაცი, – თქვა ტატარჩუკმა.

როგოზინს დივიზიიდან დაურეკეს და უბრძანეს, გერმანელი გათენებამდე გადაეყვანა შტაბში. სოფელ შუშართან მანქანა დაე-

ლოდებათ. მთავარია, საკონტროლო პუნქტამდე სროლის გარეშე მიაღწიონ. როგოზინმა იკითხა, მანქანა პოლენოვს ჰოსპიტალში თუ წაიყვანდა, რაზეც შტაბის უფროსმა ცივად უპასუხა, რომ ამის შესახებ მედიკოსებს უნდა შეუთანხმდეს.

– გასაგებია, – თქვა როგოზინმა.

– მესმის შენი გადაკრული სიტყვის, მაგრამ პოლენოვს გერმანელს ნუ ადარებ.

– სწორედაც, – თქვა როგოზინმა, – შედარებაც კი შეუძლებელია.

– რა მოხდა, – აღშფოთდა შტაბის მეთაური, – ზეიმს რატომ იმნარებ.

სხვა დროს როგოზინი მეთაურის სიტყვებზე დაფიქრდებოდა, მაგრამ ახლა მოენის გასაგზავნად გამცილებლები უნდა მოემზადებინა და იპატოვის გაღვიძება მოუხდა, არადა, ნასვამ უმცროს ლეიტენანტს სულ ახლახან ჩაეძინა – სასიხარულო ამბის აღსანიშნავად ჯგუფის წევრებს თითქმის სამას-სამასი გრამი სასმელი ჩამოურიგეს. იპატოვი შეაჯანჯლარეს, მან კი თვალდახუჭულმა შეიგინა და თივთიკის ფეხსახვევიანი ფეხი გაიქნია. ის გახდილი, ორ შინელში გახვეული იწვა. ასე მხოლოდ მზვერავებს ეძინათ. დავალებიდან დაბრუნებისას რამდენიმე საათით დასვენების უფლებას აძლევდნენ – ეს ნმინდა წესი იყო და ოსადრიმ კაპიტანს სხვისი გაგზავნა შესთავაზა.

როგოზინმა ოსადრი ტყავის ჩექმებიდან ბენვის ქუდამდე აათვალიერა. ლეიტენანტს, სხვა ჯარისკაცებივით, არა თახვის, არამედ კურდღლის ქუდი ეხურა. ის ასეულში ერთადერთი კადრის ოფიცერი იყო. როგოზინმა არ იცოდა, რატომ აითვალწუნა ლეიტენანტი და რატომ ეჭვობდა, როდესაც მოკლავდნენ, ბატალიონს ოსადრი უმეთაურებდა.

როგოზინი იპატოვის გასაღვიძებლად წავიდა, ისევ მკვდარით რომ ეძინა და კარგა ხანს აჯანჯლარა.

– უზურპატორო, – თვალდახუჭული ლულულულებდა იპატოვი.

ჭრაქის შუქზე გაღიმებული ლეიტენანტის თეთრი კბილები გამოჩნდა. ეტყობა, რალაც მხიარულ, არამქვეყნიურ სიზმარს ხედავდა. მას უქამროდ, ფეხმოკეცილს ეძინა და უზრუნველად ფშვინავდა. ტანმორჩილსა და ხმელ-ხმელს ძილისა და არყისგან ვარდ-

ისფერი დაჰკრავდა. ცოდვა იყო მისი გაღვიძება. ოსადრის გაგზავნიდა, მაგრამ როგოზინი იმაზე ნუხდა, რომ ყველა დამსახურებას პოლკის შტაბი მიიწერდა – მოენეს დივიზიას ჩააბარებდნენ და იპატოვს გვერდზე ჩააჩოჩებდნენ.

– კარგი... – თქვა როგოზინმა.

სწორედ ამ დროს იპატოვს გამოეღვიძა, მის გახელილ თვალებში ცისფერი სიზმარი ჯერ კიდევ ლივლივებდა.

– გონს მოიყვანეთ, სწრაფად! – ბრძანა როგოზინმა.

მერე გვერდით ბლინდაჟში შევიდა, სადაც, მისი მითითებით, გერმანელ მოენეს ბენვის ქუდს ახურავდნენ, მაგრამ ჩვენებური კაცის სიფათი მაინც ვერ მიაღებინეს.

საკმარისი სინათლე რომ ყოფილიყო, სამი ქრაქი ანთეს, არც ბანდი დაუზოგავთ და კონდახით გატეხილი თავი კოხტად გადაუხვიეს.

როგოზინის დანახვისას გერმანელი წელში გაიმართა. ბატალიონის მეთაურმა ხელის აქნევით ანიშნა, თავისუფლად იყავიო. განსაკუთრებით ახლა, შეტევის წინ, მოენე ძვირად ფასობდა და როგოზინმა კარგად იცოდა, რომ პოლკის შტაბში გერმანელს აჭმევდნენ, ასმევდნენ და ცივ ნიავს არ მიაკარებდნენ. ბლოკადის გარღვევამდე ასე იქნება. მერე კი, როგორც მოსკოვთან, ტყვეებს ათასობით დაითვლიან.

როგოზინი ომის პირველივე დღეებიდან იბრძოდა, თუმცა გერმანელს, თანაც ოფიცერს, ასე ახლოდან მხოლოდ მესამედ ხედავდა და უნდოდა, გაეგო, რას წარმოადგენდნენ ფაშისტები. როგოზინმა იცოდა, რომ მათაც სდიოდათ სისხლი, ჩვენი ჯარისკაცებივით ყვიროდნენ და კვდებოდნენ, იყინებოდნენ, დადიოდნენ ტუალეტში, იგინებოდნენ და მათში არიული რასის უპირატესობის კვალსაც კი ვერ ხედავდა. როგოზინმა შეტრუსულ, გვარიანად ნახმარ შინელში გამოწყობილ გერმანელს მხარზე ხელი დაჰკრა და თვალი ჩაუკრა: „გუტ!“. ეს იყო მათი გერმანელი, მათი მოენე, რომელიც სასწაულებრივად და ეშმაკურად დაითრიეს, მოენე, რომელზედაც გამოცდილი მზვერავები ორი კვირა ამაოდ ნადირობდნენ, მისი ბატალიონის ბიჭებმა კი, ლამის, ალაღბედზე გამოჩხრიკეს.

როგოზინმა იპატოვი, მოენესა და ორ მებრძოლთან ერთად, გზატკეცილთან ახლოს, მეორე ასეულის დათოვლილ თხრილამდე

მიაცილა და უმცროს ლეიტენანტს უთხრა: „რაც არ უნდა გიბრძანონ, გერმანელს შტაბამდე არც ერთი ნაბიჯით არ მოსცილდე. სადაზვერვო განყოფილებას პირადად ჩააბარე, კარგი იქნება, თუ ხელწერილს დააწერინებ“.

– შეგიძლია, ერთი დღე-ღამე ქალაქში გაატარო. დათხოვნის მონებობას გადმოგცემენ. – როგოზინს უნდოდა, შოკოლადის ფილის მონატეხი, რომელსაც, ორი კვირაა, ჯიბეში ინახავდა, საზეიმოდ ეჩუქებინა, მაგრამ შოკოლადი რომ ამოიღო, ძალიან უმნიშვნელო ეჩვენა.

ერთ საათში ირიჟრაჟა. დათოვლილ, ბუჩქებით დაფარულ ხრამებში ბურუსი მიიზღაზნებოდა. მზეს მოკლებულ, გამოხუნებულ ცის კიდეზე ზამთრის ვერცხლისფერი სინათლე იღვრებოდა და გერმანელების სანგრები, ყინვისგან შეთეთრებული მავთულხლართები და შორეული ტყე გამოჩნდა. მთელი პეიზაჟი: გადამტვრეული ფაბრიკის მილი, მაღალი ძაბვის საყრდენი ბოძები და სხვადასხვა ორიენტირები როგოზინს გულდასმით ჰქონდა შესწავლილი. დილის აღმაცერმა სხივებმა ნეიტრალურ ზოლზე ნაკვალევის მწკრივი გამოაჩინა. გერმანელებმა გორაკიდან, ალბათ, უკვე შეამჩნიეს. როგოზინი სტერეომილით ნაკვალევს გულდასმით ათვალიერებდა და ღამის მთელი ისტორია თვალწინ დაუდგა. ბატალიონის მეთაურმა ცხადლივ წარმოიდგინა, მისი მებრძოლები როგორ იხევდნენ უკან, როგორ აშველებდნენ ხელს დაჭრილ პოლენოვს, როგორ ეკვროდნენ დათოვლილ მიწას და კვლავ ერთმანეთს მისდევდნენ. ახმახ გერმანელს, ყოველი შემთხვევისთვის, ხელები შეკრული ჰქონდა.

მთელი ღამე თოვდა. ახლა შეწყდა და გერმანელები იქაურობას აკვირდებოდნენ, მომხდარში ერკვეოდნენ. მოენე მოხერხებულად ავიყვანეთ, ასე თქვა იპატოვმა. გერმანელი მოშორებით შეკონინებულ ტუალეტში იჯდა და სასაცილო ხმებს გამოსცემდა. სწორედ იქ დავარტიანეთ. იპატოვმა მხოლოდ იმის თქმა მოასწრო, მოენეს დიდ მილში როგორ მოათრევდნენ, ტახტზე დაემხო და ჩაეძინა.

როგოზინი მეკავშირეებისკენ გაემართა, რათა პოლკის შტაბისთვის მოეხსენებინა, რომ მოენეს აგზავნიდა. შტაბის უფროსმა როგოზინს მიულოცა, უთხრა, რომ დივიზიის მეთაურს აცნობებდა და სთხოვა ტელეფონს არ მოსცილებოდა.

როგორც იქნა, დაურეკეს: „დაუყოვნებლივ მოიყვანე, პირდაპირ დივიზიის შტაბში“. როგოზინმა დაღამებამდე დაცდა ითხოვა, რადგან უკვე თენდებოდა და გერმანელებს იოლად ვერ დაუსხლტებოდნენ. პოლკოვნიკს ეს თავადაც კარგად მოეხსენებოდა, თუმცა როგოზინი, ავანსად, მაინც გალანძლა და უფროსობას დაუკავშირდა. შეთანხმდნენ, ყველაფერი მზის ამოსვლამდე მოესწროთ. უცებ, მთელი ნეიტრალური ტერიტორია ისე გადანათდა, თავის გამოყოფაც კი შეუძლებელი გახდა და გადანყვიტეს, დაღამებას დალოდებოდნენ. გერმანელს აჭამეს და როგოზინი მის გამოკითხვას შეეცადა. არაფერი გამოვიდა. მაშინ იპატოვს დაუძახეს, უმაღლესი განათლებითაა და იქნებ რამე გააწყოსო. იპატოვი გერმანელს დაელაპარაკა, მაგრამ ბევრი ვერაფერი გაიგო – გერმანელს გუსტავი ერქვა და აფრიკაში, რომელის<sup>1</sup> ლაშქარში იბრძოდა. ლენინგრადთან როგორ აღმოჩნდა, ვერაფერი გაარკვია. გუსტავს ჰიტლერის შესახებ ჰკითხა, რაზეც მან შუბლი შეიჭმუნნა: ჰიტლერ „ნაინ“, რომელ „გუტ, ზერ გუტ!“, ხელი ალტაცებულმა აღმართა და ნიკაპი მალლა ასწია.

როგოზინმა გერმანელს გამცილებლებად იპატოვი და სერჟანტი პანტელეევი მიუჩინა და მათი გაგზავნა მეორე ასეულის ტერიტორიიდან გადანყვიტა. საღამო ხანს ჟურავლიოვმა ასეულის მეთაურს უთხრა, რომ გერმანელებთან რაღაც ჩოჩქოლი შენიშნა – ცხადია, ლეიტენანტი მოისაკლისეს. მიხვდნენ, რომ მოენეს ქალაქის შტაბში გადაიყვანდნენ და რაღაცას ამზადებდნენ. როგორც ჩანს, გუსტავი მნიშვნელოვანი ვინმეა. მოენის გაგზავნის ხვალამდე გადადება და უკან დაბრუნება ცუდის ნიშანია, როგოზინი კი ფრონტზე ყოფნამ მინიშნებებისადმი ყურადღებიანი გახადა. თანაც, უფროსობას კვლავ უნდა შეუთანხმდეს, ამან კი თავი მოაბეზრა.

ამასობაში გუსტავს გაჭირვებით ჩააცვეს ძველი შინელი, რათა გერმანელისფორმიანს ქალაქში ხალხი არ მისეოდა.

– თოფს პისტოლეტი მირჩვენია, – თქვა იპატოვმა, – პისტოლეტი უფრო მოსახერხებელია.

როგოზინმა თავისი პისტოლეტი მისცა.

---

<sup>1</sup> ერვინ ოიგენ იოჰანეს რომელი (1891-1944). გერმანელი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი, გერმანიის არმიის მთავარსარდალი ჩრ. აფრიკაში მეორე მსოფლიო ომის დროს. ბრიტანელების მიერ „უდაბნოს მელად“ წოდებული.

– ამხანაგო კაპიტანო, ნუ გეფიქრებათ, – უთხრა იპატოვმა, – გერმანელი მივახვედრე, რომ მთელი ნეიტრალური ტერიტორია დანაღმულია და ერთმანეთს ფრთხილად, ფეხდაფეხ უნდა მივყვეთ, წინ – პანტელეევი, მის უკან – გერმანელი და ბოლოში – მე. როგორც ჩანს, ყველაფერი გაიგო. ჩვენთან აფრიკა არ არის, ვერ დაიმალება.

იპატოვმა გაიღიმა – უფრო საკუთარ თავს გაუღიმა, ვიდრე როგოზინს. ახალმა დავალებამ მას ონავარი ბავშვობის რაღაც ეპიზოდები გაახსენა.

– დაიცადე, – თქვა როგოზინმა და რუკის სატარებელი ბრტყელი ჩანთიდან ფოლგაში, შემდეგ მოცისფრო კანფეტის პრიალა და ბოლოს – თამბაქოს მოსანევად უვარგის სქელ ქაღალდში გახვეული შოკოლადის ფილის მონატეხი ამოიღო და იპატოვს ხმის ამოუღებლად ჩაუდო ჯიბეში.

გაშლილ, ბუჩქებით დაფარულ ხეობებში ბურუსი წვებოდა. გერმანელების სანგრების ნაპირებზე აკოკოლავებული მიწაყრილები, ყინულით დაფარული მავთულხლართები, შორი ტყე, ყველაფერი, ღამის წყვიდში ჩაიძირა. როგოზინმა და ჟურავლიოვმა დურბინები შეინახეს და უხმოდ იცდიდნენ.

მხოლოდ ავარდნილი რაკეტების ჩვეული გრუხუნი ისმოდა. უცებ ძაბრისმაგვარმა ნათებამ იფეთქა, გერმანელებმა პროჟექტორები ჩართეს. სინათლე ნელა მიცოცავდა და ყოველ ბორცვსა და ნაძვს ჩხრეკდა. ირგვლივ ტყვიამფრქვევების ჯერი გახშირდა, აზუზუნდნენ ნაღმები, მინის ნამსხვრევები როგოზინის თავს ზემოთ მიჰქროდა. გვერდიდან, გერმანელების თხრილის შვერილიდან ისროდნენ. ათ წუთში მომლოდინე სიჩუმე ჩამოწვა.

ერთხანს კიდევ იწვინ და ჟურავლიოვმა გასათბობად მინურში ჩასვლა შესთავაზა. როგოზინმა ხელის გაქნევით იუარა. თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ფიქრობდა ის, შესაძლოა, ბატალიონი ერთი კვირით ქალაქში – რეზერვის განლაგების რაიონში წაიყვანონ. კარგა ხანია, ქეცი გაუჩნდათ. ბატალიონისგან თითქმის აღარაფერი დარჩა.

როგორც იქნა, იპატოვის გაგზავნილი საველევი დაბრუნდა და თქვა, რომ წასულები დანაღმულ მონაკვეთს გასცდნენ.

დაცდას აზრი აღარ ჰქონდა, თუმცა როგოზინი, რატომღაც,

არ ჩქარობდა. სანგრის მინაყრილზე ნახევრად წამოწოლილი იმაზე ფიქრობდა, ჰიტლერის ხსენებისას გერმანელს სახე რა უკმაყოფილოდ დაემანჭა. როგორც ჩანს, ფიურერი მისთვის ის აღარ არის, რაც ადრე იყო. ბლოკადაში მოგვამწყვდიეს, მაგრამ ჯერ კიდევ საკითხავია, ვინ არის მომწყვდეული. ამ აზრმა გაახალისა. გერმანელები იძულებულები არიან, იდგნენ და გაიყინონ. ლენინგრადი დამალვის საშუალებას არ აძლევთ...

როგოზინმა ფიქრი ვერ დაასრულა, გერმანელი მისკენ იპატოვს მოათრევდა. შინელზე გამოტოვლი ლეიტენანტი რაღაცის თქმას შეეცადა, მაგრამ მხოლოდ ამოიგმინა.

ნახევარ საათში მუხლში გადამსხვრეული იპატოვი სანიტარულ ნაწილში მიიყვანეს. მედდამ დასისხლიანებული სახვევი გამოუცვალა, არტაშანი დაადო და ნემსი გაუკეთა.

– მთავარია, განგრენა არ იყოს, – თქვა მედდამ, – ჰოსპიტალში უნდა გადავიყვანოთ.

როგოზინმა გერმანული არ იცოდა და მოენეს ვერ დაკითხავდა. იპატოვს ვერაფერს ეკითხებოდა, რადგან გაფითრებული, თვალდახუჭული ინვა, ხანდახან კრთებოდა და ჩუმად გმინავდა. გერმანელი რაღაცის ახსნას ცდილობდა და დამნაშავესავით ლაპარაკობდა.

იპატოვი ნემსის გაკეთების მერე უკეთ გახდა, თვალი გაახილა. მედდამ სახე და ხელები დაბანა, ჟურავლიოვი კი გასისხლიანებული გიმნასტურის გახდაში დაეხმარა. საკვირველია, დაჭრილი, შინელზე გამოტოვლი იპატოვი გერმანელმა რატომ მოათრია.

– მეგონა თავისიანებისკენ წავიდოდა, – თქვა იპატოვმა, – ამხანაგო კაპიტანო, მის შეკავებას ვერ შეეძლებდი, თავისი ნებით მომიყვანა.

– შტაბს უნდა ვაცნობოთ, – შეახსენა ჟურავლიოვმა.

როგოზინმა ოსადრის დაურეკა, რათა შტაბს დაკავშირებოდა.

– დაუჯერებელია, თავად დაბრუნდა? რატომ? – იკითხა ოსადრიმ, – არ მჯერა.

იპატოვი შეეცადა, აეხსნა, რომ გერმანელს გაქცევა არ უცდია. მისი საქციელის ახსნა უჭირს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: გერმანელს, ალბათ, უკან დაბრუნების შეეშინდა, რადგან გაასამართლებდნენ.

– ჩვენთან დაბრუნების არ შეშინებია? – იკითხა როგოზინმა  
– ამხანაგო კაპიტანო, მისთვის აგიტაცია არ გამინევია, – უპასუხა იპატოვმა, – ეგებ, ჩვენთან ყოფნა მოენონა?

– აქ რა, სამოთხეა? მთავარია, არ იღელვო, შენს გადარჩენას გერმანელს სიმამაცედ ჩაუთვლიან, შენ კი უნდა გამოჯანმრთელდე, რადგან ერთადერთი მოწმე ხარ.

როგოზინმა პოლკის მეთაურთან საუბრისას იპატოვის ნათქვამი გაიმეორა, – თავისი ნებით გადმოვიდა, ოფიცერი გადაარჩინა, ლამის გამირულად მოიქცა.

– დაწყნარდი, – თქვა პოლკოვნიკმა, – ახლა მაგაზე სალაპარაკოდ არ მცალია.

როგოზინმა შესთავაზა, არ გაერისკათ და დაზვერვის განყოფილებას გერმანელი აქვე, ბატალიონში დაეკითხა. არ ღირს მისი ქალაქში წაყვანა, თანაც, გერმანელებს პროჟექტორები აქვთ და არტილერიისტები მოენეს როგორც კი შეამჩნევენ, მაშინვე დასცხებენ. სწორედ პროჟექტორების შუქში მოექცნენ იპატოვი, სერჟანტი პანტელეევი და გერმანელი.

პოლკოვნიკი ტელეფონის ყურმილს არ კიდებდა, ფიქრობდა.

– თავი როგორ უჭირავს? – იკითხა პოლკოვნიკმა.

– თითქოს ღირსეულად, – უპასუხა როგოზინმა.

– რომელთან მსახურობდა... ეგებ რალაც დავალება აქვს?

– შესაძლოა, – უპასუხა როგოზინმა.

– დაკითხვაზე არც იფიქრო. ნაბრძანები მაქვს, დივიზიის მეთაურს ჩავაბარო. დაუყოვნებლივ გამოგზავნე, გასაგებია?

როგოზინმა განკარგულება გასცა, რომ იპატოვი ზურგში, ჰოსპიტალში საევაკუაციოდ მოემზადებინათ, მერე საკონტროლო პუნქტში წავიდა და შტაბის უფროსს ელაპარაკა. მალე პოლკის მეთაურმა დაურეკა.

– საიდან აქვთ პროჟექტორები?

– უკვე ნახევარი წელია, აქ არიან, ხანდახან რთავენ, – თქვა როგოზინმა და კვლავ იმის მოყოლა დაიწყო, მოენე როგორ დაბრუნდა.

– როგორ თუ დაბრუნდა? რატომ?

როგოზინს არაფრის ახსნა არ შეეძლო.

– პირველ რიგში, დაზვერვის განყოფილებაში უნდა გადაგზა-

ვნო, – უთხრა პოლკოვნიკმა, – მოიცადე, გაჩუმდი... მოდი, პირდაპირ დივიზიის მეთაურთან გადავიყვანოთ.

– მოცდა სჯობს, – ურჩია როგოზინმა, – გერმანელები ჩვენს მონაკვეთს ისევ უთვალთვალევენ. როგორც ჩანს, ზუსტად არ იციან, მოკლეს თუ არა გუსტავი.

პოლკოვნიკმა მოცდის უფლება არ მისცა და გადაწყვიტეს, გერმანელი საკონტროლო პუნქტიდან გაემგზავრებინათ, ისევე, როგორც ლეიტენანტი იპატოვი.

– საპასუხისმგებლო საქმეა, თავად გააცილე, უკიდურეს შემთხვევაში, ოსადჩი გააყოლე.

საკონტროლო პუნქტიდან – პირველი ასეულის გავლით – მართალია, გზა უფრო გრძელია, მაგრამ პირდაპირ მავთულხლართთან გადიოდა და ბევრად უსაფრთხო იყო. სწორედ ამ გზით მოჰქონდათ საბრძოლო მასალები და საკვები პროდუქტები.

– ამხანაგო კაპიტანო, მე წავიყვან, – შესთავაზა ოსადჩიმ.

როგოზინმა შეხედა, მისი მზერა დაიჭირა და ირონიულად ჩაიცინა.

– არა, თავად წავიყვან.

როდესაც სანიტარულ ნაწილში მივიდა, გუსტავი მწოლიარე იპატოვს გვერდით ეჯდა და მისი ხელი ეჭირა. როგოზინმა აუხსნა, რომ შეტყობინებისთანავე, ორივეს, ეკლესიის ნანგრევების გავლით, პირველ ასეულში გადაიყვანდნენ, დილისთვის კი პიტერში გაგზავნიდნენ. დივიზიის მეთაურის ბრძანებით, გერმანელს მანქანა დახვდებოდა, იპატოვსაც, დაჭრილის გასამხნეველად დაამატა როგოზინმა. იპატოვი ცუდად გამოიყურებოდა.

– ცოტა კიდეე მოითმინე, – სთხოვა როგოზინმა და გვერდით ჩამოუჯდა. – შეგიძლია, გუსტავს ჰკითხო, თავისიანებთან წასვლას რატომ არ შეეცადა?

იპატოვმა ჰკითხა, თითოეულ სიტყვას ნელა წარმოსთქვამდა.

გუსტავი სწრაფად ალაპარაკდა.

– ცოტა ნელა, – თქვა როგოზინმა, რადგან ცდილობდა, რალაცას თავადვე მიმხვდარიყო.

– ჩვენს პოზიციებთან უფრო ახლოს იყო, – გადათარგმნა იპატოვმა.

– წასვლას რატომ არ შეეცადა?

გუსტავმა რალაც უპასუხა, მაგრამ იპატოვმა თავი გაიქნია და კითხვა გაუმეორა.

– გერმანელებს შეეძლოთ, მოენისათვის ესროლათ, – თარგმნა იპატოვმა. – თქვენ, ამხანაგო კაპიტანო, თქვენიანის მოსაკლავად სროლას უბრძანებდით?

როგოზინი დაფიქრდა და ყოყმანით თქვა:

– თუკი მტრისკენ მიმავალს დავედევნებოდი...

უცებ გუსტავი როგოზინს მიუბრუნდა და ახსნა დაიწყო.

– გადათარგმნე, – სთხოვა როგოზინმა, – ყველაფერი გადათარგმნე.

– თქვა, რომ, შესაძლოა, სიკვდილს გადავარჩინე. დაჭრილსაც შემეძლო მისი მოკვლა. ღირსეული ოფიცერივით ვიქცეოდი და ისიც ასევე მოიქცა.

– მისი გჯერა?

– არ ვიცი, ეს ყველაფერი ძალიან კეთილშობილურად გამოიყურება, ის ხომ ფაშისტია.

– შენ ადამიანურად მოგექცა. დაბრუნდა. სიცოცხლე გაჩუქა.

– პისტოლეტი აიღე, – შეახსენა იპატოვმა.

წასვლის დრო იყო. იპატოვი საკაცეზე დაანვინეს.

პოლკოვნიკმა ისევ დარეკა. უნდოდა, გაერკვია, როგოზინი დივიზიის მეთაურს რაიმე ვერსიებს ხომ არ ეტყოდა.

– ის შერეკილი გერმანელი რატომ დაბრუნდა? ვერაფერი გაარკვიეთ? – ჰკითხა პოლკოვნიკმა.

– ზუსტად არ ვიცი.

– ვერ გამოტყუებთ? ეტყობა, კედელზე კარგად არ მიაყენეთ. დაკითხვა შენი საქმე არ არის. გაჩხრიკეთ?

– არც პისტოლეტის ბუდე აქვს და არც ტყავის ჩანთა.

როგოზინს კვლავ უნდოდა, გაემეორებინა, როგორ ისახელა თავი იპატოვმა და როგორ არ გაუმართლა.

პოლკოვნიკმა შეაწყვეტინა, მაგრამ როგოზინმა მაინც მოასწრო, ეთქვა, რომ, მოენესთან ერთად, ლეიტენანტს ჰოსპიტალში აგზავნის.

– მორჩი, თორემ სადაცაა გათენდება. კარგი, ლეიტენანტიც გაგზავნე. თვითონ გააცილე და პირდაპირ დივიზიის უფროსთან წამოდი. მეც იქ მოვალ.

როგოზინმა დავალება კარგად შეასრულა, გუსტავის დაკითხვაზე დასწრება კი არ ისურვა, რადგან ლეიტენანტი ჰოსპიტალში უნდა მიეყვანა და ნასვლის ნებართვა ითხოვა. იპატოვი ძალიან ცუდად იყო და უნდოდა დაუყოვნებლივ მიეხედათ. თავისდაუნებურად, დანაშაულის გრძნობა გაუჩნდა: თითქოსდა იპატოვი გერმანელმა გადაარჩინა...

როგოზინმა ჰოსპიტლის მთავარ ექიმს სთხოვა, იპატოვისთვის ურიგოდ ემკურნალათ. მონის ამბავმა მთავარი ექიმიცა და ქირურგიც განაცვიფრა. იპატოვი მაშინვე საოპერაციოში გაიყვანეს. კაპიტანი დერეფანში ჩამოჯდა, შინელი შეიხსნა, პორტსიგარი ამოიღო, მაგრამ არ მოუწვია. მას ჩაი მიუტანეს ტოლჩით.

როგოზინს ომმა ბედისწერის შეგრძნება გაუძაფრა, რომელიც სადღაც, სივრცისა და დროის მიღმა არსებობდა. „იპატოვს ბედისწერა არ გასწირავს, ალბათ – არც გუსტავს“, – გაუბედავად გაიფიქრა კაპიტანმა.

მთავარი ექიმის მისვლისას საოპერაციო გარეშეებმა დატოვეს. ნამსხვრევები ამოიღეს, ოპერაციამ კარგად ჩაიარა, თუმცა იპატოვის ორგანიზმი ძალიან იყო დასუსტებული და განგრენის საფრთხე კვლავ რჩებოდა.

ლეიტენანტს ეძინა და როგოზინი რეანიმაციაში არ შეუშვეს.

როგოზინმა მდინარე მოიკის სანაპიროდან სადოვაიას ქუჩაზე გადაუხვია. თოვა შეწყდა. ქუჩაზე, ადგილ-ადგილ, ნაბუქებს შორის, ბილიკები გადიოდა. უმთვარო ღამე იყო. სახლები პირქუშად იდგნენ, ფანჯრებში სინათლე არ ენთო, მხოლოდ ცისფერი ნათურების მიმქრალი შუქი აღწევდა ღრიჭობიდან. ღამის ცარიელ ქუჩებში შავი ქვის ნამტვრევები ეყარა. დამწვრის სუნი იდგა. თივის მოედანთან დაბომბილი სახლი იფერფლებოდა. ნახანძრალებს კვამლი ასდიოდა და როგოზინი მხრჩოლავ კედელთან გათბა. მერე ორმა პატრულმა გააჩერა და ფარნებით საბუთები შეუმონმეს, შეათვალიერეს.

– ვინმეს უცდით? – ჰკითხა მეზღვაურისფორმიანმა. მერე მოსანწევი მოსთხოვა და ხელთათმანები გაიხადა, კვამლზე რომ გამთბარიყო. თითო პაპიროსი აიღეს და გააბოლეს.

– როდის დასრულდება ეს ყველაფერი? – იკითხა მეზღვაურმა.

„როდის დასრულდება?“ თუ „როგორ დასრულდება?“, –

თითქოს მეზღვაური დარწმუნებული იყო, რომ ბლოკადას ცოცხალი გადაურჩებოდა, როგოზინს კი ამაში ეჭვი ეპარებოდა, მისი ბატალიონის ნახევარი დაიღუპა და ველარასოდეს შეიტყობენ, რა ელის ქალაქს, ქვეყანას. ყოველთვის ისე ვკვდებით, რომ სიცოცხლეს ვერ ვასწრებთ, ყველაფერს ვერ ვნახულობთ, საქმეს ვერ ვამთავრებთ. აი, როგოზინიც, ალბათ, გამარჯვებამდე ვერ მიაღწევს, დაიღუპება.

კაპიტანმა ქალაქი ღამით დატოვა. ბოლო სამი კილომეტრი ძალიან ძნელი გასავლელი გამოდგა. საგუშაგოზე მისი დაბრუნება გაუხარდათ და მიწურამდე მიაცილეს. ოსტაპმა, მისმა შიკრიკმა, რკინის ღუმელი გაახურა, ცეცხლზე ჩაიდანი და მოთუშული ხორციით სავსე ტაფა შემოდგა, მერე ხელების გადასაბანად ცინულივით ცივი წყალი მოიტანა, მაგიდაზე პურის ერთი ულუფა და შაქრის ნატეხი დადო. ეს ყველაფერი ჩუმად, მარდად და მოხერხებულად გააკეთა და არა როგოზინივით, დიდხანს რომ იხდიდა. ბატალიონში ახლა ყველა ნელა მოძრაობდა, მწირი ულუფაც თავისას აკეთებდა, ზამთარიც.

ოსტაპი როგოზინის წინ ჩამოჯდა, დაახანა და ჰკითხა:

– დანოლა გინდათ?

– ძალიან, – თქვა როგოზინმა.

ის გამუდმებით იზმორებოდა, ჯუბაჩისგან და ქამრისგან თავისუფალ სხეულს იხელდა.

მიწურში თბილოდა და კვამლის, ცხვრის ტყავის, ფეხსახვევების, ფიცარზე წასმული ფიჭვის ფისის და დაუბანელი ადამიანების სიმყრალის სუნი იდგა.

– აბა, როგორ ხარ? – ჰკითხა ოსტაპმა.

როგოზინმა თვალები გაახილა და ოსტაპს დიდხანს შეჰყურებდა, საიდანღაც ბრუნდებოდა, სადაც არ იყო არც ომი, არც სიკვდილი, არც შიმშილი და არც გვამებით სავსე ქუჩები.

– კარგად, – თქვა როგოზინმა. – ახლა ყველას აბანოში წაგვიყვანენ. ნაბდის ჩექმებს შეგვპირდნენ. ასეა, იღბალი გვწყალობს.

## ლეონიდ ზორინი

დრამატურგი, სცენარისტი, პროზაიკოსი ლეონიდ ზორინი დაიბადა 1924 წელს ბაქოში. 1946 წელს დაამთავრა აზერბაიჯანის ს. მ. კიროვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, შემდეგ კი მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. 1948 წლიდან ცხოვრობს მოსკოვში.

მიღებული აქვს: „ლიტერატურნაი გაზეტას“ პრემია (1975, 1982), ჟურნალ „ზნამიას“ პრემია (2001), აპოლონ გრიგორიევის პრემია (2003), ივანე ბელკინის პრემია (2008); პრემია „დიდი ნიგნი“ (2009), პრემია „დიდი ნიგნი“ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის (2014).



## საპიზიტო ბარათი

შუალამისას ავისმომასწავებლად აწივლდა გრძელი, გამკივანი ზარი – უბედურების ზარი. გამოღვიძებული კარისკენ გაქცევას აპირებდა, მაგრამ გულში შეიგინა და ტელეფონის ყურმილს დასწვდა. ვოლსკიდან რეკავდნენ.

ამ ქალაქთან არაფერი აკავშირებდა და ქალის ისტერიული ხმის გაგონებაზე გაოცდა.

– ვლადიმირ სერგეევიჩ... ვლადიმირ სერგეევიჩ... თქვენ ხართ?

– მე ვარ, მე ვარ. გისმენთ.

– ვლადიმირ სერგეევიჩ... საყვარელო... გამაგრდი. ნადია სერგეევნა გარდაიცვალა.

კაცი სანოლზე ჩამოჯდა და მშვიდად იკითხა:

– ვინ გარდაიცვალა?

– ვლადიმირ სერგეევიჩ! ნა-დიუ-შა. მე ზოია ვარ, მისი დაქალი. თქვენთვის ჩემზე ბევრი რამ აქვს მოყოლილი.

– ვინ არის ნადია? გამაგებინეთ.

სიჩუმე ჩამოვარდა. კაცმა ყურმილის დადება დააპირა, როდესაც ქალმა დაიჩურჩულა:

– ლაპარაკი გეუხერხულებათ?

– არ მეუხერხულება, მაგრამ ვერაფერი გავიგე.

ამჯერად სიჩუმე მალევე დაირღვა. ქალმა რამდენჯერმე გულამოსკვნით ამოიქვითინა და თქვა:

– ნადია ვეტკინა გარდაიცვალა. მაპატიეთ ასეთი ცნობისთვის. გთხოვთ, თავს გაუფრთხილდით.

სულელური ხუმრობაა? გაუხარდა, რომ მას და ოღლა პავლოვნას სხვადასხვა ოთახში ეძინათ და შეეცადა, განყვეტილ სიზმარს მიბრუნებოდა.

ბოლოს და ბოლოს ჩათვლიმა, მაგრამ გამთენიისას კვლავ დარეკეს. ამჯერად არ შემეცდარა, ნამდვილად კარზე რეკავდნენ.

ვოლსკიდან დეპეშა მიიღო. ქვითარს ხელი მოაწერა, დეპეშა გახსნა და წაიკითხა: „პატივცემულო ვლადიმირ სერგეევიჩ, უდიდესი გულისტკივილით გაუწყებთ ჩვენი ნადიუშა ვეტკინას გარდაცვალებას. გამაგრდით. მარგარიტა მიხაილოვნა“.

არა, ეს ნამდვილად ბოროტი ხუმრობაა. ნადია ვეტკინას არ იცნობდა, არც ზოიას, არც მარგარიტა მიხაილოვნას. ალბათ, ვოლსკელმა უსაქმურებმა გახუმრება გადაწყვიტეს. თუმცა, ეშმაკმა დალაზვროს, ტელეფონი და მისამართი რანაირად გაიგეს?

საუზმობისას ნამძინარევმა ოღლა პავლოვნამ ზანტად ჰკითხა:

– რა ხდებოდა? ზარი ღამით, მერე ზარი სისხამ დილით.

კაცმა უპასუხა:

– კონსულტაცია მთხოვეს. დილით კი, რაღაც უმნიშვნელო შეხვედრაზე მოსაწვევი გადმომცეს, რომელიც ურნაში მოვისროლე. ქალმა ჩაიფრუტუნა.

– იაფფასიანი პოპულარობის ძვირი საზღაური. საბრალო...

კაცს არ უკითხავს, რატომ იაფფასიანი? კარგა ხანია, მის ხასიათს შეეგუა და მოკლედ უთხრა:

– მართალი ხარ.

ეს სულელური შემთხვევა რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაივიწყოს. რა უნდა ქნას, ვიღაცებს აღიზიანებს და ამის საზღაურს იხდის. მოთმინებაა საჭირო, მაგრამ სამი დღის მერე წერილი მიიღო კოლეგისგან – პოდსტრიგინასგან, დიდი, მეტყველი თვალების, ბრგე, ნაბლისფერთმიანი, ენერგიული და ინფანტილურობამდე მშვენიერი სულის ადამიანისგან, რომელიც გამუდმებით აზვიადებდა

თითოეული მოვლენისა და თითოეული ნათქვამი სიტყვის მნიშვნელობას. ასევე, მიდრეკილი იყო ღრმა განცდებისა და ძლიერი ცხოვრებისეული რყევებისადმი – ხასიათის ეს თვისებები გავლენას ახდენდა მისი ქცევის თავისებურებებზე – ეგზალტირებულსა და პათეტიკურზე.

როგორც გაირკვა, პოდსტრიგინა სარატოვშია, მივლინება უმთავრდება და მოსკოვში გამოსაგზავნ ნერილსაც ჩამოასწრებდა. მიუხედავად ამისა, გადანყვიტა მივიწყებული ეპისტოლური ჟანრი გაეხსენებინა – ვაი რომ, ზეპირმეტყველებას აღარ ძალუძს, გამოხატოს ის, რასაც ხანდახან განვიცდით.

პოდსტრიგინა ატყობინებდა, რომ სარატოვში გაიცნო ვოლსკელი მხარეთმცოდნე, უაღრესად ღირსეული კაცი (დედაქალაქში ასეთები გადაშენდნენ) და ამ მომხიბლავმა ბერიკაცმა უთხრა, რომ ისინი ვლადიმირ სერგეევიჩისთვის უცხონი არ არიან და სამწუხარო ამბის შეტყობინება სთხოვა.

„გამხნევდით, ჩემო სახელოვანო ვლადიმირ სერგეევიჩ! – ნერდა აღელვებული კოლეგა. – ნადეჟდა ვეტკინა ცოცხალი აღარ არის!! რას ვიზამთ, მეგობარო, ყველანი წუთისოფლის სტუმრები ვართ!! განსვენებული კიდევ დიდხანს იცოცხლებდა, მაგრამ გული დარდისგან დაემსხვრა.

ვოლსკეში გაცნობილმა მოხუცმა (რომელმაც თავისი კეთილშობილებით საცოდავი ნადეჟდასადმი პატივისცემით განმანყო) მასზე ძალიან ბევრი რამ მიაბო!! ეს რა სულის ადამიანი ყოფილა, შემოძლია გაგიგოთ!! მისი მიზანდასახულობა და ერთგულება განსაკუთრებულია, დღევანდელობაში შესატყვისი მაგალითები ვერ მომიძებნია. თქვენ მისთვის ფანჯარაში შემოჭრილი ნათელი სხივი იყავით!! ქალმა დაიფიცა, რომ მასთან მიახლოების უფლებაც კი არავისთვის მიუცია. თქვენთან შეხვედრებზე მომიყვა – გამუდმებულ ცხოვრებისეულ ორომტრიალს მისთვის როგორ სტაცებდით ხან ერთ დღეს, ხან ორს, ხანაც მთელ კვირას. მხოლოდ წარსულის მოგონებებითა და მოლოდინით ცხოვრობდა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, გასაგებია, თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მას თქვენს ტანჯულ სულში. კვლავ გავიმეორებ: გამხნევდით, თქვენთან ვარ“.

– ეს რა ბნელი რეგენია, – ჩაიბურტყუნა ვლადიმირ სერგეე-

ვიჩმა, – რა აბდაუბდაა. ამდენი ძახილის ნიშანი რა საჭიროა, საარტილერიო ბატარეა? ეშმაკმა დალახვროს, რას ნიშნავს ყოველივე ეს?

ვლადიმირ სერგეევიჩი ფანჯარასთან ჩამოჯდა და წარსული აუჩქარებლად გადაქექა. მოსკოვში გრიპი მძვინვარებდა, თოვლჭყაპიანი დღე იყო – ადრეულ გაზაფხულზე საშინელი არაფერია. ადამიანები მოიქანცნენ, არაქათი გამოეცალათ. ბნელმა ზამთარმა ყველას თავი მოაბეზრა და სითბოს ნატრობენ – კალენდრის იმედადღა არიან. კარგი იქნებოდა სცოდნოდა, როგორი ამინდი იდგა ახლა შორეულ ქალაქ ვოლსკში.

ვერა, ვერაფერს იხსენებს. წლების მანძილზე უამრავი სახე გაკრთა, მრავალი ამბავი მოხდა, მეხსიერება ყველაფერს ვერ შემოინახავს. არადა, ამაში სიკეთეცაა – სხვანაირად შეიძლება ჭკუიდან შევიშალოთ.

ვლადიმირ სერგეევიჩმა მიმოიხედა. თავის კაბინეტში ცალკე საკანში გამოკეტილივით ზის და ბორბალში ციყვივით უაზროდ დარბის. თავს სიტყვა მისცა, რომ მაგიდაზე აკოკოლავებულ წიგნებს წაიკითხავდა, მაგრამ თავისუფალი დრო ვერაფრით გამოიხატა. თვალეები ეღვლეა, თავი ათასგვარი სისულელით აქვს გამოტენილი. მაგიდაზე ასევე ალაგია კონვერტები, თეთრი ქალაღდის ფურცელი გაურკვეველი მონახაზით და საკუთარი სავიზიტო ბარათი, რომელიც გუშინ ჯიბიდან ამოუვარდა. სავიზიტო ბარათებს ხშირად კარგავდა.

– ღმერთო... – ჩუმაღ წამოიძახა. თითქოს მსუბუქი ჩხაკუნის ხმა გაისმა და ჯიბის ფარნის სხივმა მეხსიერების ბნელი კუნჭული გაანათა. – ღმერთო, – გაიმეორა დაბნეულმა.

ძველი მეგობრის, ჟურნალისტ ბურსკის გამოანგარიშებული თარიღის მიხედვით, სექსუალურ რევოლუციამდე ათი-თხუთმეტი წლით ადრე ვლადიმირ სერგეევიჩი ვოლგაზე გემით მიცურავდა. ჯერ სიბერემდე შორი იყო, მაგრამ უკვე დარბაისლურად გამოიყურებოდა. ხელქვეითებთან საუბრისას დისტანციის დაჭერას ახერხებდა და შეეძლო, საკუთარი თავისადმი პატივისცემა გამოეწვია – შიშნარევი პატივისცემა. სანაპირო ქალაქისაკენ მიემართებოდა, სადაც მისი პროექტით – როგორც პირქუშად ხუმრობდა ხოლმე – ხელოვნების მორიგი აკლდამა უნდა აეგოთ.

ქალაქში, როგორც ყოველთვის, კამათი და ბოხი ხმით ლაპარაკი ელოდა. ადგილობრივი პასუხისმგებელი პირების პირფერულ მზერასაც შეჩვეული იყო.

თვითმფრინავით გადაფრენაც შეეძლო, მაგრამ გადანწყობა, უეჭველი ნერვების აშლა წინასწარ შეემსუბუქებინა და საკუთარი თავისთვის უსაქმურობის, დიდებულ მდინარეზე გასეირნების ხუთი დღე ერუქებინა – ჟანგბადი, მარტოობა და დამამშვიდებელი პეიზაჟების ჭვრეტა.

მეორე დღეს, მზიან სალამოს გემბანზე გამოვიდა, ქიმთან დადგა და გაშლილ, მდუმარე სივრცეს გაჰყურებდა. ცის, მდინარის და სანაპიროს ფერები ერთმანეთში ათქვეფილიყო და თითქოს რაღაც სარიტუალო ცეკვას ასრულებდნენ. ფოლადისფერი ტალღები კი ლითონივით ბზინავდა.

მგზავრებიდან რამდენიმე უკვე შემჩნეული ჰყავდა – მსუქანა ქალბატონი ავადმყოფური შესახედაობის ქმართან ერთად, შინდისფერ შემოსაცმელიანი ყმანვილი და მკვრივი აგებულების ღანჯმალაღი შტურმანი, ქარისგან გახეხილი აგურისფერი გლუვი ლოყები რომ ჰქონდა.

ახალგაზრდა ქალს კი, რომელიც შორიახლოს იდგა, პირველად მოჰკრა თვალი. იასამნისფერ თხელ ზედა სამოსში გამონყობილი ნაზი სახის ქალიშვილი ქიმს მიღმა ისე დაჟინებით იმზირებოდა, თითქოს მდინარის საიდუმლოს ამოცნობას ცდილობსო.

ასეთი მინდვრის გვირილებივით გოგონები მასში მუდამ თანაგრძნობას იწვევდნენ. რაღაც ჰკითხა, გოგონა გამოეპასუხა. ქალიშვილი მოსკოვში ნათესავს სტუმრობდა. ტრეტიაკოვკა მოინახულა, საუკეთესო თეატრებში დადიოდა. მეზობლად მდებარე კინოთეატრში კარგი ფილმი ნახა – ნათესავი მწვენიკებში ცხოვრობდა. დიდი ხნის წინათ ეს კინოთეატრი ვლადიმირ სერგევიჩმა დააპროექტა. წარმოუდგენელი, მისტიკური დამთხვევაა.

– შეიძლება თქვენი გვარი გავიგო?

– შეიძლება, მაგრამ ის არაფერს გეტყვით, არც მსახიობი ვარ და არც დიქტორი.

მხიარულად საუბრობდნენ. გემბანზე მელოდია გაისმა. კაცმა კაიუტაში მიიპატიჟა. ქალიშვილმა ერთხანს იყოყმანა და დათანხმდა.

ეტყობა რაღაცით დაინტერესდა და თბილ, მოცურავე ბუდეში ქალიშვილმა ათასგვარი შეკითხვები დააყარა. კაცი თავიდან სიცილით, ძუნწად პასუხობდა, მერე კი – ამომწურავად. როდესაც კონიაკი შესთავაზა, გოგონამ ერთი სირჩა თამამად შესვა, მერე მეორე, მერე მესამეც მიაყოლა. კაცმა ჩუმად ჩაიციინა და გაიფიქრა: თავისი თავი ძალიან ძლიერი ჰგონია.

გოგონამ ვლადიმირ სერგევიჩთან საათზე ნაკლები გაატარა. მერე უხერხულობისგან აჩქარდა და პატარა ფეხებს გზადაგზა ღია საზაფხულო ფეხსაცმელში მალავდა. უცებ შეჩერდა – მაგიდაზე სუფთა თეთრი კვადრატი იდო. რა იყო? სავიზიტო ბარათი? მათზე არაერთხელ წაუკითხავს, ნახვით კი არასოდეს უნახავს. თავი გააქნია: ჩვენთან სავიზიტო ბარათებს არ ხმარობენ, როგორც ჩანს, უცხო ქვეყანაში გამგზავრებისას დაუმზადეს – იქ, საზღვარგარეთ, ალბათ გამოადგება. დილით ამოუვარდა და ახლა ასე დაუდევრად გდია. ეგებ, სახსოვრად წაილოს? თუკი ასე სურს. თუ ღმერთი გწამს...


ერთმანეთს სარატოვში დაემშვიდობნენ. ქალიშვილი ჩავიდა, კაცმა კი გზა განაგრძო. მას შემდეგ გოგონა არ უნახავს და აღარც არაფერი სმენია. ბედისწერამ ისინი გემბანზე შეახვედრა. ნადეჟა... სწორედ ასე ერქვა სრულიად ახალგაზრდა ქალს. რას აღარ შეჰპირდა. როგორი გამოდგა მისთვის შეთხზული ზღაპარი? კვლავ ღამის ზარი გაახსენდა – უხილავი ზოიას ნამტირალევი ხმა, მარგარიტა მიხაილოვნას დეპეშა, პოდსტრიგინას მგზნებარე წერილი. ვინ იტყვის, რომ დედამიწაზე ცხოვრება მოსაწყენია? აქ უბედურებაც კი ანეკდოტად აღიქმება.

მაშინ მთავარზე არაფერი უთქვამს – შენი ადგილი უნდა იცოდე, რადგან ერთ დღესაც ყველაფერზე პასუხს აგებ. შერიგება და მარცხის აღიარება უნდა შეგეძლოს, ცხოვრებისეულ გამოცდას ბევრი ვერ აბარებს.

ბრძანებით ვერავის ვერაფერს შეასწავლი. ანდა, რაც იცი, ვის უნდა გაუზიარო? ეგებ შვილიშვილს? მაგრამ ის შორს არის, თანაც, შენი ცოდნა არაფერში არგია. უკვე ბევრისთვის, ძალიან ბევრისთვის არანაირი განსხვავება არ არის ჩემსა და ჩემს სავიზიტო ბარათს შორის. ვინ ვარ მათ შეგნებაში? სახელი, გვარი და მამის სახელი, რომელიც მალე წაიშლება. მხოლოდ უცნობ ქალაქ

ვოლსკში ჰქონდა ამ იაფფასიანი მუყაოს ნაგლეჯს რაღაც გავლენა და მნიშვნელობა.


რა გულის გამანვრილებელი მონყენილობაა! ცის ნაგლეჯი, რომელიც ფანჯრიდან მოჩანს, დედამინას უსიცოცხლო შუშის თვალებით დაჰყურებს.



## ვლადიმერ მაკანიანი

პროზაიკოსი ვლადიმერ მაკანიანი (1937-2017) დაიბადა ორსკში. 1960 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, ხოლო 1971 წელს უმაღლესი სასცენარო და სარეჟისორო კურსები.

მიღებული აქვს: პრემია „რუსული ბუკერი“ (1993), ჟურნალ „ნოვი მირის“ პრემია (1995), რუსეთის სახელმწიფო პრემია (1999), პრემია „პენე“, იტალია, პრემია „დიდი წიგნი“ (2008), ევროპის პრემია ლიტერატურაში, (2012), პრემია „იასნაია პოლიანა“.



## კავკასიელი ტყვე

### 1

ჯარისკაცებმა, როგორც ჩანს, არ იცოდნენ, რომ სამყაროს სილამაზე გადაარჩენს, მაგრამ ის კი კარგად მოეხსენებოდათ, თუ რა არის თავად სილამაზე. მთებს შორის მომწყვდეულები, სილამაზე ისე კარგად შეიგრძნობდნენ, ხანდახან აშინებდათ კიდეც ეს ყველაფერი. უცებ, კლდიდან ნაკადული გამოხტა. ისინი გაშლილმა მინდორმა კიდეც უფრო დაძაბა, რომელიც მზეს თვალისმომჭრელ სიყვითლემდე შეეღება. უფრო გამოცდილი რუბახინი წინ მიდიოდა.

სად გაქრა მთები? მზით ავსებული სივრცე რუბახინს ბავშვობას აგონებდა. განმარტოებით იდგნენ ამაყი სამხრეთული ხეები (მან არ იცოდა მათი სახელები). ყველაზე მეტად კი სულს მალაღი ბალახი უშფოთებდა, რომელიც სუსტ ქარში სუნთქავდა.

– გაჩერდი, ვოვკა. ნუ ჩქარობ, – ხმადაბლა აფრთხილებდა რუბახინი.

მოშიშვლებულ, უცნობ ადგილას ყოფნა იმას ნიშნავს, რომ სამიზნეში ხარ ამოღებული და სანამ ხშირი ბუჩქნარიდან გამოვი-

დოდნენ, სნაიპერმა ვოვკამ კარაბინი მოიმარჯვა და მარცხნიდან მარჯვნივ ზოზინით მიმართა. ვოვკა ოპტიკურ სამიზნეში ბინოკლივით იყურებოდა და სუნთქვაშეკრული ათვალეირებდა მზით გაყდენთილ სივრცეს. უცებ, ბორცვთან, პატარა ტრანზისტორული რადიომიმღები შენიშნა (გადამხმარ ბორცვზე მიმღების მინამ მზეზე გაიელვა).

ლაქებიან სამხედრო ფორმაში გამონყობილმა ჯარისკაცებმა მოკლე გადარბენებით, ნახევრად ამოთხრილ გაზსადენის თხრილამდე და შემოდგომის საღებავებით ანითლებულ ბორცვამდე მიაღწიეს, რადიომიმღები შეატრიალ-შემოატრიალეს და იცნეს. შემთვრალ ეფრეიტორ ბოიარკოვს განმარტოება და ძველ ტრანზისტორთან ჩახუტებულს უყვარდა წამოგორება. ბალახი აქეთ-იქით მისნი-მოსნიეს და ეფრეიტორის ცხედარი შორიახლოს იპოვნეს (მიზრჯნით უსვრიათ. როგორც ჩანს, სიმთვრალისგან გამობლეთილი თვალების მოსრესვაც კი ვერ მოასწრო. ლოყები ჩაცვენილი აქვს. ნაწილში კი ჩათვალეს, რომ გაიქცა). არანაირი საბუთი. ნაწილს უნდა აცნობონ. ბოევიკებმა რადიომიმღები რატომ არ წაიღეს? იმიტომ რომ სამხილია? არა. იმიტომ, რომ ძალიან ძველია და ჟღერიალებს. მომხდარის შეუქცევადობა (სიკვდილი შეუქცევადობის ნათელი დადასტურებაა) აჩქარებს და მათი ნების სანინაალმდეგოდ მიერეკება ჯარისკაცებს. ბრტყელ ქვებს ნიჩბებივით მარჯვედ ხმარობენ და მოკლულს ენერგიულად და სწრაფად მარხავენ. ასევე სწრაფად ააკოკოლავენ სანიშნოდ მინის პატარა ბორცვი და გზა განაგრძეს.

ვიწრობიდან გამოსვლისას ისევ მაღალი, ხასხასა ბალახი ხვდებათ, რომელიც ოდნავ ირხევა. ჩიტები ერთმანეთს ცაში მხიარულად გასძახიან. შესაძლოა სილამაზეს მართლაც შეუძლია სამყაროს გადარჩენა. ის ჩნდება როგორც მინიშნება და ადამიანს არ აძლევს გზიდან გადახვევის საშუალებას. გაიძულებს ყურადღება დაძაბო, სილამაზე გაიძულებს, რომ გახსოვდეს.

გაშლილი, მზიანი ადგილი ნაცნობი და უსაფრთხო გამოდგა. მთებმა გაინ-გამოინიეს. წინ სწორი გზაა, მოშორებით მანქანების დატყეპნილი, მტვრიანი განშტოებაა. იქ კი სამხედრო ნაწილია. ჯარისკაცები ნაბიჯს თავისდა უნებურად აჩქარებენ.

პოდპოლკოვნიკი გუროვი ნაწილში არაა – თავის სახლშია.

მისი ნახვა კი აუცილებელია. ჯარისკაცებმა პოდპოლკოვნიკის სახლისკენ გააბოტეს. გუროვი აქ ყოვლისშემძლეა. ის მეუღლესთან ერთად კარგ, აივნიან სოფლურ სახლში ცხოვრობს, რომელიც გარშემორტყმულია ვაზით. სახლს მინაც აკრავს. შუადღეა, ცხელა. ღია აივანზე პოდპოლკოვნიკი გუროვი და მისი სტუმარი – ალიბეკოვი სხედან. სადილით მოთენთილები, ჩაის მოლოდინში, მსუბუქ ნულ სავარძლებში მოკალათებულან და თვლემენ. რუბახინი ენის ბორძიკითა და ცოტა არ იყოს გაუბედავად მოახსენებს. ძილში ჩაძირული გუროვი ორივეს უყურებს, თანაც ასეთ გაოფლიანებულებს (მასთან დაუპატიჟებლად მისულებსა და თავიანთი სიფათებით მისთვის საერთოდ უცნობებს). გუროვი წამით ახალგაზრდავდება, ხმას მკვეთრად იმაღლებს და ყვირის, არავითარი დახმარება, ვინც არ უნდა იყვნენ. ეშმაკმა დალახვროს, რა დახმარება! – მისთვის სასაცილოც კია იმის მოსმენა, რომ სატვირთო ავტომანქანების დასახსნელად, რომლებიც საკუთარი სიმტერიტ ხეობაში გაებნენ, ჯარისკაცები გაგზავნოს.

უფრო მეტიც, მათ ასე უბრალოდ არ გაუშვებს. ბრაზმორეული, ორივე ჯარისკაცს უბრძანებს, რომ ქვიშა გადაზიდონ. დაე, პატიოსნად იშრომონ. ზურგისაკენ, ნაბიჯით იარ! ჭიშკართან ქვიშის გროვა მიმოაბნით. ქვიშა ყველა ბილიკს უნდა მოეფინოს, სახლთანაც და ბოსტანთანაც. ამის დედაც, ისეთი ტალახია ვერ გაივლი!.. პოდპოლკოვნიკის ცოლი, როგორც ყველა დიასახლისი, მოხარულია ჯარისკაცების მუქთი შრომით. ანა ფეოდოროვნა, აკეცილი სახელოებითა და მამაკაცის გაცვეთილი, ტალახიანი ბატინკებით ბოსტანში მაშინვე გამოჩნდა და მხიარულად შესძახა: დაე, ბოსტნის დაკვალვაშიც დაგვეხმარონ!..

ჯარისკაცებს ქვიშა ურიკებით გადააქვთ, მერე ნიჩბებით ბილიკებზე ყრიან. პაპანაქება სიცხეა. ქვიშა კი ნესტიანია, როგორც ჩანს მდინარის სანაპიროდან მოიტანეს.

ვოვკამ ქვიშის გროვაზე მოკლული ეფრეიტორის რადიომიმლები დადო და განწყობის ასამაღლებლად რიტმული მუსიკა მოძებნა (მაგრამ აივანზე მოსაუბრე გუროვისა და ალიბეკოვისათვის ხელი რომ არ შეეშალა დაბალ ხმაზე დააყენა. ალიბეკოვი ნელი, გულის გამანვრილებელი სიტყვებით იარალზე ევაჭრებოდა – ძალიან მნიშვნელოვან საქმეზე).

ქვიშის ბორცვზე წამომართული რადიომიმღები რუბახინს შეახსენებდა, რომ ბოიარკოვმა სასიკვდილოდ ლამაზი ადგილი შეარჩია. სიმთვრალისგან გამოსულელებული ეფრეიტორი ტყიდან ბორცვზე ავიდა. როდესაც ბოევიკები მოცვივდნენ, ბოიარკოვმა რადიომიმღებს (თავის ერთგულ მეგობარს) ხელი ჰკრა, რათა ბორცვიდან ბალახებში ჩასრიალებულიყო. შიშობდა, არ წაერთმიათ – თვითონ, როგორღაც თავს დააღწევდა. საეჭვო ვერსია! ალბათ, მთვრალს ჩაეძინა, მიმღები კი უბრალოდ ხელიდან გაუვარდა და ფერდობზე ჩაგორდა.

მიბრუნით ესროლეს. ახალგაზრდები იყვნენ – იმათთაგანნი, რომლებიც პირველი ადამიანის მოკვლას ჩქარობენ, თუნდაც ჩაძინებულის, რათა აზარტში შევიდნენ. რადიომიმღები ახლა ქვიშის გორაკზე დგას. რუბახინი მზით სავსე ანითლებულ ბორცვსა და ჩრდილოეთ ფერდობს მძლავრად შეჭიდებულ ორ ბუჩქს შეჰყურებს და ცდილობს კარგად დაიმახსოვროს ბორცვი, ბალახი, ბუჩქების ოქროსფერი ფოთლები, სადაც ბოიარკოვს ჩაეძინა და ჩასწვდეს თავის გადარჩენის კიდევ ერთ წესს, რომელსაც ვერაფრით შეცვლი. სილამაზე გამუდმებით ვილაცის გადარჩენას ცდილობს.

თავდაპირველად ურიკებს ატალახებულ მიწაზე მიაგორებდნენ, მერე მიხვდნენ და ბილიკზე ფიცრები დაყარეს. ვოვკა მკვირცხლად მიაქროლებს ურიკას, მის უკან, უზარმაზარ, პირთამდე დატვირთულ ურიკას რუბახინი აწვება, რომელიც წელამდე გახდილია და ძლიერი, ოფლისგან სველი ტანი მზეზე უბრწყინავს.

## 2

ვიძლევი ათ „კალაშნიკოვს“ და ხუთ ყუთ ვაზნას. გესმის, ალიბეკ, – არა სამს, არამედ ხუთს.

– მესმის.

– მაგრამ სურსათი პირველი რიცხვისთვის უნდა იყოს...

– პეტროვიჩ, სადილის მერე ძილი მიყვარს. როგორც ვიცი, შენც. ანა ფეოდოროვნას ჩაი ხომ არ დაავიწყდა?

– არ დავიწყნია. ჩაიზე არ ინაღვლო.

– როგორ არ ვინაღვლო! – იცინის სტუმარი. – ჩაი ომი არაა, ჩაი გაცივდება.

გუროვი და ალიბეკოვი დაუმთავრებელ საუბარს აგრძელებენ,

მაგრამ უსიცოცხლო სიტყვები (როგორც მათი კამათის ერთგვარი ინერტულობის დასტური) მაცდუნებელია – ალიბეკოვი იარაღისთვის მივიდა. გუროვს, მის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს კი ძალიან სჭირდებათ სურსათი, რომელსაც იარაღზე ცვლიან, ხანდახან ბენზინზეც.

– სურსათი პირველი რიცხვისთვის უნდა იყოს. და მთებში სულელური ჩასაფრებების გარეშე. ღვინო სავალდებულო არაა. აი, ცოტაოდენი არაყი რომ იყოს.

– არაყი არ არის.

– მერე, იშოვე, იშოვე ალიბეკ. მე ხომ შენთვის ვაზნებს ვშოულობ! – პოდპოლკოვნიკმა ცოლს გასძახა, – ანია, რას აკეთებ? ბოსტინიდან გვეძახდი, ჩაი დაყენებულიაო.

ნასადილევს, ჩაის მოლოდინში, სტუმარ-მასპინძელმა ზანტად გააბოლა. გრილი აივნისიდან ვაზისკენ ბოლიც ზანტად გალოლდა და ბოსტინისკენ ფენა-ფენა გაცურდა.

ვოვკამ რუბახინს ანიშნა, სასმელის შოვნას შევეცდებიო და ნაბიჯ-ნაბიჯ მიუახლოვდა წულ ლობეს, რომლის იქით ახალგაზრდა, ბავშვიანი ქალი იდგა. ვოვკამ მაშინვე თვალი ჩაუკრა, ლობეს გადაეგლო და ქალს საუბარი გაუბა. რუბახინი კი ქვიშიან ურიკას მიაგორებდა. ვოვკა მკვირცხლი ჯარისკაცია, რომელიც ვერ იტანს დუნე, გაჭიანურებულ სამუშაოს (სხვა ყველანაირ სამუშაოსაც).

წარმოუდგენელია, მაგრამ ახალგაზრდა ქალი მაშინვე დაითანხმა, თითქოს ალერსიანად მოლაპარაკე ვოვკას ელოდაო. სნაიპერი სიმპატიური და მომღიმარია, სადაც ოდნავ მეტხანს დაყოვნდება – ფესვებსაც იქ იდგამს.

ვოვკა ეხვევა, ქალი ხელში ურტყამს. ადვილი შესამჩნევები არიან და ვოვკას ესმის, რომ ქოხში უნდა შეიტყუოს. ვოვკა არწმუნებს, მის დაყოლიებას ცდილობს, ხელზე ექაჩება. ახალგაზრდა ქალი ეწინააღმდეგება: „არა, თუ ღმერთი გწამს!“ – თან იცინის და ნაბიჯ-ნაბიჯ სიცხის გამო კარგალებულ ქოხისკენ მიიწევს. მერე ქოხში შედიან და კარი იხურება, გარეთ დარჩენილი ბავშვი კი შორიახლოს კატასთან თამაშობს.

რუბახინი კვლავინდებურად ურიკას მიაგორებდა. ფიცრები წამოკრიფა და ტალახიან ბილიკზე ძაფივით გაამწკრივა. ურიკას

ანვებოდა, თან ქვიშის სიმძიმეს აწონასწორებდა.

პოდპოლკოვნიკი გუროვი ალიბეკოვთან ვაჭრობას აუჩქარებლად აგრძელებდა. ცოლმა (ხელები დაიბანა და წითელი ზედაკაბა გადაიცვა) აღმოსავლურად, ორ ჩაიდანში დაყენებული ჩაი მიართვათ.

– კარგ ჩაის აყენებს, საქმე იცის! – აქებს ალიბეკოვი.

გუროვი:

– რატომ ჯიუტობ ალიბეკ!.. შენ ხომ, თითქმის ტყვე ხარ. ყოველი შემთხვევისთვის, არ დაივიწყო, სად იმყოფები. თანაც, ჩემთან ხარ.

– შენთან რატომ ვარ?

– თუნდაც იმიტომ, რომ ვაკე ადგილები ჩვენია.

– ვაკე ადგილები თქვენია – მთები ჩვენი.

ალიბეკოვი იცინის:

– ხუმრობ, პეტროვიჩ. რანაირი ტყვე მე ვარ... აქ თქვენ ხართ ტყვეები! – სიცლით რუბახინზე მიუთითებს, რომელიც ურიკას თავგამოდებით მიაქროლებს. – ის ტყვეა. შენც ტყვე ხარ. და საერთოდაც, ყველა შენი ჯარისკაცი ტყვეა.

იცინის და კვლავ თავისას აგრძელებს:

– თორმეტი „კალაშნიკოვი“ და შვიდი ყუთი ვაზნა.

ახლა გუროვი იცინის:

– თორმეტი, ჰა-ჰა! – ეს რანაირი რიცხვია – თორმეტი! ასეთი რიცხვი საიდან მოგაქვს?.. მესმის – ათი; ჩვეულებრივი რიცხვია, დამახსოვრება შეიძლება. ესე იგი ათი „კალაშნიკოვი!“

– თორმეტი.

– ათი...

ალიბეკოვმა ამოიოხრა:

– დღეს როგორი სალამო გველის?

– სალამომდე ჯერ შორია.

ჩაის ნება-ნება სვამენ. ორი დიდი ხნის ნაცნობი და ერთმანეთის პატივისმცემელი ადამიანი აუჩქარებლად საუბრობს (რუბახინი კვლავ ურიკას მიაგორებს, გვერდზე ხრის, ქვიშას მიწაზე ყრის და ნიჩბით ასწორებს).

– იცი, პეტროვიჩ, ჩვენი ბერიკაცები რას ამბობენ? ჩვენთან ჭკვიანი ხალხია.

– რას ამბობენ?

– ამბობენ, რომ დროა ევროპაზე გავილაშქროთ. კვლავ იქ წასვლის დროა.

– ხელი უნდა ჩავავლოთ, ალიბეკ, ევრო-ოპა!

– ევროპა ევროპაა. ბერიკაცები ამბობენ, რომ არც ისე შორსაა. ბერიკაცები უკმაყოფილოები არიან. ბერიკაცები ამბობენ, საითაც რუსები წავლენ, ჩვენც იქით – ერთმანეთს რატომ ვესვრით?

– ჰოდა, ჰკითხე შენს ძმობილებს?! – გაბრაზებით შეჰყვირა გუროვმა.

– ჰო-ო-ო, გენყინა. ჩაის სმისას სული გვიკეთილშობილდება. მცირე ხნით ჩუმად არიან. ალიბეკოვი ჩაიდნიდან ჩაის ფინჯანში აურქარებლად ასხამს და კვლავ მსჯელობს:

– ...არცთუ ისე შორსაა. დროდადრო ევროპაში ჩასვლა საჭირო. ბერიკაცები ამბობენ, რომ ჩვენთან მშვიდობა უცებ დამყარდება. ცხოვრება ცხოვრებას დაემსგავსება.

– როდის დაემსგავსება? უცადე!

– შესანიშნავი ჩაია. ანა ფეოდოროვნა, კიდევ დაგვიყენე. ძალიან გთხოვთ!

გუროვმა ამოიხვნეშა:

– დღეს მართლაც ჩინებული დღე იქნება! შენ მართალი ხარ.

– პეტროვიჩ, მე მუდამ მართალი ვარ. კარგი, ათი „კალამნიკოვი“, თანახმა ვარ. ვაზნები კი – შვიდი ყუთი.

– ისევ შენსას უბერავ. ასეთი რიცხვები საიდან მოგაქვს. შვიდი, ასეთი რიცხვი არ არსებობს!

დიასახლისს (ორი თეთრი ქვაბით) სადილის ნარჩენები მოაქვს, რათა ჯარისკაცები დააპუროს. რუბახინი ცოცხლად გამოეპასუხა – კი! კი! განა ჯარისკაცი სადილზე უარს იტყვის!.. „მეორე სად არის?“ და ენადაბმულ რუბახინს ტყუილის თქმა უწევს: თითქოსდა, ვოვკას მუცელი ასტკივდა. დაფიქრდა და მეტი დამაჯერებლობისთვის დაამატა: „ადგილს ვერ პოულობს, იტანჯება, საბრალო“. – „იქნებ, მკვახე ვაშლი ჭამა?“ – გულჩვილად კითხულობს პოდპოლკოვნიკის ცოლი.

ბურახის შეჭამანდი კვერცხითა და ძხვის ნაჭრებით გემრიელია. რუბახინი პირველი ქვაბისკენ დაიხარა, თან კოვზს კიდეებს ხმამაღლა ურტყამს, აჩხაკუნებს. ეს მინიშნებაა.

ვოვკას ესმის (და, რა თქმა უნდა, ხვდება) აჩხაკუნებული კოვზის ხმა, მაგრამ საქმელად არ სცალია. ახალგაზრდა ქალსაც ესმის ეზოდან მოღწეული კატის ისტერიული ჩხავილი და პატარას შეყვირება: „დე-დაა!“ როგორც ჩანს, ბავშვი კატას დაეჯაჯგურა, მაგრამ ქალი ვნებითაა შეპყრობილი. ალერსს დანატრებული სიხარულით და სიხარბით ეხვევა ვოვკას, არ სურს ბედნიერი შემთხვევის ხელიდან გაშვება. ვოვკაზე სალაპარაკოც არაფერია – ჯარისკაცი ჯარისკაცია. კვლავ პატარას ჭირვეული ყვირილი: „დე-დაა...“

ქალი სანოლიდან წამოვარდა, კარიდან თავი გამოყო და პატარას დაუტატანა. კარი მჭიდროდ მიიხურა, ფეხშიშველა ფეხების ბრაგუნით ქალი ჯარისკაცთან დაბრუნდა და თითქოს ხელახლა აენტო. „ოხ, როგორი ცხელი ხარ! ოხ, როგორ მინდინხარ!“ ვოვკა აღფრთოვანებულია, ქალი კი პირზე ხელს აფარებს: „ჩუმაღ...“

ვოვკამ ახალგაზრდა ქალს ჩურჩულით სთხოვა, რომ სოფლის მალაზიაში წასულიყო და საძაგელი პორტვეინი ეყიდა, რადგან ფორმიან ჯარისკაცს სასმელს არ მიჰყიდია. ქალისთვის კი ეს იოლი საქმეა...

ვოვკამ მთავარი საზრუნავი გაუმხილა, მათ მთელი ყუთი პორტვეინი სჭირდებათ.

– რად გინდათ?

– გადასახადია. გზა ჩაგვიკეტეს.

– თუკი პორტვეინი გინდოდათ, პოდპოლკოვნიკთან რატომ მიხვედით?

– სულელები ვართ და მივედით.

ახალგაზრდა ქალი უცებ ატირდა – მოუყვა, რომ ახლახან გზა აერია და გააუპატიურეს. გაკვირვებული ვოვკა უსტვენს: აი, თურმე რა უბედურება მომხდარა!.. უთანაგრძნო და ჰკითხა (ცნობისმოყვარეობით), რამდენნი იყვნენ? – ისინი ოთხნი იყვნენ, ქალი სლუკუნებს და ზენრის კუთხით თვალს იწმენდს. სნაიპერს სურვილი აქვს რომ გამოჰკითხოს, მაგრამ ქალს დუმილი უნდა და ცხვირპირს კაცის მკერდში მალავს. თანაგრძნობის სიტყვების გაგონება უნდა.

რა თქმა უნდა, ერთ ბოთლ პორტვეინს უყიდის. ოღონდ, ვოვკა მალაზიაში უნდა გაჰყვეს და ბოთლი მაშინვე გამოართვას. მას შემდეგ, რაც მას შეემთხვა, ბოთლით შინ წასვლა არ შეუძლია, –

ხალხმა ყველაფერი იცის, რას იფიქრებენ...

მეორე ქვაბშიც ბევრი საქმელია, ფაფა და დაკონსერვებული ხორცის ნაჭერი, – რუბახინმა ყველაფერი ერთმანეთში გადაურია, თუმცა ხარბად არ ჭამს და ტოლჩით ცივ წყალს აყოლებს. გააჟრ-ჟოლა და ხალათი მოიცვა.

– ცოტა დავისვენოთ, – უთხრა თავის თავს და წნულ ლობეს-თან მივიდა.

რუბახინი წამონვა და ჩასთვლიდა. მეზობელი სახლის ღია ფანჯრიდან კი, სადაც ვოვკამ შეაფარა თავი, ჩუმი საუბარი მოისმის.

ვოვკა: – ...საჩუქარს გიყიდი. ლამაზ თავსაფარს, ანდა შალის მოსახვევს.

ის: – შენ ნახვალ. – ატირდა.

ვოვკა: – თუ წავედი, გამოგიგზავნი! ეჭვი არ შეგეპაროს!..

ვოვკა დიდხანს სთხოვდა, რომ ფეხზე მდგარი წინ გადახრილიყო. არც თუ ისეთ მაღალ ვოვკას (ამას არასდროს მალავდა და ჯარისკაცებს ხალისით უყვებოდა) ზორბა ქალებისთვის უკნიდან უყვარდა ხელის შემოხვევა. ძალიან სასიამოვნოა, როცა ქალი ზორბაა... ის იგერიებდა, უარზე იდგა. მათ ხანგრძლივ, ცხარე ჩურჩულზე რუბახინს ჩაეძინა.

მალაზიასთან, როგორც კი ქალს პორტვინი ჩამოართვა, ვოვკამ ბოთლი შარვლის ჯიბეში ჩაიტენა და რუბახინთან გაიქცა. ახალგაზრდა ქალს, ხმა დაეძაბა და საყვედურით შესძახა, მაგრამ ვოვკამ მხოლოდ ხელი დაუქნია. ქალისთვის უკვე აღარ ეცალა – მორჩა, მორჩა, დროა!.. ის ვინრო ქუჩაზე გარბის. მერე წნულ ლობეებს შორის და პოდპოლკოვნიკ გუროვის სახლამდე გზას იმოკლებს. სიახლეა (თანაც როგორი სიახლე!) – ვოვკა ჭუჭყიან მალაზიასთან იდგა (ბოთლს უცდიდა), იქაურობას თვალს ავლებდა და ეს ამბავი გვერდით ჩავლილი ჯარისკაცებისგან შეიტყო.

ვოვკა წნულ ლობეს გადაახტა, მძინარე რუბახინი მოძებნა და ხელი უბიძგა:

– რუბახა, გესმის!.. – ნალდი საქმეა: უფროსი ლეიტენანტი სავკინი განიარაღებაზე მიდის.

– რა? – რუბახინი ნამძინარევი თვალებით შეაცქერდა.

ვოვკა სიტყვებს აყრის. აჩქარებს:

– განიარაღებაზე მიდიან. კარგი იქნება, მათთან ერთად თუ წავალთ. ჩურკას<sup>1</sup> თუ წამოვიყვანთ, კარგი იქნება! თვითონ არ ამბობდი...

რუბახინი გამოფხიზლდა. დიას, ყველაფერი გაიგო. ალბათ იქ გაგვიმართლებს – უნდა წავიდეთ. ჯარისკაცები ნელ-ნელა ტოვებენ პოდპოლკოვნიკის ეზოს. ფრთხილად იღებენ ზურგჩანთებს და ქასთან მიყუდებულ იარაღს. მერე ლობეზე მიძვრებიან და სხვისი ჭიშკრიდან გადიან, რადგან იმ ორმა აივნიდან არ შეამჩნიონ და არ დაუძახონ.

ვერ დაინახეს და არ დაუძახეს. უმოძრაოდ სხედან.

პაპანაქება სიცხება. სიჩუმეა. ალიბეკოვი ხმადაბლა მღერის, სუფთა ხმა აქვს:

აქ დილამდე ყველაფერი ჩაკვდააა...

სიჩუმეა.

– ადამიანები არ იცვლებიან, ალიბეკ.

– არ იცვლებიან, ასე ფიქრობ?

– მხოლოდ ბერდებიან.

– როგორც ჩვენ... – ალიბეკოვი ფინჯანში ჩაის წვრილ ნაკადად ისხამს. მას ვაჭრობა უკვე აღარ სურს. სევდა შემოაწვავს. თანაც, ყველა სიტყვა უკვე თქვა და ახლა საჭირო სიტყვები თავადვე მიაღწევს მის ძველ მეგობარ გუროვამდე.

– კარგი ჩაი გაქრა.

– რას ვიზამთ.

– ჩაი ძვირდება, საჭმელი ძვირდება, დრო კი არ იცვლე-ე-ება, – ალიბეკოვი სიტყვებს ნელავს.

დიასახლისს დროულად შემოაქვს კიდევ ორი ჩაიდან. მართალია, ჩაი ძვირდება, „მაგრამ დრო იცვლება თუ არ იცვლება, სურსათი უნდა მოიტანო...“ – ფიქრობს გუროვი და სიტყვებს ჯერ-ჯერობით ხმამაღლა არ ამბობს.

გუროვმა იცის, რომ ალიბეკოვი მასზე ჭკვიანი და ეშმაკია. სამაგიეროდ, გუროვის რამდენიმე მოსაზრება მრავალი წლის მანძილზე ისეთი სიცხადითაა ჩაფიქრებული და აწონილ-დაწონილი, რომ ეს მოსაზრება აღარცაა, არამედ სხეულის ნაწილებია, როგორც ხელები და ფეხები.

<sup>1</sup> ჩურკა – კავკასიელებისა და შუა აზიელების მეტსახელი.

ადრე, როდესაც ჯარისკაცებისთვის განკუთვნილი სურსათი ფერხდებოდა, გუროვი მაშინვე საპარადო მუნდირს იცვამდა, მკერდზე მედლებსა და ორდენებს იკიდებდა და სამხედრო ავტომობილით, – მთის დაკლაკნილი გზებით რაიონული ცენტრისკენ იმდენ ხანს მიქროდა, სანამ ბოლოს და ბოლოს ცნობილ სვეტებიან შენობას არ მიადგებოდა. გუროვი ნაბიჯების შეუწელებლად (ზედაც არ უყურებდა ლოდინით განამებულ მოქალაქეებს) პირდაპირ კაბინეტში შედიოდა. გუროვმა იცოდა, მიზნისთვის როგორ მიეღწინია. ხდებოდა, სასურსათო საწყობისკენ მანქანა თვითონ მიჰყავდა, ქრთამსაც აძლევდათ და საჭირო ხალხს, ზოგჯერ, სახელობითი პისტოლეტის ჩუქებითაც უქონავდა თავს (ეგებ მომავალში გამომადგეს. აღმოსავლეთია – აქ აღმოსავლეთია!.. არც კი ფიქრობდა, რომ ეს ორაზროვანი სიტყვები ოდესღაც ახდებოდა). ახლა, პისტოლეთი აღარაფერია, თფუი. ახლა ათი „კალაშნიკოვიც“ ცოტაა – თორმეტს ითხოვენ. გუროვმა კი ჯარისკაცები უნდა დააპუროს. ასაკთან ერთად, ცვლილებებთან შეგუება ჭირს, თუმცა სანაცვლოდ, ადამიანური სისუსტეების მიმართ შემწყნარებელი ხდები. პოდპოლკოვნიკმა საკუთარი ოჯახიც უნდა გამოკვებოს. ცხოვრება გრძელდება. იარაღის სურსათზე გაცვლისას შედეგებზე არ ფიქრობ. რა შუაშია აქ გუროვი?.. ცხოვრება შეიცვალა და თვითონვე უბიძგა გაცვლა-გამოცვლისკენ (გაცვალე რაც გინდა და რაზეც გინდა) და გუროვიც ცვლიდა. ცხოვრება თავისთავად შეიცვალა ომისკენ (არა რეალური ომისკენ – არც ომია, არც მშვიდობა!) და გუროვი იბრძოდა. ამ დროსაც მოერგო, მაგრამ... იგი ნაღვლობდა, ნაღვლობდა წარსულ დროზე, როდესაც კაბინეტში შევარდნის შეეძლო ეყვირა, ხელმძღვანელობა გემოზე ელანძღა, მერე კი შემწყნარებლობა გამოეჩინა და ტყავის სავარძელში გაშხლართულს, რაიკომის თანამშრომლებთან ერთად მოენია სიგარეთი. დაე, იცადონ კაბინეტის კარს მიღმა მომლოდინე მთხოვნელებმა. ერთხელ, რაიკომის მდივანს ვერ მიუსწრო – ვერც კაბინეტში და ვერც სახლში. სამაგიეროდ, მიუსწრო მის ცოლს. არც უარი მიუღია. ჭაღარაშერეულ, შნოიან მაიორ გუროვს ქალმა ყველაფერი მისცა, რაც კი შეეძლო მიეცა მთელი კვირა მარტოდმარტო დარჩენილ, მონყენილ ქალს. ყველაფერი და უფრო მეტიც, გაიფიქრა პოდპოლკოვნიკმა (მხედველობაში ჰქონდა, მათი რაიონის ხორცკომბინატის ნომერ მეორე,

უზარმაზარი მაცვივარი, სადაც ინახავდნენ ახალშობილ ხორცს).  
– ალიბეკ, შებოლილ ხორცს ვერ იშოვი?...

### 3

განიარალების ოპერაციისას (ჯერ კიდევ ერმოლოვის დროიდან „ნალი“ ერქვა) ბოევიკებს ალყაში აქცევდნენ, თუმცა, რკალს ბოლომდე არ ჰკრავდნენ და მხოლოდ ერთადერთ გასასვლელს ტოვებდნენ. ბილიკზე სწრაფად მიმავალი ბოევიკები წყვეტილ მწკრივებად ინელებოდნენ, ისე რომ, საფარიდან – გინდ მარჯვნიდან, გინდ მარცხნიდან – ნებისმიერი მათგანის აყვანა და ბუჩქებში შეთრევა (შეეძლოთ ბილიკიდან გადამხტარიყვნენ, ხრამში ჩაეჩხბათ და იქ განეიარალებინათ) იყო შესაძლებელი.

ორივეს იმ ჯგუფში მოხვედრა უნდოდა, რომელიც განიარალების ოპერაციაზე მიდიოდა. ვოვკა შეათვალაიერეს თუ არა, უკანვე გააბრუნეს – უფროსი ლეიტენანტი სავკინი მხოლოდ თავისიანებს ენდობოდა. მისი მზერა რუბახინის ძლიერ სხეულზე ასხლტა, მაგრამ არ გაისმა ხრინწიანი ბრძანება: „ორი ნაბიჯით წინ!..“ რუბახინი ძლიერი აგებულების ჯარისკაცებს შორის იდგა, მათგან დიდად არ გამოირჩეოდა და უფროსმა ლეიტენანტმა ვერ შენიშნა.

როდესაც სროლა ატყდა, რუბახინი აჩქარდა და საფარს მიამშურა. ბუჩქებში ეფრეიტორ გემასთან ერთად ენეოდა და დემობილიზებულ ჯარისკაცებს იხსენებდა. არა, მათი არ შურდათ. საკითხავია, სად უფრო კარგია...

– მორბიან, – თქვა გემამ, ისე რომ თვალი არ მოუცილებია ბუჩქებში გამკრთალი ჩრდილებისთვის.

ბოევიკები ბილიკზე ორ-ორნი და სამ-სამნი ხმაურით გარბოდნენ, თუმცა ვილაც მარტოხელას, სადაცაა, დაიჭერდნენ. ყვირილი, დავიდარაბა... და სიჩუმე („აიყვანეს?“ – თვალებით ეკითხებოდა გემა რუბახინს და ისიც თავის ქნევით პასუხობდა: „აიყვანეს“). ბუჩქების ლანალუნ მთისმა. ახლოვდებოდნენ. იარაღითა და კისერზე გადაკიდებული პატრონტაშით ბუჩქებით გარშემორტყმულ ბილიკზე სირბილი ძალიან ძნელია. დამფრთხალი ბოევიკები საფარიდან გახსნილ ცეცხლს აწყდებოდნენ და მთებისკენ გარბოდნენ.

– აი, ეს ჩემი იქნება, კარგი? – თქვა რუბახინმა, წამოდგა და ნაბიჯს აუჩქარა.

– ღმერთმა ხელი მოგიმართოს! – გეშამ სიგარეტი ძლიერად მოქაჩა.

აღმოჩნდა, რომ ბუჩქებიდან გამომხტარი რუბახინის წინ ორნი მირბოდნენ. „გაჩ-ევერდი! გაჩევე-რდი!..“ შესაშინებლად ყვიროდა და კვალში მისდევდათ. რუბახინი თავიდანვე სწრაფად ვერ გარბოდა, მაგრამ მერე და მერე არც გადმოხრილ ბუჩქსა და არც ფეხქვეშ ჩამოშლილ ქვა-ლორღს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

რუბახინი ბოვეიკს ექვსი მეტრით ჩამორჩებოდა. პირველი (უფრო სწორედ, რომელიც წინ მირბოდა) მასზე მკვირცხლი იყო. მეორეს, სადაცაა დაენეოდა. რუბახინი კისერზე მოქანავე ავტომატს ხედავდა. პირველი სახიფათო იყო – ავტომატი არ ჰქონდა და შესაძლოა პისტოლეტით იყო შეიარაღებული.

რუბახინმა სისწრაფეს მოუმატა და უკნიდან ნაბიჯების ხმა გაიგონა – აჰა, ზურგიდან გეშკა მიცავს!

დაენია, მაგრამ არც ხელის ჩავლება უცდია და არც წაქცევა. რუბახინმა ძლიერად უბიძგა, ხრამში გადააგდო და გეშას დაუყვირა: „ერთი თხრილშია! აიყვანე!..“ და პირველს, გრძელთმიანს დაედევნა.

რუბახინი მთელი ძალით გარბოდა, მაგრამ გრძელთმიანიც კარგი მორბენალი გამოდგა და როდესაც რუბახინი თითქმის მისწვდა, მაშინვე სისწრაფეს მოუმატა. ერთმანეთს ათამდე მეტრი ამორებდათ. ბოვეიკი შემობრუნდა და პისტოლეტი ესროლა. რუბახინმა თვალი მოჰკრა, მთლად ახალგაზრდა იყო. კიდევ ესროლა (სროლისას სწრაფად ველარ გარბოდა).

ძალიან ცუდად ისროდა და როდესაც ბოვეიკს ხელი სასროლად მიჰქონდა, რუბახინი ყოველთვის არ იხრებოდა. ახალგაზრდა თანდათან შორდებოდა. რუბახინს მეტი აღარ დაუხანებია. ტყვია არ უსვრია, ავტომატი შუბივით სტყორცნა და ბოვეიკს ფეხში მოახვედრა.

გრძელთმიანმა ტკივილისგან შეჰყვირა, მკვეთრად შექანდა და ფეხი აერია. რუბახინი ერთი ნახტომით მისწვდა, ფეხქვეშ მოიგდო და მარჯვენა ხელით მაჯა დაუჭირა. ეყტობა პისტოლეტი დაცემისას გაუფარდა. ესეც ბოვეიკია რა!.. რუბახინმა ხელები ზურგს უკან ისე გაუკავა, ლამის მხრები ამოუგდო. გრძელთმიანმა ერთი ამოიკვნესა და მოდუნდა. რუბახინმა ჯიბიდან ქამარი ამოიღო, ხელები

გაუკრა, წამოაჯინა და ხისკენ უბიძგა – დაჯექი!.. მერე წამოდგა, ბილიკზე გაიარ-გამოიარა, ისვენებდა და თან თავის ავტომატსა და დატყვევებულის პისტოლეტს ეძებდა.

კვლავ ფეხების ბრაგაბრუგი გაისმა. რუბახინი ბილიკიდან გვერდზე გახტა. გაღუნულ მუხასთან დატყვევებული იჯდა. „ჩუ-მად!“ – უბრძანა რუბახინმა. თვალის დახამხამებაში რამდენიმე ფენმარდმა ბოევიკმა ჩაიქროლა. ჯარისკაცები მათ კვალში გინებით მისდევდნენ. რუბახინი არ ჩარეულა, მან თავისი საქმე უკვე გააკეთა.

დატყვევებულის სახემ პირველ რიგში ახალგაზრდობით გააცოცა, თუმცა ჩვიდმეტი-თვრამეტი წლის პირტიტველა ბიჭები, ბოევიკებს შორის, იშვიათობა არ იყო. სახის სწორი ნაკვთები, ნაზი კანი. კავკასიელის სახემ კიდევ რალაცით განაცვიფრა, მაგრამ რით? – ჯერ ვერ გაეგო.

– წავიდეთ! – თქვა რუბახინმა და წამოდგომაში მიეხმარა.

წასვლისას გააფრთხილა:

– გაქცევა არ გაბედო. არ მოგკლავ, მაგრამ ძალიან მაგრად გცემ – გასაგებია?

ახალგაზრდა ტყვე კოჭლობდა. იქნებ თვალთმაქცობს? ტყვედ ჩავარდნილი, როგორც წესი, სიბრალურის გამოწვევას ცდილობს.

#### 4

განიარალებულები ბევრნი იყვნენ, ოცდაორი ადამიანი და რუბახინმა თავისი ტყვე ადვილად შეინარჩუნა. ხმაურსა და ფაციფუცში, როდესაც ტყვეების მწყობრში დაყენებას და ნაწილში შეყვანას ცდილობდნენ, რუბახინი ერთსა და იმავეს ამბობდა: „ეს ჩემია!“ და ხელი ბიჭის მხარზე ედო. დაძაბულობა არ კლებულობდა. ტყვეები შიშობდნენ, რომ მათ პატარა ჯგუფებად დაყოფდნენ და ერთ ადგილს ტკეპნიდნენ, ერთმანეთს მჭიდროდ ეკვროდნენ და თავიანთ ენაზე ყვიროდნენ. ზოგიერთს ხელები შეკრული არ ჰქონდა. „შენი რატომია? აი რამდენნი არიან – ისინი ყველანი ჩვენია!“ რუბახინი თავს აქნევდა: „ისინი ჩვენია, ეს კი ჩემია“. სნაიპერი ვოკვა, როგორც ყოველთვის, დროულად გამოჩნდა. მას რუბახინზე უკეთ შეეძლო ტყუილის თქმაცა და თავის მოსულელებაც. „ტყვე ძალიან გვჭირდება! გუროვისგან წერილი... ტყვეში უნდა გავცვალოთ!“ –

ვოკვა შთაგონებით იტყუებოდა. „მიდი, უფროს ლეიტენანტს მოახსენე“. – „უკვე მოვახსენე, უკვე შეთანხმებულია!“ ვოკვა სულ-მოუთქმელად ლაპარაკობდა, პოდპოლკოვნიკი ახლა შინაა და ჩაის სვამს (რაც სიმართლე იყო) – ახლა იქიდან მოდის (ესეც მართალი იყო) და გუროვმა მათთვის წერილი დაწერა. წერილი სამეთაურო პუნქტშია...

ტყვეები ძლივს დაამწკრივეს და მანქანებთან მიიყვანეს. იარაღი ცალკე მიჰქონდათ და ვილაც ხმამაღლა ითვლიდა: ჩვიდმეტი „კალამნიკოვი“, შვიდი პისტოლეტი, რამდენიმე ათეული ხელყუმბარა. დვენისას ორი მოკვდა, ორი კი დაიჭრა. ჩვენიანებიდან ერთი დაიჭრა, კოროტკოვი კი მოკლეს... ბრეზენტიტით გადახურული სატვირთოები ერთ მწკრივად გაიწეულენ და ორი ჯავშანტრანსპორტიორის თანხლებით (თავსა და ბოლოში), ნაწილისაკენ გუგუნით დაიძრნენ. მანქანებში მსხდომი ჯარისკაცები ალგზნებულები კამათობდნენ, ღრიალებდნენ. ყველას ჭამა უნდოდა.

მანქანებიდან ჩამოვიდნენ თუ არა, რუბახინი და ვოკვა, თავიანთ ტყვესთან ერთად, მაშინვე გვერდზე გადაგნენ. არავინ არაფერს ეკითხებოდათ. ახალგაზრდა ტყვეებს გაანთავისუფლებენ, ბრძოლებში გამობრძმედილებს კი ორი-სამი თვით ჰაუბტვახტში გააჩერებენ, თუკი გაიქცევიან – სიამოვნების გარეშე ესვრიან... ომია! შესაძლოა, სწორედ ამ ბოევიკებმა დაახალეს ტყვია მძინარე ბოიარკოვს, რომელსაც სახეზე არც ერთი ნაკანრი არ ჰქონდა. ცხედარზე ჭიანჭველები დაცოცავდნენ. რუბახინი და ვოკვა ჭიანჭველებს გამალებით ყრიდნენ. როდესაც გადააბრუნეს, ბოიარკოვის ზურგში, უზარმაზარი გამჭოლი ჭრილობა გამოჩნდა. მიბრჯნით ესროლეს, ტყვიები მკერდს მიასკდა, ნეკნები ჩაამტვრია და შიგნეულობა გარეთ გამოიტანა – მიწაზე, შედედებული სისხლის გუბეში ეყარა ნეკნების ნამსხვრევეები, ღვიძლი, თირკმლის ნაგლეჯები. ჯერ კიდევ ორთქლადენილ ნაწლავებში რამდენიმე ტყვია ჩარჩენილიყო.

ვოკვა სამზარეულოსკენ გაემართა.

– გასაცვლელად ავიყვანეთ, პოდპოლკოვნიკმა ნებართვა მოგვცა, – ვოკვას არ უნდოდა ორლიკოვის ოცეულის ჯარისკაცებს გამოეკითხათ და სიტყვის თქმა დაასწროთ.

ჭამის შემდეგ დანაყრებული ჯარისკაცები ეკითხებოდნენ: ტყვე ვინ არის? ვისზე ვცვლით?!

– უნდა გავცვალოთ, – იმეორებდა სნაიპერი ვოვკა.

ვანია ბრავჩენკომ გაიცინა:

– ვალიუტაა!

სერჟანტმა ხოჯაევმა შეჰყვირა:

– ყოჩაღ, კარგი დაგიჭერიათ! ასეთები უყვართ!.. მათ უფროსს,

– თავი მთებისკენ გაიქნია, – ასეთები ძალიან უყვარს. – ხოჯაევმა გაიცინა და ჯანმრთელი, თეთრი კბილები გამოაჩინა.

– ორ, სამ, ხუთ ადამიანშიც გაცვლით! – განაგრძობდა ხოჯაევი, – ასეთები, გოგოს რომ წააგავან, უყვართ! – და როდესაც რუბახინს გაუსწორდა თვალი ჩაუკრა.

რუბახინმა ირონიულად ჩაიცინა და უცებ მიხვდა, რატომ აღელვებდა ტყვე ბოვეიკი – ჭაბუკი ძალიან ლამაზი იყო.

გრძელთმიანი რუსულად ცუდად ლაპარაკობდა, თუმცა ყველაფერი ესმოდა და ხოჯაევს პასუხად ღვარძლიანი, ხორხიდან ამოგლეჯილი ხმით შესძახა. ჭაბუკს ლოყებსა და სახეზე ალმური მოედო და მისი სილამაზე კიდევ უფრო გამოიკვეთა – გრძელი, მხრებამდე დაშვებული მუქი თმა, ლამაზი ტუჩები. თხელი, ნატიფი ცხვირი და დიდი, თაფლისფერი, ოდნავ ალმაცერი თვალები.

ვოვკა მზარეულს სწრაფად მოურიგდა, წასვლამდე კარგად უნდა დანაყრებულიყვნენ. გრძელი, ფიცრული მაგიდის იქით ხმაური და შეხუთული ჰაერია. მაგიდას მიუჯდნენ თუ არა ვოვკამ ზურგჩანთიდან პორტვინის ნახევრად დაცლილი ბოთლი ამოიღო და მაგიდის ქვევიდან რუბახინს გაუნოდა. „ზუსტად ნახევარი დაგიტოვე. რუბახა, დააფასე ჩემი სიკეთე!..“

თეფში ტყვესაც დაუდგეს:

– არ მინდა, – მკვეთრად თქვა, შებრუნდა და მუქი კულულები შეარხია.

ვოვკა ჭაბუკთან მიჩოჩდა:

– ხორცი მაინც გალექე, წინ გრძელი გზაა.

ტყვე დუმდა. ვოვკა აღელდა, ახლა ტყვე იდაყვით თეფშს მაგიდიდან გადაადგებს და მზარეულისგან გაჭირვებით დატყუებული ხორციანი ფაფა იატაკზე დავარდება.

ვოვკამ მესამე თეფშიდან კერძი თავის და რუბახინის თეფშებზე სწრაფად გადაანაწილა. შეჭამეს. ამასობაში წასვლის დროც დადგა.

მთის პატარა მდინარიდან, პლასტმასის ჭიქით, წყალს მორიგეობით იღებდნენ. ტყვეს, როგორც ჩანს, წყურვილი ტანჯავდა; მდინარისაკენ ნაბიჯი სწრაფად გადადგა და მუხლებზე მოწყვეტით დაეცა. კენჭები ახმაურდა. ჭაბუკი არ დაელოდა, როდის გაუხსნიდნენ ხელებს, ანდა როდის დააღვევინებდნენ ჭიქიდან წყალს – მუხლებზე მდგარი და წინ წახრილი წყალს დიდხანს სვამდა. ზურგს უკან შეკრული, გალურჯებული ხელები ზევით იწევდა; გეგონებოდა, რაღაც უჩვეულო ხერხით ლოცულობსო.

მერე სველი სახით ქვიშაზე დაჯდა. ლოყას მხარს ადებდა და ხელის დაუხმარებლად ცდილობდა სახეზე დაკიდებული წყლის წვეთების მოცილებას. რუბახინი მიუახლოვდა:

– წყალს დაგაღვევინებდით. ხელებსაც გაგიხსნიდით... რატომ ჩქარობ?

ტყვემ არაფერი უპასუხა. რუბახინმა შეხედა და ნიკაპზე წყალი ხელისგულით შეუმშრალა. ისეთი ნაზი კანი ჰქონდა, რომ რუბახინს ხელი აუთრთოლდა. არ ელოდა. მართლაც, გოგონასავით კანი აქვს, გაიფიქრა და მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. უცებ გამკრთალი და არცთუ ისე კარგი აზრების გამო შეცბუნებულმა რუბახინმა მზერა მაშინვე მოწყვიტა.

ბუჩქები ნიაგმა შეარხია და რუბახინმა სმენა დაძაბა. ვიღაც ხომ არაა?.. შეცბუნებამ გადაუარა (თუმცა მთლად არ დამშვიდებულა). რუბახინი ჩვეულებრივი ჯარისკაცი იყო – სილამაზე მასაც აღელვებდა და თანდათან რაღაც ახალი, ჯერ კიდევ განუცდელი გრძნობა გაუჩნდა. რა თქმა უნდა, კარგად ახსოვდა, როგორ შეუძახა სერჟანტმა ხოჯაევმა და როგორ ჩაუკრა თვალი. ახლა კი ჭაბუკთან პირისპირ დარჩა. ტყვე მდინარეს თავისით ვერ გადაივლიდა, წყალი სწრაფად მოედინებოდა. ფეხშიშველა ჭაბუკს, ფეხი კოჭთან ისე ძალიან გასიებოდა, რომ იძულებული გახდა თავისი ლამაზი სპორტული ფეხსაცმელი გადაეყარა (რომლებიც რუბახინს ზურგჩანთაში ეწყო). არჩევანი არ იყო, რუბახინს ტყვე მდინარეზე უნდა გადაეყვანა.

რუბახინს ზევით, ციდან მოვლენილი თანაგრძნობის განცდა დაეხმარა (მაგრამ იქიდანვე მოასკდა შეცბუნებაც ჭაბუკის სახიფათო სილამაზის გამო). რუბახინი მხოლოდ წამით დაიბნა და მდი-

ნარეზე გადასაყვანად ჭაბუკი ხელში აიტაცა. ტყვე გაუძალიანდა, მაგრამ რუბახინმა ძლიერი ხელებით დააოკა.

– აბა, აბა. ნუ ფართხალე, – თქვა მან და მიხვდა, რომ ეს იყო დაახლოებით ის უხეში სიტყვები, რომელსაც მსგავს სიტუაციაში ქალს ეტყოდა.

რუბახინს ტყვე მიჰყავდა და მისი სუნთქვა ესმოდა. ბიჭმა სახე შეაბრუნა, მაგრამ რუბახინს კისერზე (მდინარეზე გადასვლისას ხელები შეუხსნეს) ძლიერად ეჭიდებოდა. რუბახინი ფეხებქვეშ ვერაფერს ხედავდა და ნაბიჯებს ფრთხილად ადგამდა. დაბრეცილი თვალებით, მდინარის დინებასა და ლოდებზე მოხტუნავე წყლის ფონზე ბიჭის ნაზი პროფილი დალანდა; ასევე შემუშუბული ქვედა ტუჩი, რომელიც ახალგაზრდა ქალივით ჭირვეულად გამოებურცა.

მდინარის პირას შეისვენეს. უსაფრთხოებისთვის ბილიკიდან გადაუხვიეს, ქვევით, მდინარის დინებას დაუყვნენ და ბუჩქებთან ჩამოსხდნენ. რუბახინს ავტომატი მუხლებზე ედო. ჭამა ჯერ არ უნდოდათ და მხოლოდ წყალს სვამდნენ. ვოკვა მხართეძოზე წამოწოლილიყო და რადიომიმღებს აწვალებდა, რომელიც ოდნავ გასაგონად შიშინებდა, უსტვენდა და უცნობ ენაზე საუბრობდა. ვოვკა, როგორც ყოველთვის, რუბახინის გამოცდილებას ენდობოდა, რომელსაც კილომეტრიდან ესმოდა ფეხქვეშ მოყოლილი ქვის ხმა.

– რუბახა, მე მძინავს. გესმის. მძინავს, – გააფრთხილა ვოვკამ და თვალის დახამხამებაში ჩასთვლიდა.

როდესაც გამჭრიახმა უფროსმა ლეიტენანტმა სნაიპერი განმაიარალებლების ჯგუფიდან დაიფრინა, ვოვკა ახალგაზრდა ქალის სახლში დაბრუნდა (სახლი პოდპოლკოვნიკის სახლთან იდგა და ვოვკა ფრთხილობდა). იმისთვის, რომ ვოვკამ მალაზიასთან მიატოვა, ქალმა ჯარისკაცი გალანძლა და ოდნავ დატუქსა. თუმცა ერთი წუთის შემდეგ ერთმანეთს ეხვეოდნენ, კიდევ ერთი წუთის შემდეგ კი სანოლში აღმოჩნდნენ. ასე რომ, ვოვკა სასიამოვნოდ იყო ღონემიხდილი და ეძინებოდა.

რუბახინს ლაპარაკი სწრაფი სიარულისას უფრო უადვილდებოდა.

– ...თუ სიმართლე გინდა, ჩვენ რანაირი მტრები ვართ – შინაურები ვართ. მეგობრები ვიყავით! ასე არაა? – რუბახინი გაცხ-

არდა და ცდილობდა ბიჭი დაეთანხმებინა.

სნაიპერმა ვოვკამ ჩაიფრუტუნა:

– გაუმარჯოს ხალხთა ურღვევ მეგობრობას...

რუბახინი დაცინვას მიუხვდა, მაგრამ თავშეკავებით თქვა:

– ვოვკა. მე ხომ შენ არ გელაპარაკები.

ვოვკა ყოველი შემთხვევისათვის დადუმდა. ჭაბუკიც დუმდა.

– მე ისეთივე ადამიანი ვარ, როგორც შენ. შენ კი ისეთივე, როგორც მე. რატომ ვებრძვით ერთმანეთს? – რუბახინი ყველასთვის ნაცნობ სიტყვებს ამბობდა, მაგრამ მიზანს ვერ აღწევდა. გამოდიოდა, რომ გაცვეთილ სიტყვებს საკუთარ თავსა და ირგვლივ შემოჯარულ ბუჩქებს ეუბნებოდა. კიდევ ბილიკს, რომელმაც მდინარის ნაპირიდან პირდაპირ მთებისკენ გაუტია. რუბახინს უნდოდა, რომ ჭაბუკი შეპასუხებოდა, მისი ხმის გაგონება სურდა (რუბახინი თავს სულ უფრო მოუსვენრად გრძნობდა).

ვოვკამ (სიარულში) თითი შეარხია და რადიომიმღები ზურგჩანთაში გაცოცხლდა. ვოვკა კიდევ შეირხა და რადიომ სამარშო სიმღერა დაუკრა. რუბახინი ლაპარაკით დაილალა და გაჩუმდა.

ციცაბო აღმართზე შეკრული ხელებით (და დაშავებული ფეხით) სიარული ადვილი არ არის. ტყვე ბოევიკს ფეხი უცდებოდა და გაჭირვებით მიდიოდა. ერთ აღმართზე დაეცა კიდევ. როგორღაც წამოდგა, არ წუნუნებდა, მაგრამ რუბახინმა მისი ცრემლები შენიშნა და ცოტა არ იყოს ნაჩქარევად თქვა:

– თუ არ გაიქცევი, ხელებს შეგიხსნი. სიტყვა მომეცი.

ვოვკამ ნათქვამს ყური მოჰკრა (მიმღები უკრავდა) და შეჰყვირა:

– რუბახა! შენ რა, გაგიჟდი!..

ვოვკა წინ მიდიოდა და ილანძლებოდა. მიმღები კი ხმამაღლა ჟღერდა.

– ვოვკა, გამორთე... არაფერი მესმის.

– ახლავე.

მუსიკის ხმები მიწყდა.

რუბახინმა ტყვეს ხელები გაუხსნა – ნატკენი ფეხით მისგან ვერსად გაიქცევა.

საკმაოდ სწრაფად მიდიოდნენ. წინ ტყვე, მის გვერდით ნახ-

ევრად მძინარე ვოვკა, ოდნავ უკან კი მდუმარე, ინსტიქტებს მინდობილი რუბახინი. ბილიკით ციცაბო აღმართს აუყვანენ და იმ გორაკს ჩაუარეს, სადაც ლოთი ბოიარკოვი დამარხეს. მშვენიერი, სალამოს მზით სავსე ადგილია.

ლამით, რუბახინმა ტყვეს თავისი შალის წინდები დაუთმო. თვითონ კი ჩექმები შიშველ ფეხზე ამოიცვა. უნდა დაეძინათ (პატარა კოცონი ენთო!). რუბახინმა ვოვკას რადიომიმღები გამოართვა (ლამით ჩქამიც არ უნდო ყოფილიყო). ავტომატი, როგორც ყოველთვის, მუხლებზე ედო. ცალი მხრით ტყვეს ეყრდნობოდა, ზურგით კი ხეს ებჯინებოდა. ფხიზლად ეძინა და ჭაბუკის ფაჩუნიც კი ესმოდა. ტყვე გაქცევაზე არ ფიქრობდა, რალაცაზე დასევდიანებულიყო. დღისით ცდილობდა თავი ამაყად დაეჭირა, მაგრამ ახლა მას სულიერმა ტკივილმა აშკარად ილაჯი გაუნყვიტა. რაზე დარდობდა? რუბახინმა, დღისით გარკვევით გადაუკრა სიტყვა, რომ ის ჰაუბტვახტში და რალაც ბნელი მიზნებისთვის კი არ მიჰყავდა, არამედ მათიანებისთვის უნდა გადაეცა, რათა ბოევიკებს მანქანებისთვის გავლის ნება დაერთოთ. რუბახინის გვერდით ასალეღვებელი არაფერი ჰქონდა. უფრო მეტიც, ის გრძნობს, რომ რუბახინს ძალიან ესიძპატიურება... რუბახინი კვლავ შემფოთდა და თვალები დაებრცა, უკვე მოახლოებულ სიბნელეში ჭაბუკს სახე კვლავინდებურად ლამაზი და ნაღვლიანი ჰქონდა. „აბა, აბა!“ – მეგობრულად თქვა რუბახინმა, ცდილობდა გაემხნევებინა. მერე ხელი ნელნელა გაუნოდა. ეშინოდა ნახევრად მიბრუნებული სახე და უმოძრაო მზერის გასაოცარი სილამაზე არ გამქრალიყო. ჭაბუკის ნატიფ ღანვს თითებით ოდნავ შეეხო და გრძელი, ლოყასთან დაკიდებული კულუღი ოდნავ შეუხსნორა. ჭაბუკს სახე არ გაუნვეია, ის დუმდა. და როგორც მოეჩვენა – და ეს მხოლოდ და მხოლოდ შეიძლებოდა რომ მოსჩვენებოდა, – რუბახინის თითებს ტყვე ოდნავ შესამჩნევად, ლოყითვე შეეხო.

სნაიპერმა ვოვკამ თვალეზი დახუჭა და სოფლის ხის სახლში ხელიდან გასხლტომილი ტკბილი წუთები (ქალთან სიახლოვის ხანმოკლე სიხარული) ხელახლა განიცადა. ვოვკას ლამით ღრმად ჩაეძინა (არადა მისი დაძინების ჯერი იყო) და თვალყური ველარ მიადევნა ახლომახლო ჩარბენილ ცხოველს, შესაძლოა ტახს. შეშინებ-

ულებს გამოელვიათ. ბუჩქებიდან ლანალუნი მოისმოდა. „გინდა, ჩაძინებულები დაგვბოცონ?!“ რუბახინმა ჯარისკაცს ყურზე მსუბუქად მოქაჩა. მერე წამოდგა, მიაყურადა. სიჩუმე იყო.

რუბახინმა კოცონს ფიჩხი შეუკეთა, გარს შემოუარა და ვინრო ხეობასთან გაჩერდა. მერე დაბრუნდა და ჭაბუკის გვერდით ჩამოჯდა, რომელსაც უეცარი ელდისგან მხრები უცახცახებდა. ის ნელში მოიხარა და ლამაზი სახე წყვილიაღმა შთანთქა.

– აბა, როგორ ხარ? – ჰკითხა რუბახინმა.

– კარგად, – მოკლედ უპასუხა ტყვემ.

რალაც დროის მანძილზე ორივენი დუმდნენ.

რუბახინმა მხარზე ხელი დაჰკრა:

– ნუ გეშინია. ხო გითხარი, როგორც კი მიგიყვანთ, მაშინვე თქვენიანებს გადაგცემთ, გაიგე?

მან თავი დაუქნია. რუბახინმა გადაიხარხარა:

– მართლაც ლამაზი ხარ.

ერთხანს კიდევ დუმდნენ.

– ფეხი როგორ გაქვს?

– კარგად.

– კიდევ წავუძინოთ და გათენდება კიდევ...

ჭაბუკმა ნელ-ნელა თავი მარჯვნივ გადახარა და რუბახინს მხარზე დაადო. არაფერი განსაკუთრებული, ხანმოკლე ძილისას, ჯარისკაცებს ასე ერთმანეთზე მიყრდნობილებს სძინავთ. რუბახინს ჭაბუკის სხეულის სითბო და გრძნობათა ნაკადი ტალღისებურად გადმოეცემოდა. არა, ბიჭს სძინავს, უბრალოდ სძინავს, გაიფიქრა რუბახინმა და მაშინვე დაიძაბა – სითბოსა და მოულოდნელი სინაზის ისეთი ძალის მუხტმა შეაღწია მის მიყურებულ სულში, რომ მთლად გახვედა. რუბახინს სუნთქვა შეეკრა. იგრძნო რა ეს დაძაბულობა, ჭაბუკსაც სუნთქვა შეეკრა. კიდევ წუთი და სხეულების შეხებამ მგრძნობელობა დაკარგა. ისინი მხოლოდ და მხოლოდ ერთმანეთის გვერდით ისხდნენ.

– ჰო. ჩამთვლიმა, – უმისამართოდ თქვა რუბახინმა, ისე რომ კოცონის პატარა წითელი ენებისთვის მზერა არ მოუცილებია.

ტყვე შეირხა, რუბახინის მხარზე თავი უფრო მოხერხებულად მოათავსა და კაცმა კვლავ შეიგრძნო გრძნობათა გამომხმობი სითბოს ნაკადი. ჭაბუკი ოდნავ ცახცახებდა. ეს როგორ... ეს რა არის?

– რუბახინი აფორიაქებული ფიქრობდა და ცდილობდა საკუთარი სულიერი განცდები მოეთოკა (ეშინოდა, რომ საპასუხო ცახცახი გასცემდა). თუმცა ცახცახი არაფერია, მისი მოთოკვა შეიძლება. ყველაზე მეტად რუბახინს იმის ეშინოდა, რომ აი ახლა, ჭაბუკი სახით მისკენ შემობრუნდება (ყველა მისი მოძრაობა იყო ჩუმი და შემპარავი, იმავდროულად არაფრის მთქმელი – ძილში ადამიანი ოდნავ შეირხა, მერე რა?..), თითქმის შეეხება და მის სუნთქვას გაიგონებს, ტუჩების სიახლოვეს შეიგრძნობს და რუბახინსაც დაუდგა ადამიანური სისუსტის ნამი – ველარ გაუძლო გრძნობების უჩვეულო მოძალებას და საშინელმა სპაზმამ მუცელი მყისვე გაუქვავა. რუბახინს ხველა აუტყდა. ჭაბუკმა, თითქოს დაფრთხაო, მის მხრიდან თავი აიღო.

ვოვკას გაელვია:

– რა ქვემეხივით გრუხუნებ, შეიშალე!.. ნახევარ კილომეტრზე ისმის!

უდარდელ ვოვკას მაშინვე ჩაეძინა და ხვრინვა ამოუშვა.

რუბახინს გაეცინა:

– ვოვკას გამუდმებით სძინავს. დღისითაც სძინავს და ღამითაც სძინავს!

ტყვემ ღიმილით თქვა:

– მგონი, გუშინ ქალთან იყო.

რუბახინი გაოცდა, მერე ყველაფერი გაახსენდა და უმალ დაეთანხმა:

– ზუსტად ასეა.

ორივეს გაეცინა, ისე, როგორც ასეთ დროს მამაკაცებს სჩვევიათ.

იქვე (ძალიან ფრთხილად) ტყვე ჭაბუკმა იკითხა:

– უკანასკნელად ქალთან როდის იყავი?

რუბახინმა მხრები აიჩეჩა:

– ალბათ, ერთი წლის წინ.

– ულამაზო ქალი იყო?.. ულამაზო იქნებოდა. ჯარისკაცი და ლამაზი ქალი...

მძიმე, ხანგრძლივი დუმილი ჩამონვა.

ირიჟრაჟა, კოცონი მთლად მიინავლა. გაყინული ვოვკა რუბახინისკენ გაჩოჩდა და სახე და მხარი ზურგზე მიაღო. გვერდიდან

რუბახინს ტყვე ეხუტებოდა, რომელიც მთელი ღამე ტკბილი სითბოთი იზიდავდა. სამივე ერთმანეთს ათბობდა და გათენდა კიდეც.

პატარა, წყლიანი ქვაბი ცეცხლზე შემოდგეს.

– ჩაი დავლიოთ, – ღამის უჩვეულო განცდების გამო, ერთგვარი დანაშაულის გრძნობით თქვა რუბახინმა და უცებ ჭაბუკზე ზრუნვა დაიწყო (ამას საკუთარი თავისგან არ მოელოდა). ტყვეს ჩაი რკინის ჭიქაში ორჯერ მოუდულა, შაქრის ნატეხები ჩაყარა, კოვზით ხმამაღლა მოურია და მიანოდა. თავისი წინდები აჩუქა, – ატარე, არ გაიხადო, ამ წინდებით იარე!.. – აი, ასეთი მზრუნველი გახდა.

რუბახინი მოუსვენრობამ შეიპყრო და ერთთავად კოცონს აჩაღებდა, რათა ჭაბუკი თბილად ყოფილიყო.

ტყვემ ჩაი დალია. ის ჩაცუცქული იჯდა და რუბახინის ხელის მოძრაობებს აკვირდებოდა.

– თბილი, კარგი წინდებია, – შეაქო და მზერა საკუთარ ფეხზე გადაიტანა.

– დედამ მომიქსოვა.

– ჰოო.

– არ გაიხადო!.. ხომ გითხარი, ამ წინდებით იარე. ფეხებზე რამეს დავიხვევ.

ჭაბუკმა ჯიბიდან სავარცხელი ამოიღო და თმაზე ჩამოისვა. დიდხანს ივარცხნიდა, დროდადრო თავს ამაყად იქნევდა და გამოზომილი მოძრაობით მხრებამდე ჩამოშვებულ თმაზე ისვამდა. მისთვის საკუთარი სილამაზის შეგრძნება სუნთქვასავით ბუნებრივი იყო.

თბილ შალის წინდებში ჭაბუკი თავდაჯერებულად მიდიოდა და თავი უფრო თამამად ეჭირა, თვალებიც აღარ ჰქონდა დანაღვლიანებული. ჭაბუკი აღმაცერად უცქერდა რუბახინს – განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე დაამარცხა ეს უზარმაზარი, ძლიერი, მორიდებული მეზრძოლი.

მდინარესთან წინდები არ გაუხდია, იდგა და ელოდა რუბახინი როდის აიტაცებდა. მერე რუბახინმა მდინარეში შეტოპა და ჭაბუკმა ნაზი ხელი კისერზე მოურიდებლად მოხვია.

რუბახინმა ვოვკას რადიომიმღები ჩამოართვა და ანიშნა

გაჩუმებულიყო. გაფართოებულ, გადათელილ ბილიკზე რუბახინი არავის ენდობოდა. კლდე, სადაც ბილიკები იტოტებოდა, სულ ახლოს იყო.

კლდეს ცხვირს ეძახდნენ. დიდი, სამკუთხა კლდის თეთრი შვერილი გემის ცხვირით ახლოვდებოდა.

ისინი უკვე მთის ძირას, დახუჭუჭებულ ბუჩქნარში დაბობლავდნენ. ეს შეუძლებელია! – გაუელვა გონებაში, როდესაც ზევ-იდან საეჭვო ხმები გაიგონა (მარჯვნიდანაც და მარცხნიდანაც). კლდის ორივე მხრიდან ბოვეიკები არეულ-დარეულად ეშვებოდნენ. ამათი დედაც... ორი სხვადასხვა რაზმი, ასე წუთი-წუთზე რომ შეხვედროდნენ ერთმანეთს და ორივე ბილიკი დაეკავებინოთ, – ასეთი რამ შეუძლებელია!

წინ წანევას ვერ მოასწრებდნენ, კლდის ქვეშ შემალულები ვერც ტყეში დაბრუნებას შესძლებდნენ, – ღია ადგილი უნდა გადაეკვეთათ. ისინი სამნი არიან, ერთი ტყვე; მაშინვე შეამჩნევენ და ესვრიან, ანდა ტყეში შერეკავენ და ალყაში მოაქცევენ. ეს შეუძლებელია, – უკვე მესამედ გაიფიქრა რუბახინმა (და ამ ფიქრმა იმავე წამს მიატოვა, გაქრა). ახლა მთლად ინსტიქტებზე იყო მინდობილი. რუბახინს უქარო ამინდში ზღაზვნით გამართული ბალახის ჩქამიციკი ესმოდა.

– ჩუუ.

რუბახინმა თითი ტურზე მიიდო. ვოკვა მიუხვდა და თავი ჭაბუკისკენ გააქნია.

რუბახინმა ტყვეს სახეში შეხედა. ჭაბუკი მიხვდა, რომ მისიანები მოდიოდნენ და შუბლი და ლოყები შეუწითლდა, რაც გაუთვალისწინებელი ქცევის ნიშანია.

„მოხდეს, რაც მოსახდენია!“ – თავისთვის ჩაილაპარაკა რუბახინმა და ავტომატი გადატენა. ინსტიქტი აიძულებდა ყური მიეგდო და დალოდებოდა. ბალახი ჩუმად შეირხა. ნაბიჯები მოახლოვდა. ისინი ბევრნი არიან, ძალიან ბევრნი... რუბახინმა ტყვეს სახეში კიდევ ერთხელ შეხედა – რას აპირებს? მისი შიშით გაჩუმდება თუ ნახევრადშემლილი თვალებითა და ყვირილით თავისიანებისკენ სიხარულით გაექანება?

ისე რომ მარცხენა ბილიკზე მომავლებისთვის მზერა არ მოუცილებია (ეს რაზმი ახლოს იყო და მათ გვერდით პირველები

ჩაივლიდნენ), რუბახინმა ხელი უკან წაიღო და ჭაბუკის სხეულს ფრთხილად შეეხო. ის ოდნავ ცახცახებდა, როგორც ქალი ცახცახებს ალერსის წინ. რუბახინმა თითები და ხელისგული ლამაზ ტუჩებსა და პირზე ააფარა.

ნელ-ნელა რუბახინი ჭაბუკს თავისკენ იზიდავდა (მარცხენა ბილიკსა და მათკენ მომავალ, ჯაჭვად განელილ რაზმს თვალს არ აცილებდა). ვოკვა მარჯვენა მხრიდან მომავალ რაზმს აკვირდებოდა. იქიდანაც უკვე ნაბიჯების ხმა მოისმოდა, კენჭები ცვიოდა და რომელიღაც ბოევიკის მხარზე გადაკიდებული ავტომატი უკან მომავალის ავტომატს ეხლებოდა.

ჭაბუკი არ უძალიანდებოდა. რუბახინმა მხარზე ხელი მოხვია და თავისკენ შემოაბრუნა – ტყვემ (მასზე დაბალი იყო) მისკენ მიიწია, მიეყრდნო და სახე რუბახინის გაუპარსავი ნიკაპის ქვემოთ, საძილე არტერიასთან ჩარგო. ის ცახცახებდა. „ა-ა...“ – სუსტად ამოისუნთქა, ზუსტად ქალივით. რუბახინი თვალყურს ადევნებდა და უცდიდა (დაყვირებას უფროთხოდა). ჭაბუკი ცდილობდა რუბახინის თვალებისთვის მზერა აერიდებინა და მისიანები დაენახა! მან პირი გააღო, თუმცა არ დაუყვირია. შესაძლოა, მხოლოდ ჰაერის ღრმად ჩასუნთქვა უნდოდა. მაგრამ რუბახინმა მეორე ხელით, რომლითაც ავტომატი მიწაზე დაუშვა, დაღებულ პირზე, ლამაზ ტუჩებსა და მთრთოლვარე ცხვირზე მოუჭირა. „არ...“ – ჭაბუკს რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ მოასწრო – რუბახინმა მიწას მოსწყვიტა. ტყვემ ფეხები დაჭიმა, მაგრამ საყრდენი აღარ იყო. რუბახინს მაგრად ჩაეხუტებინა, საშუალებას არ აძლევდა ფეხებით მიწას, ან ბუჩქებს შეხებოდა და ეხმაურა. ის ხელი, რომლითაც ეხვეოდა, რუბახინმა ყელში წაუჭირა; ჭაბუკი სილამაზემ ვერ იხსნა. სხეულის რამდენიმე ძლიერი კონვულსია და...

კლდის ქვემოთ, სადაც ბილიკები იყრებოდნენ, მალე მეგობრული შედახილები გაისმა. რაზმები ერთმანეთს შეხვდნენ. ისმოდა მისალმება, კითხვები – როგორ? რა?!. საითკენ მიდიხართ?!. ერთმანეთს ხელს მხარზე უტყაპუნებდნენ, იცინოდნენ. ერთმა ბოევიკმა, მოშარდვა გადანყვიტა და კლდესთან მიიბრინა. მან არ იცოდა, რომ მიზანში იყო ამოღებული. ის ბუჩქებიდან რამდენიმე ნაბიჯზე იდგა. ბუჩქებს უკან იწვა ორი ცოცხალი (ისინი დაწვნი და გაიტრუნენ) და ერთი მკვდარი. კლდესთან მიმდგარმა ბოევიკმა მოშარდა, დაას-

ლოკინა, შარვალი აინია და აჩქარებით გაბრუნდა.

როდესაც რაზმელებმა გვერდით ჩაუარეს და მათი ნაბიჯები და ხმები მთლად მინყდა, ორმა ავტომატიანმა ჯარისკაცმა ბუჩქებიდან ცხედარი გამოათრია. მერე მარცხენა ბილიკით, შორიასლოს, მეჩხერ ტყეში წაიღო, სადაც, როგორც რუბახინს ახსოვდა, მოტიტვლებული ადგილი იყო – მშრალი, ქვიშიანი მიწით. ორმოდან ქვიშა ბრტყელი ქვებით ამოჰქონდათ. ვოვკამ ჰკითხა, თავის წინდებს ხომ არ აიღებდა, რუბახინმა თავი გააქნია. ნახევარი წუთი საფლავთან უხმოდ იჯდნენ. არადა, რა დროს იქ ჯდომია – ომია!..

## 6

ყველაფერი უცვლელად დახვდათ. ორი სატვირთო მანქანა (რუბახინმა შორიდანვე დაინახა) კვლავ ძველ ადგილას იდგა.

გზა ერთბაშად კლდეებს შორის გასასვლელში შედის, მაგრამ ვინრო ადგილს ბოვეიკები დარაჯობენ. მანქანებს ტყვია დაუშინეს, მაგრამ დამიზნებით არ უსვრიათ (ცოტათიც რომ წინ წაიწიონ, დაცხრილავენ). მანქანები უკვე მეოთხე დღეა დგანან; იცდიან. ბოვეიკები იარაღს ითხოვენ – თუ მიიღებენ, გაატარებენ.

– ...ავტომატები არ მიგვაქვს! იარაღი არ გვაქვს! – სატვირთო მანქანების მხრიდან ყვირიან. კლდიდან პასუხად ტყვია სეტყვასავით მოდის, თან სიცილი მოისმის – ჰა-ჰა-ჰა-ჰა!.. – ასეთი მხიარული, შეუპოვარი და ბავშვურად საზეიმო სიცილი მოქრის სიმალლიდან.

სატვირთო მანქანების თანმხლები ჯარისკაცები და მძღოლები (სულ ექვსი ადამიანი) გზის პირას, ბუჩქებთან, მანქანებს ამოფარებულები დგანან. მათი მომთაბარე ცხოვრება მარტივია, – კოცონზე საჭმლის მომზადება ან ძილი.

როდესაც რუბახინი და ვოვკა ახლოს მივიდნენ, კლდეზე, სადაც საფარი იყო მონყობილი, რუბახინმა დღის სინათლისგან ფერმიხდილი კოცონი შენიშნა – ბოვეიკებიც სადილს ამზადებდნენ.

სულ უფრო მიახლოვებულ რუბახინსა და ვოვკას კლდიდან ხედავენ. ბოვეიკები თვალგამჭრიახები არიან. ხვდებიან რომ ეს ორნი, როგორც წავიდნენ, ისევე ისე ხელცარიელები მოვიდნენ და კლდიდან ყოველი შემთხვევისთვის ისვრიან.

რუბახინი და ვოვკა უკვე თავისიანებთან არიან.

ზემდეგმა მუცელი წინ წამოსწია და რუბახინს ჰკითხა:

– აბა?.. დახმარება იქნება?

– ჩემი ფეხები იქნება!

რუბახინს ახსნა არ დაუნყია.

– ვერც ტყვე აიყვანეთ?

– ვერა.

რუბახინმა წყალი მოითხოვა. ვედროდან დიდხანს სვამდა, წყალი გიმნასტურასა და მკერდზე ეღვრებოდა, მერე გვერდით ალაღბედზე გააბიჯა და დასაძინებლად ბურჩებთან დაეცა. ზუსტად ამ ადგილზე, ორი დღის წინათაც იწვა, როდესაც მხარში უბიძგეს და დახმარების მოსაყვანად გაგზავნეს (დამატებით ვოვკაც გააყოლეს). რუბახინი გათელილ ბალახში თავით ჩაემხო და ზემდეგის ლაპარაკი არ ესმოდა. ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია. ძალიან დაიღალა.

ვოვკა ხის ჩრდილში ჩამოჯდა, ფეხები გაშალა, თვალეზე ქუდი ჩამოიფხატა და მძლოლს დაცინვით ჰკითხა: თავად რას აკეთებდით? შემოსავლელ გზას ჯერაც ვერ მიაგენით?.. „შემოსავლელი გზა არ არსებობს“, – უპასუხეს მას. მძლოლები მაღალ ბალახებში იწვნენ. ერთი ყეყერი მძლოლი, გაზეთის ნახევებისგან პაპიროსს მოხერხებულად ახვევდა.

წარუმატებელი ლაშქრობით იმედგაცრუებული ზემდეგი შეეცადა კვლავ ბოევიკებს მოლაპარაკებოდა.

– ეი! – შეჰყვირა მან. – მისმინეთ!.. ეი! – ყვიროდა ნდობის გამომხატველი (როგორც თავად თვლიდა) ხმით. – ვფიცავ, მანქანებში ისეთი არაფერია – არც იარაღია და არც სურსათი. ცარიელები ვართ!.. თქვენი კაცი მოვიდეს და შეამოწმოს – ყველაფერს ვაჩვენებთ, არც ვესვრით. ეი! გესმით!..

პასუხად სროლა და მხიარული სიცილი გაისმა.

– თქვენი დედაც! – შეიგინა ზემდეგმა.

კლდიდან არეულ-დარეულად ისროდნენ. ისე დიდხანს და ისე უაზროდ ისროდნენ, რომ ზემდეგმა კიდეც ერთხელ შეიგინა და დაიძახა – ვოვკა, აქ მოდი.

ბალახებში ჩანოლილი მძლოლები გამოცოცხლდნენ, – ვოვკა! ვოვკა! აქ მოდი. აჩვენე ამ ყაჩაღებს სროლა როგორ უნდა!

სნაიპერმა ვოვკამ დაამთქნარა და ხეს ზურგი ზანტად მოაცილა, სამაგიეროდ იარაღს შეეხო თუ არა სიზანტე სადღაც გაქრა.

ის ბალახზე მოხერხებულად მოკალათდა, კარაბინი მოიმარჯვა და გადმოკიდებულ კლდეზე მოწრიალე ხან ერთ, ხან მეორე ბოევიკს ოპტიკური სამიზნით აკვირდებოდა, თუმცა ოპტიკური სამიზნის გარეშეც ადვილად მოახვედრებდა.

ზუსტად ამ დროს, ბოევიკმა, რომელიც კლდის პირას იდგა, შეურაცხმყოფლად გაიცინა.

– ვოვკა, გინდა, ტყვია მოახვედრო? – ჰკითხა მძლოლმა.

– რა ჩემ ფეხებად მინდა, – ჩაიფრუტუნა ვოვკამ.

მცირე ხნის დუმილის მერე კი დაამატა:

– დამიზნება და ჩახმახზე თითის გამოკვრა მომწონს. გასროლის გარეშეც ვხვდები, ტყვია მოხვდა თუ არა.

ახლა სროლა შეუძლებელია, ბოევიკი რომ მოკლა, სატვირთო მანქანები გზაზე ველარ გაივლიან.

– ეს, რომელიც ყვირის, ჩათვალე რომ გავასაღე. – ვოვკამ დაუტენავ კარაბინს ჩახმახი გამოჰკრა. ერთობოდა. დაუმიზნა და კვლავ თავმოწონედ გაატკაცუნა. – ჩათვალე რომ ესეც მოვკალი!.. ამას კი, ნახევარ ტრაკს წავაცლი. მოკვლა – არა, ხესაა ამოფარებული. აი, ნახევარ ტრაკს კი – თუ გნებავთ!..

ხანდახან, ბოევიკების მზეზე აბრჭყვიალებულ რაიმე ნივთს – არყის ბოთლს, ანდა შესანიშნავ ჩინურ თერმოსს, ვოვკა გულდასმით უმიზნებდა და ერთი გასროლით ნამსხვრევეებად აქცევდა. ახლა ყურადღების მისაქცევი ვერაფერი შენიშნა.

რუბახინს მოუსვენრად ეძინა. თავს ესხმოდა (შესაძლოა ბალახებში ჩანოლილი რუბახინი თვითონვე იხმობდა) ერთი და იგივე, ცუდი, ამაღლევებელი სიზმარი – ტყვე ჭაბუკის ლამაზი სახე.

– ვოვკა. მოსაწვევი მომეცი!

– ახლავე! – აზარტში შესული ვოვკა უმიზნებდა და უმიზნებდა, – აჰა! გამხდარი ბოევიკი შენიშნა, რომელიც ხესთან იდგა და მაკრატლით გრძელ თმებს იმოკლებდა. უცებ, სარკე აელვარდა და ნიშანი მისცა, – ვოვკამ წამში დაუმიზნა და ჩახმახს თითი გამოჰკრა. ხეზე მიმაგრებული სარკე უმცირეს ნამსხვრევეებად მიმოიფანტა. პასუხად გინება და არეულ-დარეული სროლა მოჰყვა. გზის თავზე წამომართულ კლდეზე ბოევიკები ამოდრავდნენ: „სნაიპერი! სნაიპერი!“ ყვიროდნენ, ღრიალებდნენ, ყიჟინებდნენ. მერე კი (როგორც ჩანს ბრძანებაზე) მიჩუმდნენ. რალაც დროით აღარც კი

იხედებოდნენ და ეგონათ, რომ მიიმალნენ. ვოვკა კი არამარტო მათ დამალულ თავებს, კისრებს, ყელსა და მუცლებს ხედავდა – ის ხედავდა მათ პერანგებზე მიბნეულ ღილებსაც კი და თავშესაქცევად, ოპტიკური სამიზნით, ერთიდან მეორეზე გადადიოდა.

– ვოვკა! შეწყვიტე! – შეაჩერა ზემდეგმა.

– კარგი ერთი, შენც!.. – შეეხმიანა ვოვკა, კარაბინი წაიყოლა და მაღალი ბალახებისკენ დასაძინებლად წავიდა.

რუბახინის ზმანებაში ჭაბუკი მალევე ქრებოდა – ალივლივე-ბული სახე ირღვეოდა, ლღვებოდა, იკარგებოდა და მხოლოდ ბუნდოვან და უინტერესო სილამაზეს ტოვებდა. თითქოს გამომშვიდობების ნიშნად (ემშვიდობებოდა და იქნებ პატიობდა კიდეც) ჭაბუკმა რეალური გარეგნობა დაიბრუნა. კაცს მოეჩვენა, რომ რალაცის თქმას აპირებდა. ბიჭმა ნაბიჯი გადმოდგა და რუბახინს კისერზე ხელი სწრაფად მოხვია (როგორც რუბახინმა კლდესთან). ჭაბუკის ნატიფი ხელები, ახალგაზრდა ქალის ხელებივით ფაფუკი და ნაზი იყო. რუბახინმა კბილები გააღრჭიალა, ზმანება განდევნა და მაშინვე გაელვია.

– ერთი გაბოლება კარგი იქნებოდა! – ძილ-ბურანში ხრინწიანი ხმით თქვა რუბახინმა და სროლა შემოესმა...

შესაძლოა სწორედ სროლამ გამოაღვიძა. სატვირთო მანქანები კვლავ იდგნენ (რუბახინს ეს ნაკლებ აღელვებდა. როცა იქნება, გზას დაუთმობენ).

სნაიპერ ვოვკას, კარაბინთან ჩახუტებულს, ბალახებში ეძინა. გარეთა ჯიბიდან ვოვკას სიგარეტები მოუჩანდა (სოფლის მაღაზიაში პორტვეინთან ერთად იყიდა). რუბახინმა ერთი ღერი ამოაძრო. ვოვკა მშვიდად ფშვინავდა.

რუბახინი ენეოდა, ღრმა ნაფაზს ურტყამდა და ზურგზე წამოწოლილი ცას შეჰყურებდა. გარს შემოჯარული მთები აღარ უშვებდნენ. რუბახინმა სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადა კარგა ხანია მოიხადა. ყოველ ჯერზე, დააპირებდა თუ არა ყველაფრის ფეხებზე დაკიდებას (და შინ, დონის სტეპებში დაბრუნებას), თავის შელახულ ჩემოდანს ხელს წამოავლებდა და... და რჩებოდა. „რა არის აქ განსაკუთრებული? მთები?“ – საკუთარ თავზე დაბოლმდობა ხმამაღლა ჩაილაპარაკა. რა არის საინტერესო გაყინულ ყაზარმაში – და რა არის საინტერესო მთებში? – ფიქრობდა ნაწყენი. მას უნდოდა

დადმატებინა: უკვე რამდენი წელია! მაგრამ თქვა: „უკვე რამდენი საუკუნეა!..“ – თითქოს წამოსცდა. რუბახინი ცნობიერებაში ღრმად გამჯდარ ამ ნათქვამზე ჩაფიქრდა. ნაცრისფერი, დახავსებული ხეობები და ჩიტის ბუდეებივით აკრული მთიელების ღარიბული, ჭუჭყიანი სახლები. მაგრამ მაინც – მთები?!. მათი მზისგან გაყვითლებული, მიჯრით ერთმანეთზე მიწყობილი მწვერვალები. მთები. მთები. მთები. უკვე მერამდენე წელია მათი სიღიადე და მდუმარე ზეიმურობა აღიზიანებს – მაგრამ რა, კაცმა რომ თქვას, თავიანთი სილამაზით რისი თქმა სურთ? რატომ უხმობენ?

*ივნისი-სექტემბერი, 1994 წელი*



## ანდრეი ბიტოვი

პროზაიკოსი, პოეტი, პუბლიცისტი, სცენარისტი, რუსული პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ანდრეი ბიტოვი (1937-2018) დაიბადა ლენინგრადში. 1962 წელს დაამთავრა ლენინგრადის სამთო ინსტიტუტი.

მიღებული აქვს: ა. ტეპფერის ფონდის პუშკინის პრემია (გერმანია, 1990), წლის საუკეთესო საზღვარგარეთული წიგნის პრემია (საფრანგეთი, 1990), ანდრეი ბელის პრემია (1988), რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემია (1992), ჟურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურას“ პრემია (1994), ჟურნალ „ოგონიოკის“ პრემია (1995), ჟურნალ „ნოვი მირის“ პრემია (1996), ჟურნალ „ზვეზდას“ პრემია (1997), რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემია (1997), ბუნინის პრემია (2006), პრემია „დიდი წიგნი“ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის (2007), რუსეთის ფედერაციის მთავრობის პრემია (2014), პლატონოვის პრემია (2015).



## დეჟავიუ

ანდრეი ბიტოვის მოთხრობა „დეჟავიუ“... ამ სამთავან ვის ვინ ახსოვს? ნუთუ სახელწოდებას ამახსოვრდება ჟანრი? ნუთუ ჟანრი იხსენებს ავტორს? ნუთუ ავტორი საკუთარ თავს სახელით მიმართავს?

„პეტერბურგო! სიკვდილი ჯერ არ მინდა! მე შენი ტელეფონის ნომრები მაქვს...“

2-82-07... პირველი ნომერი, რომელიც მახსენდება.

ასეთი ნომრები აღარაა. ბოტანიკურ ბაღში, რომელიც სახლის მოპირდაპირედ მდებარეობდა, პალმის ხეს ვხედავდი. ხეს გვარდიის საპატიო შავ-ყვითელი ლენტის ჰქონდა შემოვლებული და ფირფიტა ეკიდა:

პალმა დარგულია 1937 წელს  
ბადაურჩა ბლოკადას

ეს მე ვარ.

მამაჩემი ასი წლის წინ დაიბადა. ის თორმეტი წლისა იყო, პაპამ სანკტ-პეტერბურგის საპატო მოქალაქის ნოდება, რომ მიიღო, მას შემდეგ ეს ნოდება შთამომავლობას მემკვიდრეობით გადაეცემოდა. ჩემი პაპის პაპა დედის მხრიდან, მამა ვასილი, გატჩინის ტაძრის დეკანოზი იყო. ჩემი ბების დედა (ქალიშვილობის გვარი ორლოვა), შესაძლოა ქალაქის დარსების დღიდანვე ძირძველი პეტერბურგელია. ორივე პაპამ, ისე რომ ერთმანეთს არ შეთანხმებთან, პეტერბურგელ გერმანელებზე იქორწინეს.

მე 27 მაისს, პეტერბურგის დაბადების დღეს დავიბადე, როდესაც ქალაქს 234 წელი შეუსრულდა.

დედამინაზე თითოეული ადამიანი – ერთადერთი ეგზემპლარია. ასეთი ნომრები აღარაა.

მომყავს ოცდაათი წლის წინანდელი ციტატა:

„და ეს როგორაა, რომ არაფრის მეშინია! თუნდაც ფრენის... გავთავხედდი... ცნობიერების რომელიღაც დამცავი საფარი მაკლია. არაფრის მეშინია, გარდა იმისა, რაც თავს უეჭველად გადამხდება. როცა მესმის სხვა ადამიანები როგორ მსჯელობენ თავიანთ ზრახვებსა და ჩანაფიქრებზე: იყიდონ არ იყიდონ, წავიდნენ, არ წავიდნენ, თქვან, არ თქვან – უპირველეს ყოვლისა, ცხადი ხდება, როგორ ეშინიათ წამოიწყოთ ის, რაზეც საუბრობენ. ინსტიტუტური შიში ნებისმიერი წამოწყების მიმართ – ნორმალური ადამიანისთვისაა დამახასიათებელი. ხანდახან დაგვიანების მეშინია – და მაშინ ოფლში ვინურები და ყველაფერს ვასწრებ. ცოტა კიდევ და შესაძლოა ჰაერში აფრენისაც შემეშინდეს – მაგრამ არასოდეს შემეშინდება თვითმფრინავის, იმიტომ რომ რეისზე შეიძლება დაავიანო. ამაშია ჩემი შეცდომა, და ამაშივეა ჩემი უბედურება. მე გაჩენილი ვარ იმისთვის, რომ დავიწყო და აღარ გავაგრძელო – იქნებ ესაა ლაჩრობა? სულ სხვაგვარადაა ადამიანებში – შიში მათთვის ცდუნებაა“.

ნომერი – იგივეა.

რალაც ახლებურად იღიმიან, ჩემირის კატასავით ცალყ-

ბად.<sup>1</sup> ახალი, გაუთვალისწინებელი შეკვეთა მივიღე, არადა ეგრევე დავთანხმდი. ეს სახელგანთქმული ღიმილი სალაპარაკო თემად იქცა. მასში გარკვევა მომინდა.

## 1

უკუნი ღამე მესიზმრა... სანაპიროზე, სკოლის მოპირდაპირედ, ორ თანაკლასელთან ერთად ბოლთას ვცემ. დილაა, მართალია სუსხი არ არის, მაგრამ უკვე ზამთრის უკუნი სიბნელეა. ჩვენ უნდა გადავიდეთ კიდეც უფრო შავ მდინარეზე, ვიდრე ირგვლივ გამეფებული წყვილია. მაშასადამე, ლენინგრადი, მაშასადამე, მდინარე – ფონტანკა. არ მახსოვს, მესამე ვინ იყო, შესაძლოა, საველევი, მაგრამ მეორე ზუსტად ლოგინოვი იყო (მიტიშატევის ერთ-ერთი პროტოტიპი მომავალი რომანიდან „პუშკინის სახლი“;<sup>2</sup> მგონი, არცთუ ისე დიდი ხნის წინ მოკვდა, ისევე, როგორც სხვა პროტოტიპი...). „აბა, წადი!“ – წამიბიძგა ლოგინოვმა. რატომღაც წყალში პირველი უნდა ჩავიდე, ამას არავინ ეწინააღმდეგებდა. წყალი თითქმის ფეხებთანაა მომდგარი, მხოლოდ სანაპიროს ჯებირზე უნდა გადაძვრე, როგორც ფანჯარაში... ჩემს ქვემოთ წყალია, ისეთი შავი, შავზე შავი, და ნუთუ ამის გამოა ასეთი პატარა, როგორც ჩასაძრომი ჭრილის ლუკი, როგორც მალევიჩის განთქმული კვადრატი, რომლის შესახებ ჯერ არაფერი ვიცი. „ადრე გვერდს ვუვლიდით...“ – ჩემი მოსაზრება არ აინტერესებთ, წყალში უნდა ჩავიდე.

ვიღვიძებ. ნახევარი საუკუნის მერე, მოსკოვში. ფანჯრის მიღმა სიშავეა, იქ ლენინგრადის სადგურია. 2002 წლის 13 ნოემბერია. აი ეს დაუმთავრებელი ტექსტი კაფკას უნდა გაუფგზავნო არა უგვიანეს 15 რიცხვისა...

გამოდის, წყლის მეშინია.

<sup>1</sup> ჩემირის კატა – ლუის კეროლის ცნობილი ზღაპრის „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, რომელიც გამუდმებით იცინის და იმანჭება. აქვს გაქრობის უნარი, რის შედეგადაც ხილული მხოლოდ მისი ღიმილი რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ფრაზა „ჩემირის კატასავით ღიმილი“ კეროლს არ ეკუთვნის, პოპულარული სწორედ მისი და ცნობილი კარიკატურისტის, ჯონ ტენიელის ილუსტრაციის მერე გახდა. ერთი ვერსიით, კატის სახელწოდება დაკავშირებულია ყველის სახეობასთან, რომელსაც აწარმოებენ ჩემირის საგრაფოში. მართლაც, თუ ყველს ნაწილებად დავჭრით, მივიღებთ კატის სახელგანთქმულ ღიმილს.

<sup>2</sup> „პუშკინის სახლი“ – ანდრეი ბიტოვის ყველაზე ცნობილი რომანი.

## 2

არა მხოლოდ სკოლა და ზამთრი, არა მხოლოდ დილის წყვედი-ადი... როცა ლენინგრადის ამ საძაგელ დილას სკოლაში მიმავალი ნევაზე გადავდივარ – პეტროპავლოვის ციხე-სიმაგრედან მარსის მინდორზე, ვერ ვხედავ პეტერბურგის ლამაზ ხედს, იმიტომ რომ ვოცნებობ, ჩემი ავტობუსი როგორ მიფრინავს ხიდიდან წყალში. ეს საშიში არაა, სამხიარულოა: უკეთესია, ვიდრე სკოლაში...

იქ, სკოლის სარკმლებს მიღმა, მესამე გაკვეთილის დადგომისთანავე თენდება. ფანჯრებიდან მდინარე ფონტანკა მოჩანს, სადაც გონდოლები დაცურავენ. მოპირდაპირედ სახლია, რომელშიც ჩემი მერხის მეზობელი საველევი ცხოვრობს – ქერთიანი გაიძვერა ბიჭი, რომელსაც გერმანელი დედა ჰყავს. ასე ვზივართ ჩვენ, ერთ-ნახევარი გერმანელი ერთ მერხთან და შესვენებამდე უსაქმურობით ვიტანჯებით.

მამაჩემის მონათხრობ ამბავს ვუყვები: ომამდე ფონტანკის სანაპიროზე ტროლეიბუსი დადიოდა. ერთხელ, ტროლეიბუსმა ჯეზირი გაანგრია, მდინარეში ჩავარდა და ჩაიძირა – წყლიდან ერთი კუთხელა მოჩანდა, ზუსტად ჩვენი მომავალი სკოლის ფანჯრებთან. ტროლეიბუსის იმ კუთხეში, ჰაერის ერთადერთ ბუმტულაში გადარჩა ერთადერთი ადამიანი, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, მამაჩემის თანამშრომელი. ქალი გადარჩა, მაგრამ ჭკუიდან შეიშალა (მოგვიანებით გაირკვევა, რომ ეს ქალი ჩვენი თანაკლასელის დედაა. თანაკლასელი გვერდით მერხზე იჯდა; უფრო მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ ქალს მამაჩემთან თითქოს რომანი ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, დედაჩემი მასზე ეჭვიანობდა). როდესაც სკოლიდან გამოვდივარ, მოცურავე გონდოლების ქვეშ ჩაძირული ტროლეიბუსი მელანდება.

## 3

შავი ადამიანი მიღებულია არამარტო მოცარტთან და ესენინთან...<sup>1</sup> მე არც ისეთი გენიოსი ვარ, რომ ბედისწერამ მომ-

---

<sup>1</sup> შავი ადამიანი – შავი ადამიანი გვევლინება ა. პუშკინის „მოცარტი და სალიერი“, ს. ესენინის „შავი ადამიანი“; ასევე ჩეხოვის, გოეთესა და სხვათა ნაწარმოებებში. ადამიანის სულისთვის ორი ძალა იბრძვის: ბნელი და ნათელი. შავ ადამიანში ბედისწერა, განგება იგულისხმება.

კლას. შავი ადამიანი ისაა, ვინც გიკვეთავს, ფულს გპირდება, გიცხადებს დეად ლინე. შავი ადამიანი ყოველთვის არ მოდის, ხანდახან ტელეფონით რეკავს, ხანდახან ის ქალიც კია.

ზარმა ბერლინში გამაღვიძა. კაფკასგან რეკავდნენ, მაგრამ არა თავად... ეს ჟურნალს ჰქვია „კაფკა“ და აღმოსავლეთ ევროპისთვის გამოიცემა. გამოდის, რუსეთი ევროპის ნაწილია (ჩემი ინგლისური ამგვარი ხუმრობისთვის მყოფნის). პეტერბურგი კი ნამდვილად ევროპაა. ნომრის თემაა – წყალი. მაშასადამე, ჩემთვის „პეტერბურგი და წყალი“. აქ კი ნამცდა ნახსენები ცალკება ღიმილი. წვიმა, თოვლი, ყინული... თვალის დახამხამებაში წარმოვიდგინე ჩემი პატარა და საყვარელი „აფთიაქის კუნძული“,<sup>1</sup> რომელიც მეგაპოლისისგან გამოყოფილია მდინარეებით ნევა და კარპოვკა... იქ იწყება ჩემი მოგონება ბლოკადაზე. სიმშვიდე დამეუფლა! გერმანელების შეკვეთილ ორ ტექსტზე მუშაობის დაწყებას ვჩქარობ – ასეა ყოვლადნმიდა სამების დღესასწაულამდე, ხვავამდე და ბარაქამდე! – შეკვეთაზე დავთანხმდი.

#### 4

ჩემს თავს ზემოთ ტექსტი გადმოეკიდა, როგორც სადარბაზოს კარის წინფრა. ასეთი სადარბაზოა – ორი საფეხური დაბლა, ფეხის მოსანაცვლებლად, წვეთების ჩამოსაბერტყად; მოსაცდელად, ვიდრე წვიმა გადაიღებდეს. კიბესთან გუბეა, რომელიც ზედაპირზე ბუშტებს იკეთებს. თუ ბუშტებია, წვიმა კარგა ხანს არ გადაიღებს – ასეთია ხალხური გადმოცემა. უცებ ვერც გარისკავ ამ საფეხურებიდან ტროტუარზე გადასვლას. საყელოს აინევ, ღილებს შეიკრავ, ქოლგა დაგავიწყდა... ეს გუბე აღარცაა, ნიაღვარია. წყალი ტროტუარზე მირბის და ლამის საკუთარ თავს გადაასწროს; გუბიდან გუბეში გადადის, ტბორს პირამდე ავსებს და ქუჩაზე გადარბის, მერე სანაპიროს კიბეებზე ჩარბის და მდინარეში ეშვება.

ესე იგი სამშობლოში ვარ, პიტერში, ლენინგრადში, პეტერბურგში. მდინარე ნევა მარკიზის ტბორში ჩაედინება (ასე ეძახიან ფინეთის ყურეს პიტერში). გასაგებია რომ ტბორია, იმიტომ

<sup>1</sup> „აფთიაქის კუნძული“ – ეს პატარა კუნძული 1714 წელს პეტრე I ბრძანებით გადაეცა სამედიცინო კანცელარიას და მთავარ აფთიაქს სამკურნალო მცენარეების მოსაშენებლად. სწორედ აქედან მოდის კუნძულის სახელწოდება.

რომ ყურე ძალიან პატარაა, მაგრამ რატომ მარკიზის? აქამდე ვერ გამირკვევია. მახსოვს, როდესაც ჩაი ბაცი გამოდიოდა, ამბობდნენ, რომ მასში კრონშტადტი მოჩანდა. და მართლაც, კარგ ამინდში მარკიზის ტბორიდან კრონშტადტი ჩანს.

ჩემს თავს ზემოთ ტექსტი გადმოეკიდა, როგორც პიტერის ღრუბლიანი, ტყვიისფერი ცა. დროზე მანც დასცხოს კოკისპირულად.

ჩემს თავს ზემოთ ტექსტი გადმოეკიდა, ისე როგორც ბედისწერა.

ესე იგი, ტექსტის მეშინია.

## 5

მართლაც ასე მეშინია წყლის?

არამარტო წყალში, თბილ ზღვაში შესვლაც კი ძალიან მიჭირს. ჩემმა გულითაღმა მეგობარმა იუზ ალექსოვსკიმ,<sup>1</sup> უყურა რა ჩემს წვალებას „ლაჩარი ცხენი“ შემარქვა, თუმცა არ გავბრაზებულვარ.

სხვა დროს გავბრაზდი, ადრიატიკის სანაპიროზე, ერთ ნამდვილ ქალთევზასთან ცურაობისას, როდესაც მითხრა: „შენ რა, წყლის გეშინია!“ არადა, მეჩვენებოდა, რომ თავისუფალი სტილით საკმაოდ ლამაზად ვცურავდი.

როგორც მომთაბარეს, ბანაობა არცთუ ისე მსიამოვნებს. ციებ-ციხელების მეშინია. ახლახანს, როგორც იქნა აღმოვაჩინე, როდესაც წყალს ვსვამ სული მეხუთება, თითქოს ვიხრჩობოდე.

არ მჯერა არც ფროიდის და არც რეინკარნაციის.

დახრჩობის საფრთხის საშინელება არასოდეს გამომიცდია.

როდესაც წყალში დამხრჩვალ პირველად დავინახე შეშინებულმა სულმოუთქმელად დავწერე „პუშკინის სახლი“.

იქ ბევრი წყალია. ღმერთმა არ ქნას, რომ სიტყვის გადატანითი მნიშვნელობითაც ასე იყოს. რომანი იწყება წვიმითა და წყალდიდობით და მთავრდება სუსხიანი დილით.

ამბობენ, ადრე უფრო კარგად ვწერდი. აი, იმ დროის კიდევ ერთი ციტატა: „ღმერთო, ღმერთო! ეს რა ქალაქია... აუტანელია! მაგრამ მე მას ვეკუთვნი... მთლიანად. ის უკვე აღარავის ეკუთვნის,

---

<sup>1</sup> იუზ ალექსოვსკი – რუსი პროზაიკოსი, პოეტი და ავტორ-შემსრულებელი.

ანდა ეკუთვნოდა კი?.. რამდენი და თანაც როგორი ადამიანები ცდილობდნენ, რომ პეტერბურგი თავისთან მიეახლოებინათ, მაგრამ მათ შორის არსებულ უფსკრულს კიდევ უფრო აფართოებდნენ და ამით თავის თავსაც შორდებოდნენ... აი ამ ოქროსფერმა სიცივემ ზურგზე გადაირბინა – ასეთია პეტერბურგი. ფერმკრთალი, მოვერცხლილი ცა, შენობების თავზე კი კონუსის ფორმის ოქროს სვეტები. ოქროს პეტერბურგი! სწორედ რომ ოქროსი – არა ნაცრისფერი, არა ცისფერი, არა შავი და არა ვერცხლის – ოქ-რო-სი!..“

## 6

„მე სფინქსებთან, მდინარესთან დავეშვი. საკვირველი სიჩუმე იდგა, ნევა მიცურავდა, ცაზე კი, როგორც პეტერბურგში იცის ხოლმე ფერადი, ბასრი ღრუბლები გარკვეული მიმართულებით მიქროდნენ. მიქროდნენ – ზევით, მიქროდნენ – ქვევით. მე კი უქარობასა და სიჩუმეში სფინქსებს შორის გავირინდე – რალაც გამოსათხოვარი გრძნობაა... როგორც ბავშვობაში, როდესაც არ იცი, რომელი მატარებელი დაიძრა, შენი თუ მოპირდაპირე. იქნებ, ვასილევის კუნძული მოსწყდა და გაცურდა?.. თუკი პეტერბურგში სფინქსები არიან, სხვამ რალამ უნდა გაგაკვიროს? მათთვის ეს ყველაფერი სულ ერთია: იმავე მზერით იყურებიან – როგორც უდაბნოში... და მართლაც: მათ გამოჩენამდე ხომ არ იზრდებოდა უდაბნოში ტყეები, ხომ არ ყოფილა პეტერბურგში ქაობი?.. პეტერბურგი საოცარია – როგორც სიზმარი... თითქოს ის უკვე აღარაა. დეკორაცია... მოპირდაპირე არა – ეს ჩემი მატარებელი მიდის“.

პეტერბურგი ორად იყოფა. მასში ორი წყალია. ერთი წყალი – ზედაპირი: ის – ბევრია, ის – მშვენიერია, ის ქალაქს ამსხვრევს გამჭვრივალე ნახნაგებად, რომლებშიც აირეკლება, ორმაგდება და თამაშობს ერთისა და მეორის მოჩვენებითობას: ანარეკლი – რეალურია. მეორე წყალი – ვერტიკალურია, ზემოდან და ქვემოდან, გრიგალის აღმოცენებით ამღვრეული ღერძი, რომელიც მზადაა ერთიანად დალენოს ყველა ეს საზეიმო სარკეები. ამაში არის რალაც ჰამბურგული და ამსტერდამული, მაგრამ მათთვის საწყენი რომ არ იყოს, ორივე ქალაქი ერთად აღებული – პეტერბურგია.

პეტრეს მათი შეერთება უნდოდა. ის ვერტიკალზე არ ფიქრობდა, რომელმაც 1725 წლის ნოემბერს ნახევარი ქალაქი წალეკა და პეტრე სასიკვდილოდ განგმირა; ჩვენ კი ხველება და ცხვირის ცემინება დაგვიტოვა.

1824 წელს წყალდიდობა განმეორდა.

პუშკინისა და გოეთეს ორმაგი იუბილის სამზადისში (200 და 250), მათი სახელები ერთმანეთს იმ წელს შევეუპირისპირე.

თურმე, ისე რომ ერთმანეთის არსებობის შესახებ არაფერი იცოდნენ (პუშკინმა „ფაუსტი“ იცოდა მხოლოდ მაძამ დე სტალის პროზაული მონათხრობით), ისინი ერთსა და იმავეს აკეთებდნენ – მსოფლიოს პოეტების მეფე ვაიმარში, თავის პალაცოში, და რუსეთის მეფის მიერ გადასახლებული ახალგაზრდა, მსოფლიოსათვის უცნობი რუსი პოეტი სოფელში: ორივენი ასრულებდნენ „ფაუსტის“ წერას, ორივენი მსჯელობდნენ ბაირონის სიკვდილსა და პეტერბურგის წყალდიდობაზე, მხოლოდ პოეზიის მეტრი – ეკერმანთან, ხოლო გადასახლებული – გაუნათლებელ გადიასთან არინა როდინოვნასთან...

აი ისიც, მსოფლიო ლიტერატურა! ქარიშხლის ეპიცენტრი.

პუშკინი წყალდიდობას აგდებით მოეკიდა:

„რა ხდება თქვენთან? წარღვნა? არარა წყეულ პეტერბურგს! *Voilà une belle occasion a vos dames de faire bidet*“, – წერს მეგობარს, ეჭვიანობდა რა ქალაქზე მისი იძულებითი არყოფნის გამო.

გოეთე პეტრეს კიცხავს:

– პეტერბურგის ადგილმდებარეობა – უპატიებელი დანაშაულია, მით უფრო, რომ იქვე პატარა მალლობია. იმპერატორს ქალაქი ცოტათი ზემოთ რომ აეშენებინა და დაბლობში მხოლოდ ნავსადგური დაეტოვებინა პეტერბურგი წყალდიდობისგან დაცული იქნებოდა. ერთმა ძველმა მეზღვაურმა პეტრე გააფრთხილა, რომ ნაპირებიდან გადმოსული მდინარე მოსახლეობას ყოველ სამოცდაათ წელიწადში ერთხელ დახოცავდა. იქ ბებერი ხე იდგა, რომელზედაც ადიდებული წყალი მკაფიო ნიშანს ტოვებდა. მაგრამ ყველაფერმა ფუჭად ჩაიარა, იმპერატორი თავისაზე იდგა და ხის მოჭრა ბრძანა, რათა მის საწინააღმდეგოდ არ გამოეყენებინათ.

და აქ პუშკინი დაფიქრდა:

„წყალდიდობა არც ისე სასეიროა, როგორც ერთი შეხედვით გეჩვენება...“ 1833 წელს ის დაწერს „ბრინჯაოს მხედარს“, მსოფლიოში ყველაზე უდიდეს ნანარმოებს წყალზე, პეტერბურგზე და წყალზე, თავის ყველაზე უდიდეს ნანარმოებს, სადაც სტიქია, ძალაუფლება და ბედისწერა ერთ მთლიანობად შეიკვრება, პოეტურ ქარიშხალს შეერწყმება და ადამიანს ქაფიანი ქიმის სიღიადესა და უგუნურებაზე ატივტივებს.

ასი წლის შემდეგ, 1924 წელს, საბჭოთა ხელისუფლების დროს დიდი წყალდიდობა ისევ განმეორდება.

მიხეილ ზომჩენკოს, როგორღაც არც ის იყო ამ მოვლენების მოწმე, ამის შესახებ აქვს პატარა მოთხრობა... როგორ სეირნობს ჩვენს ქალაქში კარგ ამინდსა და მხიარულ გუნებაზე და ერთ-ერთ სახლზე მემორიალურ დაფას უაზრო მზეერას მიაპყრობს: „წყლის დონე 1924 წელს“.

წყლის ეს დონე ადამიანს მთლიანად დაფარავდა და წარმოსახვა საშინელ სურათებს უხატავს ჩაძირულ ადამიანებსა და ამოტივტივებულ ეტლებზე. აქ კი მეეზოვე გამოჩნდება, რომელიც წყალდიდობის მოწმეა და ავტორი მას მომხდარ საშინელებაზე გამოკითხავს. მეეზოვე უხსნის, რომ ყველაფერი არცთუ ისე თავზარდამცემად იყო: უბრალოდ, ლოთები მუდმივად გლეჯდნენ დაფას და ხულიგნობა რომ აღეკვეთა დაფა უფრო მალლა მიაჭედა.

უფროსოდნენ რა 2024 წელს, ანდა ოცნებობდნენ რომ პეტრესთვის ეჯობნათ, საბჭოთა ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა გრანდიოზული ჯებირის ეკოლოგიურად უგუნურ პროექტს, რომელსაც ფინეთის ყურე უნდა გადაეღობა. საბჭოთა ხელისუფლება დაეცა, ჯებირი დაუმთავრებელი დარჩა, სამაგიეროდ წყლის გამდინარება დაირღვა და მომრავლებული მავნე წყალმცენარეები ყურეს წამლავდნენ.

## 8

წყალი, თოვლი, ყინული, ქირხლი... ორთქლი, ნისლი, ყინული, წვიმა, თავსხმა... წყლის ყველა მდგომარეობა რომ ჩამოთვალო, დარჩება კიდევ ერთი – პეტერბურგი. მასში არის სივრცე, მაგრამ არ არის მოცულობა. მხოლოდ შენობების ფასადები და წყალი. შენობის შიგნითა ნაწილის ან უკანა მხარის წარმოდგენა საძნელოა.

ცხოვრობენ კი იქ? და ვინ? პეტერბურგი დასახლებულია ლიტერატურული გმირებით და არა ადამიანებით. პეტერბურგი – ტექსტია, და შენც მისი ნაწილი ხარ, პოემის ან რომანის გმირი. ასეთ დროს პროსპექტები და ქუჩები, როგორც წყალნაკლები არხები ისე გამოიყურებიან, დატბორვისას კი უფრო ბუნებრივად ჩანან. სველი, ღამის ლაპლაპა ასფალტი წყალზე მიდის. სველი პარიზი თუ ამომშრალი ვენეცია?

სხვა საქმეა – ყინული. შესაძლოა ასეც ითქვას...

ნახევარ მეტრიანი ყინული. მაგრამ ეს – ბინაში. ესე იგი, არა ოცდაათი, არამედ სამოცი წლის წინათ.<sup>1</sup> პირველი, რაც მე მახსენდება. ყინული – ეს ხომ გაყინული წყალია? მაშინ მესხიერება – გაყინული დროა.

ახლახან აღმოაჩინეს, რომ წყალს მესხიერება აქვს. რატომაც არა! ის ხომ ლინზებისგან შედგება.

ნუთუ მესხიერებასაც ადიდება?

ერთადერთი თბილი ოთახიდან, რომელიც რკინის ლუმელით თბება და გაყინული ოთახების ავეჯი და წიგნები გამალეებით იწვის, გარეთ გასასვლელად, ყინულიდან ძალაყინით ამომტვრეულ ერთ საფეხურზე უნდა ახვიდე. წყალი არ არის. წყლამდე ორი კილომეტრია: დედას ნევადან, ყინულჭრილიდან მოაქვს.

გზაც მოყინულია. ხანდახან გზაზე შავად მოჩანს გაყინული ადამიანის ცხედარი. მას ყურადღებას არავინ აქცევს. არავინ არავის არ აქცევს ყურადღებას. მთავარია ფეხი არ დაგისხლტეს და წყლიანი ვედრო არ გადაგიბრუნდეს, რომელსაც ციგით მიათრევ... ერთხელ დედა წყლით დაბრუნდა, დანალვლიანებული და თანაც სიხარულით აღსავსე... მან ყინულჭრილთან რიგი შეინარჩუნა, შეძლო რომ წყლის ამოღებისას ფეხი არ დაცურებოდა და სანაპიროზეც მშვიდობიანად ამოვიდა... და როდესაც სახლამდე თითქმის მოაღწია, ვედრო მაინც გადაუბრუნდა. რა ძალიან ეცოდებოდათ! „საბრალო, – ამბობდნენ, – საბრალო!“

უკან დაბრუნებამ მოუწია და ყველაფერი ხელახლა გაიმეორა. მაგრამ ეს შებრალებასთან შედარებით არაფერი იყო. მაშინ არავინ არავის იცოდებდა, არც მკვდრებს და მით უფრო არც ცოცხლებს.

პატივისცემით შევეყურებ წყლიან ვედროს: აი ესაა წყალი!

<sup>1</sup> იგულისხმება ლენინგრადის ბლოკადის წლები 1941-1944.

შესაძლოა, ამიტომ მიყვარს რუბცოვი:<sup>1</sup>

„დედა აიღებს ვედროს,  
უჩუმრად მოიტანს წყალს...“  
გრძნობა!

როდესაც მეხსიერებას ვძაბავ, კიდევ უფრო მეტს ვხედავ... მეხსიერების შავ-თეთრი გაელვება – გაყინულ ტბაზე სატვირთო ავტომანქანების მწკრივი, მე ერთ-ერთ მათგანში ვდგავარ უცხო სხეულებით გარშემორტყმული და მობლუნძული. ყინულის ზედაპირიდან ნახევარ მეტრზე წყალია. სატვირთო ავტომანქანის საბურავებიდან ატყორცნილ ფართე ტალღებით ვერთობი და თავი გემის სამართავ ხიდურაზე მდგარი კაპიტანი მგონია. ბომბები ცვივა. წინ მიმავალი სატვირთო მანქანა ცხვირით წყალში იძირება: ირგვლივ თოვლია, შუაში წყლის შავი ხვრელი, წყლიდან ამოშვერილ ძარის უკანა ბორტზე კი მსხვილი ციფრები მოჩანს...

ნომრები!

მეცნიერება ერთთავად რალაც ახალ აღმოჩენებს აკეთებს წყალზე. მაგალითად, რომ მსოფლიოში რაც კი წყალია, ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ძველი რუსული თქმულებით, შობის დამეს მთელი წყალი ნაკურთხად იქცევა, რომლითაც მოგვნათლეს არამარტო ჩვენ – მასში მონათლეს ქრისტეც. ასეთ შემთხვევაში პეტერბურგი დაკავშირებულია სამყაროსთან არამხოლოდ როგორც „ფანჯარა ევროპაში“ (საკმაოდ დაბინდული), არამედ – წყლით, რომელსაც ყველაფერი ახსოვს, რადგანაც კავშირი ყველგან აქვს.

ნუთუ წყალი დამიმახსოვრებს?

გამოდის, რაც არ უნდა ვილაპარაკო, მაინც მეშინია. მეშინია წყლის, მეშინია ტექსტის. ტექსტი – ეს ხომ ყველა სიტყვის კავშირია.

მე არა მხოლოდ ფროიდის და სიკვდილის მეშინია.

მე მეშინია, ისევე როგორც ადამიანებს. მე – ცოცხალი ვარ. მე ნორმალური ადამიანი ვარ.


XI. 2002

<sup>1</sup> რუბცოვი – ნიკოლაი რუბცოვი (1936-1971) ცნობილი რუსი ლირიკოსი პოეტი.

## ედუარდ კოჩერგინი

პროზაიკოსი, თეატრალური მხატვარი, სანკტ-პეტერბურგის ტოვსტონოგოვის სახელობის დიდი დრამატული თეატრის მთავარი მხატვარი ედუარდ კოჩერგინი დაიბადა 1937 წელს ლენინგრადში.

მიღებული აქვს: ნიკოლაი რერიხის სახელობის პრემია (2013), სერგეი დოვლატოვის პრემია „თანამედროვე რუსულ პროზაში მიღწეული წარმატებისთვის“ (2010), პრემია „ნაციონალური ბესტსელერი“ (2010), სერგეი დოვლატოვის სახ. პრემია (2011), ნიკოლაი რერიხის სახ. პრემია (2013).



## სააპრილო ამბავი

ეს სააპრილო ამბავი სრულიად მოულოდნელად გადამხდა თავს. ცუდ ამინდში, ყოველგვარი სურვილის გარეშე, ჩემგან დამოუკიდებლად აღმოვჩნდი ცაში. აპრილის თვეში გაზაფხულის დადგომის იმედი ხშირად ქრება, ზამთარი იმარჯვებს და პეტერბურგელებიც სითბოზე ოცნებას გაუარკვეველი დროით ივინყებენ. ასე მოხდა 1961 წელსაც.

თორმეტ აპრილს, დილის რვა საათზე, პეტერბურგის ძველ ცირკში საერთაშორისო საცირკო წარმოდგენის დეკორაციები უნდა დამემონტაჟებინა. პირველად, ომის შემდეგ, ლენინგრადში სახალხო დემოკრატიული ქვეყნების საცირკო კოლექტივები ჩამოდიოდნენ. ათ აპრილს, საბჭოთა არმიის ლვოვის თეატრში (მაშინ ასეთი თეატრიც არსებობდა) გაიმართა სპექტაკლის პრემიერა, რომელიც ა.შტეინის „ოკეანეს“ მიხედვით დაიდგა და რომლის მხატვრობაც მე მეკუთვნოდა.

დილის თერთმეტ საათზე ლვოვიდან პეტერბურგში გავფირნდი. ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში საშინელი ქარიშხალი ამოვარდა და თვითმფრინავი მოულოდნელად მოსკოვში დაეშვა – პეტერ-

ბურგის „პულკოვოს“ აეროპორტმა დაჯდომის უფლება არ მოგვცა. ამგვარად, გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო, თერთმეტი აპრილის საღამოს „შერემეტევოში“ აღმოვჩნდი და პეტერბურგის ცირკში დროულად მოხვედრის იმედი გადამეწურა, რაც დიდ უსიამოვნებებს მიქადდა. დეკორაციების პირველი მონტაჟი მხატვრის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. რა ვქნა? ეს უძველესი რუსული ნაციონალური შეკითხვა მთელი სერიოზულობით დაუუსვი საკუთარ თავს. აუცილებლად უნდა გამერკვია, ხომ არ არსებობდა რაიმე სპეციალური თვითმფრინავი, რომელიც მოსკოვიდან პეტერბურგში ნებისმიერ ამინდში დაფრინავდა და მასზე მოხვედრა მცადა.

გაზაფხულის სურნელი ჯერ არ იგრძნობოდა. ქარს თოვლი მოჰქონდა და მხედველობა ჭირდა. სპეცტექნიკა აეროდრომს თოვლისგან წმენდდა. აეროპორტის ყველა კუთხე-კუნჭული მოვჩხრიკე, მოსამსახურე პერსონალი შევაფუცხუნე, მაგრამ სპეცრეისის შესახებ სასიკეთო ვერაფერი შევიტყვე. ყველანი დარწმუნებით ამბობდნენ, „პულკოვოში“ რალაც გაფრინდება, მაგრამ მხოლოდ თორმეტ აპრილს. სასონარკვეთილმა აეროდრომის ტერიტორიაზე შევალწიე, სადაც მტვირთავებს გადავანყდი, რომლებსაც გადამზიდი სპეცმანქანებით საკვირველი ტვირთი – უხეში ქსოვილის მუქი ტომრები – მოშორებით მდგარ ხრახნძრავიან ილ-14-ზე გადაჰქონდათ. ვიკითხე: „ლამით ლენინგრადში რამე გაფრინდება?“ მშვიდად მიპასუხეს: „ეს თვითმფრინავი აუცილებლად გაფრინდება. ყოველ ღამე დაფრინავს, ნებისმიერ ამინდშიო – ცენტრალური გაზეთების ანაწყობ ტექსტის სვეტებს ეზიდებაო“. ანაწყობი ტექსტის სვეტები, იმ დროს, მოსკოვიდან თვითმფრინავებით გადაჰქონდათ.

„თვითმფრინავზე როგორ მოვხვდე, არ იცით?“ – „იქ მოხვედრა შეუძლებელია, დაცვის სპეციალური სამსახური იცავს და პილოტების გარდა ჯერ არავის უფრენიაო“.

როდესაც აეროპორტში აქეთ-იქით ვეხეთქებოდი | რანგის ახალგაზრდა კაპიტანს შევეჩხე, რომელსაც ხელში სქელი პორტფელი ეჭირა და ლენინგრადში სასწრაფოდ გადაფრენის გზებს ეძებდა. კაპიტანმაც იცოდა ღამის სპეცრეისზე და მირჩია, დრო პირად თხოვნებზე არ დამეკარგა, რადგან ეს არ მიშველიდა. უკეთესია, ცირკის ხელმძღვანელობას, ავიაციის გავლენიანი გენერლებისთვის

ეთხოვა, რომ საერთაშორისო წარმოდგენის მხატვარი სპეცბორტით გადაეფრინათ.

ლენინგრადის სახელმწიფო ცირკის სამხატვრო ხელმძღვანელის – გიორგი სემიონოვიჩ ვენეციანოვის გარდა სხვა ხელმძღვანელებს არ ვიცნობდი. მაშინვე დავურეკე და ვითარება ავუხსენი. ვენეციანოვი დამპირდა, რომ იმავე წამს დაუკავშირდებოდა სახელმწიფო ცირკების საკავშირო გაერთიანების ხელმძღვანელობას მოსკოვში. ერთი საათის შემდეგ ვენეციანოვს კვლავ შევეხმიანე და შევიტყვე, რომ ყველაფერი მოგვარდა, ანაწყობი ტექსტების სვეტების გადასატან თვითმფრინავზე ამიშვებდნენ და მთხოვა ადმინისტრატორის ზარს დავლოდებოდი. „შერემეტევოს“ აეროპორტის ხელმძღვანელობის კართან მე და კაპიტანი კიდევ ნახევარ საათს ვიდექით. როგორც იქნა, ადმინისტრატორმა ჩვენი გვარები ამოიკითხა, პასპორტები და ბილეთები შეამოწმა და გვიბრძანა სატივრთო ნაკვეთურთან მივსულიყავით, სადაც გველოდებოდნენ. ადამიანმა, რომელიც მტვირთავს ჰგავდა, აეროდრომზე გაგვიყვანა, უკვე ნაცნობ მუქ ტომრებზე მიგვითითა და გვითხრა, რომ სხვა ტვირთი ამ თვითმფრინავს არ გადააქვსო. პირდაპირ ტომრებზე დავსხედით და ილ-14-ისაკენ გავემართეთ.

და აი, ხანგრძლივი ტანჯვა-წამების შემდეგ, სტრატეგიულ ტომრებთან ერთად, რომლებშიც ლენინგრადისთვის განკუთვნილი ცენტრალური გაზეთების ანაწყობი ტექსტის სვეტები ელაგა, სპეცთვითმფრინავს მივადექით. ძველ, მოფამფალეზულ კიბესთან, ასე ორმოცი წლის ძია-პილოტი გვიცდიდა, რომელიც სალონში შეგვიძღვა და გაგვაფრთხილა, რომ ცუდი დღე დაგვადგებოდა – თვითმფრინავი კეთილმოუწყობელია, არ თბებაო და გვიბრძანა, ზედ პილოტების კაბინასთან დამონტაჟებულ ექვსი სავარძლიდან ნებისმიერში ჩავმჯდარიყავით. სავარძლებს უკან, მუქ ტომრებში მოთავსებული ძირითადი ტვირთი პირდაპირ იატაკზე ეყარა. საშინლად ციოდა. თვითმფრინავში მხოლოდ პილოტების კაბინა თბებოდა და ყინვისგან სული რომ არ ამოგვხდომოდა ზურგჩანთიდან უკრაინული წინაკის არაყი ამოვაძვრინე. კაპიტანმა კი საპასუხოდ მზეზე გამოყვანილი ციმბირული ჭიჭყინა თევზები დააძრო და პილოტებს ჭიქები სთხოვა. დასაწყისისთვის ასორმოცდაათ-ასორმოცდაათი გრამი არაყი გადავხუხეთ.

სასმელისგან ოდნავ გამოცოცხლებულმა ირგვლივ მიმოვიხედე. სატვირთო თვითმფრინავის ინტერიერისგან მიღებულმა შთაბეჭდილებამ დამთრგუნა. თითქოს უზარმაზარი ნიანგის ცუდად განათებულ შიგნეულობაში ვისხედით, სადაც ლითონის ნეკნები გარდიგარდმო იყო გადაებული. ძველისძველი სამგზავრო სავარძლები აშკარად რომელიღაც საპენსიო ასაკს მიღწეული თვითმფრინავიდან მოეხსნათ. მუქი ბრეზენტის ტომრების გროვა შეფუთულ ფეთქებად ნივთიერებასთან ასოცირდებოდა, რომლებიც ფრენისას უნდა გადაეყარათ.

როგორც იქნა, მტვირთავებმა, თვითმფრინავის ფაშვში მძიმე ტომრები შემოზიდეს. პილოტმა, როგორც კი კაბინის კარი ჩაკეტა, გასახურებლად მეორე დოზა გადავკარით. ბორტინჟინერმა კაბინიდან გამათბობელი გამოიტანა და გაფიჩხულ ფეხებთან დაგვიდგა. დიდება უფალს, ახლა ფეხის განძრევა შეგვეძლო. პილოტმა გვიბრძანა, უსაფრთხოების ქამრები შეგვეკრა და ლენინგრადის აეროპორტში ჩასვლამდე არ შეგვეხსნა. გაგვაფრთხილა, კომმარული ამინდის გამო ფრენა უაღრესად რთული იქნებოდა.

განმეორებით შესმულმა არაყმა, პირვანდელი შთაბეჭდილება, რომ რომელიღაც ისტიოზავრის მუცელში ვიმყოფებოდით, კიდევ უფრო გაამძაფრა, რაშიც კაპიტანიც დამეთანხმა. ძრავა გამაყრუებლად აგუგუნდა და თვითმფრინავი აძაგძაგდა. ხელისგულები უნებლიეთ ყურებზე ავიფარე. თვითმფრინავმა ძლიერი ბიძგით ბორბლები ცინულს ააგლიჯა და ასაფრენ ბილიკზე გავგორდით. უცებ თვითმფრინავი შედგა, შემზარავი ღრიალით სისწრაფე აკრიფა, უმალ აფრინდა, სიმაღლე მკვეთრად აიღო და შავი ღრუბლებით დაფარულ ცას შეუტია. სავარძლებს ზურგით მივანყდით. თითქოს, თვითმფრინავი ბურღად იქცა და ჰაერს ხვრეტდა. გამძვინვარებული სტიქია სათამაშოსავით აქეთ-იქით და ზევით-ქვევით გვისროდა. კაპიტანი პორტფელს დასწვდა, გახსნა, ბოთლით სომხური კონიაკი ამოიღო და ხმამაღლა მითხრა, დასამშვიდებლად კიდევ დავლიოთო. ასეთ ჯაყყაყში ჭიქაში დასხმა შეუძლებელი იყო და პირდაპირ ბოთლიდან ვსვამდით – თითო ჯერზე სამი ყლუპი. მესამე ჩამოტარებისას ერთგვარი გულგრილობა და სითბო დაგვეუფლა. თვითმფრინავმა ღრუბლების კიდევ რამდენიმე ფენა დასძლია და ფრენის მაქსიმალურ სიმაღლეს მივაღწიეთ. ძრავის ხმა ოდნავ

ჩაცხრა, ნაკლებად გვანჯღრევდა. სასმელი თავისას შვრებოდა და ორგანიზმი ნახემსებას ითხოვდა. კაპიტანმა კვლავ გულუხვობა გამოიჩინა და თევზი სიამოვნებით გადავსანსლე. უცებ, პილოტების კაპინა გაილო და კარში, სანახევროდ დაცლილი ლიტრიანით ხელში, უცნობი მომღიმარი მეთაური გამოჩნდა. ბოთლში გამჭვირვალე სითხე ესხა. საოცარია, ისიც ბოთლით – ჩვენც ბოთლით... ნეტავ ჩავფრინდებით? თვითმფრინავი?! თვითმფრინავი მორევში მოხვედრილი ნაფოტივით ტრიალებდა.

მომღიმარი მეთაური უცებ ალაპარაკდა; „ძვირფასო მეგობრებო, მოხარული ვარ გაცნობოთ უდიდესი მნიშვნელობის ამბავი, რომელიც ეს წუთია მოსკოვიდან მივიღეთ. ჩვენს თვითმფრინავს ცენტრალური გაზეთების ანაწყობი სვეტები გადააქვს, რომლებიც ადამიანის კოსმოსში წარმატებით გასვლას იუწყებიან. გესმით, კოსმოსში ჩვენი კაცია?! გილოცავთ ამ გრანდიოზულ გამარჯვებას და გთავაზობთ ეს სიხარული ჩვენი საბრძოლო საფრენი სითხით აღვნიშნოთ!“ მეთაურის ზურგს უკან ორი ნაცნობი მფრინავის სიფათი გამოჩნდა. მეთაურმა ჩვენი აღლევება შენიშნა და დაგვამშვიდა – ასე ნუ განიცდით, თვითმფრინავი ავტოპილოტით მიფრინავს. ლენინგრადამდე, სადაც ქარბუქი მძვინვარებს, კიდევ ორმოცი წუთის საფრენია. „მოდით ეს უზარმაზარი წარმატება აღვნიშნოთ. ამხანაგო პირველი რანგის კაპიტანო და თქვენ, ახალგაზრდავ, შემოგვიერთდით, – მოგვმართა თვითმფრინავის მეთაურმა. – „ემმაკმა დალახვროს, ბოლოს და ბოლოს შეიგნეთ, რაც მოხდა?! ცნობა ამის შესახებ თქვენს ზურგს უკან, ტომრებშია!“ ურწმუნო ანთროპებივით გავხევდით და გაცეცხისგან თვალებსლა ვაფახულებდით. ილ-14-ის მეთაურს არა თუ არ დავუჯერეთ, თვითმფრინავის ჩონჩხში თავსდატეხილი ასეთი გამაოგნებელი ცნობის უცებ აღსაქმელადაც კი არ ვიყავით მზად. ამასთან ერთად, თავი იჩინა გასათბობად დალეულმა სასმელმა და სიმაღლეზე ასვლისას დაუნდობელმა ჯაყჯაყმა. როდესაც გამოვერკვიეთ, პილოტებმა ნახევარი ჭიქა „საფრენი სითხე“ გამოგვიწოდეს. | რანგის კაპიტანმა, ვითარების სერიოზულობა და საზეიმო განწყობა შესაბამისად შეაფასა და პორტფელიდან ქილებით ამოალაგა წითელი და შავი ხიზილალა, თეთრი და წითელი საუცხოო თევზი, კიბორჩხალები და ეს ყველაფერი ასაკეც მაგიდაზე დააწყო. ასეთმა

მეფურმა საუზმემ მფრინავები ალაფრთოვანა. კაპიტანმა დაიჩვილა, რომ პური არ იყო. ეს პრობლემა არაა, განაცხადა მეთაურმა: „შტურმანო, პური მოიტანე!“ შტურმანი გაქრა და იმავე წამს გამოჩნდა სამი მოსკოვეური ბატონით და წუთის შემდეგ ყველას ხელში გვეკავა კრემლის ბუტერბროდი, რომელიც სხვა დროს შესაძლოა მხოლოდ დაგვსიზმრებოდა. თვითმფრინავის მუცელში ნამდვილი პატრიოტული ნადიმი გაჩაღდა. ერთმანეთის მიყოლებით წარმოითქმებოდა სადღეგრძელოები გამარჯვებაზე, საბჭოთა კავშირზე, მოსკოვზე, მფრინავებზე და იმ ადამიანზე, რომლის სახელი და გვარი ჯერაც უცნობი იყო. ეს ყველაფერი ხდებოდა ჰაერში, კალინინის ოლქის თავზე, ტვერის ყოფილ სამთავროში 1961 წლის თერთმეტი და თორმეტი აპრილის ღამით. მე და I რანგის კაპიტანს სუპერპროფესიონალების, საჰაერო ასების კომპანიაში შემთხვევით მოხვედრილებს გულწრფელად გვიხაროდა მათი კოლეგის, კოსმოსში პირველად გაფრენილი ადამიანის წარმატება. ამ გრანდიოზულ მოვლენას ორმოცი წუთი ავლნიშნავდით. მერე პილოტები კაბინაში გავიდნენ – თვითმფრინავმა ჩრდილო-დასავლეთით მობობოქრე სტიქიის საზღვრებს უწია. თუ გაგვიმართლებდა, სადღაც, ნახევარ საათში, პეტერბურგში დავეშვებოდით.

ნახევარი საათით ნამდვილ ჯოჯოხეთში აღმოვჩნდით. ქარბუქი ყველა მიმართულებით გვისროდა. თვითმფრინავი ხან მარცხენა, ხან კი მარჯვენა ფრთაზე წვებოდა, ხან ძირს ვარდებოდა, ხან კი ზევით მიექანებოდა. ისე გვაბზღვრიანებდა, რომ სულ ერთი გახდა გადავრჩებოდით თუ დავილუპებოდით, დავეშვებოდით თუ დავენარცხებოდით, მაგრამ იმაზე გაფიქრებაც კი – იქ ჩვენი კოსმონავტი, ალბათ ჩვენზე უფრო ბევრად ცუდადაა, – გვამხნივებდა.

ჩვენ, ცოდვილები ღმერთმა მაინც დაგვინდო. აეროდრომის ყინულზე რამდენჯერმე შევხტით, საფრენი ბილიკის ბოლოში დავჯექით და უზარმაზარ თოვლის გორასთან მივგორდით. ილუმინატორიდან ჩანდა, ქარბუქის საბურველს მიღმა, როგორ მორბოდნენ ჩვენსკენ ადამიანები – ხელს გვიქნევდნენ, სასიგნალო მაშხალებს ისროდნენ. უამინდობის მიუხედავად თვითმფრინავთან კიბე სწრაფად მოაგორეს.

თავდაპირველად, უკანა სატვირთო კარი გახსნეს და დამხვედურები ყვირილით ამოცვივდნენ: „ვაშა, ჩვენებურმა გაიმარჯვა!“

მერე ჯაჭვისებურად გამწკრივდნენ, მუქ ტომრებს ერთმანეთს მწყობრად გადასცემდნენ და თვითმფრინავთან მდგარ დახურულ მანქანაში ალაგებდნენ. შემდეგ პილოტებმა წინა კარი გახსნეს და | რანგის კაპიტანს და მე შემოგვთავაზეს კიბეზე პირველები დავშვებულებიყავით. ზამთრის ქუდებით, ჯუბაჩებითა და კაშნებით შეფუთული აეროდრომის მოსამსახურე პერსონალი კიბეს გარს შემოხვეოდა და მიუხედავად ქარიშხალისა, თოვლს თვალებში რომ აყრიდათ, ყინულზე ხტუნაობდნენ და სკანდირებდნენ: „ვაშა, კოსმოსში ჩვენინანია! ყოჩაღ, ვაშა!“ საზღვაო კაპიტანი, რამდენიმე დამხვედურმა, კიბის ბოლო საფეხურიდან აიტაცა. წუთის შემდეგ, მფრინავ ასებთან ერთად, ჰაერში გვისროდნენ და ყვიროდნენ: „ვაშა, კოსმოსში ჩვენებურია! ვაშა! გამარჯვება! ვაშა!“

როგორც კი ძირს დამაბრუნეს, მაშინვე დავეცი – შესმულმა სასმელმა ახლა იჩინა თავი. არ მესმოდა, ასე რატომ გვხვდებოდნენ – ჩვენ ხომ კოსმოსში არ ვყოფილვართ! საერთოდაც, შემთხვევითი ადამიანები ვიყავით. წამოდგომაში დამეხმარნენ. პილოტებმა, დაშვების წინ დისპეტჩერს შეატყობინეს, რომ საბჭოთა ბალისტიკური რაკეტა ორბიტაზე გავიდა. აეროპორტის მომსახურე პერსონალი, მიუხედავად გამძვინვარებული ქარბუქისა (იმ დამით პეტერბურგში მინუს თხუთმეტ გრადუსზე მეტი ყინვა იყო) თვითმფრინავისა და მაცნეების დასახვედრად დაუფიქრებლად გამოვარდნენ და ილ-14-დან გამოსულები კვლავ ჰაერში აღმოვჩნდით. ასეთი მოულოდნელი მისაღმების შემდეგ მე და კაპიტანი აეროვავზალთან, სტალინური არქიტექტურის დიდებულ შენობასთან მიგვიყვანეს. მძინარე ტაქსის მძღოლები გავალვიძეთ და ერთმანეთს გულითადი მეგობრებით დავცილდით. გამომშვიდობებისას | რანგის კაპიტანი ცირკში, ხვალინდელ პრემიერაზე დავპატიჟე.

„ვოლგაში“ ჩამჯდარმა ახალი ამბავი მძღოლს ვაცნობე, მაგრამ არ დამიჯერა და მირჩია, ჯერ კარგად გამომეძინა და მერე მელაყბა. როგორც კი მანქანის სავარძელში აღმოვჩნდი, მაშინვე ჩამეძინა. გაუგებარია რატომ, მაგრამ მძღოლმა ზედმეტი ფული არ გამომართვა. მანქანიდან გადმოსვლისას კვლავ გავუმეორე, რომ ჩვენი ადამიანი კოსმოსშია, მაგრამ რეაქცია აღარ ჰქონდა და მანქანა ადგილს მოსწყვიტა.

შინ ორი საათით ნავთვლიმე, აბაზანა მივიღე და ცირკში კვლავ

ტაქსით წავედი. ამჯერად მძღოლისთვის კოსმოსზე აღარაფერი მითქვამს – იფიქრებდა, გააფრინაო და ცირკამდე აღარ მიმიყვანდა.

ზუსტად მონტაჟის დანებებისას მივედი. დეკორაციები რომ ავანყვე და მსახიობებმა თავიანთი ნომრების რეპეტიციები დაიწყეს, უცებ თვალი რაკეტას მოვკარი, რომლითაც ცირკის გუმბათქვეშ ბულგარელი საჰაერო ტანმოვარჯიშეები უნდა გაეტყორცნათ. ასეთი საოცრების დანახვით კინალამ გამოვთაყვანდი. კოსმოსში რაკეტის გაშვებასთან დაკავშირებულ ჩემს მონათხრობს არავინ იჯერებდა. მოთენთილსა და სახეგაცრეცილს ეჭვით მიყურებდნენ და მამშვიდებდნენ, რომ დღეს კოსმოსში ბულგარელი ტანმოვარჯიშეები გაფრინდებოდნენ. მხოლოდ ერთმა ადამიანმა ირწმუნა ჩემი – ჩემმა მფარველმა, საიმპერატორო სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყოფილმა გარდემარინმა, დღეს კი ლენინგრადის სახელმწიფო ცირკის სამხატვრო ხელმძღვანელმა გიორგი სემიონოვიჩ ვენეციანოვმა.

სადღაც, დღის ათი საათიდან, მანეჟზე იმ ადამიანებმა დაიწყეს მოსვლა, რომელთაც რადიოთი შეიტყვევს კოსმოსში ჩვენი მფრინავის – იური გაგარინის გაფრენა. როგორც ამ ამბის პირველ მაცნეს, ცირკის სასადილოში, საჩუქრად გადმომცეს მთელი ჭიქა კიტრის მწნილის წვენი. ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის ეს ყველაზე ძვირფასი საჩუქარი იყო – სამუშაოს დასამთავრებლად კიდევ რამდენიმე საათი მჭირდებოდა.

სალამოს, გენერალურ რეპეტიციაზე, რომელსაც მაყურებელიც ესწრებოდა, ლენინგრადის ჩინიზელის ცირკის გუმბათქვეშ, ბულგარელი ტანმოვარჯიშეების რაკეტიდან გაფრენას არნახული წარმატება ხვდა წილად.



## ბორის ეკიმოვი

პროზაიკოსი, პუბლიცისტი ბორის ეკიმოვი დაიბადა 1938 წელს ქალაქ ივარკაში. 1979 წელს დაამთავრა მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული უმაღლესი ლიტერატურული კურსები.

მიღებული აქვს: ჟურნალ „ნაშ სოვრემენნიკის“ პრემია (1976), „ლიტერატურნაია გაზეტას“ პრემია (1987), ბუნინის პრემია (1994), ჟურნალ „ნოვი მირის“ პრემია (1996) პრემია „მოსკვა-პენნე“ (1997), რუსეთის სახელმწიფო პრემია (1998), პრემია „სტალინგრადი“ (1999), სოლჟენიცინის პრემია (2008), პრემია „იასნაია პოლიანა“ (2014), რუსეთის საპატრიარქოს ლიტერატურული პრემია (2016).



## „ილაპარაკე, დედა, ილაპარაკე...“

დილაობით მობილური ტელეფონი რეკავს. შავი კოლოფი ცოცხლდება: სინათლე ინთება, მხიარული მუსიკა ჟღერს, მერე კი ქალიშვილის ხმა მოისმის, თითქოს იქვეაო:

– დედა, გამარჯობა! კარგად ხარ? ყოჩაღ! კითხვები და სურვილები? შესანიშნავია! გკოცნი. კარგად, კარგად!

კოლოფი ქრება, დუმდება. მოხუც კატერინას ტელეფონი აკვირვებდა, ვერ ეგუებოდა. ასეთი ციციქნაა – ასანთის კოლოფივით. არავითარი სადენები. დევს და უცებ დარეკავს, აინთება და ქალიშვილის ხმა ჩაესმის.

– დედა, გამარჯობა! კარგად ხარ? ნამოსვლა ხომ არ გადანყვიტე? შენ უკეთ იცი. კითხვები არ გაქვს? გკოცნი. კარგად, კარგად!

ქალაქამდე, სადაც მისი ქალიშვილი ცხოვრობს, ასორმოცდაათი კილომეტრია, თუმცა არც თუ ისე ადვილად გასავლელი, განსაკუთრებით – უამინდობისას.

წელს შემოდგომა გრძელი და უჩვეულოდ თბილი გამოდგა. ყორღანებზე ბალახი გადაყვითლდა, სამაგიეროდ დონის ნაყოფიერ ნაპირებთან ალვისა და ტირიფის ხეები კვლავაც მწვანედ ხასხასებდა.

ფრინველების გადაფრენა გაჭიანურდა. გუნდს ჩამორჩენილი შავი ბატი აუჩქარებლად მიაპობდა ღრუბლიან, ავდრიან ცას და ხმადაბალი ყიყინით ვილაცას უხმობდა...

ფრინველებზე რა უნდა ვთქვათ, როდესაც მოხუცმა კატერინამ, წელში მოხრილმა, მაგრამ ჯერ კიდევ მარჯვე დედაბერმა, ვერაფრით გადანყვიტა გამგზავრება.

– ვფიქრობ და ვერ გადამინყვიტია... – დაიჩვილა მეზობელთან. – ნავიდე, არ ნავიდე?.. ეგებ, თბილი დღეები გაგრძელდეს? რადიოში ლაყბობენ: ამინდის გაუარესებას გვპირდებიან. მარხვა დაიწყო, კაჭკაჭები კი ეზოს ჯერაც არ გაჰკარებიან. შობას ნათლისღება მოჰყვება და უკვე ჩითილების დარგვაზე უნდა იფიქრო. ტყუილუბრალოდ რატომ უნდა ნავიდე?

მეზობელი ნუხდა: გაზაფხულამდე, ჩითილების დარგვამდე, ჯერ ძალიან შორსაა.

– მობილა! – კატერინა ამაყად იმეორებდა ქალაქელი შვილიშვილის ნათქვამს. ლილაკს თითს დააჭერ და მარიას ხმა მოისმის, სხვა ლილაკს დააჭერ და კოლია გელაპარაკება. რომელთანაც გინდა დაიჩვილე. – რატომ უნდა ნავიდე? სახლ-კარი უპატრონოდ რატომ უნდა დავაგდო, მიუწინეობა...

ასე პირველად არ საუბრობდა. მეზობელთან მსჯელობდა, ბავშვებთანაც, მაგრამ უმეტესად საკუთარ თავს ეჩივინებოდა.

უკანასკნელ წლებში გამოსაზამთრებლად ქალაქში, ქალიშვილთან მიდიოდა. წლები თავისას შვრება: ძნელია ყოველდღიურად ღუმელის გახურება და ტალახსა და ყინვაში ჭიდან წყლის ზიდვა. დაეცემი, დაშავდები და ხელის შემშველებელი არავინაა.

ჯერ კიდევ ახლო წარსულში ხალხმრავალი სოფელი, კოლმეურნეობის გაუქმებისთანავე ადამიანებმა დატოვეს, სხვადასხვა მხარეს ნავიდ-წამოვიდნენ და სოფელი დაიცალა. დარჩნენ მხოლოდ მოხუცები და ლოთები. პურიც კი არ მოაქვთ, სხვა დანარჩენზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. ხანდაზმული ადამიანისთვის გამოზამთრება საძნელოა, ამიტომაც მიემგზავრებოდა თავისიანებთან.

მაგრამ საკუთარ კარ-მიდამოსთან, თბილ, შეჩვეულ ბუდესთან განშორება უჭირდა. სად წაიყვანოს ძაღლი, კატა, ქათმები? ვის მიაბაროს?.. სახლზეც გული შესტკივა. ლოთები შეძვრებიან, ყველაფერს წაიღებენ.

მტკივნეულია სიბერეში სხვაგან ცხოვრება, მართალია, ღვიძლი შვილები არიან, მაგრამ სულ სხვანაირად ცხოვრობენ და ახალ პირობებს უნდა შეეგუოს.

და ფიქრობდა: წავიდეს, არ წავიდეს?.. დედაბერთან სალაპარაკოდ მობილური ტელეფონი ჩამოიტანეს. ღილაკების დანიშნულებას დიდხანს უხსნიდნენ: რომლისთვის დაეჭირა, რომლისთვის ხელი არ ეხლო. როგორც წესი, ქალიშვილი ქალაქიდან დილაობით რეკავდა. მხიარული მელოდია აჟღერდებოდა და კოლოფში სინათლე ინთებოდა. თავიდან კატერინას ასე ეგონა, რომ პატარა ეკრანზე ქალიშვილის სახე გამოჩნდებოდა, მაგრამ მხოლოდ ხმა მოდიოდა, შორეული და ხანმოკლე.

– დედა, გამარჯობა! კარგად ხარ? ყოჩაღ! შეკითხვები გაქვს? ძალიან კარგი. გკოცნი. კარგად, კარგად!

შუქი ისე ქრება აზრზე მოსვლასაც ვერ ასწრებ და კოლოფიც დუმდება.

პირველ დღეებში დედაბერს ეს სასწაული მხოლოდ აკვირვებდა. ადრე სოფელში ტელეფონი კოლმეურნეობის კანტორაში იდგა და ყველაფერი გასაგები იყო: სადენები, დიდი შავი ყურმილი და რაც მთავარია დაუსრულებლად შეიძლებოდა ლაპარაკი. ტელეფონი კოლმეურნეობასთან ერთად გაქრა. ახლა მობილური გამოჩნდა. ღმერთს ამისთვისაც მადლობა.

– დედა! გესმის ჩემი?! ხომ ჯანმრთელად ხარ? ყოჩაღ! გკოცნი.

პირის გაღებასაც ვერ მოასწრებ, რომ კოლოფი უკვე ჩამქრალია.

– ეს რანაირი რაღაცაა... – ბუზღუნებდა დედაბერი. – ტელეფონი კი არა, ჩიტია. ერთს დაიჭყვივლებს: კარგად, კარგად... ესეც შენი კარგად. აქ კი...

აქ კი, სოფლურ ცხოვრებაში, ბევრი რამაა ისეთი, რომლის შესახებაც დაუსრულებლად გინდა ისაუბრო.

– დედა, გესმის ჩემი?

– მესმის, მესმის... ეს შენ ხარ, შვილო? ხმა კი თითქოს შენი არ არის, ჩახრინებულია. ხომ არ ავადმყოფობ? თბილად ჩაიცვი. ქალაქელეები მოდურად იცვამთ. თივთიკის თავშალი მოიხვიე, ყურადღებას ნუ მიექცევ, დაე გიყურონ, ჯანმრთელობა უფრო ძვირფასია. ახლახან ცუდი სიზმარი ვნახე. რას უნდა ნიშნავდეს? თითქოს ჩვენს ჭიშკართან უცნაური ცხოველი იდგა – კუდი ცხენის ება, თხის სიფათი ჰქონდა, თავზე რქებით.

– დედა, – ტელეფონში მკაცრი ხმა გაისმა. – საქმეზე ილაპარაკე და არა თხის სიფათზე. ჩვენ ხომ აგისხენით: ტარიფი, ფული იხარჯება.

– თუ ღმერთი გნამს, მაპატიე, – დედაბერი გამოერკვა. როდესაც ტელეფონი მოუტანეს, გააფრთხილეს, რომ მოკლედ უნდა ელაპარაკა, მხოლოდ მთავარზე.

მაგრამ რა არის ცხოვრებაში მთავარი? განსაკუთრებით მოხუცებულებისთვის... აკი ღამით მართლაც დაესიზმრა ცხენის კუდი და თხის საზარელი სიფათი. მოდი ახლა და იფიქრე რას უნდა ნიშნავდეს? ალბათ, კარგს არაფერს.

დღე გავიდა, სხვა დღეც მიჰყვა. დედაბრის ცხოვრება ძველებურად მიქროდა. დილაადრიან უნდა ამდგარიყო, დაეღაგებინა, ქათმები გამოეშვა, ფრინველი და პირუტყვი დაეპურებინა და თვითონაც წაეხეხსა. საქმე ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა.

სოფელი ოდესღაც უამრავ ოჯახს არჩენდა: ბოსტანი, საკარმიდამო ნაკვეთი. კარტოფილი მინდორზე მოჰყავდათ. ფარდული, ფარეხი, საქათმე. საზაფხულო სამზარეულო, სარდაფი, ფიცრული ღობე. სანამ თბილი ამინდებია მინა ნება-ნება უნდა თოხნო. ხელის ხერხით შეშა უნდა დახერხო – ნახშირი ძალიან გაძვირდა.

მოღრუბლული, თბილი დღე ფრთხილად მიიზღაზნებოდა. ხანდახან ყიყინი მოისმოდა. ეს შავი ბატი მიფრინავდა სამხრეთით, გუნდი გუნდს მიჰყვებოდა. მიფრინავდნენ, რომ გაზაფხულზე დაბრუნებულიყვნენ. სოფელში კი სასაფლაოს მდუმარება გამეფებულიყო. სოფლიდან წასულები უკან აღარ ბრუნდებოდნენ – არც გაზაფხულზე და არც ზაფხულში.

კიდევ ერთი დღე გავიდა. დილით მსუბუქად მოყინა. ხეები, ბუჩქები და მშრალი ბალახი თეთრად დათრთვილულიყო. დედაბერი გარეთ გამოვიდა, ირგვლივ იყურებოდა, სილამაზით ტკბებოდა და უხაროდა, არადა ყურადღებით უნდა ყოფილიყო. იარა, იარა, ნაბორძიკდა და ამოშვერილ ფესვზე მტკივნეულად დაეცა.

დღე ცუდად დაიწყო და არეულ-დარეულად გაგრძელდა.

დილით, როგორც ყოველთვის მობილური ტელეფონი განათდა და მუხისკა აჟღერდა.

– გამარჯობა, შვილო. ძალიან ცუდად დავეცი, – დაიჩივლა დედაბერმა, – ალბათ ფეხი სველ ფიცარზე ამიცურდა. სად... – აღელდა. – სად და ეზოში. კარის გასაღებად წავედი, სადაც შენი საყვარელი მსხ-

ალი დგას. შაქარივითაა. კომპოტს გიხარშავთ, თორემ დიდი ხნის წინ მოვჭრიდი. მსხალთან...

– დედა, – ტელეფონში შორეული ხმა გაისმა, – კონკრეტულად ილაპარაკე, რა მოხდა და არა ტკბილ მსხალზე.

– აბა, მე რაზე გელაპარაკები. იქ მიწიდან ფესვი ამოძვრა, როგორც გველი. ძირს არ ვიყურებოდი. სულელი კატა ფეხებში ამებლანდა. ეს ფესვი... ზაფხულში ვალოდიას რამდენჯერმე ვთხოვე: ღვთის გულისათვის, მოამორე. არადა, კარგად ისხამს.

– დედა, გეხვენები, კონკრეტულად ილაპარაკე. შენზე და არა მსხალზე. ნუ გავინყდება, რომ ეს მობილურია, ლაპარაკში ფული იხარჯება. რამე ხომ არ მოიტყებ?

– თითქოს არ მომიტყავს, – დედაბერმა შვილის ნათქვამი კარგად გაიაზრა. – კომპოტის ფოთლებს ვიდებ.

ქალიშვილთან ლაპარაკი ამით დასრულდა და საუბარი საკუთარ თავთან გააგრძელა: „რა მტკივა, რა არ მტკივა... ყველაფერი მტკივა, თითოეული ძვალი მტკივა. ისეთი ცხოვრება გამოვიარე...“

მტანჯველი ფიქრების მოსაშორებლად დედაბერი საქმის კეთებას შეუდგა. კიდევ რომ არ დავარდნილიყო, ცდილობდა მეტი დრო ჭერქვეშ გაეტარებინა. მერე კი სართავ ჯარასთან ჩამოჯდა. ძენძი, მატყლის ძაფი. ძველი სართავი ჯარას ბორბალი თანაბრად ტრიალებს. ფიქრები დაფივით იჭიმება და იჭიმება. ფანჯრებს მიღმა შემოდგომის დღეა, თითქოს ბინდბუნდია, აცივდა კიდევ. ღუმელი უნდა გაახუროს, მაგრამ შემა ცოტალაა დარჩენილი. შესაძლოა გამოზამთრებამ სოფელში მოუწიოს.

ამინდის პროგნოზს ელოდებოდა, რადიო დროულად ჩაერთო და მცირე დუმილის მერე ახალგაზრდა ქალის რბილი, ალერსიანი ხმა გაისმა:

– ძვლებში გამტვრევს?..

ისე დროულად ითქვა ეს გულითადი სიტყვები, რომ თავისდაუნებურად უპასუხა:

– კი, შვილო...

– ხელები და ფეხები გტკივა?.. – ისე კითხულობდა კეთილი ხმა თითქოს მის ცხოვრებას კარგად იცნობდა.

– საშველი არაა... ახალგაზრდობაში ვერაფერს ვგრძნობდი. მთელი ცხოვრება ძროხებს ვწველიდი და სალორეში ღორებს ვუწველიდი. ფეხსაც-

მელი არ გვექონდა, ზამთარსა და ზაფხულში რეზინის ჩექმები გვეცვა. მეტკინება, აბა რა იქნება...

– ზურგი გტკივით? – ლულუნებდა ქალის ხმა, თითქოს აჯადოებდა.

– მტკივა, შვილო... მთელი საუკუნე დიდ ტომრებს ზურგით დავა-თრევდი. როგორ არ მეტკინება... ასეთია ცხოვრება...

მართლაცდა იოლი ცხოვრება არ ჰქონია: ომი, ობლობა, მძიმე სა-კოლმეურნეო ცხოვრება.

ალერსიანი ხმა რადიოდან გაუთავებლად ლაპარაკობდა, მერე კი დადუმდა.

დედაბერმა წამოიტირა კიდევაც, თან საკუთარ თავს ლანძღავდა: „უტვინო ცხვარო... რას ღრიალებ?... მაგრამ მანაც ტიროდა და ტირილ-ისგან თითქოს გულს მოეშვა.

მოულოდნელად მელოდია აჟღერდა და გამოღვიძებული მობილური ტელეფონი აინთო. დედაბერი შეშინდა:

– შვილო, შვილო... მოხდა რამე? ავად ხომ არავინაა? მე კი ავფო-რიაქდი: უდროოდ რეკავ. ვიცი, ძვირფასი ტელეფონია, ბევრი ფული იხარჯება, მაგრამ იქ, იმ ფესვთან კინალამ მოვკვდი... – დედაბერი გამოერკვა: – ღმერთო, ისევ იმ ფესვზე ვლაპარაკობ. მაპატიე, შვილო...

შორიდან, მრავალი კილომეტრის მანძილიდან ქალიშვილის ხმამ მოაღწია:

– ილაპარაკე, დედა, ილაპარაკე...


– ვლაცობო კიდევაც. რაღაც ფიცარი, კატა... მსხლის ფესვი ფეხებ-ში შემომიძვრა. მოხუცებს ყველაფერი ხელს გვიშლის. მსხალი რომ არ გიყვარდეს, აქამდე მოვჭრიდი. ორთქლში გაატარებ, მერე გამოაშრობ, როგორც ძველად... კვლავ სისულელეს ვჩმახავ... მაპატიე, შვილო. გეს-მის ჩემი?..

შორეულ ქალაქში ქალიშვილს არა მარტო ესმოდა, თვალეზე ხელები აეფარებინა და მოხუცი დედა ელანდებოდა: პატარა, წელში მოხრილი, თეთრ თავსაფარში. უცებ იგრძნო, ეს ყველაფერი როგორი მყიფე და წამიერი იყო: სატელეფონო კავშირი, მოლანდება.

– ილაპარაკე, დედა... – ეხვეწებოდა და მხოლოდ ერთი რამის ეშინოდა: უცებ არ განწყდარიყო ეს ხმა და ეს სიცოცხლე. – ილაპარაკე, დედა, ილაპარაკე...

## ვლადიმერ კრუპინი

პროზაიკოსი ვლადიმერ კრუპინი დაიბადა 1941 წელს კიმზეში (კიროვის ოლქი). 1967 წელს დაამთავრა მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. რუსეთის მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე. ასწავლიდა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში. ჟურნალ „მოსკოვის“ მთავარი რედაქტორი 1990-1992 წლებში. 2011 წელს მიიღო რუსეთის საპატრიარქოს ლიტერატურული პრემია.



## იაპონელი მელიფტა

შორეულ იაპონიაში, ბივას ტბის პირას, ძველებურ სასმსართულიან სასტუმროში დაგვაბინავეს. ირგვლივ ყველაფერი მწვანეში ჩაფლულიყო. ზურმუხტისფერი, კიდეებზე ამოღუნულ და ნანვიმარზე ალაპლაპებულ სახურავიანი და მინის ვიტრაჟებიანი სასტუმრო ტბაში ირეკლებოდა. ირგვლივ უჩვეულო სიმყუდროვეს დაესადგურებინა. სასტუმროს იმითაც გაეთქვა სახელი, რომ თავის დროზე რუსეთის ტახტის მემკვიდრე, მომავალი იმპერატორი – ნიკოლოზ II სტუმრობდა.

გაკრეჭილ მდელოებზე მყივანა ფარშევანგები დაგოგმანებდნენ და მრავალფერ კუდებს შადრევნის ნაკადივით შლიდნენ. ფარშევანგებს შორის მსუქანი, თეთრი და შავი კურდღლები დახტოდნენ. სანაპიროზე კი უმოძრაოდ, მოთმინებით ისხდნენ მეთევზეები, რომელთა სანახავადაც დილაადრიან მივდიოდი და უკვე მეგობრულად ვესალმებოდი.

სასაუზმოდ დაბრუნებული მოჩუქურთმებულ პარმაღზე ხალიჩებიანი კიბით ავდიოდი. მერე კარს ვილაც უხილავი აღებდა და ზარის ნკარუნის თანხლებით ვესტიბიულის ხალიჩაზე ვაბიჯებ-

დი. კედლების გასწვრივ უზარმაზარი აკვარიუმები დაემწკრივებინათ, ჭერიდან ცოცხალი მცენარეები და სხვადასხვაფერი ქალაქის ფარნები ეშვებოდა. ეს ყველაფერი ძალიან ლამაზი იყო.

ვესტიბიულში იყო ლიფტი, რომელშიც ყოველ ჯერზე თავაზიანად და თბილად მეპატიჟებოდა მელიფტე ბიჭი, მაგრამ მეორე სართულზე ვცხოვრობდი და უცნაურობა იქნებოდა ლიფტით ერთი სართულის ავლა.

ლიფტის კარი მუდამ ღია იყო და ძალიან მაინტერესებდა, როგორ მოძრაობდა. ლიფტი ფერადი ნათურების ცეცხლით ნათდებოდა. კედლის სარკეები ისეთი ყვავილებით მოეხატათ, რომ მასში არეკლილი ადამიანი თავს სამოთხის ბაღში იგრძნობდა, მით უმეტეს, რომ ლიფტში სხვადასხვაფერ ჩიტებიანი გალიები ეკიდა. ლიფტი, ალბათ როგორც რელიკვია ისე შემორჩა, რომლითაც მნიშვნელოვანი მანდარინები<sup>1</sup> დაჰყავდათ. ისე, ლიფტში მხოლოდ მანდარინები არ შედიოდნენ.

ტბის სანაპიროდან დაბრუნებულმა ვესტიბიულში ენერგიულად შევაბიჯე და მელიფტე ბიჭს მივესალმე. მან ლიფტში მიმიპატიჟა. შევედი და თავი პატარა ჯადოსნურ კარავში ამოვყავი. მელიფტე თავაზიანად მიყურებდა და ჩემს მითითებებს ელოდა. კვლავ მეჩვენებოდა, რომ მეორე სართულზე ლიფტით ასვლა სისულელე იყო და სამი თითით მივანიშნე: მესამე სართული. კარი ისე დაიხურა, თითქოს ნაზმა სიომ დაჰქროლაო. ჩიტები აჟღურტულდნენ. ისე მსუბუქად და უხმოდ დავიძარი, ისე ნაზად და ისეთი თრთოლით, თითქოს ვიღაცას ხელის გულებით ძალიან ფრთხილად და მზრუნველად ავყავდით ცაში.

ესეც მესამე სართული. კარი მსუბუქად გაიხსნა – თითქოს გაქრაო და მესამე სართულის ხალიჩაზე გადავაბიჯე. და რა? რაღა თქმა უნდა, მეორე სართულზე ჩასასვლელად კიბისკენ ნავედი. უცებ მელიფტე ბიჭი დამენია, ხელი სახელოზე მტაცა და ღია ლიფტზე მიმითითა. როგორ უნდა ამეხსნა მისთვის, რომ მეორე სართულზე ვცხოვრობდი და ფეხითაც იოლად ჩავიდოდი. კვლავ ლიფტში დავბრუნდი, ჩიტები ისევე აჟღურტულდნენ და ისევე სამოთხის ყვავილებში ჩავიკარგე. მხოლოდ ერთი სართულით ხომ არ ჩავინაცვლებდით? პირველ სართულზე მივანიშნე.

<sup>1</sup> მანდარინი – მოხელე ძველიაპონურად

ქვევით ჩასული, ბუნებრივია, მეორე სართულზე ასასვლელად კიბისკენ გავემართე. მელიფტე ბიჭი კვლავ დამენია, კვლავ ლიფტში მიმიპატიჟა და კვლავ მესამე სართულზე ამიყვანა. გადავედი, ოდნავ მოვცილდი და ძველი გრაფიურები, სადაც სამურაების ბრძოლა იყო გამოსახული, მოჩვენებითი დაინტერესებით შევათვალიერე.

თვალები ლიფტისკენ გავაპარე – გაუნძრევლად იდგა. დროც აღარ მრჩებოდა, უნდა მესაუზმა და კონფერენციაზე წავსულიყავი. კიბისკენ შევბრუნდი. ბიჭი ლიფტიდან გამოხტა და თავი დამიკრა. იძულებული გავხდი, ორი თითი აღმემართა და ასე მიმეხვედრებინა, რომელ სართულზე ვცხოვრობდი.

მან, ალბათ, იფიქრა, რომ წვეროსან რუს ძიას სამამდე ანგარიში არ შეეძლო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მესამე სართულზე რატომ ავიდოდი, როდესაც ჩემი ნომერი მეორე სართულზეა? მივხვდი, ბიჭი ჩემმა ქცევამ ძალიან გაახალისა. არც არაფერი იყო გასაკვირი, რადგან მომხდარის გამო საკუთარ თავს თავადვე დავცინოდი. შემდგომ დღეებში ჩვენ ერთმანეთს ვესალმებოდით და მეორე სართულზე თამამად მივყვებოდი. სარკეებში არეკლილ, სხვადასხვაფერად აელვარებულ ცეცხლოვან ნათურებში მეც ვჩანდი.

პროფესორმა ნაკამოტომ ლიფტით მოგზაურობაზე ჩემი მონათხრობი რომ მოისმინა, ბევრი იცინა. მან ბრწყინვალედ იცოდა რუსული და ვთხოვე, მელიფტე ბიჭისთვის ეთქვა, რომ რუსი ძია ძალიან გაუნათლებელია და სამამდეც კი ვერ ითვლის. როდესაც მელიფტე ბიჭმა თვალი მომკრა, მრგვალი ქუდი მოიხადა, სახეზე აიფარა და სიცილი წასკდა.

ერთხელ მაშინ შევაველი თვალი, როცა ვერ მხედავდა. ის თავის ფერადოვან თავშესაფარში პატარა მოხუცივით ძალიან სევდიანად იჯდა. ადვილი ხომ არ არის – დღეში, სულ ცოტა, თოთხმეტ საათს მუშაობდა და არასოდეს მინახავს, რომ შეეცვალოთ.

გამომგზავრებამდე რუსული მატრიოშკა ვაჩუქე. ძალიან გაუხარდა! ლიფტისკენ გაიქცა და მიმახვედრა, რომ მატრიოშკა ამიერიდან ჩიტების ორ გალიას შორის იდგებოდა და იქაურობა უფრო გამხიარულდებოდა.

როდესაც მივემგზავრებოდით და ბარგი ვესტიბიულში გამოვიტანეთ, ჩემთან მოირბინა და მსუბუქი ბუმბულეებისგან გაკეთე-

ბული სათამაშო ჩიტი მაჩუქა. სასტუმროსთან ავტობუსი ჩამოდგა. ბიჭმა წიგნებითა და ალბომებით დატვირთული ჩანთა ხელიდან გამომგლიჯა და ავტობუსისკენ წაათრია. ფული რომ გაეუნოდე, უკან გახტა. ნაკამოტო სანმა მითხრა, რომ ჩანთა გასამრჯელოსთვის კი არ მიჰქონდა, არამედ მეგობრობის გამო. ავტობუსი დაიძრა. მელიფტე ბიჭი პარმალზე იდგა, ხელი გულზე მიედო და თავს მიკრავდა. სწორედ ასეთად დამამახსოვრდა.

იაპონიიდან დაბრუნებულმა ცხოვრება ჩვეული რიტმით განვაგრძე. ხშირად ვიგონებ ბივას ტბას, სასტუმროს, ლიფტს, იმ ბიჭს და მიხარია, რომ ჩემი მატრიოშკა მასთან ერთად ზევით-ქვევით დადის. ალბათ, ხანდახან მასაც ახსენდება წვეროსანი რუსი ძია, რომელმაც სამამდე დათვლა არ იცოდა.



## ლუდმილა ულიცკაია

პროზაიკოსი ლუდმილა ულიცკაია დაიბადა 1943 წელს ურალში. 1968 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი.

მიღებული აქვს: პრემია „მედიჩი“ (საფრანგეთი, 1996), პრემია „პენე“ (იტალია, 1997), ჯუზეპე აჩერბის პრემია (იტალია, 1998), პრემია „მედიჩი“ (საფრანგეთი, 1998), პრემია „რუსული ბუკერი“. არის პირველი ქალი, რომელმაც ეს პრემია მიიღო (2001), პრემია „წლის ნიგნი“ (2004), რუსეთის ნაციონალური ლიტერატურული პრემია (2005), პრემია „პენე“ (იტალია, 2006), პრემია „დიდი ნიგნი“ (2007), გრინცანე კავურის პრემია (იტალია, 2008), ჟურნალ „ზნამიას“ პრემია (2010), სიმონ დე ბოვუარის პრემია (საფრანგეთი, 2011), არის საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი (საფრანგეთი, 2014), პრემია „დიდი ნიგნი“ (2016).



## ისინი ცხოვრობდნენ დიდხანს...

იმდენად დიდი ხნის წინ მოხუცდნენ, რომ სამოცი წლის ქალიშვილებს – ანასტასიასა და ალექსანდრას მშობლების ახალგაზრდობა თითქმის არ ახსოვდათ. ხანგრძლივი ცხოვრებისას დაეღუპათ ყველა ნათესავი, მეგობარი, მეზობელი – გაქრნენ სახლები, ქუჩები, ქალაქებიც კი, რაც გასაკვირი სულაც არ არის, რადგან მათ გადაიტანეს ორი რევოლუცია, სამი ომი, უთვალავი მწუხარება და გაჭირვება. ისინი კი, გარდაცვლილებისგან განსხვავებით, წლების მატებასთან ერთად სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდნენ.

ნიკოლაი აფანასევიჩი და ვერა ალექსანდროვნა მარადიული ცხოვრებისაკენ თავისებურად მიდიოდნენ: ქმარი იძენდა ხის სიმტკიცესა და ყვავის გარეგნობას – დიდცხვირასი, რომელიც კისერს ვერ ამოძრავებს. კანი მთლად გამოუშრა, ხელები და ტანი წინიბურასფერი ლაქებით დაეფარა. ქერა კაცი მუქსახიან, მუყაოსფერ ბერიკაცად იქცა, მოყავისფრო მელოტი თავით. ცოლი კი კარრარის

მარმარილოსავით ბერდებოდა – ცივ სახეზე სითბოსა და სიცოცხლის გამომხატველი მოყვითალო ელფერი და მრისხანე მონუმენტურობა დაჰკრავდა.

ვერა ალექსანდროვნას ექიმები გამუდმებით წონის დაკლებასა და დიეტის დაცვას ურჩევდნენ – ორმოცდაათი წლის წინათ კვების ინსტიტუტშიც კი დანვა, პროფესორ პევზნერთან, თუმცა სამოცდაათი წლის რომ გახდა ექიმები წონაზე აღარ ესაუბრებოდნენ. ის ყოველთვის ისე ჭამდა, როგორც საჭიროდ თვლიდა. ვერა ალექსანდროვნას კვების განრიგი მკაცრად ჰქონდა განსაზღვრული – საუზმე, სადილი, ვახშამი და არავითარი ბუტერბროდები. მთავარია სურსათი ხარისხიანი, კერძი კი ახალი მომზადებული ყოფილიყო.

შემიშობის წლებში, ქალი სადილის მენიუს შედგენისას დიდ გამომგონებლობას იჩენდა, არადა ძირითადი პროდუქტი ხორბალი და კარტოფილი იყო. ნიკოლაი აფანასევიჩი სახელმწიფოსგან სურსათს იღებდა, რადგან მოსკოვის უძველეს ინსტიტუტში ყველა ინჟინრისათვის საჭირო საგანს – „მასალათა გამძლეობას“ ასწავლიდა.

დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა ის წლები, როდესაც ვერა ალექსანდროვნა საკუთარი ხელით რეცხავდა, ასუფთავებდა, ხარშავდა, – ამ საქმეს ახლა უკვე ქალიშვილები აკეთებდნენ. ისინი მრავალწლიანი უნაყოფო ქორწინების შემდეგ, ყოველგვარი სამედიცინო პროგნოზების საწინააღმდეგოდ დაიბადნენ, იმ დროს, როდესაც ვერა ალექსანდროვნას უშიშროებაზე გული აღარ სწყდებოდა და ამასი რალაც უპირატესობასაც კი ხედავდა, მოულოდნელად ორნი დაიბადნენ. აქამდე ქალი დიასახლისის ცხოვრებით ცხოვრობდა. მუშაობას კი არ გაუბოდა, არამედ სამსახურში მონყობისას ანკეტის შევსებას არიდებდა თავს. ვერა ალექსანდროვნას თავადური გვარი თითოეული რუსისთვის ისტორიის სახელმძღვანელოებიდან და ქუჩების დასახელებებიდან იყო ცნობილი. ნიკოლაი აფანასევიჩი, მიუხედავად მისი არისტოკრატიული გარეგნობისა, ტამბოველი გლეხი იყო. მამამისი იმპერიალისტურ ომში დაიღუპა, რამაც ოჯახი დევნიდან იხსნა. აფანასევიჩი ფრთხილი კაცი იყო, ამასთან ერთად ეშმაკიც, მთელი ცხოვრება თავს იკატუნებდა, თითქოს ცუდად ესმოდა. სამსახურში ახირებულ კაცად იცნობდნენ, მაგრამ ბრწყინვალე სპეციალისტი იყო. სოციალიზმის გაშლილი მშენებლობისას ყველა ნაგებობის გაანგარიშება, როგორც წესი, შესამომნებლად

მასთან იგზავნებოდა. ის კარგი თეორეტიკოსი იყო, პრაქტიკულ საქმიანობაში კი ყველაზე დიდ ავტორიტეტად ითვლებოდა.

მეუღლეებს შორის სრული ჰარმონია და ურთიერთგაგება სუფევდა. ვერა ალექსანდროვნას გაკეთებული საქმეები ქმრის ხელწერის მსგავსი იყო: სიზუსტე, გულმოდგინება, სიძულვილი ნებისმიერი მიმბაძველობისადმი.

მეოჯახეობასა და ხელსაქმეობას ვერა ალექსანდროვნა გოგონებს საგულდაგულოდ ასწავლიდა, თუმცა, აბა ვის აინტერესებდა ნაჩვრეტებიანი გვირისტის გაკეთება, სახლის პირობებში ფეტრის ქუდის გასუფთავება და პირველი ხარისხის ფქვილით საუკეთესო შუს გამოცხობა... რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს ემატებოდა ის საგნები, რომლებსაც ალექსანდრა და ანასტასია საბჭოთა სკოლაში სწავლობდნენ. ევაკუაციისას, ქალაქ კუიბიშევეში სამი წელი ცხოვრობდნენ და გოგონები დედას დღეობებზე და გასართობად კი არ დაჰყვებოდნენ, ვედროებითა და ბიდონებით წყალს ეზიდებოდნენ. ზამთარში წყალსადენში წყალი ხშირად იყინებოდა და ქალაქის წყალმომარაგება ფერხდებოდა.

ადრეული ბავშვობიდანვე, ნახევრად არისტოკრატი გოგონები, რაღაც ერთგვარი შიზოფრენიით იყვნენ შეპყრობილნი – თანატოლები დებთან არ მეგობრობდნენ და არც ტყუპები ინუხებდნენ თავს მათთან საერთო ენის გამონახვით. ამ დანაკარგს კი იმ საოცარი ურთიერთობით ინაზღაურებდნენ, რომელიც მხოლოდ ტყუპებს ახასიათებთ ხოლმე. დედა მკაცრი და მომთხოვნი იყო, მამას კი იშვიათად ხედავდნენ, რომელიც გამოსასვლელი და სადღესასწაულო დღეების ჩათვლით თავდაუზოგავად მუშაობდა. მამასთან ორივე მოკრძალებული იყო, დედისა კი ეშინოდათ და მშობლები ერთგვარი მონური სიყვარულით უყვარდათ.

ნიჭიერმა გოგონებმა, თხუთმეტი წლის ასაკში, მანდილოსნებისათვის აუცილებელი ჩვევები აითვისეს, ფრანგული ენის ჩათვლით, რომელიც დედამ შეძლებისდაგვარად შეასწავლათ. სკოლაში წარჩინებით სწავლობდნენ, მაგრამ ვერა ალექსანდროვნამ გადანყვეტილება მიიღო, რომ უმაღლესი განათლება საჭირო არ იყო – უმაღლესი განათლება არც მას ჰქონია. როდესაც ვერა ალექსანდროვნამ ეს ქმარს აცნობა, კაცი არ დაეთანხმა. ცხოვრებაში პირველად, მეუღლეებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა, რო-

მელიც მალევე მოგვარდა. ნიკოლაი აფანასევიჩი მიეჩვია, რაც მის პროფესიულ საქმიანობას არ ეხებოდა, ყველაფერი მეუღლისთვის მიენდო. ცოლი კი თვლიდა, გოგონები თუნდაც მედდის ან ბიბლიოთეკარის პროფესიას რომ დაუფლებოდნენ და ცოლად წესიერ ადამიანებს გაჰყოლოდნენ, ცხოვრებას ღირსეულად გალევდნენ. გარდა ამისა, ვერა ალექსანდროვნას ყურადღების მიპყრობის შიში ჰქონდა. თავის დროზე ნიკოლაი აფანასევიჩს დანინაურება შესთავაზეს, მაგრამ ცოლმა გადააფიქრებინა და შესაძლოა, ამით, არა მარტო ქმრის სიცოცხლე, არამედ მთელი ოჯახი გადაარჩინა...

– მედდა კარგი პროფესიაა. ყველა დროს საჭიროა, ლუკმა პურის გარეშე არ დარჩებიან. ნიკოლაი, არ დაივიწყო, რომ ჩვენი გოგონები არაჩვეულებრივი დიასახლისები არიან, – ვერა ალექსანდროვნა ამას სიამაყით ამბობდა. – ჩვენ ვბერდებით, მედეები კი სახლში გვეყოლებიან...

– იქნებ სამედიცინო ინსტიტუტში უკეთესი იყოს? – ბოლოჯერ გაიბრძოლა ნიკოლაი აფანასევიჩმა.

– არა, არა, ძალიან მძიმე პროფესიაა, – მოკლედ მოუჭრა ვერა ალექსანდროვნამ. ნიკოლაი აფანასევიჩი, რომელიც სტუდენტებისგან აზრის სიცხადესა და მსჯელობისას ლოგიკურ თანამიმდევრობას ითხოვდა დადუმდა, რადგან მეუღლე ვერა უფრო ძლიერად უყვარდა, ვიდრე სიცხადე და ლოგიკა.

გოგონები, სკოლის დამთავრებისთანავე, მოსკოვის სამედიცინო სასწავლებელში ჩაირიცხნენ და სამი წლის შემდეგ მედიცინის დები გახდნენ – ორივემ წითელი დიპლომი მიიღო... მუშაობა ბოტკინის საავადმყოფოში დაიწყეს, სადაც პროფესიის კიდევ ერთი ღირსება გამჟღავნდა – განყოფილებებში სადღეღამისო მორიგეობა იყო და განრიგი შეიძლებოდა ისე შემდგარიყო, რომ ვერა ალექსანდროვნას ერთი ქალიშვილი ყოველთვის ცხვირწინ ჰყოლოდა – მოსაუბრედ, ასევე წვრილმანი დავალებებისთვის, რაც დაკავშირებული იყო სადილის მომზადებასთან, ბინის დალაგებასთან და გასეირნებასთან.

რალაც დროიდან ვერა ალექსანდროვნა შინიდან მარტო აღარ გადიოდა. ტანადს, ზამთარში დიდი ქურქი ეცვა, ზაფხულში კი მსუბუქი სამეული. ის მიდიოდა რომელიმე ქალიშვილთან ერთად. გოგონები დედას არც სიმაღლით გამოემსგავსნენ და არც სახით

გამოირჩეოდნენ. ქალს ეჭირა ზამშის შავი, ან ყავისფერტყავიანი, ან ძველისძველი თეთრი ჩანთა. ქალიშვილს კი უთუოდ ეკავა კალათა და ბადე-ჩანთა, ბოლო წლებში კი – ცელოფანის პარკი. კალათიდან ამოშვერილი იყო თევზის კუდი ან ქარხლის ფოჩი, ან რალაც სანოვაცე. ქალიშვილებს ჩაცმით მუდამ მოკრძალებით ეცვათ – გახამებული თეთრი საყელოები და ნაკეცებიანი ქვედატანი. ტანი გამართულად ეჭირათ და მხრები ძირს ჰქონდათ დაშვებული – არ მოიკუზოთ, არ მოიკუზოთ! – დედა ბავშვობიდანვე აჩვევდათ ნელგამართულ სიარულს.

სანამ ქალიშვილებს ოცდაათი წელი შეუსრულდებოდათ, ვერა ალექსანდროვნა მიიჩნევდა, რომ დასაოჯახებლად ძალიან ინფანტილურები იყვნენ; ხოლო როდესაც ოცდაათს გადასცდნენ, იმ აზრამდე მივიდა, რომ ქორწინება მათი საქმე არ იყო. ნიკოლაი აფანასევიჩი ცოლს არასდროს ეპასუხებოდა, წლიდან წლამდე კი ისეთ აზროვნებას მიეჩვია, საკუთარი თავი ვერა ალექსანდროვნა ეგონა. თავის მხრივ, ვერა ალექსანდროვნა მეუღლის თითოეული ჩქამისადმი ისეთი მგრძნობიარე იყო, რომ სანამ კაცს კუჭის სიმძიმის შეგრძნება შეაწუხებდა და ფერდში მჭვალი დაადგებოდა ქალიშვილებს გვირილას ჩაის ათი წუთით ადრე აყენებინებდა.

ოთხმოცი წლისას ვერა ალექსანდროვნას დიაბეტი გაუჩნდა და სიცოცხლის უკანასკნელი თხუთმეტი წელი შაქარს აღარ გაკარებია, რამაც დესერტის მომზადება გაართულა. შაქრის შემცველელები სითბურ დამუშავებას ვერ უძლებდნენ და ანასტასია და ალექსანდრა საათობით ტრიალებდნენ სანაყინე ჭურჭელთან, რათა ისეთი სასუსნავი გაეკეთებინათ, რომელიც ტკბილიც იქნებოდა და არც დედის ჯანმრთელობას ავნებდა.

იმავე წლებში ნიკოლაი აფანასევიჩს გულის იშემიური დაავადება აღმოაჩნდა.

მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ მათი ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ქალიშვილები პენსიაზე გასულიყვნენ. პენსიამდე ხუთი წელი აკლდებოდათ, მაგრამ ანასტასიასა და ალექსანდრას ზედმეტი სამუშაო სტაჟი ჰქონდათ, რომელიც ოცდაათ წელს უახლოვდებოდა.

ალექსანდრა პენსიაზე გავიდა, ანასტასიამ კი უარი თქვა. ვერა ალექსანდროვნამ ეს ამბოხი ძალიან განიცადა, თუმცა ორმოცდაათი

წლის ქალიშვილი თავისაზე ჯიუტად იდგა და ცხოვრებაში პირველად დედის სიტყვა უძღური აღმოჩნდა. ერთადერთი, რასაც მიაღწია – ქალიშვილი საავადმყოფოს განყოფილებიდან პოლიკლინიკის რენტგენის კაბინეტში გადავიდა, სადაც ყოველდღიურად კი დადიოდა, მაგრამ სამუშაო დღე იყო შემცირებული.

ალექსანდრა დედის სურვილს წინ ვერ აღუდგა. ანასტასიას პროტესტი ნამდვილი რევოლუცია იყო, რამაც მის სულში გრძნობათა ქარიშხალი გამოიწვია. მთელი ცხოვრება ნებაყოფლობით მორჩილებაში იცხოვრეს და დები თითქმის ერთ ორგანიზმად, თუ მექანიზმად იქცნენ. ტყუპის ცალი კი ამ აწყობილ მანქანას ამსხვრევდა.

ანასტასია ყოველ დღით, შვიდ საათზე ჩანთაში ბუტერბროდებს ჩაილაგებდა და სახლიდან გადიოდა. ალექსანდრა კი ხელსაბანის თავზე დაკიდებულ დოლბანდის პარკს ხსნიდა, რომელშიც დედისთვის გაკეთებული ხაჭო იწურებოდა. მერე მაცივრიდან კვერცხს იღებდა, წყალში ჩაშვებამდე ათბობდა და ორმოცი წუთი შვრის ფაფას ხარშავდა, რომელსაც დიდი ვერცხლის კოვზით ურევდა. საუზმე რვა საათსა და ოცდაათ წუთზე მიჰქონდა, სადილი – ორზე. სამ საათზე შინ დაბრუნებული ანასტასია, მაშინ როცა ვერა ალექსანდროვნა ალექსანდრას თანხლებით აუჩქარებლად სეირნობდა, საზიზღარ წვნიანს მარტო ხვრებდა.

სალამოს საათებს ანასტასია მშობლებს უთმობდა: ამზადებდა ვახშამს, რომელიც ოჯახური ტრადიციით დღის მთავარი სუფრა იყო. იმ დროისთვის ყველა უკვე შინ იყო ხოლმე და შვიდ საათზე მთელი ოჯახი მაგიდასთან იკრიბებოდა. როგორც წესი, ორი კერძი იყო: თევზი და რაიმე მოზრანული, როსტბიფი და სუფლე, ან რაიმე ხილის... მენიუს ვერა ალექსანდროვნა ერთი დღით ადრე ადგენდა. ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრიდან სურსათის შოვნა კვლავ გაძნელდა, მაგრამ ნიკოლაი აფანასევიჩს სურსათით სახელმწიფო უზრუნველყოფდა და შეკვეთილ პროდუქტებს ალექსანდრა ხუთშაბათობით მეორმოცე გასტრონომში იღებდა. სამ დღეში ერთხელ მოსკოვის გარეუბნიდან მერძევე ქალი ჩამოდიოდა. ხანდახან ბოსტნეულსაც იმ ქალს უკვეთავდნენ.

მშობლები კარგ ფორმამი იყვნენ. მიუხედავად დიაბეტისა, მკაცრი შეზღუდვებისა და ყოველდღიურად ნემსის ჩხვლეტისა ვერა ალექსანდროვნამ როგორც იქნა ზედმეტი კილოგრამები დაიკლო.

მიუხედავად იმისა, რომ სისუსტეს უჩიოდა, სასეირნოდ ყოველდღიურად გადიოდა, კითხულობდა წიგნებს და უყურებდა ტელევიზორს. მისი ოთხმოცდაათი წლის იუბილევ იზეიმეს.

ასაკობრივი სირთულეები ნიკოლაი აფანასევიჩს ცუდად გადაჰქონდა, უფრო სიტყვაძვირი გახდა და მხოლოდ ცოლის შეკითხვებს პასუხობდა, მასთან ურთიერთობა კვლავინდებურად სიამოვნებდა. საღამოობით დიდ ოთახში გადიოდა, ამოჩემებულ სავარძელში ჯდებოდა და თვლემდა.

ვერა ალექსანდროვნას, ოთხმოცდათხუთმეტი წლისას დიაბეტური განგრენა დაეწყო. ქალიშვილები მალამოებისა და ბალახების საფენებს ადებდნენ, მაგრამ სიშავე ზევით მოცოცავდა. ბოლოს პოლიკლინიკიდან მოსულმა ქირურგმა განაცხადა, რომ სიცოცხლის შენარჩუნების ერთადერთი შანსი ფეხის ამპუტაციააო.

დედა საავადმყოფოში გადაიყვანეს. ანასტასია სამსახურიდან სასწრაფოდ გათავისუფლდა და დედის პალატაში დასახლდა. ოპერაციის წინა საღამოს ვერა ალექსანდროვნამ უბრალოდ და პირდაპირ თქვა:

– მაპატიეთ, რომ მთელი ცხოვრება ჩვენს წარმომავლობას ვმალავდი, – დედამ თავადური გვარი დაასახელა, რასაც ანასტასიაზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია:

– რას ამბობ, ამას ვინ იფიქრებდა...

ვერა ალექსანდროვნა საავადმყოფოში პირველად იწვა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამშობიარო სახლს, სადაც სამოცწელზე მეტი ხნის წინათ ქალიშვილები გააჩინა.

ალექსანდრამ მამა დააპურა და დედასა და დას საავადმყოფოში სადილი წაუღო, რომელიც ძველი კოფთისგან შეკერილ თოფრაკში გაახვია. ანასტასია კი დედას გვერდიდან არ სცილდებოდა.

ნიკოლაი აფანასევიჩი ადგილს ვერ პოულობდა. ვერა ალექსანდროვნას არყოფნაში მთლად მოიშალა, კუთხიდან კუთხეში დააბიჯებდა და ავიწყდებოდა, სად და რისთვის მიდიოდა. მერე იღლებოდა, სავარძელში ჯდებოდა, ათი წუთით ჩათვლემილი ისევ ფეხზე დგებოდა და ისე წრიალებდა, თითქოს რალაცას ეძებდა...

ვერა ალექსანდროვნა ოპერაციიდან მეთათე დღეს დაიღუპა. შესაძლოა, ინფექცია შეეჭრა, ანდა ოპერაცია ვერ გადაიტანა, მაგრამ მიზეზი ალბათ ის იყო, რომ ღვთისგან ბოძებულ ასაკს გადააბიჯა.

დები სახლში უხმოდ ბრუნდებოდნენ. ჩანთაში ელაგათ დედის ნივთები: ტოლჩა, ფლანელის ზედატანი, ცხვირსახოცები დედის ინიციალებით, მაკრატელი, თმის სარჭები... სახლიდან წაღებული, გაზეთში გახვეული შესადგმელი ლამის ქურჭელიც თან მიჰქონდათ.

მამა სავარძელში იჯდა და გვერდზე ჩაკიდებული, ყავისფერ შარფში ჩაძირული მელოტი თავი მოუჩანდა. როდესაც ქალიშვილები ოთახში შევიდნენ, შეკრთა.

– ამდენი ხანი სად ხართ... დედა როგორაა?

– ძველებურად.

– ვივანშმოთ, – თქვა მამამ.

ვივანშმეს. დებმა დედის სიკვდილი ვერ გაუმხილეს. დუმდნენ. მამამ აბაზანის მომზადება ითხოვა.

მრავალი წელია მოხუცებს დები აბანავებდნენ. ყველაფერი მოფიქრებული და გათვალისწინებული ჰქონდათ: აბაზანაში ჩასასვლელად სპეციალურ კიბეს ხმარობდნენ, ჩამოსაჯდომად ბალის პლასტიკის სკამს ოთხად მოკეცილ დაძენილ პირსახოცს აფარებდნენ, ხოლო ბებრული, გაუხეშებული ფრჩხილების დასარბილებლად კი პატარა ტაშტში ცხელ წყალს ასხამდნენ... მან კი უცებ აბაზანაში ჩანოლა მოითხოვა.

– მამა, ვახშმის შემდეგ აბაზანის მიღება კარგი არაა, – ანასტასია შეეცადა განზრახვაზე ხელი აეღებინებინა.

– ალექსანდრა, გამპარსავ და უღვაშებს შემისწორებ, – ბერიკაცს წინააღმდეგობისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ალექსანდრე აფანასევიჩს ხან მართლა არაფერი ეყურებოდა, მაგრამ დროდადრო შესანიშნავად ესმოდა...

– მამა, სამი დღის წინ დაგბანეთ, არ გახსოვს? – ახლა ალექსანდრამ სცადა მამის დაყოლიება.

ბერიკაცს არაფრის გაგონება არ სურდა.

– შენთვის აბაზანა სასარგებლო არაა, იქნებ შხაპი მიიღო? – წამოიყვირა ანასტასიამ.

– ათ წუთში მზად იყოს. შვილო, საპირფარეშომდე მიმაცილე... – თითქოს არაფერიო, გააგრძელა მამამ.

დებმა ერთმანეთს გადახედეს. ალექსანდრა აბაზანის მოსამზადებლად წავიდა, ანასტასიამ კი მამა საპირფარეშომდე მიიყვანა.

მამა დაბანეს, გაპარსეს, ხელისა და ფეხის თითებზე ფრ-

ჩხილები დააჭრეს, დაუმოკლეს უღვაში. ყველაფერს მარჯვედ აკეთებდნენ. მერე ცისფერ-ნაცრისფერ ზოლებიანი ახალი პიჟამა ჩააცვეს, წამლები დაალევიან და ორადგილიან სანოლში მარცხენა მხრიდან ჩაანვიანეს. მშობლებს მთელი ცხოვრება ასე ეძინათ – მამას მარცხნივ, დედას მარჯვნივ.

– წადით, წადით! – ბერიკაცმა ხელი კარისკენ გაიქნია, მერე ტუმბაზე მოაფათურა, სათვალე მონახა და ხელი კიდეც ერთხელ გაიქნია, – აბა, წადით!..

მაგიდასთან დები დიდი ხანი ისხდნენ და ვერაფრით გადაეწყვიტათ როგორ მოქცეულიყვნენ. მამის გაუფრთხილებლად დედის დაკრძალვა შეუძლებელი იყო, ხოლო მამისთვის მეუღლის სიკვდილის გამხელის აუცილებლობა ისეთი მტანჯველი და საძნელო, რომ დედის სიკვდილი ლამის გადაავიწყდათ. ისინი ჩუმად, მაგრამ გაცხარებით კამათობდნენ მამისთვის როგორ ეთქვათ, ან საერთოდ ეთქვათ თუ არა და თუ ეტყოდნენ, როგორ და როდის... თუმცა, რამდენ ხანს დაუმალავდნენ...

დაკრძალვის დღე დანიშნული არ ჰქონდათ. ყველაფრის ორგანიზება იყო საჭირო, მათ კი ამ საქმისა არაფერი გაეგებოდათ. სასაფლაოზე ადგილი არ ჰქონდათ და არც საგვარეულო საფლავი არსებობდა...

ისინი გვიანობამდე ისხდნენ. ლაპარაკობდნენ, დუმდნენ და ტიროდნენ... მერე დასაძინებლად პატარა ოთახში დანვნენ, რომელსაც ისევ საბავშვო ერქვა. ვინრო სანოლებზე ეძინათ, რომლებზედაც გადაფარებული იყო მრავალ ადგილას დაკემსილი, თერთი აბრეშუმის გადასაფარებელი.

დილით ადრე ადგნენ, რათა საავადმყოფოს მორგში წასულიყვნენ და ყველაფერზე მოელაპარაკათ. ალექსანდრას საღამოს ხაჭოს დაკიდება დაავიწყდა და ახლა ტრადიციული საკვების მომზადებას ველარ მოასწრებდა... დაიბნა და ფაფის მოსახარშად წავიდა. მამა ჩვეულებისამებრ რვის ნახევარზე იღვიძებდა და ახველებდა. ახლა რვას უკვე თხუთმეტი წუთი აკლდა, ის კი არ გამოდიოდა.

ალექსანდრამ დააკაკუნა და შევიდა. მამას ჯერ არ გაელვიდა და საერთოდაც ველარასოდეს გაიღვიძებდა. დებს აღარ მოუწევდათ იმაზე ღელვა, თუ როგორ ეცნობებიანთ დედის სიკვდილი. გამოსავალი თავადვე გამოიხატა.

მშობლები შორს, ახალ სასაფლაოზე ერთ დღეს დაკრძალეს, დეკემბრის პირველი ყინვების დადგომისას.

დაკრძალვაზე დების გარდა არავინ ყოფილა. ანასტასიამ წინადლით მამის ინსტიტუტში დარეკა, მაგრამ როგორღაც მარცხიანად, ვინც ნიკოლაი აფანასევიჩთან მუშაობდა ხმა ვერავის მიანვდინა. მეზობლებს მშობლები არ იცნობდნენ. ნათესავები, როგორც ცნობილია, ამოიხოცნენ... ისინი დიდხანს, იმდენად დიდხანს ცხოვრობდნენ, რომ საკუთარი სახელის დავიწყებასაც კი მოესწრნენ.

ცარიელ სახლში, სადაც მშობლებს აღარაფერი ესაჭიროებოდათ, გავიდა რამდენიმე მტანჯველი, დაუსრულებლად გრძელი დღე. დები ოთახებში დაეხეტებოდნენ და ხელს ვერაფერს ჰკიდებდნენ, ვერც მშობლების, უფრო ზუსტად დედის ოთახში და ვერც მამის კაბინეტში. სალაპარაკოც არაფერი ჰქონდათ. ალექსანდრა სადილს მექანიკურად ხარშავდა, მერე მექანიკურად ჭამდნენ. მტვერს ქათქათა ჩვრით წმენდდნენ. შეაგროვეს და გარეცხეს ლოგინის თეთრეული, მერე გაახამეს, მიძიმე უთოთი გააუთოეს და მშობლების სანოლზე გადააფარეს.

როგორც იქნა ალექსანდრამ თავჩაქინდრულმა თქვა:

– იცი, ანასტასია, ვწუხვარ რომ ურწმუნოები ვართ. ეგებ ეკლესიაში წავსულიყავით.

– გინდა და წადი, – მხრები აიჩეჩა ანასტასიამ.

– შეიძლება წავიდე? – თავი ასნია ალექსანდრამ.

– ახლა ყველაფერი შეიძლება, – გაიცინა ანასტასიამ.

– დედას ეკლესია ასე რატომ სძულდა?

ანასტასიამ დას შეხედა:

– ალექსანდრა, დამავიწყდა მეთქვა, დედამ სიკვდილის წინ თვისი წარმომავლობა გაამხილა. ჩვენ დედის მხრიდან... – და დედის ქალიშვილობის გვარი დაასახელა. – ახლა ხვდები, რატომ არ გვაქვს არც ერთი ფოტოსურათი, არც ერთი ქალაღის ნაგლეჯი, მათ წარსულის ძალიან ემინოდათ. ეკლესია კი... არ ვიცი. ერთხელ წამოსცდა, რომ ბავშვობაში ძალიან უყვარდა აღდგომა, მსახურებაზეც დადიოდა. ვფიქრობ, ღმერთზე იყო ნანყენი.

– რატომ? – გაუკვირდა.

– არ ვიცი...

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და დებს განწყობა გაუუარესდათ.

- ასია, როგორღა უნდა ვიცხოვროთ? - ჩუმაღ იკითხა ალექსანდრამ.

ანასტასიამ წვნიანით სავსე მათლაფა აიღო, განვდილი ხელეზბით ფრთხილად წავიდა და ტუალეტში ჩალვარა.

- კარგად ვიცხოვრებთ, მარტივად ცხოვრებას დავინწყებთ. დასანყისისთვის, საჭმლის მომზადებას შევეშვათ.

- ეს როგორ? - გაცდა ალექსანდრა.

- აი ასე, - უპასუხა ანასტასიამ.

მართლაც მარტივად ცხოვრებას შეუდგნენ. გაზის ქურას თავსახური სამუდამოდ დააფარეს და ელექტროჩაიდანნი იყიდეს.

მრავალწლიანი სიცარიელის შემდეგ მალაზიები სურსათით აივსო და ისინი ყიდულობდნენ ყველს, ძეხვს, უცხოურ პაშტეტებს ქილებში, კონსერვებს, გამზადებულ სალათებს, მაიონეზს, არა ისეთს, საათობით რომ დღეებავდნენ ემალის ქვაბში, არამედ ქარხნულს, არაჯანსაღს, ქოლესტერინითა და შაქრით რომ იყო გაძედილი.

ალექსანდრა ყავას მიეჩვია, ანასტასია ღვინოს ყიდულობდა და საღამოობით თითო ბოკალს სვამდნენ.

მშობლების გარდაცვალებიდან ნახევარი წლის შემდეგ, ანასტასიამ დას საფრანგეთიდან გამოგზავნილი წერილი მიუტანა. მან დედის ნათესავები მოძებნა, რომლებმაც რევოლუციისას რუსეთიდან გაქცევა მოახერხეს. აღმოჩნდა, რომ დედას ჰყავდა ტყუბი და ანა, ის პარიზთან, რუსულ პანსიონში ცხოვრობდა. ასევე გამოჩნდნენ დეიდაშვილები, ბიძაშვილები, დისწულები და ძმისწულები, მრავალრიცხოვანი ნათესაობა და დებმა თავიანთი გენეალოგიის გამოკვლევა დაიწყეს და ისე ღრმად შეტოპეს, რომ მომდევნო წლისთვის საზღვარგარეთის პასპორტები აიღეს და ბიძაშვილ ფედორის მიწვევით ნათესავებთან შესახვედრად პარიზში გაემგზავრნენ. თუმცა, დეიდა ანა, დისწულების ჩასვლამდე ორი თვით ადრე გარდაიცვალა.

ტყუბები ფოტოსურათებს გულდასმით ათვალიერებდნენ. წინაპრების პორტრეტებიც ნახეს. მათი ბებია ახალგაზრდობაში ფრეილინა ყოფილა და მთელი ცხოვრება დედოფალთან მეგობრობდა. ჩვიდმეტი წლის ზაფხულში ბებია შვილებთან ერთად შვეიცარიამი წავიდა. მხოლოდ ვერა დატოვეს, რადგან გოგონას წითელა შეეყარა და ბავშვები გადამდები სენისგან რომ დაეცვათ, უშვილო ნათლია-

სთან გადაიყვანეს. ისინი გადარჩნენ. ბაბუა კი რევოლუციის დროს მოკლეს.

არავინ იცოდა, როგორ ცხოვრობდა ვერა ალექსანდროვნა ბავშვობისას. მერე კი ნიკოლაი აფანასევიჩს გადაეყარა... სამაგიეროდ, დებმა შეიტყვეს, როგორ გადაურჩნენ სიკვდილს ოჯახის დანარჩენი წევრები შვეიცარიაში, საფრანგეთში, იტალიაში... მთელ მსოფლიოში გაფანტული ნათესავები ახლა ერთად იყრიდნენ თავს, რათა ახლობლებთან შეხვედრით გაეხარათ. დები იმ ძველი კულტურის წარმომადგენლები იყვნენ, რომელსაც კარგა ხანია მოსწყდნენ. როგორი თავანკარა რუსული მეტყველება, როგორი საყვარელი ძველმოდური ფრანგული, როგორი მანერები, როგორი აღზრდა... თავმდაბლობა და ღირსება – დები ნამდვილ რუს არისტოკრატებად მიიჩნიეს.

ორი თვის შემდეგ, ზუსტად გამომგზავრების წინ, ერთმა შორეულმა ნათესავმა, ფირმა „რენოს“ გადამდგარმა ბულალტერმა, ქვრივმა კაცმა ალექსანდრა ნიკოლაევნას ცოლობა შესთავაზა. ქალი დათანხმდა.


ახლა ისინი პარიზის გარეუბანში ცხოვრობენ. ანასტასიაც მათთან დაბინავდა. დების ძველმოდური, თუმცა დამაჯერებელი ფრანგული, რომელიც დედისგან ისწავლეს, სავსებით საკმარისი იყო მოახლესთან, მაღაზიის გამყიდველებთან და იმ ნათესავებთან ურთიერთობისთვის, რომლებმაც რუსული ენა დაივიწყეს. ვასილი მიხაილოვიჩმა, ალექსანდრას ქმარმა, არც კი იცის რა შესანიშნავი კულინარები არიან მისი ცოლი და ცოლისდა. ჩვეულებრივ, ისინი რესტორანში სადილობენ, მაგრამ დები სენდვიჩს ამჯობინებენ.

გასაკვირი მხოლოდ ერთია, ვასილი მიხაილოვიჩმა ორი ტყუპისცალიდან რატომ ამჯობინა ალექსანდრა... დებს კარგი ჯანმრთელობა აქვთ და შეუძლიათ არა ერთი ათეული წელი ახალი ცხოვრებით დატკბნენ...

## ლეონიდ იუზეფოვიჩი

პროზაიკოსი, სცენარისტი ლეონიდ იუზეფოვიჩი დაიბადა 1947 წელს მოსკოვში. 1970 წელს დაამთავრა პერმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.

მიღებული აქვს: პრემია „ნაციონალური ბესტსელერი“ (2001), პრემია „დიდი წიგნი“ (2009), პრემია „ნაციონალური ბესტსელერი“ (2016), პრემია „სტროგანოვი“ (2016), პრემია „დიდი წიგნი“ (2016).



## სამი ხმა

ოდესლაც ურალის სამოქალაქო ომზე რომანს ვწერდი, ვერ დავამთავრე და ამას არც ვნანობ, თუმცა დროდადრო იმ ეპოქის ადამიანთა ხმები ჩამესმის. გამომძიებლებისა და ჟურნალისტების ჩანერილი მათი მონოლოგები ჩამარხულია საარქივო საქალაქო-ში; ძველი, გაყვითლებული გაზეთების შეკვრებში, სადაც ცენზორთა მიერ ამოშლილია ტექსტები და აკლია ნომრები; ასევე რევოლუციის ოცდაათი თუ ორმოცი წლისთავის აღსანიშნავად გამოცემულ ვეტერანთა მოგონებებში. მათგან სამი ხმა გამოვარჩიე.

პირველი – წითელი პარტიზანი N.

– შარშან ჩვენი პოლკი ქალაქ კიშტიმთან იდგა. ერთი დღე ვიდექით – არაფერი, ორი – არაფერი, სამი – არაფერი. მეოთხე დღეს, ერთიც ვნახოთ, მტვერი ავარდა, კიშტიმიდან ჩვენკენ საქონელს მოერეკებოდნენ. წინ ძროხები, უკან ცხვრები. როცა მოგვიახლოვდნენ, მაშინლა მივხვდით, რომ ცხვრები კი არა ოთხზე დამდგარი ადამიანები მოიპარებოდნენ. ვესროლეთ. ბევრი დავხოცეთ, ცოცხლად დარჩენილები ტყვედ ავიყვანეთ, მათ შორის მეთაურიც, რომელმაც სახელი და გვარი გაგვიმხილა – ფეოდორ მატვევიჩ ზუბრინი. შტაბში მივიყვანეთ, ჩვენი მეთაური ეკითხება:

„აბა, ბატონო ზუბრინ, ფეოდორ მატვეევიჩი, ზურგიდან გინდოდათ შემოპარვა? ჩვენს ჯიბეში უნდა ჩამძვრალიყავით?“ ზუბრინი დუმს. მეთაური ისევ ეკითხება: „ფეოდორ მატვეევიჩი, რა ვქნათ ახლა?“ კვლავ დუმს, აქ კი ნერვებმა მიმტყუნა და შუბლში ტყვია დავახალე. ფეოდორ მატვეევიჩი მოცელილივით დაეცა ძირს. ამხანაგმა მეთაურმა და თანამებრძოლებმა მისაყვედურეს. მეთაური ამბობს: „გვჭირდებოდა, რატომ ესროლე? არა, ასე არ ივარგებს, ეს რა თვითნებობაა. ბევრ რამეს მოგვიყვებოდა. გაგასამართლებთ!“ ვუპასუხე: „არანაირი ზუბრინი ეგ არ არის, კუზიანინია, სოფელში ორთქლის ნისქილი ჰქონდა. მერე კიშტიმში წავიდა, იქ თითქოსდა მოკვდა და ახლა ჩვენ წინაშე წევს, როგორც ზუბრინი. ზუბრინისთვის არ მისვრია, ასეთს არ ვიცნობ“. თანამებრძოლები ჩაფიქრდნენ, ტყვეები კი აყაყანდნენ: „უზუბრინოდაც ყველაფერს მოგიყვებით, ყველაფერი ვიცით“. მაშინ ამხანაგმა მეთაურმა თქვა: „ძალდი იყო და ძალღურად მოკვდა! ჩვენს ამხანაგს ბანდიტის მოკვლის გამო არ გავასამართლებთ“. მასთან ერთად მინდორზე გავედი, სადაც ორი მკვდარი ძროხა ეგდო, რამდენიმე დასისხლიანებული პირუტყვი კი ბალახზე ძლივს მიხობავდა. მეთაურმა როგორც კი ეს დაინახა, გადამეხვია: „მაპატიე, რომ გასამართლებას გიპირებდი! ძროხები ცოცხალ ფარად გამოიყენა, ამ საქციელისთვის ზუბრინს ასჯერაც რომ ესროლო, საკმარისი მაინც არ არის“. ძროხები გავატყავეთ, ხორცი შევწვით, ბლომადაც მოვიმარაგეთ. ოჰ, რამდენ ნაჭრად დავჩეხეთ!

ხმა მეორე – მუშა Z.

– როცა ცხრამეტ წელს ჩერდინს ვიღებდით, ერთმა მოხუცმა პოლკოვნიკმა სხვენიდან ლუისის ტყვიამფრქვევი დაგვიშინა და ყველა ვაზნა გახარჯა. დამხმარე არავინ ჰყავდა, მჭიდის დატენა ველარ მოასწრო და ამასობაში დავატყვევეთ კიდევაც. ბოსტანში გავიყვანეთ, ბიჭები დავაყენე – ოთხი ადამიანი და ბრძანება გავეცი: „რევოლუციის მტერს...“ ვხედავ, ხელი ასწია. „რა გინდა?“ – ვეკითხები. „უკანასკნელი თხოვნა მაქვს, – ამბობს. – ნებას დამრთავთ?“ ბიჭებს ხელით ვანიშნე, შაშხანები დაუშვეს. ის ამბობს: „მოხუცი პოლკოვნიკი ვარ, ორმოცი წელი ხელმწიფეს ვემსახურე. გთხოვთ, ჩემივე ბრძანებაზე მესროლოთ“. ვდუმვარ, არ ვიცი, რა ვუთხრა, ბიჭებიდან ერთმა მასთან მიიღბინა და ცხვირწინ ბრანჩი

უჩვენა: „კიდევ რა გინდა?! მბრძანებლობა მოინდომა!“ პოლკოვნიკი ატრდა. მის წინ ძელივით გაუნძრევლად ვდგავარ, არაფრის თქმა არ შემიძლია, მაგრამ ვხვდები: რასაც მთხოვს, იმის უფლებას ვერ მივცემ. ძალიან იოლია კეთილშობილების თამაში, ჩვენთან კი ისეთი ომია, რომლის მსგავსიც არასდროს ყოფილა და ჩემს მტერს სიკვდილშიც კი არ მივცემ საკუთარ თავზე ამალლების – გამარჯვების უფლებას. ცრემლები წამომცვივდა. ვდგავართ ერთმანეთის პირისპირ მე და პოლკოვნიკი და ვტირით. მას უძლურება ტანჯავს, მე – ძალაუფლება. ის იმაზე ტირის, რომ ცხოვრებას ასე ასრულებს, მე – საკუთარ სულზე, რომელიც აღარ მაქვს, რადგან საერთო საქმეს შევწირე.

ხმა მესამე – პორუჩიკი Y.

– პერმზე იერიშისას შუა ციმბირის მსროლელთა კორპუსში, გენერალ პეპელიაევთან ვმსახურობდი. წითლები მდინარიდან მოტივილიხინის ქარხნისკენ გაიქცნენ, ჩვენ დათოვლილ ყამირზე დავედევნეთ და ზურგს მოვწყდით. ოთხთვალაში მხოლოდ დამპალი ქაშაყი და შვრიის ფქვილი გვქონდა კვერების გამოსაცხოზად. ლიანდაგები თოვლმა გადაფარა, სამხედრო ეშელონები გაჩერდნენ. ტყვეები ბლომად გვყავდა, მაგრამ საჭმელი ყველასთვის სამყოფი არ იყო და ტყეში, რკინიგზის რომელიღაც გადასარბენზე ერთი ჯგუფი დავხვრიტეთ. ვერავინ შეამჩნია – დახვრეტისას ერთმა წითელარმიელმა თავი მოიმკვდარუნა. გადარჩა, მაგრამ სად უნდა გაქცეულიყო? საშინლად ყინავდა, დახვრეტის წინ ყველას გახადეს, პერანგილა ეცვა. შუალამემდე როგორღაც გაძლო, ბოლოს იგრძნო, რომ მთლად გაიყინებოდა და ლიანდაგის დარაჯის ქოხში გამოგვეცხადა. ყველას ძალიან შეგვეშინდა, მერე დავმშვიდდით. სტუმარს ჩაი დავალევივინეთ და ნება დავრთეთ, გათენებამდე სიბოში გამოეძინა. დილით კი მაინც დავხვრიტეთ.

რომანის სიუჟეტის მიხედვით პარტიზანი N უნდა ქცეულიყო იმ უიღბლოდ, რომელზეც ჰყვებოდა პორუჩიკი Y, რომელიც შვილად ერგებოდა მოხუც პოლკოვნიკს – Z მონათხრობიდან, მაგრამ ცხოვრებაში ეს სამნი ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან და ერთმანეთისთვის ანგარიში მხოლოდ ჩემს რომანში უნდა გაესწორებინათ. შესაძლოა, სწორედ ამის გამო არ დავასრულე რომანი.

## ტატიანა ტოლსტაია

პროზაიკოსი, ლიტერატურის კრიტიკოსი, პუბლიცისტი და ესეისტი ტატიანა ტოლსტაია დაიბადა 1951 წელს ლენინგრადში. 1974 წელს დაამთავრა ლენინგრადის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1988 წელს გახდა საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი.

მიღებული აქვს: პრემია „ტრიუმფი“ (2001), ივანე ბელკინის პრემია (2014), არის პრემია „ნაციონალური ბესტსელერის“ ნომინანტი (2015).



## მამაზე

მამას წესად ექცა ყურებიანი კურდღლის ქუდითა და შავი დრაფის პალტოთი ევლო. ზედა ღილის ქვეშ დაგლეჯილი, ჩხვლეტია, წითელ უჯრედებიანი შარფი მოუჩანდა. შესაძლოა, შარფი არც იყო. შიგნით აბრეშუმის ცისფერი, თეთრზოლებიანი, ომამდელი პერანგი ეცვა. მაშინ ხომ სასაცილოდ კერავდნენ: ხელებს თავისუფლად რომ ემოძრავა, ბეჭებთან დიდ ნაკეცს უკეთებდნენ, ისე რომ პერანგი ზურგზე აფრასავით იბერებოდა. მამას მოხდენილად ჩაცმა არ უყვარდა.

ეს პერანგი ცოტა ხნის წინ ვიპოვნე; ძველ, კუთხეებში ტყავადაკრულ ჩემოდნებს ვალაგებდი, რომლებიც ტვირთის გარეშეც მძიმეა. იქ მშვენიერი ნივთები ენყო: ტვიდის შესანიშნავი შარვლები, აშკარად უცხოური, განიერი ტოტებით. შარვალი თითქოს მონაცრისფრო იყო, მაგრამ ტვიდი ისეთი ქსოვილია, თვალთან რომ მიიტან, დაინახავ როგორც ნაცრისფერ, ისე მწვანე ძაფს; წითელ წერტილებს და კიდევ რალაც ქვიშასავით გამოკრთება; სანიჩბე ორკაპის ქრიალიც შემოგესმება; მდინარე ტემზის ზეთისებურ ელვარებასა და ტალღებზე ფარნის ანარეკლს მოჰკრავ თვალს; ტალღა გაიტყლაშუნებს, ჰაერი ნესტიანია და მორებზე აბრეშუმით ხავსია მოდებული.

შალის ჩხვლეტია შარვლები და ნაფტალინის ბურთულების შემანუხებელი სურნელი. ახლა ჩრჩილი ამ სისულელეებს ყურადღებას აღარ მიაქცევს, შარვალს შეჭამს და ნაფტალინის ბურთულებს გაკვნეტს. ეს რა თავხედი ჩრჩილები წამოვიდნენ – შეუბოვარი, უხეში, ყურადღებიანი თვალებით. იმ წლებში კი, როდესაც შარვლებს ჩემოდანში აწყობდნენ და განჯინაში ინახავდნენ, სხვანაირი ჩრჩილები ცხოვრობდნენ; თეთრი, ძველებური მანერებით, საკუთარი თავის პატივისმცემელნი. ვფიქრობ, შთამომავლობის ჯანმრთელობაზე მზურნველნი: იქ არ წახვიდეთ, იქ ნაფტალიანია!.. სხვა ჩემოდანი ვნახოთ!

შემდეგ – მამაკაცის ქვედა საცვალი – ძალიან სასაცილო რამეა. შესაკრავი თასმით! წინიდან – სამი ღილია – მართალს ვამბობ – ძვლის, დაბზარული, ამომტვრეული. ცუდად შეკერილი ბავშვის პიჯაკი, წელზე მიკერებული პატარა შემოსაკრავი ქამრით, ასევე ტვიდის. ვილაცის წითელი შალის ქვედატანი. და პერანგები, ერთი ცისფერი – ზოლებიანი, მეორე ყავისფერი, ისიც ზოლებიანი.

ცისფერი პერანგი მომწონდა, თუმცა, არც ყავისფერს დაენუნებოდა რამე. რატომღაც ცისფერი შემიყვარდა, ზეციური. ალბათ, ამის გამო, მამა სწორედ ამ პერანგით მოდიოდა, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, რადგან მამა პალტოს არასოდეს იხდიდა და პერანგი ერთხელაც არ მინახავს. მამა დრაფის პალტოს შეეგუა, უხეშს, ხაოიანს, ისეთს, როგორსაც სიკვდილამდე იცვამდა, ისევე როგორც კურდღლის ყურებიან ქუდს.

მამა, ალბათ, ოცდათხუთმეტი წლისაა. ძილის ბინდბუნდში ასაკს ზუსტად ვერ დაადგენ, მაგრამ ეს ომისშემდგომი სიგამხდრე და დაძონძილი ტანსაცმელი, ეს დაუდევრობა, უდარდელობა, ან როგორც თავად იტყოდა – გულგრილობა და ყველაფრის ფეხებზე დაკიდება, ეს მრგვალჩარჩოიანი სათვალე (როდესაც სამშობიაროდან სახლში მიმიყვანეს, პირველად რაც მე მის ცნობისმოყვარე სახეზე დავინახე, ალბათ სათვალე იყო და მამა სამუდამოდ შემიყვარდა), ეს ყველაფერი იმის მიმანიშნებელია, რომ იგი ოცდათხუთმეტი წლისაა. მამა ჩემს შვილებზე უმცროსია.

მათ ის უკვე მოხუცი ახსოვდათ, მუდამ ატკიებული წელით, სახის ჩამოშვებული კანით და გამელოტებულ თავზე აქა-იქ შემორჩენილი ჭალარა თმით, – რაც ძალიან სძაგდა. სარკეს აშტერდე-

ბოდა, სველ სავარცხელს ისვამდა და დანანებით იქნევდა ხელს: ოჰ!.. საყურებლადაც კი საზიზღრობაა!.. და ასეთი დიდი და მძიმე ყავის დასალევად მიდიოდა. მერე კი ქუჩაში საშინელ კურდღლის ყურებიანი ქუდითა და ხელჯოხით გადიოდა, შესაძლოა ლექციების ნასაკითხად, შესაძლოა სასეირნოდ.

მე ის ახალგაზრდა მახსოვს, მარდი, ხმაურიანი; მახსოვს სადღესასწაულო სუფრაზე გაცინებული, წითელი ღვინით სავსე ბოკალით ხელში, მხიარულ ახალგაზრდა მეგობრებთან ერთად. მახსოვს, ძილის წინ, სანოლთან მოდიოდა, ერთხანს ჯდებოდა და მიამბობდა თუ სამყარო როგორაა მონყობილი. მიყვებოდა ელექტრონის ორბიტაზე, ტალღებსა და ნაწილაკებზე, სინათლის სიჩქარეზე. იმის შესახებ, რომ სინათლეზე სწრაფად ფრენა შეუძლებელია: სხეულს აქვს მასა და სიჩქარის ზრდასთან ერთად იზრდება სხეულის მასაც. რაც სხეულისთვის შეუძლებელია სინათლისათვის შესაძლებელია.

ათი წლის ვიქნებოდი და მამას ვეკითხებოდი: რისგანაა შექმნილი სამყარო? თითქოს შესაძლო იყო ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. მამა მიამბობდა გრავიტაციაზე, ენერგიაზე, ფარდობითობის თეორიაზე, სივრცის გამრუდებაზე, ძალასა და ელექტრონულ ველზე, მაგრამ ეს ყველაფერი პასუხს არ იძლეოდა – როგორ წარმოიშვა სამყარო?

ის ოხრავდა.

– რომ გითხრა სამყარო თაფლისგანაა გაკეთებული-მეთქი – დაიჯერებ? კომბოსტოს წვენიდან? არც ეს ივარგებს? მისმინე: არსებობს ელექტრომაგნიტური ველი... შენ რა, გძინავს?..

მე ის მახსოვს მხიარული, რა თქმა უნდა გაცინებულიც, მაგრამ მახსოვს მრისხანეც, უსამართლოც, დაღვრემილიც. სიკვდილის ეშინოდა და სიკვდილის გარდუვალობაზე ფიქრი სულს უშფოთებდა, თითქოს ხვალისთვის სიკვდილით დასჯა მიუსაჯესო. თანაც, ყოველგვარი გასაჩივრების გარეშე. მე უკვე დიდი ვიყავი და მამას ვეუბნებოდი, რომ სიკვდილი არ არსებობს, რომ არის უზარმაზარი ფარდა და ამ ფარდის მიღმა სხვა სამყაროა, რთული და მშვენიერი, მერე კიდევ ერთი სამყაროა, მერე კიდევ... იქ გზებია, მდინარეებია, იქ ფრთებია, ქარის მიერ აშრიალებული ხეებია; იქ გაზაფხული და თეთრი ყვავილებია. მე იქ ნამყოფი ვარ და ვიცი, მართალს ვამბობ. მამა მეკამათებოდა, არ სჯეროდა და უნდოდა კიდევ და კიდევ

მელაპარაკა. ის ამბობდა: სამწუხაროდ, ვიცი სამყარო როგორცაა მონყობილი. რაზეც შენ ლაპარაკობ, იქ არაა. მე კი იმ სიტყვებით ვპასუხობდი, რაც ბავშვობიდან დამამახსოვრდა: რაც სხეულისთვის შეუძლებელია სინათლისათვის შესაძლებელია.

სიკვდილამდე ერთი თვით ადრე გადანწყვიტა დაეჯერებინა. ოდნავ შეცბუნებულმა (ეს ყველაფერი ხომ სისულელეა) მითხრა: რადგან ჩემზე ადრე მოკვდება, იქიდან მაცნობებს განსაკუთრებული ნიშნით და განსხვავებული სიტყვით მომიყვება, თუ რა ხდება იქ.

ის არსოდეს მატყუებდა, არასოდეს და არც ამჯერად მოვუტყუებივარ.

მამა სიზმარში ახალგაზრდა მოდის, მოდის დაფლეთილ დრაფის პალტოთი და ყურებიანი კურდღლის ქუდით – იმ ტანსაცმლით, რომელსაც ჯერ კიდევ ბოლო წლებში ატარებდა. როგორც ჩანს, ყველაფრისადმი გულგრილია. პალტოს ქვეშ წითელ უჯრედებიანი შარფი უკეთია, მაგრამ შესაძლოა შარფი არც იყოს. იქნებ ჩემი საყვარელი, ცისფერი პერანგი აცვია? მამას ომის დროინდელი გამბდარი, სამკუთხედი, ავადმყოფურად ღონემიხდილი სახე აქვს და მრგვალი სათვალეები უკეთია. შესაძლოა ფეხსაცმლის ძირი იატაკს არც ეხება, თითქოს ჰაერში ჰკიდია, თითქოს ოდნავ ირხევა, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, – იქ სიბნელეა და ცუდად ჩანს. მამა ყურადღებით და მეგობრულად მიყურებს – ეს გამოხედვა კარგად მახსოვს და ვცნობ როგორც ცოცხალ, ისე სიზმარში გამოცხადებულ ადამიანებში. ამ გამოხედვას მუდამ გამოვეპასუხები, ავდგები და მის შესახვედრად წავალ.

მამას რალაცის თქმა უნდა, მაგრამ არ ამბობს, რალაცის ახსნა სურს, მაგრამ დუმს. ვფიქრობ, რლაცაზე ეცინება. შესაძლოა, აღმოჩნდა, რომ სამყარო მართლაც თაფლისა და კომბოსტოს წვენისგანაა შექმნილი, კუთხეებში ტყავგადაკრულ ჩემოდანშია ჩადებული და ზედ ნაფტალინის ბურთულებია მობნეული, მაგრამ ეს ხელს არ უშლის – არც მილიარდობით ვარსკვლავის ალმასის შუქს, არც გამრუდებულ სივრცეს, არც უძრავ დროს, არც ტალღების ტყლაშუნს, არც გზებს და არც სიყვარულს.

## დინა რუბინა

პროზაიკოსი დინა რუბინა დაიბადა 1953 წლის 19 სექტემბერს ტაშკენტში. 1977 წელს დაამთავრა ტაშკენტის კონსერვატორია. ამჟამად ცხოვრობს ისრაელში.

მიღებული აქვს: არე დულჩინას პრემია (ისრაელი), პრემია „დიდი წიგნი“, ისრაელის მწერალთა კავშირის პრემია (2007), ოლეგ ტაბაკოვის საქველმოქმედო ფონდის პრემია (2008), პრემია „პორტალი“ (2009).



## გზა შინისაკენ

რვა თუ ცხრა წლისა პიონერთა ბანაკიდან გამოვიქეცი, სადაც პირველად ვიყავი და მეტჯერ აღარც წავსულვარ. წვრილმანები არ მახსოვს. მგონი, ბანაკი საოლქო კომიტეტისა იყო და ჩიმგანის მთისწინეთში, ქალაქიდან ოცი კილომეტრის დაშორებით, სადღაც გზალკენტის რაიონთან მდებარეობდა.

ბანაკში დედაჩემის დაქალის წყალობით მოვხვდი და, როდესაც ბავშვებით სავსე ავტობუსში ვჯდებოდი დედა აღზნებული ამტკიცებდა, რომ ბანაკში ხიზილალატი და სერველადით გვასაუზმებდნენ – აი, ის ძირითადი მოსაზრება, რის გამოც სახლიდან გამიშვეს... არ მესმოდა, – ახლომახლო ქუჩებსა და ეზოებში ჩემი ლალი სირბილი ვის ან რატომ უშლიდა ხელს, რომ ხეპრე, მოღრიალე ბავშვებით სავსე ჯგროში ჩამტენეს და შორს გამამგზავრეს. იმ კატის დაბნეულობა დამეუფლა, ცუდად შეკრული ჩანთიდან რომ იჭყიტება.

და გაცემა: რაში მჭირდება ეს სერველადი? მარილიანი, წებოვანი ხიზილალა ზიზლს მგვრიდა.

პიონერული ბანაკიდან მხოლოდ დილის ხაზი და შემზარავ,

ყაზარმულ ტუალეტში სქლად დაყრილი ქლორისგან ამწვარი თვალები მახსენდება. იქნებ, რაიმე შეურაცხყოფა მომაცენეს, რამაც ჩემი ბავშვური გრძნობები შელახა და რომელიც ჩემს თავნებობას გაამართლებს... არა, ასეთი არაფერი მახსენდება! ის ადამიანი ვარ, რომლისთვისაც უბედურებაა პიონერულ მწყობრში დგომა და საერთო საძინებელი, თავის მართლებას აზრი არ აქვს. როგორც ჩანს, მე არ ვიყავი გაჩენილი იმ ბედნიერი ბავშვობისთვის, პიონერული საყვირის ხმის თანხლებით რომ მიედინებოდა. თანაც ბედნიერებას მუდამ ხელს ვკრავდი.

დაველოდე, ბავშვები დასაძინებლად როდის დანვებოდნენ და ბანაკში ყოფნის მეოთხე დღეს გამოვიპარე. სიბნელეში სანოლის ქვეშ ხელი მოვაფათურე, მაგრამ სანდლებს ვერ წავანყდი, ღია ფანჯრიდან ვერანდაზე უხმაუროდ გადავძვერი და შინისკენ ფეხშიშველი გამოვიქეცი. არ შემშინებია: ზაფხულობით ქუსლებზე კანი მისქელდებოდა, მიუხეშდებოდა და ვერაფერს ვგრძნობდი. ასე რომ, ღობის ნახვრეტში გაძვერი, ავტობუსის გაჩერების მიხედვით ტაშკენტის მიმართულება განვსაზღვრე და დღის ხვატისგან ჯერ კიდევ თბილ მოასფალტებულ გზაზე სახლისაკენ მოვკურცხლე, თავიდან მხნედ და აღელვებით (მდეურები გამუდმებით მეღანდებოდნენ და, შორეული მანქანის ხმას თუ გავიგონებდი, გზიდან გადავბოდი, თუკი ახლომახლო ბუჩქები არ იყო, პირდაპირ გზის პირას, მაღალ, გამხმარ ბალახებში, რომლებსაც სანელებლების სურნელი ასდიოდათ სახითა და მუცლით ვეცემოდი), მერე სულ ნელა, გამთენიისას კი უკვე დაღლილი მივლასლასებდი...

გზას ინტუიციით მივიკვლევდი, როგორც კატა, რომლისთვისაც სახლი და თავისუფლება სერველადზე მთავარია...

რაც უფრო ღრმად ეფლობოდა მთისწინეთის დაბლობი ბლანტ, ჭაობისფერ ღამეში, მით უფრო მაღალი და გამჭვირვალე ხდებოდა ცა. მკვეთრად მოციმციმე, დიდებულად მიმოზნეული მშფოთვარე ვარსკვლავები – როგორც გიგანტურ მინაზე წამახულწვერებიანი ჭირხლი – ენით გამოუთქმელ სიმაღლეზე ფეთქავდა, სადაც მუდმივად ენერგიული სიცოცხლე ჩქეფდა. უძრავი, თეთრი პროჟექტორებისგან იხრუკებოდა დიდი ვარსკვლავები; უფრო მცირე შუქურები ნელა ბრუნავდა და ერთმანეთში ირეოდა; მოუსვენრად ციმციმებდა მძივებისგან პატარა, კაშკაშა ნაპერწკლები, რომელთა შორის

დაქროდა მარგალიტით თეთრი მტვრის ღრუბლები. ყველაფერი ცოცხლობდა, ყველაფერი მიცურავდა და ირხეოდა, ბუტბუტებდა, ენა ებმოდა, მალლა ინევდა და შემადრწუნებელ, ვარსკვლავებისგან გაჭალარავებულ ზედა უფსკრულში ვარდებოდა... სადაც მიმდინარეობდა განუწყვეტელი საკონტროლო გეომეტრიაში: მწკრივდებოდნენ ფიგურები – წრენირები, კუთხეები და ტრაპეციები, პირდაპირ ცის ცენტრში კი წარმოიქმნა კვადრეტი – ფანჯარა, რომელიც საკმაოდ მკაფიოდ იყო მოხაზული ალმასის წყვეტილი ხაზებით და რამდენიც უნდა ამეჩქარებინა ან შემენელებინა ნაბიჯი, ეს ფანჯარა ჩემს ზემოთ მიცურავდა და მეჩვენებოდა, რომ საზღვრებს შიგნით უფრო კაშკაშა ვარსკვლავებს მალავდა, უფრო შიშის მომგვრელებსა და გასულიერებულებს. და რომ სადღაც იქ, სხვა სამყაროში, ასევე მიდიოდა გზაზე მარტოხელა და ჯიუტი გოგონა და მის ზემოთაც მიცურავდა და უხმობდა ეს ფანჯარა... ვიფიქრე, რომ სადაცაა, იქ რალაც მოხდებოდა და ამ კოსმოსურ ფანჯარაში რაიმეს დამანახებდნენ... ამიტომ წამდაუნუმ ვჩერდებოდი, თავს ჭირვეულად ვწევდი და დაჟინებით ვუთვალთვალე კოსმოსურ მინიშნებებს და ყოველ ჯერზე გასაოცარი აღმოჩენის მომსწრე ვხდებოდი: ახალი გრიგალისებური აფეთქებები, მოუსვენრად მოციმციმე ვარსკვლავების ახალი გაერთიანებები... ხანდახან ენერგიულად ვიქნევდი ხელს და მეორე გოგონას ვანიშნებდი: იქნებ, იქ ისეთი განვითარებული ცივილიზაციაა, რომ კოსმოსური ტელესკოპიდან მხედავს, რომელიც ტრილიონჯერ აღიდეხს.

ლამის განმავლობაში ბნელი გზა ორ-სამჯერ შეუერთდა რალაც დასახლებებს, რომლებიც ცუდად გაენათებინა ათეული ქუჩის ფარნის მიმქრალ შუქს. შორიდან სქელი თაფლის წვეთებივით ბჟუტავდა სოფლის ფანჯრები, გამომწვარი ნაკელის მწარე ბოლი ინელეობოდა, ძაღლები ვირების სასონარკვეთილ ყროყინს პასუხობდნენ და სხვადასხვა სიმაღლიდან ყეფდნენ.

...მთელი ღამე მივდიოდი, გამთენიისას ქალაქის გარეუბნამდე მივალნიე – ტრამვაის მოსაბრუნებელ წრემდე. პირველსავე ცარიელ ტრამვაიში ჩავჯექი და სახლამდე უფასოდ (კონდუქტორი ქალი ჩემს დანახვაზე ძალიან შეშინდა) ვიმგზავრე.

შემდგომში ნაცნობებიდან არავის და მათ შორის, არც მშობლებს ჯეროდათ, რომ მთელი გზა ფეხით გამოვიარე. – ვინ მოგი-

ყვანა? – მეკითხებოდნენ. მანქანით? ოთხთვალათი? ველოსიპედით? გოგონას ხომ არ შეეძლო მარტოდ და ფეხშიშველას ამხელა გზის გავლა, თანაც ღამით...

სწორედ მარტოდ და ღამით, უხმოდ ვეპასუხებოდი მათ, მხოლოდ მარტოდ და ღამით იყო შესაძლებელი ამ გრძელი გზის გავლა მთისწინეთის მძაფრ სურნელებაში. ჩემს თავს ზემოთ კი, ცის ფანჯარაში, პლანეტების, კომეტებისა და ასტეროიდების უთვალავი არმიები საშიშად და ღრმად ქშინავდნენ და იბრძოდნენ.

ვარსკვლავებისგან თმაგაბურძგნილი ცის ქვეშ შინისაკენ მიმავალი ეს გზა; სოფლებიდან წამოსული მთის ქონდრისა და ლავანდის დაუფინყარი სურნელი, გამომწვარი ნაკელის მწარე კვამლი, გამთენიისას კი ვირის სასოწარკვეთილი ყროყინი – ცხოვრების ბოლომდე ჩემთან დარჩება.

ახლა ასე მეჩვენება, სწორედ იმ ღამით დავქალდი. მეჩვენება, რომ იმ ღამით, ვბრუნდებოდი რა გამოუთქმელად შემადრწუნებელი და გამოუთქმელად დიდებული ცის ქვეშ, მივხვდი რამდენიმე მნიშვნელოვან ამბავს:

რომ ადამიანი მარტოსულია.

რომ ის მუდამ უბედურია – ცხოვრების რალაც წუთებში როგორ ბედნიერადაც უნდა გრძნობდეს თავს.

რომ გასაქცევად შეუძლია გაალოს ნებისმიერი ფანჯარა, გარდა ერთისა – მიუწვდომელი, სხვა სამყაროებში გამავალი გასხვიოსნებული ფანჯრისა...

ცხადად მახსოვს მამის სახე, რომელმაც დილის 6 საათზე გამიღო კარი. ღამისპერანგიანი დედა კივილით გამოვარდა: არ მელოდნენ...

რატომღაც არ მიმტყიპეს. დედასთან საამისო მიზეზების გარკვევა ახლა უტაქტობად მეჩვენება, თანაც საეჭვოა, ახსოვდეს. ვფიქრობ, მამა მალულად მითანაგრძნობდა, რადგან თავადაც არ არის ძმაბიჭებს გადაყოლილი ტიპი. დედას კი თავზარი დაეცა, წუხდა, მოთქვამდა... საქმე, რა თქმა უნდა, არც სერველადშია და არც „გამაჯანსაღებელ მთის ჰაერში“, უბრალოდ, ეს წარმოუდგენელი საქციელია. ნებისმიერი ბავშვი ასეთ ბედნიერებაზე იოცნებებდა,... დატკბით ამ საოცრებით, – განა ეს ნორმალური გოგონაა?..

ვიწრო „საბავშვო“ ოთახში, სადაც დასთან ერთად მეძინა,

ხმამოუღებლად გავედი, ჩემს დივანზე დავწეკი და თავქვეშ ერთი მუთაქა ამოვიდე, მეორე კი დიდი ხნის წინ გავთელე ერთ ნელინადში დაგრძელებული ფეხებით.

...ჩემ გვერდით ბნელი მინდვრები მიცურავდა, შორეულ სარკმლებში სინათლე კრთოდა. მონაცრისფრო ცაზე ყუჩღებოდა და ქრებოდა ვარსკვლავები, ასფალტი, კარგა ხანია, გაცივდა. გაუჩერებლად მივდიოდი და სამყაროს მამოძრავებელი ღერძი ვიყავი, პანანინა პალო, რომლის გარშემოც ტრიალებდნენ უძირო, შავბნელი, ერთხელ და სამუდამოდ უცვლელი სამყაროები...

რა დარჩა ჩემში პიონერთა ბანაკიდან გაქცევის მერმე, ღამით შინისაკენ მიმავალი გრძელი გზის გავლის მერმე; ვფიქრობ – ნებისყოფის სიძლიერე და სრულყოფის მისაღწევად კაცობრიობის უნიათობა. რა დავინახე ბავშვმა სამყაროს იმ შემოუსაზღვრელ, იმ კამკაშა ფანჯარაში და რას მივხვდი სამარადუამოდ?

რომ ადამიანი მარტოსულია.

რომ ის მუდამ უბედურია – ცხოვრების რაღაც წუთებში როგორ ბედნიერადაც უნდა გრძნობდეს თავს.

რომ გასაქცევად შეუძლია გაალოს ნებისმიერი ფანჯარა, გარდა ერთისა – მიუწვდომელი, სხვა სამყაროებში გამავალი გასხვიოსნებული ფანჯრისა...



## იური ბუიდა

პროზაიკოსი, ჟურნალისტი იური ბუიდა დაიბადა 1954 წელს დაბა ზნამენსკში. 1982 წელს დაამთავრა კალინინგრადის უნივერსიტეტი. 1991 წლიდან ცხოვრობს მოსკოვში.

მიღებული აქვს: ჟურნალ „ოქტიაბრის“ პრემია (1994), აპოლონ გრიგორიევის პრემია (1998), ჟურნალ „ზნამიას“ პრემია (1995, 1996, 2011), პრემია „დიდი წიგნი“ (2013).



## ზღვაოსანი სინდზადი

სიკვდილის წინ კატერინა ივანოვნა მომოტოვამ ინება, მასთან ექიმი შებერსტოვა მიეყვანათ, ქალს ლამის მთელი ცხოვრება რომ მკურნალობდა. შებერსტოვა პენსიაზე იყო გასული. დედაბერმა ექიმს, ოთხად გაკეცილ ქალაღდში გახვეული, საკუთარი სახლის გასაღები გადასცა და სთხოვა, ფურცელი სხვა ფურცლებთან ერთად დაეწვა.

– ფურცლები სახლშია, – შეცბუნებულმა აუხსნა დედაბერმა. – ოღონდ, არავის არაფერი უთხრათ, გთხოვთ. მე თვითონ დაგწვავდი... მაგრამ, ხომ ხედავთ – ყველაფერი როგორ შეტრიალდა...

ექიმიმა კითხვის გამოსახატავად ცალი წარბი ასწია, დედაბერმა კი პასუხად დამნაშავესავით გაუღიმა. ის ძალიან ცუდად იყო – სარკომასგან კვდებოდა. მკურნალმა ექიმიმა შებერსტოვას უთხრა, რომ დილაღვე ვერ გაატანდა.

საავადმყოფოს შესასვლელთან, სკამზე, უბნის ინსპექტორი ლიომა ლეონტევი სიგარეტს ეწეოდა. უზარმაზარ შებერსტოვას გვერდით, მილიციელის ფორმაში გამონყობილი, ლიომა მოზარდს ჰგავდა. მისი ძირგამომწვარი ფორმის ქუდი მოტოციკლის ეტლზე იდო.

– გასეირნებას ხომ არ ინებებ? – დაინტერესდა ექიმი, ლეონტივეის თავს ზემოთ, ქუჩის ფარანს შესეულ ქინქლებს რომ შეჰყურებდა.

– ზღვაოსან სინდბადთან? თუ დედაბერი უკვე მოკვდა.

– არა. – შებერსტოვამ უზნის რწუნებულს გასაღები აჩვენა. – მთხოვა მის სახლში შემეხედა. მე გამვლელი ვარ, შენ კი, რაც არ უნდა იყოს, ხელისუფლებას წარმოადგენ.

ლიოშამ პაპიროსის ნამწვი, წყლით სავსე, ქვის განიერ ლარნაკში მოისროლა, ამოიოხრა და წამოდგა:

– მგონი მალე დაზამთრდება...

ისინი, ფილებდაგებული ტროტუარით, წისქვილისკენ აუჩქარებლად გაემართნენ. წისქვილის გვერდით კატერინა ივანოვნა ცხოვრობდა. კატერინა მთელი ქალაქისთვის ცნობილი იყო თავისი სანიმუშო, მაგრამ არშემდგარი ცხოვრებით.

აქ, ყოფილ აღმოსავლეთ პრუსიაში, ის პირველ ახალმოსახლევებთან ერთად მოვიდა. მისი ქმარი ქალაღდის ფაბრიკაში მუშაობდა, კატერინა ივანოვნა კი საავადმყოფოში – მრეცხავად. მათ ოთხი შვილი ჰყავდათ – ორი საკუთარი, ორიც ბავშვთა სახლიდან აყვანილი. მომცრო ტანის, ხმელ-ხმელი ქალი დიდ მეურნეობას უძღვებოდა – ბოსტანი, ძროხა, გოჭი, ორი ათეული ცხვარი, ქათმები, იხვები. უვლიდა ავადმყოფ ქმარს (ის ფრონტზე სამჯერ დაიჭრა) და შვილებს. ორმოცდაჩვიდმეტ წელს კატერინა ივანოვნამ ფეხი დაკარგა: საძოვრიდან მომავალ ხბოს რომ ხვდებოდა, მატარებლის ქვეშ მოჰყვა და ფეხი მუხლამდე მოჰკვეთეს. სამრეცხაოდან წასვლამ მოუწია და საბავშვო ბაღში დარაჯად მოეწყო. იმავე წელს, უფროსი ვაჟი ვასია მდინარეში დაიხრჩო. სამი წლის მერე კი ფეოლორ ფეოდოროვიჩი გარდაიცვალა – ჭურვის ნატეხით დაზიანებული გულის ოპერაცია ვერ გადაიტანა. გოგონები გაიზარდნენ და თავისი გზით წავიდნენ. უმცროსი ვერა ლოთს, ქურდსა და მანანწალას გაჰყვა. ერთხელაც, შვილი ბებიასთან დატოვა, ქმართან ერთად საშოვარზე ციმბირში წავიდა და თითქოს მიწამ უყო პირი. მშობლებისგან მიტოვებულ ბიჭს ტანი რომ აეყარა, კატერინა ივანოვნა, სანამ თითებს ართრიტი დაუკრუნჩხავდა, შეკვეთით ქსოვდა. ცხვარსაც პარსავდა და მოსავლელად მიბარებულ საქონელს მწყემსავდა. ხის პროთეზით იოლი არ იყო საქონლის ღვენა, მაგრამ

კარგად უხდიდნენ, ხანდახან მინდორშიც აჭმევდნენ და ბედს არ უჩიოდა. ბიჭი გაიზარდა და ჯარში წავიდა, მერე დაქორწინდა და მხოლოდ იშვიათად – საახალწლოდ ან საპირველმართოდ ბებიას ბარათებს უგზავნიდა, შრომასა და პირად ცხოვრებაში წარმატებებს უსურვებდა. მცირე პენსია ჰქონდა და კატერინა ივანოვნამ ცარიელი ბოთლების შეგროვება დაიწყო. დაუსახლებელ ადგილებში, პატარა, ყრუ შესახვევებში, მალაზიებთან მეტოქე ბიჭებს ეჩხუბებოდა, რომლებიც მის დანახვაზე ყვიროდნენ და ბოთლებს ართმევდნენ. კატერინა ივანოვნა ბრაზდებოდა, ივინებოდა, თუმცა გულისწყრომას მალევე ივწყებდა. ბოლოს და ბოლოს გამოსავალი იპოვნა. დილით ადრე, მხარზე გადაკიდებული ტომრით ქალაქგარეთ მიდიოდა და ბოთლებს ქუჩის თხრილებსა და გზისპირა ტყეებში ეძებდა. ფეხის ტკივილს არად აგდებდა და ყოველდღიურად რამდენიმე კილომეტრს გადიოდა, დაღამებისას კი მთლად გაოფლილი და ჩაცვენილი თვალებით შინ მდიდრული ნადავლით ბრუნდებოდა. მერე ღრმა ჯამში პურს ჩაფშენიდა, არაყს დაასხამდა, კოვზით ხვრებდა და ზოგჯერ ჩუმი, ჟღრიალა ხმით ღლინებდა. „სხვა მის ადგილას დიდი ხნის წინ მოკვდებოდა, – ამბობდა ქალაქის ცნობილი დედოფალი ბუიანიხა. – ეს კი, საღად აზროვნებს“. ბოთლებზე შორეული ლაშქრობების გამო, კატერინა ივანოვნას, ზედმეტსახელად „ზღვაოსანი სინდბადი“ შეარქვეს.

ექიმმა შებერსტოვამ, რატომღაც აქეთ-იქით მიმოიხედა, სახლში შესასვლელი კარი გააღო და ლიოხას ჟესტით უბრძანა წინ წასულიყო. ლეონტევემა წინკარსა და სამზარეულოში სინათლე აანთო.

– რა უნდოდა დედაბერს? – გამოსძახა ოთახიდან. – რას ვეძებ?

შებერსტოვამ არაფერი უპასუხა. მან ოთხად გაკეცილი ქალაღი გაშალა, კატერინა ივანოვნამ გასაღებთან ერთად რომ გადასცა და სახე წამოუჭარხლდა. გაბრაზებულ გულზე ქალაღი სამზარეულოს მაგიდისკენ მოისროლა, თავი კარის წირთხლისთვის რომ არ აერტყა დაიხარა და ლეონტევის ზურგს უკან ქოშინით დადგა. უბნის ინსპექტორი ჩაფიქრებული ათვალეობდა დედაბერის ოთახს. უაბაჟურო, მიმქრალი ნათურა ქალაღების უზარმაზარ გროვას ანათებდა. ოთახი ქალაღებით იყო მოფენილი.

– დედაბერი რომანებს წერდა? – უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა

ლეონტევმა. – შეხედე... – მან იატაკიდან ფურცელი აიღო. – „მე თქვენ მიყვარდით... შესაძლოა, ეს სიყვარული...“ – გაცოცხლებმა შეხედა ექიმს: – ეს რას ნიშნავს?

შებერსტოვამ ჯოხი მეორე ხელში გადაიტანა და ლიოშა გზიდან ჩამოიცილა. მერე გაჭირვებით და ხვნეშა-ხვნეშით ვინრო შესასვლელში შევიდა, სადაც მაგიდა და წელგალუნული სკამი იდგა. დაჯდა, ქალაღდების გროვიდან ფურცლების შეკვრა გამოაძრო და კითხვას შეუდგა.

– ეს რას ნიშნავს? – გაიმეორა ლიოშამ, დაბნეული რომ დაჰყურებდა ბებრული ნაჯღაბნით სავსე ფურცელს. – ნუთუ ის...

შებერსტოვამ ლიოშას ქვევიდან ზევით გაბრაზებით ახედა.

– გგონია, სულს ეშმაკი ეპატრონება?

შებერსტოვი და ლიოშა ქალაღდებს გათენებადმე არჩევდნენ, რომელთა განადგურებაც „ზღვაოსანმა სინდბადმა“ სთხოვა და რომელთაც ორმოცდაათი წელი მალავდა. დაწყებული 1945 წლის 11 ნოემბრიდან, ის ყოველდღიურად, საკუთარი ხელით იწერდა პუშკინის ერთსა და იმავე ლექსს – „მე თქვენ მიყვარდით...“ თვრამეტიათას ორას ორმოცდათორმეტი სხვადასხვა ზომის ქალაღდის ფურცელი შემორჩა, თითოეულზე – რვა უკვდავი სტროფით, რომელთაც არ დაუკარგავთ სილამაზე სასვენი ნიშნების გარეშეც კი – დედაბერს ცამეტიდან არც ერთი სასვენი ნიშანი არასოდეს არ დაუსვამს. როგორც ჩანს, მეხსიერებით წერდა და შეცდომებსაც უშვებდა. მაგალითად: სიტყვას „შესაძლოა“ ბოლოში აუცილებლად სილბოს ნიშანს უსვამდა. სიტყვა „ღმერთს“ – მაშინდელი საბჭოთა ორთოგრაფიის საწინააღმდეგოდ მუდამ დიდი ასოთი იწყებდა. თითოეული ფურცლის ქვემოთ აუცილებლად თარიღს სვამდა – ძალიან იშვიათად – რამდენიმე სიტყვას უმატებდა: 1953 წლის 5 მარტი – „მოკვდა სტალინი“, 1960 წლის 19 აპრილი – „მოკვდა ფეოდორ ფეოდოროვიჩი“, 1961 წლის 12 აპრილი – „გაგარინი მთვარეზე გაფრინდა“, 1970 წლის 29 აგვისტო – პეტიას (მისი შვილიშვილი) გოგონა გაუჩნდა – ქსენია“... რამდენიმე ფურცელს გვერდები ჰქონდა მომწვარი, რამდენიმე – დახეულიყო. თვრამეტიათას ორას ორმოცდათორმეტჯერ გადაწერა ქალაღდზე ეს რვა სტროფი. რისთვის? რატომ მაინცდამაინც ეს სტროფები? და რაზე ფიქრობდა როდესაც ლექსს ასრულებდა – „ღმერთმა ინებოს სამუ-

დამოდ სხვასაც უყვარდეთ“ – და გულდასმით გამოჰყავდა „მოკვდა სტალინი“ ანდა „მოკვდა ფეოდორ ფეოდოროვიჩი“.


გამთენიისას, შებერსტოვამ და ლიოშამ ღუმელი დაანთეს და ქალღდეები შეუკეთეს. ნახევარ საათში ღუმელი გახურდა. ოთახში დაცხა. რატომღაც, ორივე უხერხულად გრძნობდა თავს, მაგრამ როდესაც ლეონტევემა წაილულულა: „რა განსხვავებაა ადამიანს დანვავ თუ აი, ამ...“ ექიმმა მხოლოდ გაბრაზებით ჩაიფრუტუნა. ერთი ფურცელი – ის, რომელიც კატერინა ივანოვნამ გადასცა, შებერსტოვამ შეინახა, თუმცა თავადაც ვერ გაეაზრებინა რისთვის ან რატომ. შესაძლოა, მხოლოდ იმიტომ, ეს პირველი შემთხვევა იყო, დედაბრმა ფურცელზე თარიღი რომ არ დასვა. თითქოს მიხვდა, – პოეზიის მარადიულობას დრო ვერაფერს დააკლებდა და დრო ჩვენი უბადრუკი ცხოვრების მარადიულობის წინაშეც კი უძლური იქნებოდა...



## ვლადიმერ სოროკინი

პროზაიკოსი, სცენარისტი, დრამატურგი, ვლადიმერ სოროკინი დაიბადა 1955 წელს სოფელ ბიკოვოში (მოსკოვის ოლქი). 1977 წელს დაამთავრა მოსკოვის გუბკინის სახელობის ნავთობისა და გაზის მრეწველობის ინსტიტუტი.

მიღებული აქვს: პრემია „სახალხო ბუკერი“ (2001), გერმანიის კულტურის სამინისტროს პრემია (2001), ანდრეი ბელოვის პრემია (2001), პრემია „ნოსი“ (2010), პრემია „დიდი წიგნი“ (2011), პრემია „ნოსი“ (2017).



## გულითადი თხოვნა

მე, ბონდარენკო პავლე ნიკოლაევიჩი, დაბადებული 1917 წლის 5 ივლისს, დიდი სამამულო ომის მონაწილე, მუშების შთამომავალი, შრომის ინვალიდი უწინარეს ყოვლისა ჩემო ძვირფასო ახლობლებო სონია და იურა პირველ რიგში ახალ წელს მოგილოცავთ და გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, ყველანაირ სიხარულს ოჯახში, სამსახურში. დაე ახალ 1985 წელს თქვენს ოჯახში უფრო ბევრი სიხარული იყოს და ყველაფერი კარგად იქნება და ყველანი ჯანმრთელად იქნებით და სახლიცა და ოჯახიც სავესე გექნებათ და მე ასევე ყველაფრისთვის პატიებას ვითხოვ რომ ჩემზე ჯავრობთ. ჩემო ძვირფასებო მე მინდა გულითადად მოგილოცოთ რომ ყველაფერი კარგად იყოს და რომ სონიას პროექტთან დაკავშირებითაც ყველაფერი კარგად იყოს და კიდევ შევებულება მისცენ საკუთარ ხარჯზე და რომ ყველანი ჯანმრთელად იყოს და იურას დედაც თავს კარგად გრძნობდეს და აგრეთვე არც მან არ იავადმყოფოს. ჩემო ახლობლებო ახალ წელს გულითადად გთხოვთ არ მომკლათ მე არ გინდათ. არ მომკლათ მე არ გინდათ. სონია შენ ხომ ჩემი ღვიძლი ქალიშვილი ხარ და მახსოვს მე და დედაშენი

ხელში აყვანილს როგორ გივლიდით და ჩვენი დედა გარდაიცვალა და ამ დღეს ვერ მოესწრო რომ შეეხედა როგორ დარბის ოქროსავით შვილიშვილი სვეტლანა. მე კი ხელით დამყავდი, სუფთა ჰაერით რომ გესუნთქა პარკში დავდიოდით სადაც ქარხანა არ იყო. არ მომკლათ მე არ გინდათ. თქვენზე ძვირფასები არავინ მყავს შენ და იურა ყველაზე ძვირფასები ხართ. მე თქვენ გულით მიყვარხართ როგორც ყველაზე ყველაზე ახლობლები და მე თქვენთვის ყოველთვის ყველაფერს გავაკეთებ და ყველაფერს მოგცემთ. ჩემო ძვირფასებო არ მომკლათ მე არ გინდათ. თქვენ სამი კვირაა არ მელაპარაკებით და სრულიად არაფერს მხოლოდ არ მომკლათ მე. რასაც მოისურვებთ ყოველთვის და ყველაფერს გავაკეთებ და მზად ვარ ყველაფერში დაგეხმაროთ და როგორც საჭიროა ისე გავაკეთო. მხოლოდ არ მომკლათ. ყველაფერს გავაკეთებ და ყველაფერში დაგეხმარებით როგორც შემძლია და რასაც მოისურვებთ. ყველანიარად ვეცდები რომ ხელი არ შეგიშალოთ. არ მომკლათ მე არ გინდათ. ჩემო ახლობლებო ჩემო ქალიშვილო შემნახველი სალაროს ნიგნაკზე 726 მანეთი მაქვს შენახული და ყველაფერს მოგცემთ და თქვენ იყიდით ტანსაცმლისა და თეთრეულის კარადას ჭურჭელს ახალ ფერად ტელევიზორს ბინის ფულს წინასწარ გადავიხდით რომ ყველაფერი კარგად იყოს არ მომკლათ მე არ გინდათ. იმის გამო რომ არ მელაპარაკებით შინ ჩუმად ვიქნები თქვენ და იურა პეტროვიჩს ხელს არ შეგიშლით წყნარად ვიქნები სინათლესაც ჩავაქრობ უნიტაზის რგოლი კი უნიტაზის რგოლის გარეშე ყველაფერს წესიერად გავაკეთებ და აღარასოდეს აღარ დავსვრი და სინათლეს ყველგან ჩავაქრობ არ მომკლათ მე არ გინდათ. ძვირფასო სონია ჩემო ღვიძლო ქალიშვილო ექიმთან ვიყავი და მეტჯერ აღარ დავსვრი და საერთოდ აღარასოდეს აღარ დავსვრი სიცოცხლეში აღარასოდეს. არ მომკლათ მე არ გინდათ ექიმის რჩევისამებრ ჩემთვის სუდნოს ვიყიდი და ღამე აღარ ავდგები და ყოველთვის ჩავაქრობ და აღარ ვაფრატუნებ და აბსოლუტურ სისუფთავეს დავიცავ როგორც საჭიროა. და საერთოდ აღარასოდეს აღარ ავდგები და ვფიცავ აბსოლუტური სიჩუმე იქნება ვფიცავ ჩემო ღვიძლო შვილებო არ მომკლათ მე არ გინდათ. აღარასოდეს გავაჯახუნებ კარს და არ ვატყაპუნებ და ცუდად არ მოვიქცევი და მეტჯერ აღარ დავსვრი და სინათლეს ყოველთვის ჩავაქრობ სამარადისოდ მთელ ფულს კი

726 მანეთს საახალწლოდ გაჩუქებთ და თქვენ გექნებათ ჭურჭლისა და თეთრეულის კარადა და სრულიად ახალი ჭურჭელი. არ მომკლათ მე არ გინდათ. არ შეგავიწროვებთ და სამზარეულოშიც მხოლოდ მაშინ გავალ როდესაც იურა სამსახურში წავა და დილით ტუალეტში არ შევალ ჩემო ძვირფასებო არ მომკლათ. არ მომკლათ მე არ გინდათ. მე იმის მეშინია რომ იურამ ჩაქუჩით არ მომკლას რომელიც კომოდის ქვედა უჯრაში დევს. სონია ხომ გივლიდი ჩვენ კარგად ვცხოვრობდით მე ქარხანაში ოსტატად ვმუშაობდი და ბევრი ვიმპელი მქონდა და კარგი პრემიალურები და სურსათი შეკვეთით და დედასთან ერთად სანატორიუმში გიშვებდით და არასოდეს დავახველებ და ტიხარი კიდევ ერთი მეტრით გადმოსწიეთ და უფრო მეტადაც როგორც გული გიკარნახებთ და რამდენზედაც გინდათ თუნდაც ფანჯრის რაფამდე მე კი არ დავსვრი და ხვალ დილაადრიანად მორიგე აფთიაქში წავალ და სუდნოს ვიყიდი. დილით კი როდესაც იურა პეტროვიჩი წავა კვერცხს ჩუმად მოვიხარშავ და მაშინვე წავალ და არ მომკლათ მე. და მეტი არაფერი და ცხოვრებაში აღარ დავსვრი მხოლოდ ჩაქუჩით არ მომკლათ არ გინდათ. სვეტლანა ჩემო ოქრო გოგო მე თქვენ ყველანაირად დაგეხმარებით და აღარაფერს დავსვრი სუდნოსაც ვიყიდი. აღარ ვაფრატუნებ და აღარ დავახველებ და მუდამ ჩავაქრობ რომ ელექტროენერგია არ დაიხარჯოს სონია მშობელმა დედამ ვერ იცოცხლა ჩვენ კი ყველაფერს დედის მაგივრად ვაკეთებდით რომ ტექნიკუმშიც გესწავლა რომ კარგად ჩაგეცვა ზამბარებს კი ტავოტით გავპოხავ ჩემო ძვირფასებო და ყველაზე ახლობლებო. არ მომკლათ ჩაქუჩით არ გინდათ ტიხარი კი რამდენზედაც გინდათ იმდენზე გადმოსწიეთ ერთოთახიანი ბინა სახელმწიფო კი მოგვცემს ოროთახიანს შესაძლოა სამოთახიანსაც მე კი ყველაზე პატარაში და ისიც თუ გინდათ ფირფიცრით ისე გადავლობოთ რომ მხოლოდ სანოლი დაიდგას და მუდამ ჩავაქრობ. არ მომკლათ მე არ გინდათ. მე არ ვატყაპუნებ და არც ვაფრატუნებ მე ფეხაკრეფით ვივლი არც დავილაპარაკებ ასე რომ ჩაქუჩით მოკვლა არ გინდათ. სონია მეშინია ჩემო ძვირფასო ქალიშვილო დაე იურა პეტროვიჩმა ჩაქუჩი მედვედკოვოში წაიღოს მეშინია. დაე სვეტლანამ გაკვეთილები ისწავლოს მე კი ჩუმად ვიქნები და ყველაფერს წამოწოლილი გავაკეთებ. ჩაქუჩით არ მომკლათ. ლეონიდ ალექსევიჩი გარდაიცვალა. ის 76

წლის იყო ჩაქურჩით კი საჭირო არაა ის სვამდა მე კი გული მანუხებს და არასდროს არც ერთი გრამი პირში არ ჩამიშვია და არც არასოდეს დავლევ. ჩემო ახლობლებო ჩემო ქალიშვილო არ მომკლათ არ გინდათ ახალ ბინაში კი ტიხარი რამდენზეც საჭიროა იმდენზე გადასწიეთ თუნდ ოთახის ბოლომდე მე ვიცი ამას სახელმწიფო უზრუნველყოფს მე ხომ დიდი სამამულო ომის მონაწილე ვარ მაგრამ წიგნაკი არ მაქვს ყველაფერი დაინვა და მხოლოდ შრომის ინვალიდობა ჩემო ძვირფასებო და იურა პეტროვიჩმა ჩაქურჩი მედვედკოვოში წაიღოს. ლეონიდ ალექსეევიჩი მოკვდა ის სვამდა მე გული მანუხებს როგორც ექიმებმა ჩამინერეს მაგრამ მთავარი ისაა იურა ჩაქურჩს კომოდში რატომ ინახავს. როგორც ექიმმა მირჩია სუდნოს ვიყიდი ჩაქურჩით არაა საჭირო ჩემო ღვიძლო ქალიშვილო ორი წლის მერე თვითონ მოვკვდები. ორი წლის მერე მხოლოდ იმიტომ მოვკვდები რომ სვეტლანა პიონერთა რიგებში შევიდეს ახლა კი ჩემო ძვირფასებო ჩაქურჩით არ მომკლათ. ლეონიდ ალექსეევიჩი მოკვდა და ახლა გაცილებით მეტი ადგილია პეტრიშჩევებს ბევრი თავისუფალი ადგილი აქვთ მე კი ორი წელიც და მოვკვდები ის კი 76 წლის იყო. მე მხოლოდ ვერმიშელს შევჭამ და დღისითაც ვერმიშელი და სადილზეც ვერმიშელი და სალამოთიც ვერმიშელი და მუდამ სულით და გულით ვერმიშელს შევჭამ. არაფერს დავსვრი და არსად დავანწვეთებ მხოლოდ ჩაქურჩით არ გინდათ არ მომკლათ არ გინდათ. იურა ძვირფასო კომოდიდან ჩაქურჩი აიღე მეშინია. არ მომკლათ არ გინდათ მე ხომ იმისთვის ვიბრძოდი რომ მშვიდობიანი ცა ყოფილიყო ჩვენ ვარშავიდან ბერლინამდე ფეხით ვიარეთ არ მომკლათ მე არ გინდათ ვერ ვიტან როდესაც იურა კომოდში ჩაქურჩს დებს. არასოდეს ვატყაპუნებ და ჩავაქრობ გეფიცვებით და თუ არ დამელაპარაკებით არ მენწყინება. არ მომკლათ მე არ გინდათ ერთოთახიანი ბინა იქნება ოროთახიანს სახელმწიფო უზრუნველყოფს. მე წიგნაკი არ ამიღია დოკუმენტები დაინვა არადა როგორც დიდი სამამულო ომის მონაწილეს სამოთახიანს მომცემდნენ როგორც სემიჩასტინსა და ევგენია ლვოვნას. მე კი პატიოსან სიტყვას გაძლევთ სუდნოს ვიყიდი როგორც ექიმმა დამარიგა აღარ დავანწვეთებ და არ დავღვრი და ხალიჩას არ დავამხეფებ. ხოლო როცა იურა დედამისთან წავა ჩაქურჩი მედვედკოვოში წაიღოს და საჭირო არაა ჩემი მოკვლა. საბჭოთა მუშისა და ომის მონაწილის გულითადი

თხოვნით გთხოვთ არ მომკლათ ყველაფერს ჩავაქრობ და ყველაფერი შევიგნე და საჭირო დასკვნები გამოვიტანე. არ მომკლათ ჩაქურით არ გინდათ სვეტლანას მოფუვლი და სახლში ყველაფერს გავაკეთებ ხოლო როდესაც იურა დედასთან წავა წერილობით შევახსენებ კომოდიდან ჩაქური წაიღოს ჩაქური არ გინდათ. ლეონიდ ალექსეიევიჩი კი მოკვდა და პეტრიშჩიეებს ბევრი ადგილი აქვთ არ მომკლათ მე არ გინდათ და მე დასკვნები გამოვიტანე და შევიგნე არ მომკლათ არ გინდათ. რამდენზედაც გნებავთ იმდენზე გადასწიეთ და სულ ვინვები და მხოლოდ როდესაც იურა სამსახურში წავა დილითაც ვერმიშელს შევჭამ და სადილადაც ვერმიშელს და ვახშმადაც ვერმიშელს და ყველაფერს გულითადად გავაკეთებ. მხოლოდ იურამ ჩაქური მედვედკოვოში დედასთან წაიღოს და ქალმა ის იქ კარგად და სამარადჟამოდ შეინახოს და ჩემო ძვირფასო და საყვარელო ბავშვებო მეშინია რადგან მთლად ვცახცახებ და გული ცუდად მაქვს და წრეები. ჩემო ძვირფასო სონია და იურა პეტროვიჩ მე ომისა და შრომის ვეტერანი გულითადად გთხოვთ ჩაქური წაიღოთ რომ კომოდში არ იყოს ის და რომ მედვედკოვოში დედამ სამარადჟამოდ შეინახოს. და ნუ მომკლავთ ყველაფერს გავაკეთებ თქვენ კი კარადა და ტელევიზორი იყიდეთ ხოლო როდესაც სვეტლანა პიონერთა რიგებში შევა მე მოვკვდები. ჩემო ძვირფასებო ჩაქური კი საჭირო არ არის იმიტომ რომ მე შეიძლება მოვკვდე და შავი წრეები მოდიან და გული კი რახუნობს. მე ხომ ვიბრძოდი და თქვენს მშვიდობიან ცას ვიცავდი და იურა ჩემო ძვირფასო მოაშორე როგორც კი დედასთან წახვალ წერილს დავენერ ჩაქური მედვედკოვოში მყუდრო ადგილას რომ შეინახო. და მაშინ იმავე წამს შემნახველ სალაროში წავალ და მთელ ფულს მაშინვე თქვენ მოგცემთ. მხოლოდ არ მომკლათ არ გინდათ მე არ დავანვებ და დენსაც დავწვავ რომ სინათლე ენთოს და გეფიცებით როგორც კი შევძლებ ჩავაქრობ არ მომკლათ მე არ გინდათ წავალ და წიგნაკს ავიღებ და აღმადგენენ ოროთახიანს აუცილებლად და ჩვენ გადავალთ და ყველაფერი კარგად იქნება მე კი ყველაზე პატარაში და ფირფიცრის ტიხარი გააკეთეთ და საქმიანად გასწი-გამოსწიეთ მე კი ჩემთვის სუდნოს ვიყიდი და სუდნოთი სუფთად ვიცხოვრებ. ხალიჩაზე არ დავანვებ და არ დავღვრი ვფიცავარ და არ მომკლათ არ გინდათ. იურა ჩაქურით არ გინდა როგორც კი ვხედავ მაშინვე

ყველაფერს ვხვდები და შავი წრეები მოდიან და ძალიან გულითადად გთხოვთ არ მომკლათ არ გინდათ მე ყველაფერს პატიოსნად გავაკეთებ და თქვენ ყველაფერს ბოლო კაპიკამდე მიიღებთ. სონია ყველაფერს ბოლო კაპიკამდე პატიოსნად მიიღებს რათა კარადა და კარგი ტელევიზორი იყიდოთ სვეტლანამ ძილი ნებისას რომ უყუროს. და როგორც კი სვეტლანას პიონერთა რიგებში მიიღებენ მაშინვე მოკვდები და საცხოვრებელ ფართს გავანთავისუფლებ და თქვენ ყველაფერს ბოლო კაპიკამდე მიიღებთ იურა ჩაქუჩით არ მომკლა არ გინდა. აღარასოდეს არ დავანწვეთებ ექიმმა მირჩია და კარგ სუდნოს ვიყიდი რომ სიკვდილამდე გაძლოს. და ყოველთვის ჩავაქრობ და არ ვიხვრინებ არ გადავბრუნდები არ ვატყაპუნებ და ყოველთვის ფრთხილად გადავიფარებ რომ წესრიგი იყოს და ყველაფერს წამოწოლილი გავაკეთებ. ლეონიდ ალექსევიჩი მოკვდა მაგრამ ის სვამდა მე კი გულის გამო პირსაც არ ვაკარებ როდესაც შავი წრეები და არ გინდათ ჩაქუჩით არ მომკლათ. მხოლოდ როდესაც სვეტლანა პიონერთა რიგებში შევა მაშინვე წავალ და პატიოსნად ყველაფერს გავიხდი და მაშინვე მოკვდები რომ იყოს კარადა და ტელევიზორი და მშვიდი ცხოვრება. არ მომკლათ მე არ გინდათ. სონია ჩემო ღვიძლო ქალიშვილო მე მოგმართავ რომ იურამ კომოდიდან ჩაქუჩი წაიღოს და ძალიან მეშინია და ხელები მიცახცახებს მინდა რომ ყველაფერი კარგად იყოს და რაც კი მახადია ყველაფერს მოგცემთ. მედვედკოვოში დედასთან სამარადჟამოდ რომ გადამალო და მეტჯერ აღარასოდეს დავინახო. ახლა კი დილითაც ვერმიშელი სადილადაც ვერმიშელი ვახშმადაც ვერმიშელი და არსად და აღარასოდეს დავანწვეთებ. ყველაფერს ისე ვაკეთებდი როგორც საჭირო იყო და ჩვენი დედა ვერ მოესწრო ჩვენ კი მასთან ერთად ყველაფერს წესიერად ვაკეთებდით რომ ყველაფერი კარგად ყოფილიყო და არ არის საჭირო ჩაქუჩის კომოდში შენახვა იქ საშიშია და ქანაობით სიარულისას ხელები მიცახცახებს. მე ახლა თქვენ პატიოსნად შეგპირდებით რომ ორი წლის მერე მოკვდები და საცხოვრებელ ფართს გავათავისუფლებ და ამას გულწრფელად გპირდებით როგორც საბჭოთა მუშა და ყველაფერზე პასუხისმგებელი. იურა არ შემიძლია დავინახო კომოდში ჩაქუჩს როგორ ინახავ. იურა ეს არ გინდა ყველაფერს პატიოსნად გავაკეთებ. მე ხომ ვიბრძოდი და ვარშავიდან ბერლინამდე მივედი რომ თქვენ მშვიდად

და ბედნიერად ყოფილიყავით. ორი წლის მერე კი მე გპირდებით და ვფიცავარ რომ მოვკვდები და როგორც კი საცხოვრებელ ფართს გავათავისუფლებ შემნახველი სალარო მაშინვე ფულს მოგცემთ და ყველაფერი თქვენი იქნება და სვეტლანა პიონერთა რიგებში შევა. არ მომკლათ მე არ გინდათ. იურა ძვირფასო ჩაქუჩი კომოდს მოაშორე. არ გინდა ეს. ლეონიდ ალექსევიჩი მოკვდა და საცხოვრებელი ფართი მაშინვე გაათავისუფლა და მეც მოვკვდები და მეც მაშინვე გავათავისუფლებ ფართს ჩაქუჩით კი არ გინდათ ჩემო ახლობლებო არ მომკლათ. არ მომკლათ მე ახლა შეგპირდებით და პატიოსნად ვიტყვი რომ ზუსტად ორ წელში მოვკვდები და საცხოვრებელ ფართს გავათავისუფლებ და თქვენ იმავე წამიდან თავისუფლად იცხოვრებთ. საყვარელი სვეტლანა კი პიონერთა რიგებში შევა და ტელევიზორი და კარადა ყველაფერი რომ კარგად და მოხერხებულად იყოს ჩემი მოკვლა საჭირო არაა. ყველაფერს პატიოსნად მოგცემთ და ეს საბჭოთა მუშის სიტყვაა მე შრომის ინვალიდი ვარ და მაქვს მონაწილეობა დოკუმენტები კი დაინვა მე დიდი სამამულო ომის მონაწილე ვარ და საკმაოდ ადგილი იქნება კეთილი ოჯახის ერთად ცხოვრებისთვის. მე ჩავაქრობ და დავეკეტავ და ჩემო ძვირფასებო ყველაფერს წამოწოლილი გავაკეთებ ჩუმად და არ ვიფაჩუნებ არ მომკლათ არ გინდათ. არ მომკლათ მე არ გინდათ. დასვრით არ დავსვრი ჩაქუჩით არ გინდათ ჩემო ძვირფასებო არ გინდათ ჩაქუჩით. და თუ საჭიროა შემიძლია დავიფიცო რომ ორი წლის მერე მოვკვდები და მთელი ფული თქვენი და იურასი გახდება სახელმწიფო კი ყველაფერს წესიერად გააკეთებ. საზეიმოდ ვდებ ფიცს რომ როგორც კი ორი წელი გავა მაშინვე მოვკვდები არ მომკლათ მე ამის გაკეთება ჩაქუჩით არ გინდათ. და აი ჩემო ძვირფასებო მე დავწერ:

### საბჭოთა მუშის საზეიმო ფიცი

მე, ბონდარენკო პავლე ნიკოლაევიჩი, დაბადებული 1917 წლის 5 ივლისს დიდი სამამულო ომის მონაწილე მუშების შთამომავალი შრომის ინვალიდი ვდებ ფიცს და გპირდებით ორი წლის მერე როგორც კი სვეტლანა პიონერთა რიგებში შევა მე მოვკვდები და საცხოვრებელ ფართს გავათავისუფლებ.

## ანდრეი ვოლოსი

პროზაიკოსი და პოეტი ანდრეი ვოლოსი დაიბადა 1955 წელს სტალინაბადში. დაამთავრა მოსკოვის გუბკინის სახელობის ნავთობისა და გაზის მრეწველობის ინსტიტუტი. არის მოსკოვის მწერალთა კავშირის წევრი. ამჟამად ცხოვრობს მოსკოვში.

მიღებული აქვს: ჟურნალ „ზნამიას“ პრემია (1996), პრემია „პენე“ (იტალია, 1999), ჟურნალ „ნოვი მირის“ პრემია (2001), რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემია (2000), პრემია „რუსული ბუკერი“ (2013), პრემია „სტუდენტური ბუკერი“ (2013), ბუნინის პრემია (2013), პრემია „დიდი წიგნის“ ფინალისტი (2013).



## მკითხველი

რადგანაც კითხვა კმაყოფილებას ანიჭებს, ანგარიშმიუცემლად გადადის ერთი ფურცლიდან მეორე ფურცელზე, ერთი თავიდან მეორე თავზე.

წიგნის წაიკითხვის მერე კი ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს რაღაც გამოუმცხვარიტ გამოძღა.

მასსა და ტექსტს შორის რაიმე სპეციფიკური ურთიერთობა რომ არსებობდეს – მაგალითად, ლიტერატორი ან ფილოლოგი რომ იყოს, – შესაძღლა, ჩასწვდომღა თავისი დაუკმაყოფილებღობის მიზეზებს, მაგრამ საკუთარი გრძნობების ახსნა არ შეუძღლა და თუკი უცხო ადამიანი მოინადინებს, გრძნობებში გაარკვიოს, მხოლოდ მხრებს აინურავს.

კითხვას მოცაღეობისას ინყებს, როდესაც ყვეღა საკმე მოთავებული აქვს. ასევე მეტროში, თუკი დაჯღომას ახერხებს, ანღა რიგში დგომისას. ცხადღა, ასეთ დროს არაფრის გარკვევას არ აპირებს და ვერც აბსტრაქტულ პრობღემებს ხეღავს. მათზე კიღევც რომ მიუთითო, მაინც ვერაფერს გაიგებს.

სიტყვები მისი პრაქტიკული საშუალებების არსენალში შედის – მაგალითად, როგორც ჩაქუჩი ან საჭრისი. ის სიტყვებს უტილიტარული მიზნების მისაღწევად იყენებს.

სხვისი ნათქვამი შეუძლია გაიგოს – და იგებს კიდეც, – როგორ უნდა მოიქცეს ამა თუ იმ სიტუაციაში. მნიშვნელობა არა აქვს, სიტყვები რანაირად არიან განლაგებულნი – მთავარია, სწორი აზრის გამოტანა შეძლოს. „გეთაყვა, ნადი მალაზიაში კარტოფილის საყიდლად“.

ანდა პირიქით: საჭიროების შემთხვევაში სიტყვებს იმისთვის იყენებს, რათა საკუთარი ნათქვამი სხვას მოახვიოს თავს. მაგალითად: „დაჯექი, გაკვეთილები ისწავლე“.

საერთოდ, ის მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის კითხულობს.

ნიგნს შრიალით ფურცლავს. კითხვისას თითქოს საფეხურებზე ეშვებაო... ასეთ დროს ხშირად მოუხერხებელი მთასვლელებით იქცევა. მომდევნო სტრიქონზე თვალის აუჩქარებელი მოძრაობით უნდა გადახვიდე, ის კი გამუდმებით ჩქარობს. ხუთი სტრიქონით ქვევით სახიფათოდ ჩამოსრიალებული პირველსავე პნკარს სასწაულებრივად ებლაუჭება. სწრაფი დაშვების იმედით რამდენიმეს გადააბიჯებს და ერთბაშად ათ სტრიქონს კვლავ გრუხუნით გადაევლება...

ნიგნს რომ გადასანსლავს, იმავე წამს სხვა ნიგნს იწყებს. როცა ერთი ნიგნის კითხვას ამთავრებს, მეორე გამზადებული აქვს.

ისე კითხულობს, თითქოს ხელთ მოხვედრილი ნებისმიერი ნიგნის შესწავლა აქვს გადაწყვეტილი, რათა ბოლოს და ბოლოს წაანყდეს იმ ერთადერთ ნიგნს, რომელსაც ეძებს. ეს რომ უთხრა, ის უარყოფს: არაფერი ამის მსგავსი, ამისთანა რამ აზრადაც არ გაუვლია, უბრალოდ, ნიგნებს ერთმანეთის მიყოლებით კითხულობს.

მაგრამ სინამდვილეში – ის ეძებს ყველაზე საჭირო ნიგნს.

ის ეძებს საკუთარ თავზე დაწერილ ნიგნს.

როდესაც ეს ნიგნი ბოლოს და ბოლოს გამოჩნდება, ის პირველივე სტრიქონებიდან მიხვდება, რომ ეს სწორედ ის ნიგნია და ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება.

ამ წიგნის ერთი სტრიქონიც არ დარჩება წაუკითხავი.

სტრიქონს კი არა, ერთ სიტყვასაც არ გამოტოვებს.

საერთოდ, ასოებს ტიპოგრაფიული საღებავის მკვდარ ნაკვალევად მიიჩნევს და, გაზეპირებული სიტყვების გადაკითხვის გარდა, ახალს არაფერს ელის.

ამ ბედად აღმოჩენილ წიგნში კი ყველაფერი სხვაგვარად იქნება. მისდა გასაოცრად, გაირკვევა, რომ სიტყვები გაცოცხლდნენ. ნეტარებისგან სუნთქვაშეკრული დააკვირდება, როგორ მოძრაობენ სიტყვები, როგორ უბრწყინავთ თვალები, შეძახილებითა და ფაცაფუცით როგორ ავსებენ ფურცლებს, წინ წასულებს კვალში მისდევენ, ცეკვით თავბრუ ესხმით, ერთიმეორეს ნაირფერ ასხმულებად ეკვრიან და საზეიმოდ ციმციმებენ. უცებ იფანტებიან, მერე კვლავ ჯგუფდებიან და ერთმანეთის შესახვედრად შეძახილებით გარბიან.

ასეთ დროს განა შესაძლებელია თუნდაც ერთი სიტყვის გამოტოვება? აბა, სცადე – სიტყვები ამის ნებას არ მოგცემენ. ძალიან მაგრად ჩაგებლაუჭებიან, მხედველობას გაგიმახვილებენ.

მაგრამ მთავარი სხვა რამეა: ეს წიგნი მართლაც მასზეა.

ამიტომ კითხულობს ასე ხარბად და წაკითხულ აბზაცს ხშირად უბრუნდება. წამდაუნუმ წიგნის დასასრულს ჩაჰყურებს, რათა იცოდეს, კიდევ რამდენი დარჩა წასაკითხი.

ამ წიგნში ბევრი ადამიანია, რომელთაც კარგად იცნობს – ბავშვობიდან. ამ ადამიანებთან ცხოვრება კიდევ დიდხანს მოუწევს. მათ ტკივილს საკუთარივით განიცდის, ხოლო სიხარული ახარებს.

ყველანაირი მოულოდნელობა აცვიფრებს, ხარობს ნებისმიერი სიუჟეტის კვანძის გახსნით. ეს მოულოდნელობები ყოველ კუთხე-კუნჭულშია ჩასაფრებული და წიგნის კვანძის გახსნა არა სხვისი, არამედ საკუთარი ცხოვრების სხვაგვარ გაგრძელებას უქადის.

როდესაც ეს ყველაფერი კულმინაციას აღწევს და ჯერ კიდევ არ იცის, რა მოხდება, გული უჩერდება და სუნთქვა ეკვრის. საბედისწერო წამი დგება, მისი მომავალი უნდა გადაწყდეს.

ღიახ, როდესაც ეს წიგნი ბოლოს და ბოლოს მის ხელთ აღმოჩნდება, ყველაფერი სწორედ ასე იქნება.

მაგრამ ჯერ ვერ მოიხელთა.

ახლა ის სხვა წიგნს კითხულობს.

სხვათა შორის, ცუდი წიგნი არ არის. უფრო მეტიც – ძალიან კარგია.

გამოქვეყნებისთანავე ცნობილი ლიტერატურული პრემიების სიებში მოხვდა და, თუკი ავტორს ბედი გაუღიმებს, ერთ-ერთ პრემიას მიიღებს.

ჩინებული წიგნია.

მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს: ის მასზე არ არის.



## მიხეილ შიშკინი

პროზაიკოსი მიხეილ შიშკინი დაიბადა 1961 წელს მოსკოვში. დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რომანულ-გერმანული ფაკულტეტი.

მიღებული აქვს: ჟურნალ „ზნამიას“ პრემია საუკეთესო დებიუტისთვის (1993), პრემია „გლობუსი“ (1999), პრემია „რუსული ბუკერი“ (2000), პრემია „ნაციონალური ბესტსელერი“ (2005), პრემია „დიდი ნიგნი“ (2006), პრემია „დიდი ნიგნი“ (2011).

1995 წლიდან ცხოვრობს შვეიცარიაში.



## ნაბოკოვის მელნის ლაქა

ყველაფერი ასე დაიწყო.

კლოტენის აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში ვიდექი, ხელში ფირფიტა მეკავა წარწერით – კოვალევი და თავს ბედნიერად ვგრძნობდი.

ჩვენი ბიჭი ჯერ ერთი წლისაც არ იყო. ცოლი სახლში იჯდა და ბავშვს უვლიდა. მომჭირნედ ვცხოვრობდით, მაგრამ შემთხვევიდან შემთხვევამდე გამომუშავებული ფული ბინის ქირასაც არ ყოფნიდა. არადა, ვაჟიშვილისა და მეუღლის დაბადების დღეები ახლოვდებოდა. რადაც არ უნდა დამჯდომოდა საჩუქრებისთვის ფული უნდა მეშოვა. უცებ, ილბალი გამომიხტა: ერთი ფირმისგან, საიდანაც სათარგმნად დროდადრო ტექსტებს მიგზავნიდნენ, შეკვეთა მივიღე – ერთ-ერთ კლიენტს აეროპორტში უნდა დავხვედროდი, ჯერ სასტუმროში მიმეყვანა, მერე ბანკში და ბოლოს მონტრეში.

ფულის გარდა, ის ამბავი უფრო მნიშვნელოვანია, რომ ნაბოკოვთან უნდა გავმგზავრებულიყავით. კლიენტმა „მონტრე-პალასში“ სწორედ ის ნომერი დაჯავშნა, რომელშიც მწერალი ცხოვრობდა და საკრალურ ადგილას მოხვედრის შანსი გამიჩნდა. დაგვიანებ-

ული რეისის მოლოდინში ვოცნებობდი, როგორ მივუჯდებოდი ზუსტად იმ საწერ მაგიდას, გამოვალბედი უჯრას და დავინახავდი სახელგანთქმულ მეღნის ლაქას, რომლის შესახებაც მრავალჯერ წამიკითხავს. ნაბოკოვის მეღნის ლაქა! ხელითაც კი შევეხებოდი.

კოვალევი დანახვისთანავე ვიცანი. მან კი, რა თქმა უნდა, ვერ მიცნო. ქვეყნად უამრავი კოვალევია და თავში აზრადაც არ მომივიდოდა, რომ სწორედ ის კოვალევი გამომეცხადებოდა.

დაუძლეველმა სურვილმა მომიარა ფირფიტა ხელში შემეჩეჩებინა, შევბრუნებულყავი და იქაურობას გავცლოდი.

კოვალევს ცოლი და გოგონა ახლდნენ. გოგონა ხუთი წლის იქნებოდა. მან გამიღიმა და სათამაშო პინგვინი გამომიწოდა, რომელსაც პინგა ერქვა.

უკან გაბრუნების ნაცვლად კოვალევს ხელი ჩამოვართვი და რაც მსგავს დროსაა მიღებული, ყველაფერი თავიდან ბოლომდე ჩამოვარაკაკე: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ციურისში! როგორ იფრინეთ!“

სასტუმროში წავედით. ისინი ქალაქის ყველაზე ძვირადღირებულ სასტუმროში – „ბორ ო ლაკიში“ დაბინავდნენ.

კოვალევი მანქანაში ერთდროულად ორი ტელეფონით საუბრობდა და რაღაც საჩქარო საკითხებს აგვარებდა. ხანგამოშვებით კი ერთ-ორ სიტყვას მეც გადმომიგდებდა. მისი მსჯელობა, რასაც არ უნდა შეხებოდა, უაპელაციო იყო:

– Swissair მთლად დაეცა! რეისმა დაიგვიანა, მომსახურებაც საშინელია.

ან:

– დიდი ამბავი, ალპები. ჩვენთან, ალტაიში, უკეთესი ადგილებია!

ან:

– შევიცარიელები ასეთი მონესრიგებულები მხოლოდ იმიტომ არიან, რომ ორასი წელია მათი უკანალისთვის ხელი არავის უხლია.

თანმხლები თარჯიმანი ვიყავი და არ ვეკამათებოდი. საათობრივად მიხდიდნენ.

კოვალევი გამხდარ, ალბინოს ყმანვილკაცად მახსოვდა. მას კომკავშირული სამკერდე ნიშანი ეკეთა, რომელსაც მის გარდა არავინ ატარებდა. კოვალევი ინსტიტუტიდან გამოსვლისას სამკერდე

ნიშანს იხსნიდა. მას შემდეგ უამრავი წელი გავიდა და ის კვლავ ჩემს ცხოვრებაში შემოძვრა – ძვირფას კოსტიუმში გამოწყობილი, ღიპითა და ნაადრევად გამელოტებული თავით.

ჩვენ მოსკოვის ლენინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ვსწავლობდით. მე გერმანულ განყოფილებაზე, ის კი ინგლისურზე. ორი კურსით უფროსი იყო. კომკავშირული ფუნქციონერი გახლდათ და ტრიბუნიდან წარმოსთქვამდა სიტყვებს ფაკულტეტისა და საერთო საინსტიტუტო კრებებზე. კოვალევი რექტორატში უყვარდათ, რადგან დაყენებული ხმით, სტუდენტებს, პარტიის ყრილობის გადანიშნულებებს სასიხარულო აღმოჩენასავით გვაცნობდა. ჩვენ კი, ამის გამო, გვეზიზღებოდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ქალაქის რაიკომში, კომკავშირის ხაზით გააგრძელა საქმიანობა. იმ-თავითვე ცხადი იყო – მისნაირი, ძალიან წინ წავიდოდა.

ახლა სულ სხვა ცხოვრებაა, მაგრამ კოვალევი კვლავ ზედაპირზე აღმოჩნდა, მე კი ფსკერისკენ ვეშვებოდი.

კოვალევს თარჯიმანი არ სჭირდებოდა – სასტუმროში არამკაფიო ინგლისურით საუბრობდა. მერე ბანკში მოლაპარაკებებზე წავიდა და ცოლისა და გოგონას ციურისში გასეირნება დამავალა. ინსტიტუტელმა თავიდანვე მაგრძნობინა, რომ ფულს მიხდიდა არა როგორც თარჯიმანს, არამედ როგორც ხელზე მოსამსახურეს.

კოვალევის მეუღლეს ირინა ერქვა და ასეთი ცოლი სტატუსით ეკუთვნოდა – ახალგაზრდა, ლამაზი და რასაკვირველია ქერა. ციურისში გასეირნებაც მათ სტატუსს შეესაბამებოდა – ბანხოფ-შტრასეს ბუტიკებში ყველაფერი ძვირადღირებული შეიძინა. იანას, პატარა გოგონას მაღაზიებში მოეწინა და პინგვინებზე საუბრით ვართობდი.

– იცი, – მითხრა გოგონამ, – პინგვინებს შვილები ისე უყვართ, სანამ კვერცხებს ათბობენ, არაფერს ჭამენ.

– ხო, მსგავსი რაღაც ტელევიზორში მეც მომისმენია, – ვუპასუხე, – მგონი, კვერცხებზე მხოლოდ მამები ზიან.

– მართლა? – გაოცდა იანა. როგორც ჩანს, ამ ფაქტმა მამის მიმართ სიამაყის გრძნობა გაუღვივა, – რაც არ უნდა მოვისურვო, მამიკო უარს არაფერზე მეუბნება. შემპირდა, პონიზე გასეირნებო.

ირინა ციურისში ალბათ მრავალჯერ იყო ნამყოფი, რადგან მაღაზიებში მას დაყვავდი და ნავაჭრით ხელში განწირულივით უკან

მივყვებოდი. მერე კაფეში დავსხედით და ირინამ მიაბო, რომ ყოფილი სპორტსმენია – მხატვრული ტანმოვარჯიშე, რასაც მისი სხეულითაც ადვილად მიხვდებოდი. როგორც ჩანს, ქალს ვილაცასთან ლაყბობა უნდოდა. იგი მწვრთნელად მუშაობაზე ოცნებობდა, მაგრამ ქმრის სურვილია, რომ შვილთან ერთად სახლში იჯდეს. მერე იმის მოსმენა მომიწია თუ კოვალევი როგორი კარგი მამაა. იანა ისე უყვარს, მისთვის სიცოცხლეს არ დაიშურებს.

ვუყურებდი ირინას და მინდოდა გამეგო, ქმარი ნამდვილად უყვარდა თუ გამორჩენის გამო გაჰყვა ცოლად. თავქარიანი ქერთ-მიანის შთაბეჭდილებას არ ტოვებდა და ჩანს, კოვალევი მართლა უყვარდა.

– სინამდვილეში, მაღაზიებში სიარული მეჯავრება, – უცებ თქვა ქალმა, – მეგობრებისა და ნათესავებისთვის საჩუქრები მაქვს შესაძენი და ვშიშობ რომელიმე არ გამომჩრეს.

დამშვიდობებისას ანეკდოტიც კი მომიყვა.

– ორი ახალი რუსი ხვდება ერთმანეთს ციურისში, ბანხოფ-შტრასეზე. ერთი მეორეს ჰალსტუხს აჩვენებს: „შეხედე! აი, იმ ბუტიკში ორი ათას ფრანკად ვიყიდე!“ მეორე ეუბნება: „ნამდვილი სახედარი ხარ! ზუსტად ასეთი, აი, იმ ბუტიკში ვნახე, სამი ათასი ფრანკი ღირდა!“

ირინამ წკრიალა ხმით გაიცინა. რატომღაც, ყველა ჩემი კლიენტი, რომელთა ჩაყვანაც ციურისში მიწევდა, ყოველთვის ამ ანეკდოტს მიყვებოდა.

პინგამ ფრთა თუ ფარფლი დამიქნია და ერთმანეთს დილამდე დავცილდით – მეორე დილით, მათთან ერთად მონტრეში უნდა წავსულიყავი.

დამით ჩვენს ბიჭუნას გვიანობამდე არ ჩაეძინა, ტიროდა, სიცხემაც აუნია. ცოლი იავნანას უმღეროდა:

Schlaf, Chindli, schlaf

De Vater h̄ætet d Schaaf

D Mueter sch̄tlet s Boimeli

Da falled abe Troimeli

Schlaf, Chindli, schlaf.

ამ სიმღერაში, თუ ტოტებს შეარხევ, ხიდან სიზმრები ჩამოცვივდება.

ვერაფრით ჩავიძინე. ვუსმენდი მეუღლის იავნანას და ბიჭუნას სრუტუნს. ჩემი უძვირფასესი ადამიანებისთვის ძალიან მესაჭიროებოდა სამუშაო და ფული, რომელიც არ მქონდა, რადგან მუდმივ, კარგ სამუშაოს ვერ ვშოულობდი. მხოლოდ შემთხვევითი შემოსავლებით ვარჩენდი ოჯახს. ვეჭვობდი, ჩემს მალულად მეუღლე მშობლებისგან ფულს იღებდა და მრცხვენოდა.

ბიჭი დამშვიდდა, ცოლი დანვა და ჩამეხუტა. თვალის მოხუჭვა ვერ შევძელი. მან მითხრა:

– ვგრძნობ, რალაც გტანჯავს! მითხარი საყვარელო! ჩვენ ხომ ერთნი ვართ!

კოვალევეზე მოვუყევი, რომ მრავალი წლის წინ ის იყო ლაქია და მე ის მეზიზღებოდა.

– სადმე რომ შევხვედროდი ხელსაც არ ჩამოვართმევდი. ის ჩამოვიდა, ბლომად ფული აქვს და მე მისი ლაქია ვარ.

– არა, ლაქია არა ხარ. ნებისმიერი სამუშაო შეიძლება ღირსეულად შეასრულო.

– ფული ყველგან ყარს, მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სუნი ასდის. ცოტა ფულს სიღარიბე მოაქვს, ბლომად ფულს კი...

ცოლმა პირზე ხელი ამაფარა.

– საყვარელო! ყველაფერი მესმის. მაგ სამუშაოზე უარი თქვი. ახლა კი დაიძინე, გვიანია.

კოვალევეზე კიდევ რალაცის თქმა მინდოდა. საიდან აქვს კოვალევეს ეს ყველაფერი? ფული ტომრებით ჩამოაქვს, მე კი ხელზე მოსამსახურის პატიოსანი შრომით უნდა ავილო მისი აყროლებული ფული. თანაც, ეს სიამაყით უნდა გავაკეთო.

ალარაფერი მითქვამს. ბიჭმა გაიღვიძა და ატირდა.

მომდევნო დღეს კლიენტებთან ერთად მონტრეში გავემგზავრე. გზაში კოვალევი კვლავ თავის აზრებს მიზიარებდა.

– ავტობანზე რადარები დადგით, ახლა კი გეშინიათ. თქვენ არ ცხოვრობთ, მხოლოდ გეშინიათ! შიშისგან ცახცახებთ და თქვენს ნება-სურვილზე ვერ ნავარდობთ. ცხოვრების გეშინიათ და ცახცახებთ.

ან:

– შვეიცარიას ჯარი რად უნდა? რა ჯდება, ალპებს საკუთარი

სიამოვნებისთვის თვითმფრინავით რომ გადაუფრინო? სიმსუქნისგან ცოფდებით!

ან:

– აი, ნაბოკოვი, გენიალურია! ახლანდელები კი – ყველა განავალია!

ძველი ნაცნობის ნაბოკოვისადმი ასეთ სიყვარულს ვერაფრით ვუკავშირებდი მის კომკავშირულ წარსულსა და ამჟამინდელ ბიზნესსაქმიანობას. კითხვის დასმა ვერაფრით გადამეწყვიტა. არადა, რა სულელური შეკითხვაა – ადამიანი რატომაა მოხიბლული და აღტაცებული ნაბოკოვით?

ახალგაზრდობაში ნაბოკოვს მალულად ვკითხულობდით და თავს ბარბაროსთა სექტისგან დევნილებად ვთვლიდით. მისი წიგნები კი ჩვენი იდუმალი სიმდიდრე იყო. მაშინ ნაბოკოვზე საზღვარი გადიოდა: ჩვენიანები – უცხოები. კოვალევი უცხო იყო. ახლა კი მას მონტრეში მივყავდი. საკვირველია...

გოგონა მანქანაში ცუდად გახდა და იძულებული გავხდით რამდენჯერმე გავჩერებულიყავით. კოვალევი უკანა სავარძელზე გოგონასთან გადაჯდა და ათასგვარი ისტორიების მოყოლით მისი ყურადღება სხვა რამეზე გადაჰქონდა. იგი თხზავდა ზღაპრებს, სადაც მთავარი გმირი მუდამ იანა იყო, რომელიც ხან ბანდიტებს უვარდებოდა ხელში, ხან ურჩხულებს და ზღაპრული იანა მათთან ბრძოლაში მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა. გოგონა მამას ყურადღებით და სერიოზული გამომეტყველებით უსმენდა.

თებერვალი იყო, მოსკოვში ისევ ქარბუქი მძვინვარებდა, მონტრეში კი უკვე გაზაფხული იდგა. მზე ციდანაც აცხუნებდა და სარკისებური ტბიდანაც. თოლიები იქაურობას ახალისებდნენ. სახელგანთქმული სანაპირო, ჯერ კიდევ არ იყო გადაშავებული მუსულმანური ჩალმებით – იქ მოვლილი დედაბრები დასეირნობდნენ ბენვეულითა და მზის სათვალეებით. კოვალევმა ქურთუკი შეიხსნა და სავოიის ალპებისკენ თვალმოჭუტულმა გაიხედა, რომელნიც ლემანის ტბიდან ამოიზარდნენ.

– ყველაფერი ზუსტად ასე მქონდა წარმოდგენილი! – თქვა კოვალევმა.

ცოლ-შვილთან ერთად ყოველ კუთხეში ფოტოსურათი უნდა გადაემელო.

„მონტე-პალასში“, რეგისტრაციისას, დახლს მიღმა მდგარ გოგონას კოვალევმა უნდობლად გამოჰკითხა, მართლა ის ნომერი მისცეს, რომელშიც ნაბოკოვი ცხოვრობდა? დადებითმა პასუხმა ვერ დააკმაყოფილა და ამის შესახებ წვერიან შვეიცარსაც ჰკითხა, რომელიც ჩემოდნებს მიაგორებდა. მანაც დაარწმუნა, რომ ყოველივე სიმართლეს შეესაბამებოდა. შვეიცარი წარმოშობით სერბი გამოდგა. ცოტა ხნის წინ ამერიკელები ბელგრადს ბომბავდნენ და სერბმა რუსული ლაპარაკი რომ გაიგო, რადგან რუსეთი მათ უჭერდა მხარს, მაღლიერების ნიშნად გასამრჯელოზე უარი თქვა. კოვალევმა მაშინვე ორჯერ მეტი ფული გადაუხადა და ისინი ერთ-მანეთს გადაეხვივნენ.

ნაბოკოვის ოთახით კოვალევი იმედგაცრუებული დარჩა. ავუხსენი, რომ ვერას სიკვდილის შემდეგ იქ ყველაფერი გადააკეთეს და მწერლის სავანე ცალკეულ ნომრებად დაანაწილეს. იგი აღაშფოთა დაბალმა ჭერმა, ვინრო ფანჯრებმა და პანანინა აივანმა.

– აქ როგორ ცხოვრობდა?

ოთახის კედლებზე ნაბოკოვის ძველი ფოტოსურათები ეკიდა და კოვალევს ზუსტად ასეთი სურათების გადაღება მოუხდა. მან ტელეფონით მოითხოვა, რომ ნომერში ჭადრაკის დაფა მიეტანათ და ირინასთან ერთად, აივანზე მდგარ მაგიდასთან, ისევე მოეწყო, როგორც ნაბოკოვი თავის ვერასთან. რაც შეიძლება ბევრი ღუბლის გადაღება მევალებოდა.

კოვალევმა სურათის გადაღება ნაბოკოვის საწერ მაგიდასთან მომთხოვა. შვებით გავიფიქრე: რა კარგია, რომ ნაბოკოვი ცოცხალი აღარაა.

როდესაც კოვალევი ცოლთან ერთად კვლავ აივანზე გავიდა, საწერი მაგიდის საწუკვარი უჯრა გამოვალე. მელნის ლაქა, რომლის დანახვაზეც ამდენი წელია ვოცნებობდი, ადგილზე დამხვდა. ლაქას თითით შევეხე. ჯერ კიდევ განუცდელის განცდისგან ხელი იანამ შემეშალა, მოირბინა და უჯრაში ჩაიხედა.

– რა არის, დამანახე!

– აი, შეხედე, – ვთქვი მე, – მელნის ლაქა.

გოგონა გაოცდა და აშკარად იმედგაცრუებული დარჩა.

– ლაქა...

კოვალევმა განაცხადა, რომ ეს ნომერი ძალიან პატარაა და

ისინი სხვა, უზარმაზარ ნომერში გადავიდნენ.

ორი დღით სადგურთან მდებარე სასტუმროში დამაბინავეს.

მონტრეში, ჩემთვის უპირველეს საქმედ პონის მოძიება იქცა. კოვალევი ცოლთან ერთად სასტუმროს ნომერში დარჩა, მე და იანა კი სასაიროდ წავედით. ცხენი მოწყენილი იყო და შარდისა და ოფლის სუნად ყარდა. იანა რატომღაც შემეჩვია, ჩემთან განშორება არ უნდოდა და კოვალევებმა სავახშმოდ მიმინვიეს. კოვალევი ლემანის სილამაზით, შვეიცარიის სისუფთავითა და წესრიგით ხან აღტაცებული იყო, ხანაც უკმაყოფილებას ვერ ფარავდა: სასტუმროს საუნა არასაკმარისად ხურდება, შესასვლელში დაცვა არ დგას – ვისაც არ ეზარება ყველა შემოდის, რაც მთავარია – ყოველ ნაბიჯზე რუსს გადაეყრები! რატომღაც, ყველაზე მეტად თანამემამულეთა სიმრავლე აღიზიანებდა.

განვცვიფრდი, ირინა მეუღლეს შეყვარებული თვალებით შესცქეროდა. სხვის დასანახად ამას ვერ გააკეთებ...

ევა ბრაუნის კომპლექსი. როგორ შეუძლიათ ქალებს გულწრფელად უყვარდეთ დამნაშავეები, არამზადები და უხამსები? ამიხსნის ვინმე?

დესერტზე კოვალევმა განაცხადა:

– აქ როგორ ცხოვრობთ? აქ ნალველია! კი არ ცხოვრობთ, ძმარდებით!

ვახშმის ფულს კოვალევი იხდიდა და ყველაფერში ვეთანხმებოდი.

– აქ, დასავლეთში, – კოვალევმა აზრების ამოფრქვევა დაიწყო, – ადამიანები ხელმომჭირნეობის გამო არიან გახარბებული, ყველაფერს ხვალინდელი დღისთვის ინახავენ. ჩვენთან, რუსეთში კი ადამიანები დაბადებიდანვე ხარბები არიან. რადგან, თუ ცხოვრებისგან რაიმეს მაშინვე არ აიღებ, ხვალ შესაძლოა ასალები აღარაფერი იყოს.

ის ყველაფერს ხარბად აკეთებდა – ხარბად ჭამდა, ხარბად იცინოდა, ნესტოებით ხარბად ისუნთქავდა ტბიდან მონაბერ ჰაერს. ფოტოსაც კი ხარბად იღებდა, ყველაფერი ეცოტავებოდა.

კოვალევს, ყველაზე უფრო, იანასთან სიამოვნებდა სურათის გადაღება. ის გოგონას ბაჭიას ეძახდა. ეს ჩემთვის არასასიამოვნო იყო, რადგან ასე ჩვენს ბიჭუნას ვეძახდით.

ლამით, სადგურთან მდებარე სასტუმროს სანოლში ვბუზ-  
ლუნებდი და საკუთარი თავისადმი ზიზლის გამო ჩაძინებას ვერ  
ვახერხებდი. ნუთუ, მართლა მისი მშურს? რატომ შეუძლია კოვა-  
ლევს ნაბოკოვის ნომერში ცხოვრება – მე კი არა. ნაბოკოვი მე  
მიყვარს, ოდესღაც ხომ მისმა წიგნებმა მიხსნეს. სულ მეჩვენებო-  
და, თუ იმ სანუკვარ მეღნის ლაქას შევეხებოდი რაღაც ძალიან  
მნიშვნელოვანს, ძალიან იდუმალს გავიგებდი. აი, ახლა შევეხე და  
გავიგე რამე?

ვინეტი, იშვიათად ჩავლილი მატარებლების დაგადუგს ვუსმენ-  
დი და თავში კვლავ უნამუსო აზრები მომდიოდა. კოვალევი თავის  
ცოლ-შვილს ანებივრებს, მე კი ამ თავმომწონე ტიპს ხელის  
მოსამსახურედ მხოლოდ იმისთვის დავუდექი, რომ ჩემი ბიჭისა და  
ცოლის საჩუქრებისთვის ფული გადამიხადოს. რას წარმოადგენს  
კოვალევი? ნებისმიერ ჟამს, ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს უნა-  
მუსობის საარსებო მინიმუმი. თუკი ცხოვრებაში რაღაცის მიღწე-  
ვა გსურს, თავს ამ მინიმუმით ვერ შემოიზღუდავ. რანაირად, რა  
საძაგლობებით შეძლო ამდენი ფულის შოვნა? ხვალ დილით, რასაც  
მასზე ვფიქრობ, ყველაფერს პირში მივახლი, კარს გამოვიხურავ და  
წავალ. მხოლოდ ამ გადანყვეტილების შემდეგ ჩამეძინა.

დილით კი კოვალევები შილონის ციხე-სიმაგრეში ექსკურსიაზე  
წავიყვანე და ვიყავი ალერსიანი, სიტყვაუხვი და თავაზიანი. ჩემი  
„რუსული შვეიცარიისათვის“ მაშინ მასალებს ვაგროვებდი. ალბათ,  
ცუდი თარჯიმანი არ ვიყავი – ვყვებოდი შილონში მდებარე საუ-  
კუნოვან რუსულ ძველმანების ბაზრობაზე და უხვად ვაფრქვევდი  
თავშესაქცევ ამბებს.

საკუთარი თავი მეზიზღებოდა, მაგრამ ვიცოდი ამას რისთვის-  
საც ვაკეთებდი.

გუშინ ჩვენ შორის გულწრფელი საუბარი შედგა.

ირინამ გოგონა დასაძინებლად წაიყვანა. ჩვენ კი სასტუმროს  
ბარში ვისხედით და კოვალევემა ყველაზე ძვირადღირებული კო-  
ნიაკი მოითხოვა. მხოლოდ მოსაუბრედ არ ვუნდოდი, უფრო მოწმე  
სჭირდებოდა იმის დასანახად, თუ როგორ დაუდევრად შეუკვეთავ-  
და ბოთლ კონიაკს, რომლის ღირებულებაც შვეიცარიის სუპერმარ-  
კეტის მოლარის ერთი თვის ხელფასს უდრიდა.

კონიაკი დავლიეთ, მართლაც შესანიშნავი იყო. გამახსენდა

„მონტე-პალასში“ როგორ ვერ შეხვდნენ ერთმანეთს ნაბოკოვი და სოლჟენიცინი. თავშესაქცევი ამბავია. შეხვედრის შესახებ ისინი წერილობით შეთანხმდნენ. ნაბოკოვმა დღიურში ჩანერა: „ნ ოქტომბერი, 11:00 სოლჟენიცინი მეუღლესთან ერთად“. როგორც ჩანს, სოლჟენიცინი საპასუხო დადასტურებას უცდიდა. ის მეუღლესთან – ნატალიასთან ერთად მონტრეში ჩავიდა, სასტუმროს მიუახლოვდა და გადაწყვიტა გზა გაეგრძელებინა. ფიქრობდა, რომ ნაბოკოვი ან ავად იყო, ან რალაც მიზეზის გამო მათი ნახვა არ ისურვა. არადა, ნაბოკოვები მთელი საათი სტუმრების მოლოდინში ისხდნენ – რესტორანში ლანჩი შეუკვეთეს და ვერ გაეგოთ სტუმრების მოუსვლელობის მიზეზი. ისინი ერთმანეთს აღარასოდეს შეხვედრიან.

კოვალევმა მხრები აიწურა. როგორც ჩანს, ეს ამბავი თავშესაქცევად არ ეჩვენა.

მერე კიდევ დავლიეთ და უცებ მან ჩაიცინა:

– შენი სახე თავიდანვე მეცნო, მხოლოდ ვერაფრით ვიხსენებ სად შეხვდით და რისთვის. ჩვენი გზები სადმე ხომ არ გადაკვეთილა?

დავარწმუნე, რომ არასოდეს გადაკვეთილა.

ირინამ დარეკა და თქვა, რომ იანასთან ერთად ნომერში დარჩებოდა.

კოვალევმა გამომკითხა თუ როგორ მოხვდით შვეიცარიაში, მკითხა ჩემს შვეიცარიელ მეუღლეზეც.

– არ მოგწყინდა ამ ყვავილებსა და შოკოლადებში?

ის ჩემზე სწრაფად და ბევრს სვამდა და სწრაფადაც დათვრა. მოულოდნელად მომიყვა, თუ რა ანჩხლი ქალი იყო მისი პირველი ცოლი და რა ბედნიერად იგრძნო თავი როდესაც გაეყარა.

– გამოვედი სასამართლოდან და ვგრძნობ, დავფრინავ! დავიფიცე, აღარასოდეს დავქორწინდებოდი. ხუთი წლის შემდეგ ირინა გამოჩნდა. ჩემი ირინა გიჟივით მიყვარს! როგორ შეიძლება ასეთი ანგელოზი არ გიყვარდეს! მითხარი, მის ტანს შეავლე თვალი? მითხარი!

საზიზღარი ჩვევა ჰქონდა – მოსაუბრეს ხელს ხან მუხლებზე უტყაპუნებდა და ხანაც მხრებზე.

– ჩემი იანა ისე მიყვარს მისთვის შეუძლებელს შევძლებ! გჯერა?

თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევდი, რაც მისთვის საკმარისი იყო.

ჩვენ დიდხანს ვისხედით, ყოველ შემთხვევაში ერთმა ბოთლმა არ დააკმაყოფილა და თავისთვის კონიაკს სირჩით უკვეთავდა.

კოვალევი საკუთარ ბიზნესზე გაუგებრად საუბრობდა. იმ არამზადებზე, რომელთანაც საქმის დაჭერა უნევდა, რომ მისთვის საზიზღარი და ჭუჭყიანი საქმით იყო დაკავებული, რომ ამას მხოლოდ ირინასა და იანასათვის აკეთებდა.

– გესმის, – ისე ყვიროდა, რომ ბარში ყველა ჩვენკენ შემობრუნდა, – ჩემთვის იანაზე ძვირფასი ქვეყნად არაფერია! მისთვის ნებისმიერს მოვკლავ! აბა, ერთი გაბედონ და თითით შეეხონ! მისი გულისთვის ყველაფერზე წამსვლელი ვარ! უკანასკნელ არამზადად ვიქცევი! განავალს შევჭამ! ამას მხოლოდ მისთვის გავაკეთებ – ბაჭიასთვის!

მერე, ნდობით აღსავსე კილოთი ყურში მითხრა, რომ თუკი მას რამე შემთხვევა, მეუღლისა და გოგონას მომავალი კეთილდღეობა შვეიცარიაში აქვს უზრუნველყოფილი.

– უამრავი რამ ხდება, – ამიხსნა მან, – ნებისმიერი რამ შეიძლება შემემთხვას, ყველაფერი ისე გავაკეთე, რომ იანა აქ გაიზარდოს, ყვავილებსა და შოკოლადებს შორის.

უგონოდ მთვრალი გამომიბცდა, რომ მისი მოკვლა უნდათ.

– ჩემი მკვლელობა შეკვეთილია! მე ეს ვიცი! ისიც ვიცი ვინც შეუკვეთა!

მეჩვენებოდა კარგად აღარ ესმოდა, სად იმყოფებოდა და ვის ელაპარაკებოდა. მხოლოდ ღრიალებდა:

– ასე უბრალოდ არ დავნებდები! სიცოცხლეს კბილებით ჩავეჭიდები, გაიგე?! კბილებით!

ბარიდან გასაგრელებლად ქუჩაში გავედით და ტბისკენ დავეშვით.

სანაპიროზე ვიდექით, ნისლში მთები არ ჩანდნენ და მეჩვენებოდა, რომ ზღვის პირას ვიდექით.

კოვალევი ღამის ღემანის გასაგონად ღრიალებდა:

– შეუკვეთეს?! ვინ, მე?! ნებისმიერს გავასაღებ!

საბანაოდაც გაიწია. მის დარწმუნებას ვცდილობდი, რომ ტბაში ხვალაც იბანავებდა.

კოვალევი პასუხად ბლაოდა:

– ტბა, შესაძლოა ხვალ აღარ იყოს!

გამეცინა:

– არსად გაქრება!

ხელი ჩაიქნია:

– არაფერი გესმის! – თქვა და სასტუმროსკენ ბანცალ-ბანცალით წავიდა.

ერთხანს სანაპიროზე დავეხეტებოდი. ვგრძნობდი მთვრალი ვიყავი და ხმამაღლა ვლაყობოდი. დაგვიანებული გამვლელები ჩემსკენ ტრიალდებოდნენ. საკუთარ თავს ვეუბნებოდი:

– რამე რომ შეგემთხვეს? მას თავისი ცოლი და გოგონა უზრუნველყოფილი ჰყავს, შენ – არა. ის გეზიზღება, მაგრამ რითი ხარ მასზე უკეთესი?

და უცებ ძალიან მწვავედ ვიგრძენი, რომ ხვალ შესაძლოა ტბა მართლაც აღარ დამხვედროდა.

მეორე დღეს, დილით გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. „მონტე-პალასში“ ნასაუზმევს მივედი. კოვალევი მოთენთილი იყო და ჩანითლებული, ამღვრეული თვალებით იყურებოდა. მძიმე, არასასიამოვნო მზერით შემომხედა.

– შესაძლოა, გუშინ ზედმეტი რაღაცები წამოვროშე. დაივიწყე! გასაგებია?

თავი დავუქნიე.

კოვალევისგან მიღებული ანაზღაურება მეფურთხი, გათვალისწინებულზე ბევრად მეტი იყო. კარგ კინოფილმში მისთვის ფული მაგიდაზე უნდა დამეყარა და ამაყად გავცლოდი, მაგრამ ჩვენ კინოგადაღებაზე არ ვყოფილვართ.

ირინას თითქმის მეგობრულად დავემშვიდობე, იანა კისერზე ჩამომეკიდა და ძირს დაშვება არ უნდოდა.

მას შემდეგ ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ.

დაბადების დღეს ჩემი მეუღლე საჩუქრებს ხალისით ხსნიდა, ძალიან მსიამოვნებდა მისი ბედნიერი სიცილის გაგონება და საწოლში მწოლი ჩვენი ბიჭუნას ღიმილი.

მთავარია, რომ ქვეყნად შენთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანები არსებობდნენ, სხვა ყველაფერს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ორიოდე თვის შემდეგ, დილით, ჩვეულებისამებრ კომპიუტერს მივუჯექი და სიახლეებში ნაცნობ გვარს გადავანყდი. იუნყებოდნენ, რომ ცნობილი ბანკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი – კოვალევი ქუჩაში, საკუთარი სახლის წინ იარაღიდან გასროლით მოკლეს. ეს იმ დროის ჩვეულებრივი მოსკოვური სიახლე იყო. შევამოწმე, მისი ფოტო გამოხტა.

ქილერი სადარბაზოსთან ელოდა და თავში საკონტროლო ტყვიაც დაახალა – ეს მეზობლებმა ფანჯრიდან დაინახეს.

არ ვიცი მის მეუღლესა და ქალიშვილს რა შეემთხვათ. ამდენი წელი გავიდა. იანა, უკვე დიდი გოგო იქნება. საინტერესოა, რას აკეთებს ახლა? როგორ აენყო მისი ცხოვრება მამის მკვლელობის შემდეგ? ის ხომ სადღაც აქ, შვეიცარიაში გაიზარდა.

იანა, ეგებ ახლა ამ სტრიქონებს კითხულობ? რა არ ხდება ცხოვრებაში...

საინტერესოა, რა შემოგრჩა მეხსიერებაში ჩვენი მოგზაურობიდან? იქნებ პონის გარდა ყველაფერი წაიშალა? როგორ არის პინგა? მეეჭვება, კიდევ შენთან იყოს.

და რა გახსოვს მამაზე?

ის, ალბათ, თავად გიამბობდა ჩვენს ინსტიტუტზე და სხვა ამბებზე. რატომ შეუკვეთეს მისი მკვლელობა? ეგებ, არც არაფერი მოუყოლია?

იცი, მთავარია რომ არსებობდა ადამიანი, რომლისთვისაც შენ სამყაროში ყველაზე ძვირფასს არსებას წარმოადგენდი. დანარჩენი კი უმნიშვნელოა.

და კიდევ, მითხარი, გახსოვს ის მელნის ლაქა?



## ილია ბოიაშოვი

პროზაიკოსი ილია ბოიაშოვი დაიბადა 1961 წელს ლენინგრადში. დამთავრებული აქვს ლენინგრადის ალექსანდრ გერცენის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი.

მიღებული აქვს: პრემია „ნაციონალური ბესტსელერი“ (2007), ნიკოლოზ გოგოლის სახელობის ლიტერატურული პრემია (2011).



## ცხრამეტი მოკლული გერმანელი

კლასი საიმედო ხელში აღმოჩნდა.

ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა, გამოუსწორებელმა არამზადამ, რომელსაც თავხედობა ეყო და დირექტორის კაბინეტის კარს მიაყურადა, თითქოს გაიგონა: თავაზიანმა მარკ ნაუმიჩმა, ბირკასავით რომ აჰკვროდა ზედმეტსახელად პინგვინი (ასევე მელოტი, ჩიტის ნისკარტა, ორმოცდაათი წლის ლიპიანი), კლასის ყოფილ ატირებულ დამრიგებელს უთხრა, თუ ნისკარტით თავისთვის ჩაილაპარაკა: „მამაძაღლ ბავშვებს ყოფას ვუტირებ“.

ინა იანოვნა მურავედოვა (რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი) სპილოსავით დადიოდა და ძუძუები ბალიშებს მიუგავდა. ზედატანი, სამხრეებილა რომ აკლდა, არაფრით გამორჩეული ქვედატანი და ფეხსაცმელი, სევდისფერი წინდები და მრგვალი, პატარა სათვალეები მისგან „ადამიანი ფუტლიარის“ ქალურ განსახიერებას ქმნიდა.

ამასთანავე, არ შეიძლება არ ვაღიარო: კლასის ახალ დამრიგებელში იყო რაღაც გრაციოზული, რაც ჩვენც კი, მეექვსეკლასელ არამზადებს გვაჯადოებდა. ვეება, მრისხანე სხეულის სანაცვლოდ სახის ნაკვეთები ნატიფი, ტანი პროპორციული, თმები კი მომაჯადოებელი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ გოლიათური თავის ირგვლივ ნაწნავი შემოეხვია, ასეთი ფუმფულა თმა აღარა-

სოდეს მინახავს. დღემდე მახსოვს, ჩვენს ბნელ საკლასო ოთახში შემოღწეული მზის სხივი როგორ ელამუნებოდა ამაყ თავს. ნაწნავიდან ამოშვერილი თითოეული თმის ღერი ოქროსფრად ბრწყინავდა, ჩვენს პირქუშ ყოფაში ქალური მომხიბვლელობა ჟონავდა და მთელს ჩემს ასაკობრივ ცინიზმს ფარ-ხმალს აყრევინებდა.

„რას მომჩერებიხარ? ნადი, ნადი დაფისკენ...“

ეს მისი ეშმაკისეული: „ნადი, ნადი...“

მაინც როდის მოხდა ეს? რომელ გაკვეთილზე დაიმორჩილა უდრეკი „კამჩატკელი?“ (ის სიმღერის და ხატვის მასწავლებლებს, მოკრძალებულ, პრანჭია ინტელიგენტებს თავზარს სცემდა. საინტერესოა, რა ცოდვებისთვის ურთიერთობდნენ უხეშ, მოურიდეებელ კოზლოვთან, რატნიკოვთან, ვასილევჩთან) ამ ბიჭებთან ხუმრობა არ შეიძლებოდა, ამ უხეშებმა და საძაგლებმა კარგად იცოდნენ როგორ გაებრაზებინათ ყველაზე მკაცრი პედაგოგიც კი.

„ნადით, ნადით დაფისკენ, არამზადებო...“

საკლასო ჟურნალში ყველა გვარს ერთდროულად ხედავდა: იმათ ვინც გაკვეთილს ესწრებოდა, ვინც იგვიანებდა, ვინც აცდენდა და ვეჭვობ, მთელ ქვეყნიერებასაც (მისი მზერის დავინწყება შეუძლებელია: ყველაფრის დამნახავის; ყველგან მყოფის; ჭეშმარიტად ყველაფრის მომცველის). მიუხედავად ამისა, ინა იანოვნა მურავედოვა სადიზმისკენ მიდრეკილი არ ყოფილა: დროს არ წელავდა, გვარების სიას ფანქარს ზევით-ქვევით არ აყოლებდა და სიამოვნებისგან პირს არ აწკლავუნებდა: „ასე, დღეს ვის მოვუსმინოთ“, არამედ უეცრად იძახებდა – განაჩენივით: „კოზლოვ, ნადი, ნადი დაფისკენ!“

„კამჩატკელი“ დაფისკენ ფეხებს უხალისოდ მიათრევდა. და თუ არ უპასუხებდა – „ნადი, ნადი კედლისკენ!“

ახლა ის კედლისკენ მილასლასებდა (კუთხე დაფისა და ფანჯრის სიახლოვეს) და გაკვეთილების ბოლომდე იტანჯებოდა.

თუკი გაკვეთილები გაერთიანებული იყო (ლიტერატურას დამატებული რუსული ენა) – ფეხზე მდგარი მსჯავრდებულები იტანჯებოდნენ როგორც ლიტერატურის გაკვეთილზე, ასევე შესვენებაზე და კიდევ რუსული ენის გაკვეთილზე.

ზოგჯერ ყველა კუთხე დაკავებული იყო.

ზოგჯერ დაკავებული იყო ყველა კუთხე და დამატებით კლასის

უკანა კედელი.

მახსოვს შემთხვევა: დაკავებული იყო ყველა კუთხე და ყველა კედელი.

სტიოპა ზაგოლსკი! წარმოუდგენელი ზაგოლსკი! გოგონებისა და მოხუციგნო ბიჭების რჩეული. მომხიბვლელი ნაძირალა, ძალიან გაბედული, რომლისთვისაც ყველაფერს ჩალის ფასი ჰქონდა. ციმბირის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხვედრის უეჭველი კანდიდატი (შემდგომში ასეც მოხდა!); დახვეწილი არამზადა, რომელიც ბათინკზე მიმაგრებული სარკით, თავხედურად, პირველ მერხზე ჯდებოდა.

სტიოპა ხედავდა მოდას აყოლილი მათემატიკის მასწავლებლის უცხოურ ტრუსებს.

სასწავლო ნაწილის სამამულო წარმოების – უბრალო ტრუსებს.

მსცოვანი ინგლისურის მასწავლებლის ვარდისფერ, ზამთრის ტრუსებს.

სარკიანი ბათინკის პატრონი წინდებს არასოდეს იცვამდა. არც სხვა ფეხსაცმელი ჰქონია. ის ინა იანოვნა მურავედოვას ყველაფრის მხედველ თვალს არ შეუშინდა, გარისკა და პირველ მერხზე დაჯდა.

შემოდგომა იდგა: პირველი ყინულითა და სხვა დანარჩენით...

სტიოპა სახლში ფეხშიშველი მივიდა.

სტიოპას მამა უგონოდ თვრებოდა და საჩივლელად დედა გა-  
მოცხადდა.

– და კიდევ, – თქვა უეცრად სტიოპას დედამ, როდესაც კეთილ-  
შობილი პინგვინისგან მობოდიშება მიიღო (მე ყველაფერი მესმოდა;  
ყველაფერს ვხედავდი; ახლა ველარ ვიხსენებ რა ცოდვებისთვის  
მომესაჯა დირექტორის კაბინეტის დალაგება და ცარიელი სამდივ-  
ნოს ლინელიუმს ჩვართ უხალისოდ ვაპრიალებდი. ამჯერად კარი  
შეღებული იყო). – მას ძალიან მძიმე მზერა აქვს, ისეთი შეგრძნე-  
ბაა, თითქოს გიმიზნებს...

გულკეთილმა მარკ ნაუმოვიჩმა მუჭში ჩაახველა.

– ეს გასაკვირი არაა, – უპასუხა მარკ ნაუმოვიჩმა. მერე მარკ  
ნაუმოვიჩი დადუმდა. მარკ ნაუმოვიჩი ფანჯარაში გაუსაძლისად  
დიდხანს აკვირდებოდა ნაცრისფერ პეტერბურგულ შემოდგომას:  
შიშველი, ეზოს პატარა ხეები, ოხტინსკის ქუჩის საძაგელი ხრუმ-  
ჩოვკები, რომლებმაც ჩვენი ნაცრისფერი სკოლა, ყოველი მხრიდან,

ხულიგნურად წრეში მოაქციეს (პარმალის თავზე მიმაგრებული ხას-ხასა ნითელი პლაკატი „ცოდნა ძალაა“ სათვალავში ჩასაგდები არ იყო), – და ოხრავდა, თითებს ატკაცუნებდა.

გამშრალ ჩვარს ლინელიუმს ვუსვამდი; პინგვინის თითები ტკაცუნობდა; სტიოპას დედა ქმინავდა და განყვეტილი სიტყვის დასრულებას ჯიუტად ელოდა.

– ეს გასაკვირი არაა, – გაიმეორა მარკ ნაუმოვიჩმა. – ის ომში სნაიპერი იყო. ცხრამეტი მოკლული გერმანელი...

ტოლიკა კურპატოვს საშინლად ებმოდა ენა.

ტოლიკა ენურეზით იტანჯებოდა.

ყოველ ჯერზე, როდესაც მას დაფასთან იძახებდნენ, ცახცახი იტანდა.

ტოლიკა იმდენად უბოროტო იყო, მგონი არავის გაულახავს.

ცხვარს არც არავინ დასცინოდა.

მას შემდეგ ორი წელი გავიდა (დღემდე ვერ გამიგია: როგორ? რა ჯადოქრობით? რა იდუმალი ხერხებით აქცია შლეგები და თავხედები ასე მორჩილებად ამ შეუკამათებელმა სიტყვამ – „ნადი...“) და თითოეული ჩვენგანი: „კამჩატკელი“ სულელის, ნაძირალა სტიოპა ზაგოლსკის და ღონიერი ვასილევჩის ჩათვლით უძრავ მორებად, ჩაფიქრებულ ბურატინობად ვიქეციით („ნადი, ნადი დაფისკენ...“; „ნადი, ნადი კედლისკენ!“). რუსული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე ისადგურებდა ისეთი სიჩუმე, არსად, არც ერთ დანესებულებაში რომ აღარ მსმენია (ნებისმიერი ჩქამი, ნებისმიერი უცაბედი ჭრაჭუნი აღიქმებოდა ნონსენსად, გამონვევად, მკრეხელობად). ტოლიკას რიტუალურმა ცახცახმა, ინა იანოვნა მურავე-დოვას, ამ ფუმფულა თმებიან გოლიათს, ქვეყნიერებას ყველაფრის მხედველი თვალით რომ შეჰყურებდა და ომში ცხრამეტი გერმანელი ჰყავდა მოკლული საბოლოოდ მოაბეზრა თავი.

ნეკრასოვმა დაწერა „ორინა, ჯარისკაცის დედა“.

– ნადი, ნადი დაფისკენ, კურპატოვ!

ტოლიკა შექანდა და აცახცახდა.

– აბა?

ქქქანცგგგანყვეტილები შშშემოდგომის ღლამითთ

ჩვეენ ნნადირობიდან ვბრუნდედედებით...

„შარშანდელ ღამის სათევამდე“ – ამ სტრიქონამდე ტოლიკამ

ვერ მიაღწია („ნადი, ნადი კედლისკენ!“). თუმცა იქ დიდხანს არ დარჩენილა. კვლავ გაისმა: – ნადი, ნადი დაფისკენ!

ქქქანცგგგანწყვეტილები შშშემოდგომის...

– ნადი, ნადი კედლისკენ!

ტოლიკა რაც მეტჯერ გადიოდა, ენა მით უფრო ებმოდა, – მერე კვლავ კედლისკენ მიდიოდა. კლასი უიმედოდ დუმდა. ცხრამეტი გერმანელის მკვლელი ინა იანოვნა მურავედოვა უღმობლად მოითხოვდა:

– ნადი დაფისკენ!

მას შემდეგ, რაც მრისხანე, ჩხვლეტია, სირენასავით ზარმა დაზაფრულებს წამების დასრულება გვამცნო, ოთხივე სართულის კიბეები ფეხების ბრავაბრუვისგან აგუგუნდა. რალაც დრო დერეფანში ბოლთას ვცემდით და საკლასო ოთახის კარს ლოყით ვეკვროდით, საიდანაც მოისმოდა:

ქქქანცგგგანწყვეტილები...

– ნადი კედლისკენ!

და ყოველ ხუთ წუთში ერთხელ – მორიგი:

– ნადი დაფისკენ!

ქქქანცგგგანწყვეტილები...

მდგომარეობა უიმედო იყო. ერთი საათის შემდეგ ყველაზე ცნობისმოყვარენიც კი სახლებში წავიდნენ.

დამპალი ფრიადოსანი გოგონა ტიჩკინა, მკვირცხლი, მავნებელი მაიმუნი – თვით სახალხო განათლების რაიონულ განყოფილებაშიც კი ჩამონერილ ტომარასავით რომ ეპყრობოდნენ (პინგვინზე აღარაფერს ვიტყვი!), – გარდა ნაირნაირი მოსაწყენი საზოგადოებრივი საქმიანობისა, ის ყოველ საღამო, ვიოლინოზე დადიოდა. მეორე დღეს ტიჩკინამ გასახდელში დაიფიცა, რომ წინა საღამოს, როდესაც ბინდბუნდში ჩვენს ბასტილიას სულელური ფუტლარით ჩაურბინა, ცხადად დაინახა – როგორ კაშკაშებდა მურავედოვას საკლასო ოთახი.

გასაკვირი არ იქნებოდა, ინა იანოვნა მურავედოვასთან, ტოლიკას ყველა ნათესავი ერთად რომ გამოცხადებულყო, მაგრამ აღმფოთებული ბრბოს ნაცვლად თავად ფერმიხდილი წამებული მილასლასდა.

– ნადი, ნადი დაფისკენ, კურპატოვ!

ტოლიკა წავიდა. ტოლიკამ ჩაახველა:  
ქანცგანყვეტილები შემოდგომის ღამით,  
ჩვენ ნადირობიდან ვბრუნდებით.  
და შარშანდელ ღამის სათევამდე,  
მადლობა ღმერთს, მივალწევთ...

არ ვიცი ეს ყველაფერი როგორ მოხდა, მაგრამ მას შემდეგ ტოლიკას ენა აღარ დაბმია – აღარასოდეს და არსად, – ამის დადასტურება თითოეულ ჩვენგანს შეუძლია: გაშმაგებულებს, შეშინებულებს, მობუზულებს ჰაერის ჩასუნთქვისაც რომ ეშინოდათ, რათა ისინი ყველაფრის მხედველ თვალს არ განეგმირა.

ცხრამეტი გერმანელის მკვლელობა ინა იანოვნა მურავედოვამ თავი კმაყოფილებით დაიქნია.

ინა იანოვნა მურავედოვამ პატარა, მრგვალი სათვალეები მოიხსნა.

ინა იანოვნა მურავედოვა იმ დღეს მონოლოგად დაიღვარა და ჩემს მეხსიერებაში წარუშლელი კვალი დატოვა.

– მხოლოდ ის ბიჭები და გოგოები მიყვარს, – თქვა ინა იანოვნა მურავედოვამ, – მიზნის მისაღწევად უკან რომ არ იხვევენ. ის ბიჭები და გოგოები მიყვარს, რომლებიც არასოდეს ცრუობენ. ის ბიჭები და გოგოები მიყვარს მიცემული სიტყვის ერთგულები რომ არიან; საფრთხის არ ეშინიათ, არ პირფერობენ, არ ცდილობენ საკუთარი პასუხისმგებლობა სხვებს აჰკიდონ, მამაცები და შეუპოვრები არიან; მათთვის არ არსებობს სიტყვა „მე არ შემიძლია“ ან „სხვამ გააკეთოს“; მათ დაწყებული საქმე ყოველთვის ბოლომდე მიჰყავთ. შრომისმოყვარენი და ცნობისმოყვარენი არიან. მათ შური არ ამოძრავებთ და არასოდეს ზარმაცობენ... ის ბიჭები და გოგოები მიყვარს ეზოებში რომ არ დაყიალობენ, არ ბილწსიტყვაობენ, არ ენევიან და ლოთებივით არ დაბარბაცებენ, ყოველ დილას ვარჯიშით რომ იწყებენ და ყოველ საღამოს წიგნით ამთავრებენ...

ცხრამეტი გერმანელის მკვლელობა ინა იანოვნა მურავედოვა ჩამოთვლას აგრძელებდა; ბნელ საკლასო ოთახში მზემ წამიერად შემოიჭყიტა (ეს ისე ცხადად მახსოვს, თითქოს ახლახანს მომხდარიყო) და მისი მეფური თავის ირგვლივ შემოხვეული ნაწნავი შარავანდივით ოქროსფრად აელვარდა.

მას არ ვუყვარდი.

## შიქტორ პელაჰინი

საკულტო რომანების ავტორი ვიქტორ პელევეინი დაიბადა 1962 წელს მოსკოვში. 1985 წელს დაამთავრა მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტი. სწავლობდა გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში საიდანაც 1991 წელს გარიცხეს.

მიღებული აქვს: პრემია „მცირე ბუკერი“ (1993), აპოლონ გრიგორიევის ლიტერატურული პრემია (2003), პრემია „ნაციონალური ბესტსელერი“ (2004), პრემია „დიდი წიგნი“ (2010), ანდრეი ბელის სახელობის პრემია (2017) და სხვა.



## ზიგმუნდი კაჟეუი

ქვისგან გამოთლილი კერპების გლუვი სახეების უკან ხშირად ნაპრალებისა და სიცარიელის ლაბირინთებია, სადაც სხვადასხვა სახეობის ფრინველები სახლობენ.

**ჯოზეფ ლევენდერი, „კუნძული პასხი“**

ვენაში ასეთი სიცივე ჯერ არ ყოფილა, მსგავსი რამ ვერც ზიგმუნდმა გაიხსენა. ყოველ ჯერზე, როდესაც კარი გაიღებოდა და კაფეში ცივი ჰაერი შემოვარდებოდა ის ოდნავ იბუზებოდა. საკმაო ხანია აღარავინ შემოსულა და ზიგმუნდმა მოხუცებულივით იოლად ჩასთვლიმა. კარის მორიგ გაჯახუნებაზე კი თავი წამოსწია.

კაფეში შემოვიდნენ – ბაკენბარდებიანი ბატონი და კეფაზე დამაგრებულ ნაწნავებიანი ქალბატონი. ქალს ხელში გრძელი, მახვილბოლოიანი ქოლგა ეკავა.

მანდილოსანს პატარა ხელჩანთა მოჰქონდა. ხელჩანთას კიდეებზე ტყავის პრილა არშია დასდევდა და დამდნარი ფიფქებისგან

ოდნავ დანესტიანებულიყო.

ისინი ტანსაცმლის საკიდართან გაჩერდნენ და გახდა დაინ-  
ყეს – მამაკაცმა საწვიმარი გაიძრო და კაუჭზე დაჰკიდა. შლაპა კი  
ხელიდან გაუვარდა და იატაკზე დაეცა. ბაკენბარდებიანმა რალაც  
ჩაიბურტყუნა, შლაპას დასწვდა, დაკიდა და მანდილოსანს ქურქ-  
ის გახდამი მიეხმარა. ქალბატონმა კეთილმოსურნედ გაუღიმა და  
უცებ გუნება გაუფუჭდა – ხელჩანთას საკეტი გახსნოდა და თოვ-  
ლით ამოვსებულიყო. მანდილოსანმა ხელჩანთა მხარზე გადაიკიდა,  
ქოლგა კუთხეში, რატომღაც ტარით ქვემოთ მიაყუდა, კავალერს  
ხელკავი გამოსდო და დარბაზში შევიდა.

– ოჰო, – მშვიდად თქვა ზიგმუნდმა და თავი გააქნია.

იმ მაგიდის შორიანხლოს, საითკენაც ბაკენბარდებიანი ბატონი  
და მისი თანმხლები ქალბატონი გაემართნენ, კედელსა და ბარის  
დახლს შორის პატარა კუთხე იყო, სადაც მეპატრონის შვილები  
ფუსფუსებდნენ – რვა წლის ბიჭი, შავი რომბებით მოფენილი თე-  
თრი განიერი სვიტერითა და მასზე ოდნავ უმცროსი გოგონა მუქ  
კაბასა და ზოლიან შალის რეიტუზში. იატაკზე ასაწყობი კუბიკები  
ეყარა და ნახევრადდაჩუტული რეზინის ბურთი ეგდო.

საკვირველია, მაგრამ ბავშვები კარგად იქცეოდნენ. ბიჭი ნახ-  
ატებიანი კუბიკებით უცნაური ფორმის სახლს აშენებდა, თუმცა  
ნაგებობა გამუდმებით ინგრეოდა, რადგან კუბიკებს შორის დიდი  
მანძილი იყო და ზედა კუბიკი ნაპრაღში ვარდებოდა. თითოეულ  
ჯერზე, როდესაც კუბიკები იფანტებოდა, ბიჭი ერთხანს ჭუჭყ-  
იანი თითით ცხვირს ნალვლიანად იჩიჩქნიდა, მერე კი ხელახლა  
აშენებდა. გოგონა პირდაპირ იატაკზე, ბიჭის მოპირდაპირედ იჯდა  
და ძმას უინტერესოდ შეჰყურებდა. თვითონ წვრილი მონეტებით  
ერთობოდა – ხან იატაკზე ალაგებდა, ხან ერთად აქუჩებდა და  
კაბის კალთის ქვეშ მალავდა. ეს გართობა გოგონას მალე მოეზ-  
რდა, მონეტებს თავი ანება, გვერდზე გადაიხარა, ახლომდებარე  
სკამს ფეხში ჩაეჭიდა, თავისკენ მიაცურა, იატაკზე გადააბრუნა  
და ბურთს უბიძგა. ბურთი ბიჭისკენ ზუსტად იმ დროს გაგორდა,  
როდესაც ნაგებობის თავზე ბოლო კუბიკის დადებას აპირებდა და  
ყველაფერი იატაკზე ჩამოიშალა. ბიჭმა თავი ასწია და დას მუშტით  
დაემუქრა. საპასუხოდ გოგონამ პირი დაალო და ენა გამოუყო.

– ოჰო, – თქვა ზიგმუნდმა და მზერა ბაკენბარდებიან მამაკ-

აცსა და მანდილოსანზე გადაიტანა.

ბატონი ხამანკებს შეექცეოდა, პატარა ვერცხლის დანით ნიჟარებს ოსტატურად ხსნიდა, თან ქალბატონს რაღაცას უყვებოდა, რომელიც იღიმებოდა, თავს უქნევდა და ქამა სოკოს მიირთმევდა – ორკბილა ჩანგლით ლანგრიდან სათითაოდ იღებდა და სქელ, ყვითელ სანებელში ამონებამდე გულდასმით ათვალიერებდა. მერე ბაკენბარდებიანმა ბოთლის ყელი ჭიქაზე გაანკარუნა, თეთრი ღვინო დაისხა, დალია და თეფშით წვნიანი მიიჩოჩა.

ოფიცინტმა მაგიდაზე ლანგრით შემწვარი თევზი დადგა. მანდილოსანმა თევზს დახედა, უცებ შუბლზე ხელისგული იტკიცა და მამაკაცს გაუბა ლაპარაკი. ბატონმა ერთხანს უსმინა, სახე უნდობლად დამანჭა, მერე კიდევ ერთი ჭიქა ღვინო დალია და სიგარეტი კონუსისებურ წითელ მუნდშტუკში გულდასმით ჩაამაგრა, რომელიც მას ნეკსა და არათითს შორის ეკავა.

– ოჰო! – თქვა ზიგმუნდმა და დარბაზის შორეულ კუთხეს მიაცქერდა, სადაც დანესებულების დიასახლისი და ჩასკვნილი ოფიცინტი იდგნენ.

იქ ნათურა გადაინვა და შედარებით ბნელოდა. დიასახლისის მსუქანი ხელები თეძოებზე შემოენყო და ზევით იყურებოდა, – ამ პოზითა და სხვადასხვაფერი ზიგზაგებით დამშვენებული წინსაფრით ის ანტიკურ ამფორას მიაგავდა. ოფიცინტმა გრძელი კიბე მოიტანა, რომელიც ცარიელ მაგიდასთან იდგა. დიასახლისმა კიბის სიმყარე შეამოწმა, ჩაფიქრებულმა თმები მოიქექა და ოფიცინტს რაღაც გადაულაპარაკა. ის შეტრიალდა, ბარის დახლს შემოუარა, დაიხარა და ერთხანს გაუჩინარდა. მერე ნელში გაიმართა და დიასახლისის რაღაც კაშკაშა ნივთი დაანახვა. დიასახლისმა ხელი ენერგიულად დაუქნია. ოფიცინტი დაბრუნდა, აწეული ხელით ნაპოვნი ფარანი გაუნოდა, მაგრამ დიასახლისმა უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია და თითით იატაკზე მიუთითა. მაგიდის გვერდით, სარდაფში ჩასასვლელი კიბის კვადრატული სახურავი ძნელი შესამჩნევი იყო, რადგან სახურავს პარკეტივით რუმბის მოყვანილობა ჰქონდა და მისი გამორჩევა მხოლოდ კიდებზე შემოვლებული სპილენძის თხელი ორმაგი ზოლითა და სპილენძისავე რგოლით შეიძლებოდა.

ოფიცინტმა შარვალი აკურატულად აიქაჩა, ჩაცუცქდა, ხელი რგოლს ჩაავლო და ერთი ძლიერი მოძრაობით სახურავი ახადა.

დიასახლისმა შუბლი ოდნავ შეჭმუსხნა და ფეხი მოინაცვლა. ოფიცინანტი კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო – ქალმა კვლავ ენერგიულად დაუქნია თავი და კაცი სარდაფში ჩაძვრა. როგორც ჩანს, იატაკის ქვეშ, პატარა კიბე იყო, რადგან ის მოკლემ-მოკლემ ნახტომებით ეშვებოდა. ოფიცინანტი თავსახურს თვითონ იჭერდა, მაგრამ როდესაც საკმაოდ ქვევით ჩავიდა დიასახლისი მიეხმარა – წინ გადაიხარა, სახურავის კიდეს ორივე ხელით ჩააფრინდა და ბნელ ხვრელს დაძაბული ჩააცქერდა.

გარკვეული დროის მერე, ჩასასვლელიდან ამომძვრალმა ოფიცინანტი, რომელსაც თეთრი ქურთუკი აბლაბუდათი და მტვრით მთლად გასვროდა, თავსახური დახურა და დახლისკენ გაემართა, მაგრამ დიასახლისმა შესტიტ შეაჩერა და უკან დაბრუნება უბრძანა. ქურთუკი გულდასმით ჩამოუბერტყა, ნათურა გამოართვა, დაორთქლა და ხელისგული რამდენიმეჯერ ნაზად გადაუსვა. მერე ფეხი კიბის ქვედა საფეხურზე შედგა, მოიცადა და როდესაც ოფიცინანტი კიბეს გვერდიდან ხელი ძლიერად ჩასჭიდა მაღლა ავიდა.

გადამწვარი ნათურა შუშის ვინრო აბაჟურში უნდა შეეცვალა, რომელიც გრძელ მავთულზე ეკიდა და ძალიან მაღლა აძრომას არ ითხოვდა. დიასახლისმა ხუთი თუ ექვსი საფეხური აიარა, ხელი აბაჟურში შეყო და ნათურის მოშვებას შეეცადა, მაგრამ მეტისმეტად მყარად მოეჭირათ და აბაჟური მავთულთან ერთად დატრიალდა. ქალმა ახალი ნათურა ხრახნის მხრიდან ტუჩებით ფრთხილად დაიჭირა, გათავისუფლებული ხელით აბაჟური კიდით დაიკავა, გადამწვარი ნათურა მოუშვა, წინსაფრის ჯიბეში ჩაიდო და ახალი მოუჭირა. ოფიცინანტი ძლიერ ხელებით კიბეს იჭერდა, ფუმფულა ხელისგულების მოძრაობას მოჯადოებელი აკვირდებოდა და დროდადრო გამომშრალ ტუჩებზე ენის წვერს ისვამდა. უცებ მქრქალმინიან აბაჟურში სინათლე აინთო. ოფიცინანტი შეკრთა, თვალი დახუჭა და წამით კიბეზე ჩავლებული ხელი მოუდუნდა. კიბე შექანდა, დიასახლისმა ხელები აიქნია და კინალამ იატაკზე დაენარცხა. ბედად, ოფიცინანტი კიბის შეკავება მოახერხა. შიშისგან გაფითრებულმა დიასახლისმა პარკეტზე ისკუპა და ძალაგამოცლილი ოფიცინანტის მკლავებში გაინაბა.

– ოჰო! ოჰო! – ხმამაღლა თქვა ზიგმუნდმა და ახლა მაგიდასთან მსხდომ წყვილს მიაჩერდა.

მანდილოსანი უკვე დესერტს მიირთმევდა – ხელში მოგრძო კრემიანი ნამცხვარი ეკავა და ფართო მხრიდან ცოტცოტაობით კვნეტდა. როდესაც ზიგმუნდმა მზერა მიაპყრო, ქალბატონი დიდი ლუკმის ჩაკბეჩას შეეცადა – ნამცხვარი პირისკენ წაიღო და კბილები მოუჭირა. თეთრმა, სქელმა კრემის ღრუბელმა ოქროსფერი თხელი ფირფიტა გამოგლიჯა და ნამცხვრის ბოლოდან გადმოვარდა. ბაკენბარდებიანმა ყველაფერი წამიერად იაზრა და იმის მაგივრად რომ კრემს სუფრაზე მოედინა ტყაპანი მის ხელისგულზე აღმოჩნდა. ქალბატონმა გაიცინა. ბატონმა კრემიანი ხელი პირთან მიიტანა და რამდენჯერმე ალოკა. მანდილოსანმა ისევ გაიცინა და ნამცხვარი თევზის ჩონჩხიან ლანგარზე მოისროლა. კაცმა ქალის ხელი დაიჭირა და გრძნობით აკოცა. მანდილოსანმა ოქროსფერი ღვინით სავსე ბოკალი ასწია და რამდენიმე ყლუპი მოსვა. ბატონმა კონუსისებურ წითელ მუნდშტუკში ახალი სიგარეტი ჩაამაგრა, რამდენიმე ნაფაზი დაარტყა და რგოლები გამოუშვა.

ეჭვი არაა, ის ამ რთული ხელოვნების დიდოსტატი იყო. თავდაპირველად ერთი დიდი მოცისფრო, ტალღოვანი რგოლი გამოუშვა, მერე პატარა რგოლი მიადევნა, რომელიც პირველ რგოლში ისე გაძვრა კიდევბს არ შეხებია. მერე ხელი ჰაერში გაიქნია, ბოლის კონსტრუქცია მიმოფანტა და ამჯერად ორი ახალი რგოლი მიდევნებით გამოუშვა, რომლებიც ერთმანეთს დაეკიდნენ და რვიანი მოხაზეს. ქალბატონი მომხდარს ინტერესით შესცქეროდა და თავისდაუნებურად ლანგარზე დადებულ თევზის თავს თმის ხის წვრილ სარჭს არჭობდა.

ბატონმა ფილტვები ბოლით კიდევ ერთხელ აივსო, ორი გრძელი ნაკადი გამოუშვა, რომლიდანაც ერთი ზედა რგოლში გაძვრა, მეორე – ქვედაში. მერე ერთმანეთს შეერივნენ და დაბინდულ, ცისფერ ბოლქვად გადაიქცინენ. ქალბატონმა ტაში შემოჰკრა.

– ოჰო! – წამოიყვირა ზიგმუნდმა. ბატონი მისკენ შებრუნდა და დაკვირვებული მზერით შეათვალიერა.

ზიგმუნდმა კვლავ ბავშვებს გახედა. როგორც ჩანს, რომელიც მათგანმა ახალი სათამაშოები მოიტანა – კუბიკებისა და ბურთის გარდა მათ გარშემო ეყარა გაჩეჩილი თოჯინები და პლასტილინის სხვადასხვაფერი ნაჭრები. ბიჭი კვლავინდებურად კუბიკებით თამაშობდა, ოღონდ ახლა არა სახლს, არამედ გრძელ,

მაღალ კედელს აშენებდა, რომელზედაც თანაბარ შუალებებში იდგნენ გრძელი, წითელი ფრთებით მორთულ ქუდიანი კალის ჯარისკაცები. კედელში დატანებულ რამდენიმე გასასვლელს სამ-სამი ჯარისკაცი დარაჯობდა – ერთი გარედან, ორნიც შიგნიდან. ნახევრად წრიული კედლით შემოსაზღვრული სივრცის ცენტრში ოთხი კუბიკისგან გულდასმით მოწყობილ სადგარზე ბურთი იდო, რომელიც იატაკს არ ეხებოდა და მხოლოდ კუბიკებს ეყრდნობოდა. გოგონა ძმისგან ზურგით იჯდა და კანარის ჩიტის ფიტულის კუდს დაბნეული კბენდა.

– ოჰო! – შეშფოთებით შეჰყვირა ზიგმუნდმა. – ოჰო! ოჰო!

ამჯერად მას არა მხოლოდ ბაკენბარდებიანმა ბატონმა გახედა ალმაცერად (ის ქალბატონთან ერთად უკვე ტანსაცმლის საკიდართან იდგა და იცვამდა), არამედ დიასახლისმაც, რომელიც გრძელი ჯოხით ფანჯარაზე ფარდებს ასწორებდა. ზიგმუნდმა მზერა დიასახლისზე გადაიტანა, მერე კედელზე, სადაც რამდენიმე სურათი ეკიდა – პატარა ზღვის პეიზაჟი მთვარითა და შუქურით და კიდევ დიდი, გაუგებარია კაფეში რანაირად მოხვედრილი ავანგარდული ტილო – ორ თავახდილ როიალში იწვნენ გარდაცვლილი ბუნიუელი და სალვადორ დალი, ორივენი საოცრად გრძელი ყურებით.

– ოჰო! – მთელი ხმით შეჰყვირა ზიგმუნდმა. – ოჰო! ოჰო!! ოჰო!!!

ყველანი მას მიაჩერდნენ, თანაც, ერთი მხრიდან, გრძელი ჯოხით ხელში დიასახლისი უახლოვდებოდა, მეორე მხრიდან კი ბაკენბარდებიანი ბატონი, რომელსაც შლაპა ეჭირა. დიასახლისი, როგორც ყოველთვის, შუბლშეკრული იყო – ბატონი კი გაკვირვებული და გულაჩუყებული. ზიგმუნდმა საფრთხე იგრძნო და მოიბუზა.

– რა ლამაზი თუთიყუში გყოლიათ, – ბაკენბარდებიანმა დიასახლისის მიმართა. – კიდევ რა სიტყვები იცის?

– ბევრი სიტყვები იცის, – უპასუხა დიასახლისმა, – აბა, ზიგმუნდ, კიდევ გვითხარი რამე. – ხელი შემართა და საჩვენებელი თითის წვერი გალიის წნელებს შორის შეყო.

– ზიგმუნდი ყოჩაღია, – ამაყად თქვა ზიგმუნდმა და ყოველი შემთხვევისთვის, ქანდარაზე, გალიის შორეული კუთხისკენ გადაინაცვლა, – ზიგმუნდი ჭკვიანია.

– ჭკვიანი კია, მაგრამ, – თქვა დიასახლისმა, – მაგრამ მთელი

გალია მოსვარა.

– ნუ იქნებით ასეთი სასტიკი საბრალო ფრინველისადმი. ეს ხომ მისი გალიაა და არა თქვენი, – ბაკენბარდებიანმა ბატონმა თმაზე ხელი გადაისვა, – გალია ზიგმუნდის სახლია.

მერე, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ ვილაც უხამს ბარმენ ქალს გაუყადრა თავი, უხერხულობა იგრძნო. ბატონმა გამეხებული სახე მიიღო, შლაპა დაიხურა, შეტრიალდა და კარისკენ წავიდა.



## ევგენი ვოდოლაზკინი

პროზაიკოსი ევგენი ვოდოლაზკინი დაიბადა 1964 წელს კიევში. 1986 წელს დაამთავრა კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. არის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

მიღებული აქვს: პრემია „დიდი წიგნი“ (2013, 2016), პრემია „იასნაია პოლიანა“ (2013), პრემია „მილოვან ვიდაკოვიჩი“, სერბეთი (2015), პრემია „დიდი წიგნი“ (2016), ნაციონალური პრემია „რუსული სიტყვა“ (2018), ალექსანდრ სოლჟენიცინის სახელობის პრემია (2019).



## ასეთი განსხვავებული დაკრძალვები

პარიზის წიგნის სალონს მარტის შუა რიცხვებში ვენვიე და რესპუბლიკის მოედანთან ახლოს – სასტუმროში დავბინავდი. სალამოს საქმე არ მქონდა და სასეირნოდ წავედი. სიარულისას, ყოველთვის რაღაც კონკრეტულ ობიექტს ვირჩევ, რომლისკენაც მივდივარ. ამჯერად, გადავწყვიტე პერ-ლაშეზის სასაფლაოსთან მივსულიყავი. სასაფლაო ძალიან ლამაზია და მოძრაობის საბოლოო წერტილადაც (რაც არ უნდა იყოს, სასაფლაოა) ზედგამოჭრილია.

პერ-ლაშეზი დაბალ ბორცვზე მდებარეობს. ორმოც წუთში მივედი. სასაფლაო მემორიალურია, თუმცა, თავიდან (ახლა ამის დაჯერება ძალიან ძნელია), არაპოპულარული იყო. ლაფონტენისა და მოლიერის ფერფლის გადმოსვენებამ პარიზელ მიცვალებულებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა და სასაფლაომ საფუარივით იწყო გაზრდა. სხვადასხვა დროს აქ დაასაფლავეს ბალზაკი, პრუსტი, უაილდი, პიაფი და აგრეთვე

(კაცმა არ იცის აქ როგორ შემოაღწია), ანარქისტი მახნო.

აქ ადრეც ვყოფილვარ და ახლა განსვენებულების სანახავად არ მოვსულვარ – აბორგებული პარიზის შუაგულში მიცვალებულთა ქალაქის სიმშვიდე და სიმყუდროვე მიზიდავდა. შესაძლოა, აქეთკენ გულმა იმიტომ გამოიმინა, რომ რამდენიმე თვის წინ, პარიზიდან შორეულ უკრაინაში, საკუთარი მამა დავეკრძალე.

პერ-ლაშეზის შესავლელ ჭიშკართან ორი დარაჯი დამხვდა. მივესალმე, მაგრამ მათ სალამზე არ მიპასუხეს. საერთოდ, სასაფლაოს მცველები პირქუშები არიან. გზა განვაგრძე. სანამ სასაფლაოს ერთ-ერთ ქუჩაზე გადავუხვევდი (იქ ნამდვილი ქუჩებია) შევეტრიალდი. დარაჯები უხმოდ შემომყურებდნენ. მივხვდი, რომ საკუთარ თავთან მარტო ვრჩებოდი – ცოცხლები, ალბათ, აქ აღარ შემხვდებიან.

მამა ნალჩიკში დაიბადა და ბაქოში იზრდებოდა. მისი წინაპრები კი სტავპოროლიდან იყვნენ. კიევში მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც დედაჩემზე იქორწინა. მათ ერთად ოთხი წელი იცხოვრეს, გამაჩინეს და გაიყარნენ. პეტერბურგში გადასვლის მერე მამას იშვიათად ვხვდავდი. ახლა კი მას სხვადასხვა ნივთები მახსენებენ – ხალხით სავსე ქუჩაში გამომკრთალი პალტო (მამას ასეთივე პალტო ეცვა), რადიოში ყურმოკრული მსგავსი ხმის ტემბრი.

შესაძლებელია მამამ ჩემს ფიქრებს უპასუხოს? – ვფიქრობდი სასაფლაოზე. საბჭოთა კავშირიდან არასოდეს გამგზავრებულა და დასაშვებია ახლა პერ-ლაშეზე იმყოფებოდეს? ლაპარაკი მეტაფიზიკურ ყოფნაზეა – მოლიერისგან განსხვავებით, მამას აქ გადმოსვენების არანაირი შანსი არ აქვს. ანდა, სჭირდება კი.

მამაჩემი დასაფლავებულია სოფლის სასაფლაოზე, უკრაინის გადაკარგულ მხარეში. წარმოშობით იმავე სოფლიდანაა მამაჩემის მეორე ცოლიც – ტაისია, კეთილი და მზრუნველი ქალი. მან გადანყვიტა, რომ მამას სოფლის სასაფლაოზე მშვიდად განესვენა. ვფიქრობ, მართალიც იყო – იმისდა მიუხედავად, რომ მამას სიცოცხლეში სიმშვიდე არასოდეს უძებნია.

მამამ ოთხი წელი ფლოტში იმსახურა და რათა მისი გაღვიძების საშუალება არავის მისცემოდა, მუდმივად დადგენილ დროზე ნახევარი საათით ადრე დგებოდა. ის ყოველთვის პოულობდა კანონით ნებადართულ შესაძლებლობას, რომ ფლოტის წესდებას არ

დამორჩილებოდა. კიევში გადასვლის მერე მისი დღის რეჟიმი არ გაიოლებულა. ფული არ ჰყოფნიდა და დილიდან საღამომდე ქარხანაში მუშაობდა, საღამოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ლექციებს ესწრებოდა, ღამით კი ვაგონებს ცლიდა. ყოველ სემესტრში კი, ინსტიტუტიდან გარიცხვის შესახებ ცნობას იღებდა. მამა დეკანატიში მიდიოდა და მოკლედ და მკაცრად თხოულობდა აღდგენას. საკუთარ სიმართლეში ეჭვი არ ეპარებოდა. აბა, ერთი ეცადათ და ქარხანაში და სატვირთო სადგურზე მუშაობით გათანგულებს ესწავლათ კიდეც. მამას აღადგენდნენ. აბა, რა უნდა ექნათ?

ერთხელ იმასაც მიაღწია, რომ ჩვენი ნათესავი ბიჭი სკოლიდან არ გაერიცხათ. მამას არ უნდოდა, რომ ის პროფესიონალურ-ტექნიკურ სასწავლებელში წასულიყო.

– ასეთივე სასწავლებელი დაამთავრა კოროლიოვმა... – უხალისოდ ეწინააღმდეგებოდა სკოლის დირექტორი.

– ბიჭი რომ კოროლიოვი იყოს, სასწავლებელს არ დავინუნებდი, – მოკლედ უჭრიდა მამა. – მაგრამ ის კოროლიოვი არ არის.

მამის სიკვდილი ღამით გავიგე. დილით კი, ისე რომ დეპემას (მტკიცებულებას) არ დავლოდებოვარ კიევში გავფრინდი. მინსკის გავლით მიფრინავდი და გაფრთხილებული ვიყავი, რომ დეპემის გარეშე, უკრაინელ მესაზღვრეებთან, შესაძლოა საქმე გართულებულიყო. არ გართულებულა. მესაზღვრეებმა მკითხეს, რა მიზნით ვიყავინ ჩასული და იოლად გამატარეს. როგორც ჩანს, ჩვენ ჯერ კიდევ ერთი ხალხი ვართ.

ადრე დილით ტაისიამ, ჩემმა ნახევარძმამ – საშამ და მე მამა მორგიდან გამოვიყვანეთ. სასახლე სოფლიდან ჩამოსულ სატვირთო „გაზელზე“ შევდგი. მერე საშას მანქანაში ჩავჯექით და წინ წავედით. კივიდან გასვლისას, ბაზართან ყვავილების საყიდლად გავჩერდით, რასაც ათი წუთი დასჭირდა და უკან დაბრუნებულებმა „გაზელის“ მძღოლს მხიარულ ხასიათზე წავასწარი. არის მიმიკა, რომელიც სიცილსა და ტირილს ერთნაირად გამოხატავს. მძღოლმა ავტონისპექციის მანქანისკენ მიგვანიშნა. სატვირთო არასწორად ჰყავდა გაჩერებული და მათთან მოლაპარაკება შევთავაზე, რაზეც მძღოლმა მხოლოდ ხელი ჩაიქნია:

– Хиба ж то люди? Тварюкы<sup>1</sup>

<sup>1</sup> Хиба ж то люди? Тварюкы – განა ესენი ადამიანები არიან? პირუტყვები (უკრ.)

ავტონისპექტორები ჯარიმას წერდნენ – უფრო ზუსტად, ჯარიმას წინა სავარძელში მჯდომი წერდა, მეორე კი ფეხზე იდგა, მანქანას ეყრდნობოდა და ეწეოდა. მე მათკენ გავემართე – უნდა ითქვას, რომ ჯარიმის გადასახდელად მივდიოდი. მათ ჩემი მიახლოება შეამჩნიეს, მაგრამ არ მობრუნებულან. მივესალმე და ვუთხარი:

– Везу батька ховаты. И оцэ трэба платыты штраф?<sup>1</sup>

ეს ყოველგვარი მანჭვა-გრეხისა და აგრესიის გარეშე ვთქვი. მანქანაში მჯდომმა წერა შეწყვიტა და ტუჩებზე მიჭერილ თითებს შორის ჰაერი ხმაურით გამოუშვა. მერე ხელი შუბლზე გადაისვა და სავარძელზე გადაწვა.

– Нэ трэба.<sup>2</sup>

ამას არ ველოდი. პოლიციელებს ხელი ჩამოვართვი და ძმის მანქანაში ჩავჯექი. „გაზელის“ მძღოლი პატივისცემით მომჩერებოდა. მისი მანქანიდან მხიარული მუსიკა მოისმოდა. მამას ასეთი მუსიკა უყვარდა, შეზარხოშებული კი საბჭოთა სიმღერებს მღეროდა.

პერ-ლამეზზეც მუსიკა ჟღერდა – მართალია, არა საბჭოური, მაგრამ ისეთივე კარგი – სავარაუდოდ ჯაზური. ხმები შორიდან მოცურავდა და ძლივს მოისმოდა არა იმდენად მუსიკა, რამდენადაც რიტმი, რომელსაც კონტრაბასი გამოსცემდა. სასაფლაოზე ცოცხალი მუსიკა უკრავდა. ხმებისკენ მშვიდად გავემართე. დიახ, ეს ჯაზი იყო.

ნახევარძმა საშა გაზის პედალს ბოლომდე აწვებოდა. ცხადად წარმოვიდგინე, ოღროჩოღრო გზაზე, ჩვენს უკან მომავალ „გაზელში“, მამა მუსიკის ხმაზე კუბოში როგორ ხტუნაობდა. საშა ჩქარობდა, რადგან სოფელში დათქმულ დროს უნდა ჩავსულიყავით. დროდადრო ტელეფონით ვილაცხასთან ლაპარაკობდა და ქელესთან დაკავშირებულ მოკლე, კონკრეტულ დავალებებს უკრაინულ ენაზე ეუბნებოდა. თავსხმა წვიმა მზით იცვლებოდა, რომელიც საქარე მინაზე ჩამოცურებულ წვიმის წვეთებში კრთებოდა. მერე კვლავ თქეში მოდიოდა. საშამ იმედი გამოთქვა, რომ ღრუბლები გაიფან-

<sup>1</sup> Везу батька ховаты. И оцэ трэба платыты штраф? – მამა დასამარხად მიმყავს და ჯარიმა უნდა გადავიხადო? (უკრ.)

<sup>2</sup> Нэ трэба. – არ უნდა გადაიხადო (უკრ.)

ტებოდა, რადგან, თავსხმა წვიმა მამის სახიდან გრიმს ჩამორეცხავდა. დამავინწყდა, რომ მორგში გრიმს უსვამენ.

ჩასვლისას აღმოჩნდა, რომ თურმე ტყუილად ვჩქარობდით. სოფელში არავინ ღელავდა. ეკლესიასთან გაჩერებულ მანქანებთან ადამიანები მშვიდად მოდიოდნენ, მერე მიდიოდნენ, კვლავ მოდიოდნენ და ჩერდებოდნენ. მკერდზე ხელებს იჯვარედინებდნენ და ადგილზე შეშდებოდნენ (ზოგი ხელებს ჯიბეებში იყოფდა, სხვებს დაბამბულ ქურთუკზე დოინჯი შემოენყო), ხანდახან ლოყებს ზუმფარას ხმით იფხანდნენ და ენეოდნენ.

ვილაცამ თქვა, რომ ტონიას მოყვანა იყო საჭირო და მე და საშა მეზობელი ქურისკენ გავემართეთ. ბალის ბილიკზე წელში მოხრილი დედაბერი გამოჩნდა, რომელიც ორ ყავარჯენზე დაყრდნობილი ჩვენსკენ ნელა მოდიოდა. მისი ხელებისა და ფეხების შეწყობილ მოძრაობაში იყო რალაც სპორტული და ეგზოტიკური, ხოჭოების რბოლასავით. წელში მოხრილ ტონიას სახე ზევით აენია და დიდი თვალებით – დაუხამხამებლად მოგვჩერებოდა. ტონია ეკლესიასთან მივიყვანეთ.

კუბოს ორი ქვესადგამი ქუჩაში ნელა მოცურავდა და ასევე ხის კონსტრუქცია, რომელიც მრავალ ადგილას იყო გაბურღული. როდესაც ეს ყველაფერი ეკლესიაში შეიტანეს, რამდენიმე კაცმა მამის სასახლე ქვესადგამებზე დავასვენეთ. ეკლესიაში (რომელიც თანდათან ხალხით ივსებოდა) ციოდა. წესის აგების მოლოდინში ზოგიერთი გასათბობად ქუჩაში გადიოდა. ხის კონსტრუქცია კუბოზე დადგეს და გაბურღულ ადგილებში სანთლები ჩაამაგრეს. მომეჩვენა, სანთლები რომ დაანთეს, დათბა. ცეცხლის დანახვაზე, რაც არ უნდა პატარა იყოს, არა მარტო თბება, თითქოს მხიარულეზაც მოდის. ათეულობით ანთებული სანთლით გარშემორტყმული მამა ისე ნალვლიანად აღარ გამოიყურებოდა.

ვილაც ქალმა მამას ფეხები შეუკრა და როდესაც ხელებზე გადავიდა, შეამჩნია, რომ მკერდზე მხოლოდ მარცხენა ხელი ედო. მარჯვენა, რატომღაც სხეულის გასწვრივ ჰქონდა გაჭიმული. ქალი გაოცებული სახით გაირინდა. ვერ მიმხვდარიყო ხელები როგორ შეეკრა. ამას ვერც მე ვხვდებოდი და არც ის მესმოდა, სწორედ წესის აგების წინ რატომ იყო ეს საჭირო. როგორც ჩანს, ამაში, რალაც ფარული აზრი იმალებოდა.

– Нэ згынається,<sup>1</sup> – ხელზე თქვა ქალმა.

ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში სასახლესთან ტონია მილასლასდა.

– Я зигну.<sup>2</sup>

ტონიამ ორივე ყავარჯენი კუბოს მიაყუდა და მამის ხელს დასწვდა. შინაგანად დავიძაბე, მაგრამ ქალმა მარჯვენა ხელი მარცხენასთან ზედმეტი ძალისხმევით გარეშე მიიტანა.

თვალეები ავნიე და ეკლესიაში შემოსული მღვდელი დავინახე. ის სასახლის თავთან იდგა და ხელების შეკვრას ჩაფიქრებული აკვირდებოდა. წესის აგებამ მშვიდად, ღირსეულად ჩაიარა. როგორც ჩანს, ამ სოფელში ყველა საქმე ასე კეთდება. – Вы раба Божого Гэрмана розв’язалы?<sup>3</sup> – წესის აგება რომ დაამთავრა იკითხა მღვდელმა.

– Та розв’язалы, батюшко.<sup>4</sup>

მე დავინახე: შეუხსნეს.

– Ну, тоди з Богом.<sup>5</sup>

მღვდელმა რამდენიმე დარიგება იმ ენაზე მოგვცა, რომელიც მამამ კიევში ცხოვრებისას ვერ შეისწავლა. ორიოდ წუთში, ეკლესიის ჭიშკარს, მისაბმელიანი ძველი „ჟიგული“ მოადგა. სწორედ ამ მისაბმელზე დავდგით თავახდილი კუბო.

პროცესია დაიძრა. წინ მიდიოდა კაცი, რომელსაც ხელში ჯვარი ეჭირა. ოდნავ უკან, ეკლესიის წმინდა დროშები მოჩანდა. დროშებს, საეკლესიო გუნდის თანხლებით, მღვდელი მოჰყვებოდა, შემდეგ – „ჟიგული“, რომლის მისაბმელზეც მამა იყო დასვენებული. მისაბმელს კი ტაისია მისდევდა, მერე საშა და მე, ჩვენ ტონია მოგვყვებოდა (აქეთ-იქიდან ორი ძაღლით), მერე კი – მთელი სოფელი. „ჟიგული“ ნელა მიდიოდა, მაგრამ გრუნტის გზაზე მაინც ჯაყჯაყებდა. მამაჩემის ხელებმა (განსაკუთრებით კი ტონიას მოხრილმა მარჯვენამ) მაღლა აწევა დაიწყო. იდაყვები ჯერ კიდევ მუცელს ებჯინებოდა, აი, ხელის მტევნები კი ჰაერში ლივლივებდნენ – თითქოს, სასახლეში მწოლი მამა ანგელოზებს ესაუბრებოდა. მისი ხელები

<sup>1</sup> Нэ згынається, – არ იხრება (უკრ.)

<sup>2</sup> Я зигну. – მე მოვხრი (უკრ.)

<sup>3</sup> Вы раба Божого Гэрмана розв’язалы? – მონა ლეთისა გერმანეს ხელ-ფეხი შეუხსენით? (უკრ.)

<sup>4</sup> Та розв’язалы, батюшко – შეუხსნეს, მამაო (უკრ.)

<sup>5</sup> Ну, тоди з Богом. – მართლა, მაშინ ღმერთმა ხელი მოგიმართოთ (უკრ.)

ოდნავ ქანაობდნენ, რაც საუბარს სიმშვიდესა და ძალდაუტანლობას ანიჭებდა.

სასაფლაომდე ნახევარი კილომეტრი იქნებოდა. ყოველ ას მეტრში პროცესია ჩერდებოდა და მღვდელი მგალობლების თანხლებით შესანდობარ ლოცვებს კითხულობდა. მიწის ბელტებმა, მამის კუბოზე დაცემისას, ბარაბნის მსგავსი ხმა გამოსცეს და სიმშვიდე დაარღვიეს. როდესაც საფლავი მიწით ამოავსეს, ყველამ სასაფლაოს მიპირდაპირე მხარეს მდებარე კაფეს მიაშურა, სადაც ქელეხი იმართებოდა. მათ უნდა გავყოლოდი, მაგრამ ვილაცამ შემაჩერა:

– У родычив своя путь.<sup>1</sup>

და იმ გზაზე მიმითითა, რომელიც განსვენებულის ნათესავებს მარტოებს უნდა გაგვევლო. ტაისია და საშა შემომიერთდნენ და ნახევარ საათში უკვე კაფეში ვისხედით. მღვდლის წაკითხული ლოცვების მერე მდუმარება გამეფდა. უფრო სწორად, დროდადრო ყრუ ბუბუნნი გაისმოდა და დანა-ჩანგალი წკარუნობდა. არც საერთო საუბარი ყოფილა და მით უმეტეს, არც სადღეგრძელოები თქმულა. უკანასკნელი ლოცვის სიტყვები აღმოჩნდა.

პერ-ლაშეზზე ჯაზური ორკესტრი უკრავდა. კრემატორიუმის კარში სასახლე ბლუზის თანხლებით შეცურდა. მე არ ვიცოდი, რომ აქ მოქმედი კრემატორიუმია და შესაძლებელია ასე იოლად მოკალათდე სარა ბერნარის, ბომარშეს, ან, ვთქვათ შოპენის გვერდით – ან, უარეს შემთხვევაში, იქაურობას ფერფლად მოეფინო.

ნამდვილი პროფესიონალები უკრავდნენ და არა რომელიღაც სასაფლაოს ორკესტრანტები. ისინი ერთმანეთს უხმოდ უგებდნენ, თავებს აქნევდნენ და სიფათებს მანჭავდნენ – როგორც ჯაზის მუსიკოსებშია მიღებული და ყველაფერს იმპროვიზაციით ასრულებდნენ. ჩამავალმა მზის სხივებმა მათ სინითლე მოჭვინა, განსაკუთრებით კი მანდილოსანს, რომელსაც გამომწვევად ალისფერი პალტო ეცვა – პირდაპირ იწვოდა. ის არ უკრავდა, უბრალოდ იდგა და მუსიკოსების გვერდით ფეხებს აბაკუნებდა. ქალის სახეს ჯამბაზის ცხვირი ამშვენებდა – ასევე წითელი, რომელიც რეზინით ჰქონდა მიმაგრებული.

ერთნი კრემატორიუმის შენობაში შედიოდნენ, სხვები გამო-

<sup>1</sup> У родычив своя путь. – ნათესავებმა თავისი გზით უნდა იარონ.

დიოდნენ. მე კართან გაუბედავად გავჩერდი, მაგრამ ვილაცამ (რა სტუმართმოყვარე დაწესებულებაა) კარი გამოაღო და მკითხა:

- ბოდიშით, თქვენ შედიხართ?
- დიახ. რა თქმა უნდა...

ჩემს მოკლე პასუხზეც კი მიხვდა, რომ ფრანგი არ ვიყავი. გამიღიმა – თითქოსდა უცხოელს კრემატორიუმი რად უნდოდა? და მართლაც – რად მინდოდა? თუმცა, პასუხი ვიცოდი – ტუალეტი მინდოდა. ტუალეტს მიმართულების მაჩვენებლის დახმარებით მივაგენი. სკამზე ლამაზი ზედამხედველი (პარიზში მათ მაღამ პიპის ეძახიან) იჯდა და რატომღაც მაშინვე მივხვდი, რომ ჩვენიანი იყო. უცხოეთში დიდი ხნით ნაცხოვრები ადამიანი (მე დიდხანს ვცხოვრობდი) თანამემამულეს ადვილად ცნობს. რუსულად დაველაპარაკე. მან პროვინციული აქცენტით შემომჩივლა, თუ რამდენი ადამიანი შარდავს ტუალეტს მიღმა – შესახედაობით წესიერი ადამიანები არიან, სინამდვილეში კი...

- სამუშაოზე მიმიღეთ, – გავეხუმრე.
- მან ეჭვით შემომხედა.

ნელ-ნელა ყველანი კრემატორიუმის წინა მოედანზე შეიკრიბნენ. ორკესტრმა ფეერიული იმპროვიზაციით გაიბრწყინა. მე განაპირას მდგარ ადამიანთან მივედი და ვკითხე:

- მაპატიეთ, ეს რა არის?
- დაკრძალვა.
- უცნაური...

მან თავი დამიქნია. კიდევ რაღაცის კითხვა მინდოდა, მაგრამ ვერ გავბედე.

ჯამბაზისცხვირიანმა ქალმა ყველანი წრეში ჩააყენა და ცეკვისკენ მოუწოდა. ორკესტრი ხალხურ მელოდიაზე გადავიდა. მათი დაკრული სწორედაც რომ ხალხურად მომეჩვენა, რადგან უბრალო და მშვენიერი იყო. ცეკვაც დაიწყო – ბაკაბუკითა და ტაშის ცემით. ცეკვა მეც მომინდა, მაგრამ მესმოდა, რომ პარიზის სტუმრისთვის ეს მეტისმეტი იქნებოდა.

- ვინ არის ეს ქალი? – ვკითხე ჩემს თანამოსაუბრეს.
- ქვრივია. მისი ქმარი ჯაზის მუსიკოსი იყო.

როდესაც ქვრივმა გვერდით ჩაგვიარა, შევნიშნე, რომ თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

– რატომ უკეთია ჯამბაზის ცხვირი?

მან ცხვირზე ორი თითი მოიჭირა და დუდღუნით თქვა:

– სიკვდილის მიმართ სიძულვილს გამოხატავს.

ერთხანს კიდეც ვიდექი და გასასვლელისკენ გავემართე. რატომღაც აზრად მომივიდა, რომ მოშორებით მოსეირნეებს, ადვილად შეეძლოთ აქ ღამე დარჩენა. გზად კიდეც ერთ სამგლოვიარო პროცესიას გადავეყარე. ამჯერად, კუბო არა კრემატორიუმისკენ, არამედ გათხრილი საფლავისკენ მიჰქონდათ. ესე იგი, პერ-ლაშეზზე მხოლოდ ფერფლს არ კრძალავენ. ეს კარგია. სასაფლაო, მემორიალურიც რომ გახდეს, თავისი პირვანდელი დანიშნულება არ უნდა დაკარგოს. დაკრძალვაზე უცხოებს არ უშვებდნენ. სასაფლაოს მცველები ბილიკზე იდგნენ და ყველა დაინტერესებულ ადამიანს გზას უღობავდნენ. ალბათ, ყურადღება რომ არ მიიქციონ, აქ დაკრძალვა საღამოს ინიშნება.

კარში ჯაზის მუსიკოსებს შევეჩხეხე. სასაფლაოდან გასულებს დაკვრა არ შეუწყვეტიათ. ეტყობა, უახლოეს რესტორანში მიცვალებულის მოსახსენიებლად მიდიოდნენ. არ მინდოდა ისეთი შთაბეჭდილება შექმნილიყო, თითქოს ქელებში მათთან ერთად წასვლას ვაპირებდი და გზის მეორე მხარეს გადავედი. ჩემმა თანამოსაუბრემ მიცნო და რადგან ორკესტრი უკრავდა ხმამაღლა შემახსენა: „სიკვდილის მიმართ სიძულვილი“. მერე ორივე ხელი ასწია და თავს ზემოთ ბოქლომით შეაერთა. ეს მოძრაობა მეც გავიმეორე და რამდენიმე წამს ასე ვიდექით. მამის აწეული ხელები გამახსენდა – სიკვდილის მიმართ სიძულვილის ერთგვარი გამოხატულება. შესაძლოა, არა ისეთი მკვეთრი, როგორც პარიზში, მაგრამ სრულიად აშკარა. მამა ჯერ არ დაგვეკრძალა და მამაზეციერს უკვე რალაცას ევედრებოდა.

## ანდრეი გელასიმოვი

პროზაიკოსი ანდრეი გელასიმოვი დაიბადა 1966 წელს ირკუტსკში. 1986 წელს დაამთავრა ირკუტსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტი. 1992 წელს კი თეატრალური ხელოვნების რუსეთის ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი.

მიღებული აქვს: აპოლონ გრიგორევის პრემია (2003), ჟურნალ „ოქტიაბრის“ პრემია (2003), პრემია „სტუდენტური ბუკერი“ (2004); 2009 წელს გახდა პრემია „ნაციონალური ბესტსელერის“ ლაურეატი.



## საოჯახო შეთხვევა

მამის გარდაცვალება ალექსანდრემ სამშაბათს შეიტყო. ინსტიტუტიდან დაბრუნებულმა ვახშამი გაამზადა, გოგონას საბავშვო ბაღში მიაკითხა, მეორე დღისთვის ტანსაცმელი და ბაბთა გაუუთოვა და დისერტაციის ტექსტზე წაიშუშავა, საიდანაც შექსპირისეული მისტიკიდან ორი გვერდი ამოშალა. ძილის წინ კი გოგონას, რომელიც საზარელ ქართველ დევებზე ზღაპარი წაუკითხა.

სამზარეულოში ტელეფონი ატკაცუნდა. ასე იმიტომ ტკაცუნობდა, რომ დაახლოებით ერთი თვის წინ ანამ ტელეფონი კარადიდან მახეში გაბმული ცხოველივით ზონრით გადაათრია და ახლა კი არ რეკავდა, სასიკვდილოდ ხრიალებდა.

– საშა! საშა! ალო, საშა ხარ?!

ცუდი სმენადობის მიუხედავად, ალექსანდრემ უმცროსი დის ხმა გაიგონა.

– ლიზა, მე ვარ, რა გინდოდა?!

– საშა! ცუდად მესმის! საშა... მამა დაიღუპა... მე არ ვიცი...

ხმა წამით დაიკარგა.

– ლიზა! არ ისმის! რა თქვი?!  
– მამა დაილუპა. ძალიან მეშინია. ვილაცამ ფანჯარას ქვა ეს-  
როლა...

- ლიზა! რას ამბობ, რა ქვა?!
- საშა, მამა დაილუპა. რა ვქნა, საშა?!
- ლიზა!..

კაცი დადუმდა. უსამართლობა იქნებოდა თავი ისე მოეჩვენე-  
ბინა, თითქოს არაფერი ესმოდა. ლიზა მხოლოდ თორმეტი წლისა  
იყო. გოგონა გარდაცვლილ მამასთან ერთად ერთ ოთახში რომ  
წარმოიდგინა, უხმოდ ამოიოხრა და მუშტი კედელს ატაკა. ალე-  
ქსანდრეს ტკივილი არ უგრძნია და ნაკანრიდან გამოჟონილი სისხ-  
ლი ენით აილოკა.

- რატომ გაჩუმდი, საშა?
- ლიზა, მეზობლებთან გადი. გესმის? ღამე მეზობლებთან გაა-  
თენე, დილით ჩამოვფრინდები.
- მამა ყველასთან ნაჩხუბებულა. არც კი მელაპარაკებინა...
- მეზობლებთან გადი, ლიზა. ხვალ ჩამოვალ.
- კარგი.
- ძილის წამალი ითხოვე. გაიღვიძებ და მანდ ვიქნები.
- კარგი.
- როგორც კი ყურმილს დაკიდებ, ოთახიდან გადი და კარი  
გასაღებით გადაკეტე!

კაცი სკამზე დაეშვა და ათი წუთი გაუნძრევლად იჯდა. მთე-  
ლი ამ დროის მანძილზე რადიოში გაუგებრად საუბრობდნენ სა-  
პრეზიდენტო მმართველობაზე, გორბაჩოვის ახალ გეგმებზე და  
კიდევ რალაცეებზე. ყურმილი დადო თუ არა, ალექსანდრემ ვერც  
კი გაიაზრა რისთვის, მუხლებზე დაშვება მოუნდა, მაგრამ უცებ  
გაიფიქრა: „რატომ?“ – საკუთარი თავის შერცხვა, წამით გაირინდა,  
ხელით იატაკს შეეხო, დაახანა და სკამზე ჩამოჯდა.

ათი წუთი სრულ სიჩუმეში იჯდა და მოეჩვენა, რომ წინკარის  
გავლით სააბაზანო ოთახში ვილაცამ ფეხაკრეფით გადაირბინა.  
ალექსანდრე სწრაფად წამოდგა და სამზარეულოდან გაიხედა, მა-  
გრამ ვერავინ შენიშნა. მერე გოგონას საძინებელ ოთახში მაგიდის  
სანათი აანთო და საწოლს უხმაუროდ მიუახლოვდა. ანას ხელები  
გაეშალა და ტკბილად ეძინა.

– სისულელეა, – ჩაილაპარაკა ალექსანდრემ და შუქი გამორ-  
თო.

სამზარეულოში დაბრუნებისას, უცნაური მოგონებით შეძრული, ადგილზე გაიტრუნა. დიდი ხნის წინათ, როდესაც ის ანაზე ოდნავ უფროსი იყო, მშობლები ოთახში უმეთვალყუროდ წუთითაც კი არ ტოვებდნენ, რადგან მაშინვე ტირილს იწყებდა. ეჩვენებოდა, რომ ზურგს უკან ვილაც ედგა. ამგვარი შეგრძნებებით სკოლის წლებშიც ხშირად იტანჯებოდა და ზურგით კედლისკენ რომ მჯდარიყო, სანერ მაგიდას საზარელი ღრჭიალით ატრიალებდა. იატაკზე ღრმა ნაკანრი რჩებოდა, დედის გულში კი ასეთივე ღრმა წუხილი, ვაითუ შვილი ფსიქიკურად ჯანმრთელი არ იყოსო. რამდენჯერმე, წიგნსა და სასკოლო სახელმძღვანელოს თვალი რომ მოსწყვიტა, მეზობელ ოთახში წამით ვილაც დაინახა, თუმცა სახლში მის გარდა არავინ იყო.

მამა ბიჭის შიშებს მასხრად იგდებდა და ხანდახან თავს ისე აჩვენებდა, ვითომ სამსახურში მიდიოდა. არადა, სააბაზანოში იმალებოდა, გარკვეული დროის მერე კი კარს აჭრიალებდა, იატაკს ფხოჭნიდა და დროდადრო ახველებდა. როცა ყველაფერი გაირკვეოდა, პატარა ალექსანდრე მამის გაცინებულ პირსა და ლამაზ, მბზინვარე კბილებს კიდევე დიდხანს უყურებდა უნდობლად და იმაზე ფიქრობდა – რეალურია ეს ყველაფერი თუ ნამდვილი მამა სწორედ ის კაცი იყო, რომელიც სახლიდან ნახევარი საათის წინ გავიდა.

სააბაზანოს რომ ჩაუარა, კარი შეაღო და შეიხედა. თხუთმეტი წლის წინათ შესაძლოა იქ მამა აღმოჩენილიყო. დედის გაქრობამდე მამას მხიარულება უყვარდა. ხუმრობები მას შემდეგ შეწყდა, როცა ერთ მშვენიერ დღეს, ისე რომ არავისთვის არაფერი უთქვამს, დედა წუთით მეზობელთან გავიდა და შინ აღარ დაბრუნებულა. საქმე რაღაც გატაცებას, რაღაც სულელურად აფეთქებულ ვნებას, რაღაც დავიდარაბას, უაზრობასა და გაურკვეველობას ეხებოდა.

მცირე ასაკის გამო ალექსანდრე მაშინ ვერაფერს მიხვდა. თუმცა კარგად დაამახსოვრდა მამის ბუნდოვანი, საშინელი საუბრები სიკვდილზე. მოგვიანებით შეიტყო, რომ მთელი ამბავი ძალიან სწრაფად აგორდა, ისე სწრაფად, რომ თვალის დახამხამებაც კი ვერავინ მოასწრო. იყო მწვანე ფერის „ჟიგული“, გაუგებარი

გაპარვები, იყო ტყუილიც, მერე დადგა სიჩუმის დრო, ბოლოს კი – გაქცევა. გაქცევა მხოლოდ ფლოსტებითა და შიშველ სხეულზე მოსხმული თხელი ხალათით.

ამ ელდასა და ვულგარულობას, ცხადია, უკვალოდ არ ჩაუვლია. რვა თვის ლიზასთან ერთად მამა ალექსანდრეს ბებიასთან ტოვებდა და ორი-სამი დღით სადღაც მიემგზავრებოდა ხოლმე. ყოველ ნასვლაზე ძველ პორტფელში დებდა გაზეთ „პრავდას“, „ტუმონკის“ ქილას, მატარებელში გადასაცემლად „დინამოს“ წარწერიან ცისფერ სპორტულ კოსტიუმს და მაკაროვის ტაბელურ პისტოლეტს.

გაცდენებისთვის, სამი წლის თავზე, მამა სამხედრო სამსახურიდან დაითხოვეს. პენსიაზე გასული იწვა და მხოლოდ იმისთვის დგებოდა, პურის უზარმაზარ ნაჭერზე კარაქი გადაესვა და სანუგეშოდ დატოვებული სამხედრო ფორმა გაეუთოებინა. ეს ფორმა აღარასოდეს ჩაუცვამს და გაუგებარი იყო, რისთვის აუთოებდა. მერე, როგორც ჩანს, ვაჟიშვილისა და გაქცეული მეუღლის სახის ნაკვეთებში მსგავსება შენიშნა და ალექსანდრეს ცხოვრება ჯოჯოხითად ექცა.

მამის გამშაგებისას ალექსანდრესადმი ნასროლი სიტყვებიდან, ბრალდებებიდან და საყვედურების დაუსრულებელი ნაკადიდან ერთი ამაზრზენი სცენა ახსენდებოდა, უფრო სწორად, მუდამ გონების ზედაპირზე უტივტივებდა და როგორც კი მოდუნდებოდა, გარს ბოროტი აჩრდილები ეხვეოდნენ და დაუსრულებლად ღრეობდნენ.

ერთხელ, შუალამისას, მამა საწოლიდან წამოდგა. ოთახებში შუქი აანთო, კარადები და კომოდი გამოხსნა და ყველაფერი იატაკზე გადმოყარა. პატარა ლიზა ხმაურისგან და მკვეთრი სინათლისგან ჯერ ატირდა, მერე კი საწოლიდან გადმოვარდა. ალექსანდრეს ცხადად დაამახსოვრდა, რომ გოგონა იატაკს თავით დაენარცხა. მამამ გოგონა აიტაცა, ერთი ხელით ლიზა ეკავა, მეორეთი კი იატაკზე უნესრიგოდ დაყრილ ნივთებს ფანტავდა. გოგონა ძალიან შეშინდა და აყვირდა.

რამდენიმე წუთში ალექსანდრე მიხვდა, მამა იმ ნივთებს აგროვებდა, რომელიც ერთ დროს დედამისს ეკუთვნოდა. ფეხსაცმლები, კოლგოტები, თმის სარჭები, ცისფერი ლაბადა, შავი და თეთრი კაბები, ფოტოსურათები და კიდევ რაღაც-რაღაცები. მამამ

ლიზა მარცხენა მკლავზე მუცლით გადაინვინა და ოთახებში ადგ-  
ზნებულად დაძრწოდა. პატარა ალექსანდრე კი ულონოდ, შეშინებ-  
ული აჩრდილივით ფეხდაფეხ დასდევდა.

ყოველ ჯერზე, როდესაც მამა საძილე ოთახიდან სამზარეულო-  
ში ან წინკარში გადარბოდა, ლიზას მყვირალა თავი კარის ჩარჩოს  
რამდენიმე სანტიმეტრით ცდებოდა და ალექსანდრე გულისრევის  
შეტევებს ნებისყოფის დაძაბვით იგერიებდა. შიშობდა, ცუდად მყო-  
ფი ბიჭის დანახვაზე მამა არ შებარბაცებულყო და მხარი კარისთ-  
ვის არ ებიძგა. კედლისგან ასხლეტილი კარი აქეთ-იქით მოქანავე  
თავს შეასკდებოდა, ყვირილის ხმა შეწყდებოდა და დაისადგურებდა  
საშინელი სიჩუმე. მერე რალა უნდა ელონათ მას და მწუხარებისგან  
სანახევროდ შეშლილ ავადმყოფ მამას?

– მამა, ლიზა მე მომეცი, – ერთსა და იმავეს იმეორებდა ბიჭი  
და შიშისგან ხმა უწყდებოდა, – მამა, ნუ გამირბიხარ, ნუ გამირ-  
ბიხარ!

ალექსანდრეს ხმა ჩაეხლიჩა და სისინილა ისმოდა. სახე მთლად  
გაუწითლდა, თვალები ტირილისგან დაუსივდა და დაუვიწროვ-  
და, რეცხვისგან ჩაყვითლებული მაისურის ქვეშ ვიწრო მკერდი  
სწრაფად აუდ-ჩაუდიოდა. მერე სამზარეულოში სკამს მარცხენა  
მუხლი ძლიერად მიარტყა და ტკივილისგან იმანჭებოდა, ოხრავდა  
და კოჭლობით დადიოდა.

– არაფერია, არაფერი, – ლულულულებდა კაცი. – ნუ ღრიალებ,  
სანია... ახლა ჩვენ იმ ძუკნას საშინელებას მოვუწყობთ... იმისთვის  
სულერთია, ეს ნივთები აღარ სჭირდება. იქ სხვებს უყიდიან, იქ  
უამრავი ფულია... ამ ძონძებს დავწვავთ, არაფერში გვარგია. ჩათ-  
ვალე, რომ უკვე მიცვალებულია... დედაშენი მოკვდა... ჩათვალე,  
რომ ჩაძაღლდა.

ამ სიტყვებზე პატარა ალექსანდრე მოულოდნელად შედგა და  
მოცახცახე, საშინლად დაღლილი სხეულით მკვეთრად შექანდა.  
მამა სააბაზანოში გაიქცა, მაგრამ ზურგს უკან ჩვეული, მავედრე-  
ბელი ლაპარაკი რომ ვერ გაიგონა, დერეფანში გამოვარდა და ადგ-  
ილზე გაქვავდა.

– სანია, რა ხდება? – იგი ბიჭისკენ დაიხარა. – ცუდად ხარ?  
წყალი ხომ არ გინდა? სანია? რა გინდა? მითხარი! სანია, რატომ  
დუმხარ?

ბიჭი გულისრევის შეტევისგან ბარბაცებდა. სახე გაუნაცრისფრდა და წამახული ნაკვთებით მიცვალებულს დაემსგავსა. კბილებს კრეჭდა და თვალეზზე ხელს ისე იფარებდა, სადაც არის, ძირს უგრძნობლად დაეცემო.

– სანია, სანია! მორჩი! შეწყვიტე! რა გინდა?! მითხარი და გავაკეთებ.

პატარა ალექსანდრემ მკვეთრად შეიგრძნო მისი ოჯახისათვის დამახასიათებელი სუნი, რომელიც მუდამ გარს ერტყა და სწორედ ახლა გახდა აუტანელი – მამის პირიდან ამომავალი თამბაქოს სიმძაფრე, სამზარეულოში მდგარი სანაგვე ვედროს სიმყრალე, საკუთარი სისუსტისა და ოფლის მოტკობო სურნელი. ისევ წამოაზიდა, მაგრამ მოასწრო, კბილები დაკრიჭა და მკვეთრად წარმოთქვა: „მინდა, რომ თვითონ ჩაძაღდე, შენ და არა ჩემი დედა“. ბიჭმა ღრმად ჩაისუნთქა, გონება დაკარგა და სახით იატაკს დაენარცხა, ისე, რომ მამის საშველად გამონვდილ ხელს არ შეხებია.

გამთენიისას, როდესაც ნივთებმა საძინებელში ძველი, ჩვეულებრივი მოხაზულობა დაიბრუნეს, ალექსანდრეს უეცრად გამოეღვიძა, სველი ზეწარი გადაიძრო, მკვეთრად წამოიწია და ფეხები იატაკზე დაუშვა. სარკმლის მიღმა ცა იცრიცებოდა. გვერდითი ოთახიდან ერთი ციცქნა ანას ფშვინვა მოისმოდა. მისგან ზურგით, ალექსანდრეს სანერ მაგიდასთან მამა იჯდა.

სამხედრო ფორმაში გამონყობილი, კაპიტნის სამხრეებით რაღაცას კითხულობდა და დროდადრო მისთვის დამახასიათებელი მოძრაობით კეფაზე თმას იქექავდა. მის გვერდით, მაგიდაზე, ძველი მალვიძარა საათი ხმამაღლა წიკნიკებდა.

ალექსანდრემ სცადა, მაგრამ სხეული არ დაემორჩილა. საწოლზე უცებ წამომჯდარი, უცნაურად გახვევებულ ხელებს ველარ ამოძრავებდა და ფეხები ბოძებივით ჩამოეშვა. წელი გაუშემდა, კისერს ვერ ატოკებდა და თითები თუჯის წანაზარდებივით დაეგრინხა. შიშისგან ალექსანდრეს დაყვირება მოუნდა, მაგრამ კვნესალა აღმოხდა. აღარც ენა ემორჩილებოდა.

მომდევნო ათი წუთი დაუსრულებლად გაინელა, მაგრამ არაფერი შეცვლილა. მაგიდასთან მჯდომი მამაკაცი ალექსანდრეს დისერტაციის ფურცლას განაგრძობდა. კვლავ უმოძრაოდ მყოფი ალექსანდრე ზურგში შეჰყურებდა და როგორც ჯადო სიტყვებს,

გონებაში ერთსა და იმავე ფრაზას იმეორებდა: „არ მოტრიალდე“. მას რატომღაც ეჩვენებოდა, რომ სანერ მაგიდასთან მჯდარ არსებას, სახის ნაცვლად, რაღაც საშინელება ექნებოდა.

მერე ბებიას რჩევები გაახსენდა. მოხუცის თქმით, მიცვალებულებს ძალიან აღიზიანებთ დედის შეგინება. ალექსანდრეს შეგინება უნდოდა, მაგრამ სრულიად სხვა სიტყვები წარმოთქვა.

„შენ, საბრძოლოდ აღჭურვილო უსულო ცხედარო, კვლავ მთვარის ციალში შემოაბიჯე? – გაიჟღერა მის თავში, – და ჩვენ, ასეთ მარტივებს და უგუნურებს, გულს ისეთი გამოცანებით გვიძრწუნებ, რომელთაც ახსნა არა აქვთ. რატომ? რა საჭიროა? როგორ მოვიქცეთ?“

ალექსანდრემ შენიშნა, რომ მაგიდასთან მჯდარს თითქოს შემოტრიალება და წამოდგომა სურდა, მაგრამ, მიუხედავად აშკარა ძალისხმევისა, ამას ვერ ახერხებდა. სამაგიეროდ, ალექსანდრემ კვლავ სრული თავისუფლება იგრძნო და ნელი მოძრაობით ფეხები საწოლზე გადაანყო, წამოწვა, ზენარში გაეხვია, მარჯვენა გვერდზე გადაბრუნდა და თვალი დახუჭა.

გავიდა კიდევ ათი წუთი. ოთახში სიჩუმე არ დარღვეულა. ალექსანდრე სუნთქვას იკავებდა და ნებისმიერ ჩქამს გაფაციცებით უგდებდა ყურს. ფანჯრებს მიღმა, ცენტრალურ ქუჩაზე, ერთმანეთის მიყოლებით სამმა ავტომანქანამ ჩაიარა. ბოლო ავტომობილი გაჩერდა, კარი გაჯახუნდა და ორი მამაკაცი სწრაფად ალაპარაკდა. მერე მანქანა წავიდა და რამდენიმე წუთით სრული სიჩუმე გამეფდა. მხოლოდ მაგიდაზე მდგარი მალვიძარა საათი ნიკნიკებდა.

ალექსანდრემ თვალის გახელა გადაწყვიტა. მის წინ, სულ რაღაც ნახევარ მეტრში, მამა იდგა. წელში მოხრილმა თავი დაღუნა, სახე სახესთან მიუტანა და დაჟინებით დააცქერდა. ალექსანდრე მთელი ტანით შეკრთა, უნდოდა, მამისთვის ხელი ეკრა და თავიდან მოეცილებინა, მაგრამ, როცა დაინახა მისი ადამიანური გამომეტყველება, ხაზგასმული ლმობიერება, ჩვეული მამისეული სევდა და დაღლილობა ალექსანდრემ თავი გააქნია, ზენარი გადაიხურა და ჩუმად თქვა:

– ეს მე არ მინდა... გთხოვ. უნდა დავიძინო. ხვალ მძიმე დღე მაქვს.

ალექსანდრემ დილით ადრე გასამგზავრებლად, თავისი და

ანას ნივთები გაამზადა. ისაუზმეს და ოთხი საათის შემდეგ უკვე იმ ქალაქში იყვნენ, რომელშიც ოდესღაც დაიბადა. მშვიდობიანად ჩაფრინდნენ, თუმცა სიკვდილზე ფიქრი ვერაფრით მოიცილა.

„ახლა თვითმფრინავი ჩამოვარდება, – ფიქრობდა ის, – მგონი, მამას ასე უფრო მალე ვნახავ, რა საჭიროა იმ სიშორეზე ფრენა“.

ანა მუხლებზე ეჯდა და სათამაშო მაკრატლით ჟურნალ „ზღოროვიეს“ ქრიდა. ქალაქის ნაკუნები აქეთ-იქით იფანტებოდა და გასავლელში ცვიოდა. სტიუარდესები ნაკუნებს კრეფდნენ, ალექსანდრე კი სიკვდილზე ფიქრობდა. ანა დაიღალა, ხელიდან გავარდნილი მაკრატელი სავარძლის ქვეშ შეუვარდა და ჩაფიქრებულმა ყურების წინკნა დაიწყო.

– ეს ცუდია, – გასავლელს იქით მჯდომმა ხანდაზმულმა ქალმა ალექსანდრეს შენიშვნა მისცა, – პირველი სექსუალური რექციები სწორედ ასე ვლინდება. გოგონებს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ.

– დიახ, დიახ, – უპასუხა ალექსანდრემ და ვეება ღრუბელს შეხედა.

სახლში რომ მივიდნენ, ალექსანდრემ მეზობლებთან ზარი ალაღბედზე დარეკა, მაგრამ ლიზა არსად არ აღმოჩნდა. მერე მამის ბინის კართან მთელი წუთი იდგნენ. ანა მოთმინებით უცდიდა და დროდადრო რკინის მოაჯირის გისოსებზე მაკრატელს აკაკუნებდა. ალექსანდრემ თითი ზარის ღილაკს დააჭირა.

– ჩამოვიდა! – კარის გაღებისთანავე შეჰყვირა ლიზამ და ოთახში შევარდა, – ჩამოვიდა! და ანაც ჩამოიყვანა!

წინკარში სახეგაბადრულმა მამამ გამოიხედა. მერე მის გვერდით ლიზას თავმა ამოყვინთა. ალექსანდრე დის მოცინარ პირს და ლამაზ, კრიალა კბილებს შეჰყურებდა. პატარა ანა კი მამის უკნიდან იჭყიტებოდა და უცნობი, ახარხარებული ადამიანების რცხვენოდა.

– ხუმრობაც ასეთი უნდა! – თქვა ალექსანდრემ. – თავიდან მომწყდით!

## ვეგენი ბრიშკოვეცი

პროზაიკოსი, დრამატურგი, რეჟისორი, მსახიობი ვეგენი გრიშკოვეცი დაიბადა 1967 წელს კემეროვოში. დაამთავრა კემეროვოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

მიღებული აქვს: პრემია „ანტიბუკერი“ (1999), ნაციონალური პრემია „ტრიუმფი“ (2000), რომანი „პერანგი“ აღიარებულ იქნა წლის საუკეთესო დებიუტად (2004), პრემია „ვერცხლის ზოლი“ (2009).



## ანგელოზის დაკრძალვა

თამაში გადამწყვეტი არ ყოფილა, არც ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ საყურებლად ყველა შეიკრიბა, ანდრეიც კი წავიდა. შაბათი დღე იყო და ცუდი ამინდი იდგა. ცივი წვიმები სექტემბრის ნახევრიდან გაიბა და აგარაკზე წასვლას აღარავინ ცდილობდა. აქ კი, შორიახლოს, მოკლე სახელწოდებით – „აუტი“ ახალი კაფე-კლუბი გაიხსნა. ბორიამ ყველას დაურეკა, რომ „აუტში“ შეიარა, დარწმუნდა, იქ კარგი ეკრანი იყო და მატჩის ყურება მოხერხებული იქნებოდა, ჰოდა, კლუბის ცენტრში, ეკრანთან ახლოს მაგიდა შეუკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ საფეხბურთო მატჩი წესით მოსაწყენი უნდა ყოფილიყო, ანდრეი „აუტში“ წავიდა. სხვა რა უნდა გაეკეთებინა? თანაც კლუბი იქვე იყო.

ანდრეის ფეხბურთი მაინცდამაინც არ უყვარდა, მაგრამ ხმაურიან კომპანიასთან ერთად დაღევა, გულშემატკივრობა და ყვირილი სიამოვნებდა, განსაკუთრებით მსოფლიო ჩემპიონატის ან სხვა მნიშვნელოვანი მატჩისას. ის თამაშს ყურადღებით არ უყურებდა და არც სატურნირო ცხრილს ადევნებდა თვალს, როგორც ბორია და მთელი კომპანია. თუმცა მიწვევებზე ხანდახან თანხმდებოდა, ფეხ-

ბურთის ხმაურიან გულშემატკივრებს უერთდებოდა და ცდილობდა, სხვებზე ნაკლებად არ ეგულშემატკივრა. კომპანია სტადიონზე არ დადიოდა. უფრო სწორად, სტადიონზე ხანდახან ვიღაც მიდიოდა, მაგრამ ძირითადად ტელევიზორთან გულშემატკივრობდნენ. ადრე, მკაცრად განერილი გრაფიკის მიხედვით, სახლებში იკრიბებოდნენ, თუმცა ეს ყოველთვის დაკავშირებული იყო ბავშვებისა და ქალების ევაკუაციასთან ან იზოლაციასთან. თანაც სახლში მთელი ხმით ვერ იყვირებ. ასე რომ, როგორც კი ეკრანები დააყენეს და ფეხბურთის ყურება შესაძლებელი გახდა, ბორიამ წესად შემოიღო, მატჩების საყურებლად მსგავს ადგილებში შეკრებილიყვნენ. ის ყველაფერს ინიშნავდა, ყველას ატყობინებდა და მაგიდებს უკვეთავდა.

ამჯერადაც ყველაფერი ბრწყინვალედ იყო. ფეხბურთი, მოლოდინის სანინალმდეგოდ, კარგი გამოვიდა. ბევრი გოლი გავიდა და თერთმეტმეტრიანიც დაარტყეს. ანდრეისთვის ნაკლებად ცნობილი გუნდები თამაშობდნენ და სახელგანთქმული ფეხბურთელებიც არ ყოფილან. სამაგიეროდ, მაგიდის გარშემო კარგი, მხიარული კომპანია შეიკრიბა. ბევრი იყვირეს და გუნდმა, რომელსაც გულშემატკივრობდნენ, გაიმარჯვა. სხვა მაგიდებზე, ძირითადად, მონინალმდეგე გუნდს ქომაგობდნენ. ტაიმის ბოლოს ანგარიში 2:2 იყო. აი, დალეული სასმელის რაოდენობის გამოანგარიშებას კი აზრი არ ჰქონდა. მაგიდაზე ელაგა ლუდიანი კათხები, არყიანი გრაფინი, დაჭყლეტილი ბუტერბროდები, თეფშებით ორაგულები და შავი მარილიანი ორცხობილას გორები. თამბაქოს ბოლი მიიზლაზნებოდა და დარბაზის ჭერსა და კუთხეებში სქელდებოდა.

შესვენებაზე ანდრეი ქუჩაში გავიდა და შემოდგომის გრილი ჰაერი ჩაისუნთქა. წვიმას გადაეღო, რაც იმას ნიშნავდა, რომ შინ ფეხით დაბრუნდებოდა. მთვრალი იყო და იმასაც გრძნობდა, სასმელის დამატება კიდევ შეეძლო. ორმოცი წლის ანდრეიმ ღრმად ჩაისუნთქა, მოქნილი, მსუქანი სხეულით გაიზმორა, სიამოვნებით დაიზმუვლა და კომპანიას დაუბრუნდა.

– მეორე ტაიმისთვის რა ფსონებია? – ბორია პროგნოზებსა და ფსონებს იწერდა.

– 4:2 დამთავრდება, – თქვა ანდრეიმ.

– ბებერო, ძალიან გაბედული ხარ, – დაიყვირა ხმაჩახლეჩილმა ბორიამ და შედეგი ჩაინერა.

უკანასკნელ წუთამდე ანგარიში 3:2 იყო, მაგრამ დამატებით დროში თერთმეტმეტრიანი დანიშნეს და ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც ანდრეიმ იწინასწარმეტყველა. ყვიროდნენ და ერთმანეთს ეხვეოდნენ. მეზობელ მაგიდებზე კი ილანძღებოდნენ და ანდრეის კომპანიას ულოცავდნენ. ბორიამ ფული წამოკრიფა და ანდრეის მოგებული ჩააბარა. მან კი, თავის მხრივ, მოგება იქვე აღნიშნა. ერთხანს კიდევ ისხდნენ, მერე კი სათითაოდ აორთქლდნენ. მშვენიერია!

ქუჩაში გამოსულმა ანდრეიმ ხმამაღლა ამოისუნთქა, ქურთუკი არ შეუკრავს და იგრძნო, რომ ძალიან მთვრალი იყო. ერთ ადგილას, ასე, ხუთი წამი იდგა, მერე კი სახლისაკენ გასწია, ილიმებოდა და რომელიღაც ყველასთვის ხელმისაწვდომ მოტივს ღიღინებდა.

ფარნის შუქზე ჩანდა, რომ ნაწვიმარი ასფალტი ქარს გაემრო. აქა-იქ გუბეები იდგა და ბზარებში ჩამკვდარი ნესტი შავად ლაპლაპებდა. ანდრეი ცდილობდა, ბზარებზე ფეხი არ დაედგა და რატომღაც ბავშვობის დროინდელი ნათქვამი გაახსენდა: „ვინც ბზარს დააბიჯებს, იმას სამშობლო არ უყვარს“.

– სისულელეა, – ჩაილაპარაკა თავისთვის და გაეცინა.

განათებულ პავილიონს რომ ჩაუარა, გაჩერდა და ვიტრინაში გამოფენილი ნაირ-ნაირი სასმელები შეათვალიერა. რატომღაც რალაცის ყიდვა მოუნდა და გაიფიქრა, ხომ არ ეყიდა ორი ბოთლი ლუდი და სახლში მისულს სიამოვნებით დაეღია.

– ეშმაკმა დალახვროს, – აღმოხდა, რადგან უცებ გაახსენდა, შინ დაბრუნებულს ძალღი უნდა გაესეირნებინა. გრაფს, წმინდა სისხლის ერდელტერიერს, მის ნაცვლად არავინ გაასეირნებდა. ცოლი ტატიანა საღამოს ძალღთან ერთად არასდროს გადიოდა – ეს მის დილის მოვალეობას შეადგენდა. ხანგრძლივი წუნწუნის, ღიჯინისა და საოჯახო თათბირის შემდეგ გადაწყდა, რომ ვარიასათვის, უფროსი გოგონასათვის (იმ დროისთვის მათი ერთადერთი შვილისთვის) ძალღი ეყიდათ... ვარიამ დაიფიცა, რომ ძალღს ასეირნებდა და შვიდი წლის წინ ნაცნობისგან ლეკვი შეიძინეს. მაშინ ვარიაც შვიდი წლისა იყო და ძალღის სეირნობას მალევე დაანება თავი, რადგან მეგობრები ეზოში ლეკვს შეეჩვივნენ და მისდამი გულგრილნი გახდნენ. ვარიას გრაფთან ერთად სეირნობა არ უყვარდა, ამას ფორმალურად და მცირე ხნით აკეთებდა. გრაფ-

იც, თავის მხრივ, გოგონას არ მიყვებოდა. არც ანდრეის უყვარდა გრაფთან სეირნობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ახალი ამბების საკვირაო შემაჯამებელი გამოშვების გამოტოვება უწევდა.

ანდრეიმ შეიგინა, რადგან იძულებული იყო, გრაფის საყვარელი მარშრუტით ეხეტიალა; ეყურებინა, ყველაფერს როგორ ყნოსავდა და როგორ იშვერდა ფეხს, მაგრამ იმავე წამს გაახსენდა, რომ გრაფი უკვე მეოთხე დღეა ავადმყოფობდა და უკანასკნელი ორი დღეა სახლიდან არ გასულა.

წინა კვირას მდინარეზე გაემგზავრნენ. გრაფი, რა თქმა უნდა, წყლიდან არ ამოსულა, სანაპიროზე რალაცას თხრიდა. წამოსვლისას მდინარეში გააბანეს. მერე, როდესაც უკან ბრუნდებოდნენ, გრაფმა, ჩვეულებისამებრ, თავი ფანჯრიდან გადაყო. ციოდა, ის კი სველი იყო. ცოდვა რა დასამალია და ბოლო ხანს მთლად მოუვლელი და გაბანჯგვლული დადიოდა. კარგა ხანია ბენვი არ დაეგლიჯათ (ერდელტერიერებს არ პარსავენ, ბენვს სწორედ რომ აგლეჯენ). გრაფი გაცივდა. უკვე ორშაბათს ახველებდა და აცემინებდა. სამშაბათს სალამოდან ცუდად ჭამდა. მისი დიდი, სველი და მბზინვარე შავი ცხვირი გაშრა და განაცრისფერდა. ოთხშაბათს ძალიან ცუდად გახდა. ბენვმა ფერი დაკარგა, ჩაქრა და ჩამოეკიდა. თავის ლეიბზე იწვა, სევდიანად იყურებოდა, თავსაც კი არ წევდა და მხოლოდ მაშინ წამოდგებოდა, თუკი ვინმე შემოვიდოდა. მოკლე კუდი, რომელიც სხვა დროს მაღლა იყო აშვერილი და აქეთ-იქით ქანაობდა, ახლა ძირს ჩამოეშვა და ოდნავლა ირხეოდა, სიხარულის გამოსახატავად ძალა აღარ ჰყოფნიდა. გრაფი იწვა, ხმამაღლა სუნთქავდა და ახველებდა. ოთხშაბათ სალამოს ქუჩაში გასვლაზეც კი უარი თქვა.

ანდრეი, რა თქმა უნდა წუხდა, მაგრამ ფიქრობდა, რომ გაცივება თავისით გაივლიდა. ოთხშაბათს მთელი დღე საქმეებზე თავქუდმოგლეჯილი დარბოდა, ქალაქში დაეხეტებოდა. ადამიანებისა და მათი ქონების დაზღვევა საძნელო და სანერვიულო საქმეა და გრაფს ყურადღება ვერ მიაქცია. ხუთშაბათსაც ბევრი საქმე ჰქონდა, მაგრამ სადილობისას ტატიანამ დაურეკა და უთხრა, რომ „ჩვენი ბიჭი“ – ასე ეძახდა გრაფს, ძალიან ცუდადააო.

ანდრეიმ ვეტერინარს დაურეკა, მდგომარეობა აუხსნა. მან

მოუსმინა, მანუგეშებელი ვერაფერი უთხრა, მაგრამ დაჰპირდა, რომ კვირას მივიდოდა. შაბათს, რატომღაც, არ შეეძლო.

ანდრეი შაბათსაც კლიენტებს ხვდებოდა. მერე სახლში დარეკა. ტატიანამ უთხრა, რომ გრაფი უკეთაა და ბულიონიც კი შეჭამა. ანდრეიმ ტანსაცმლის გამოსაცვლელად შინ შეირბინა, გრაფი მასთან შესახვედრად ზღაზვნით გამოვიდა და უკანა თათებზე შედგომასაც კი შეეცადა. მერე ანდრეი საჩქაროდ „აუტში“ წავიდა.

მოკლედ, გაახსენდა, რომ ძაღლის გასეირნება არ მოუწევდა და გაუხარდა, რისთვისაც საკუთარი თავი გამოლანძღა. მერე ისიც გაახსენდა, რომ ხვალ გრაფთან ექიმი მოვიდოდა. მან ორი ბოთლი ლუდი იყიდა და შინ წავიდა.

ბოლო ორი კვარტალი თითქმის გაირბინა, რადგან ერთი ბოთლი იქვე, პავილიონში გახსნა, სიარულ-სიარულში დალია და მოშარდვისგან თავს ველარ იკავებდა. ის ლიფტში ცეკვავდა, მუხლებში იკეცებოდა და ღმუოდა. მერე საკუთარი ბინის კარს მივარდა და ზარი დარეკა. გასაღების ძებნა რომ დაეწყო, ალბათ, ჩაისველებდა. დაკეტილი კარის წინ ჩეჩოტკა იცეკვა და როდესაც, ბოლოს და ბოლოს, ვარიამ გაუღო, ტუალეტში ფეხზე გაუხდელად გაქანდა.

– ო-ო-ო-ოი, ოი, ოი, ოი! – შვების მომგვრელად აღმოხდა. – მადლობა ღმერთს! დიახ, გოგოებო, – თქვა ტუალეტიდან მისაღებში გამოსულმა, – კინალამ ბავშვობა გავიხსენე. ტანია, ოლონდს ცენები არ გვინდა! – აღმოხდა ცოლის დაძაბული სახის დანახვისას, – მე თავიდანვე ვთქვი, რომ დავლევდი. ასე ნუ მიყურებ, – ნამდვილად გაუკვირდა, რადგან ცოლს სანქციონებული, წინასწარ გამოცხადებული ლოთობისთვის არასდროს უსაყვედურია.

– გრაფი მოკვდა, – ცივად და მამხილებლად თქვა ვარიამ, მერე გამომწვევად შებრუნდა და წავიდა.

ანდრეი გახევდა.

– როგორ თუ მოკვდა? – იკითხა, როდესაც ტატიანას ტირილისგან დასიებული სახე დაინახა. ქალს თვალებში ცრემლი ედგა, – როდის?

კითხვებზე პასუხი ვერ მიიღო.

– სად არის? – კვლავ იკითხა ანდრეიმ.

ტატიანამ ხელი სასტუმრო ოთახისკენ ან, როგორც ისინი ამბობდნენ, „ზალისკენ“ გაურკვეველად გაიქნია.

– მაშა მეზობლებს გაუყვანე. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ძალთან ახლოს ვერ მივდივარ... ზენარი გადავაფარე... – ისეთი ხმით ლაპარაკობდა, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნიდა და როგორც კი სათქმელი ამოთქვა, ატირდა, – ანდრეი... ჩვენი ბიჭი მოკვდა! ის ჩემად მოკვდა!

სასიამოვნო სიმთვრალე მაშინვე შეუსაბამო, უადგილო მოძრაობებად გადაიქცა და ტუჩები მოუდუნდა. ანდრეიმ ფეხსაცმელი გაიხადა, ლუდის ბოთლი, რომელიც ქურთუკიდან ამოსწროდა, იატაკზე, ბატინკების გვერდით დადგა და სასტუმრო ოთახში შეაბიჯა.

იატაკზე, დივანსა და ტელევიზორს შორის, ძველისძველი ლოგინის გადასაფარებელი ეგდო, რომელსაც გადასაფარებლად თხუთმეტი წლის წინათ იყენებდნენ, ახლა კი პიკნიკებსა და აქაურ სამდინარო პლაჟებზე ქვეშაგებად ხმარობდნენ. გადასაფარებლის ქვეშ ძაღლის უმოძრაო სხეული იკვეთებოდა.

ანდრეი მიუახლოვდა და ჩაცუცქდა. ტატიანა უკან მიჰყვებოდა და ტირილით ლაპარაკობდა:

– დღისით ჭამა, მოილხინა. მერე იწვა და ეძინა. მაშას საძინებელში ვუკითხავდი, ვარია თავისთან იყო... უცებ მესმის... გამოვედი და ის უკვე აქ იწვა... მოცოცდა... რომ შევხედე, გვერდზე გადაგორდა, ფეხები გაჭიმა და ამოისუნთქა... გაბმით ამოისუნთქა... ხმაურით ამოისუნთქა და მორჩა! გათავდა!!! ანდრეი, ის ჩემკენ მოცოცავდა, – ტატიანა ქვითინებდა. ანდრეი წამოდგა და ცოლს გადაეხვია, რომელიც ტირილს ვერ იკავებდა.

– არ ვიცი, რა გავაკეთო. მაშა მეზობლებთან გავიყვანე. ჯერ არ დაუნახავს, ჯერ არ იცის. ძაღლი აქ წევს... არ შემიძლია! ანდრეი, წაიყვანე, გვედრები, წაიყვანე! ჩემს თავს ვერ ვაპატიებ! ბიჭი დავლუპეთ, ჩვენ დავლუპეთ, – გულამოსკვნით ატირდა, მერე სააბაზანოში გავიდა და წყალი მოუშვა.

ანდრეი კვლავ ჩაცუცქდა, გადასაფარებელი აწია და გვერდზე გადადო. გრაფი რატომღაც დაპატარავებული ეჩვენა. ძალიან დიდი ისედაც არ ყოფილა, აქ კი... ის გვერდზე იწვა, თათები გაეჭიმა და ხახიდან ენა გადმოვარდნოდა. ძაღლს თვალები ღია ჰქონდა, ისინი აღარ ელვარებდნენ. ანდრეი ატირდა.

– მაპატიე, მაპატიე, – მომხდარს ვერ იჯერებდა და ტიროდა.

რალაც უნდა გაეკეთებინა. დაუყოვნებლივ! ძაღლს მკერდზე

ხელი გადაუსვა, გრაფი ჯერ არ გაციებულებო. ანდრეიმ კვლავ გადასაფარებელი გადააფარა და სამზარეულოში გავიდა. ტატიანაც იქ იყო და მცირე ხნით ილაპარაკეს. ანდრეი ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ცოლი არ ადანაშაულებდა, რადგან საკუთარ თავს საშინლად კიცხავდა.

მერე ბორიას დაურეკა. სხვადასხვა საქმეებში გამოცდილი და შეუცვლელი ბორია მთვრალი იყო, მისვლას ვერ მოახერხებდა და წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რისი გაკეთება შეიძლებოდა. არავის არაფრის კარნახი არ შეეძლო. ანდრეი, გრაფი ვისგანაც იყიდეს, იმათაც კი შეეხმინა. ისინი ქალაქგარეთ ცხოვრობდნენ და მომხდარის შესახებ რომ შეიტყვეს, გულიანად მიუსამძიმრეს და უთხრეს, რომ ორი ძალლი პირდაპირ თავიანთ ნაკვეთზე, არყის ხის ქვეშ დამარხეს. ყველანი სთავაზობდნენ, დილაზე მოეცადათ და მერე როგორღაც დაეხმარებოდნენ, მაგრამ ტატიანა გრაფის წაყვანას ევედრებოდა; სწორედაც რომ ევედრებოდა.

ანდრეი დაიბნა. საჭესთან ვერ დაჯდებოდა. მეგობრები, რომლებთანაც დარეკა, რადგან შაბათი იყო, ან აგარაკზე იყვნენ, ან ანდრეისავით ნასვამები გახლდნენ. ტატიანას კი მეზობლებისგან მაშა უნდა მოეყვანა, რადგან ისინი უკმაყოფილოები იყვნენ: – ასე რატომ ნაღვლობთ; ჰო, მოკვდა ძალლი, გულდასაწყვეტია, ყოველდღიურად უამრავი ადამიანი იღუპება. ადამიანები უნდა შეიბრალო, ამათ კი, ძალლის გამო, ასეთი მწუხარება გამართეს. – ტატიანას გოგონასთვის ჯერ არაფრის თქმა და ახსნა არ შეეძლო. არც ის უნდოდა, რომ მასას მკვლარი გრაფი ენახა.

ანდრეის არაფრის მოფიქრება არ შეეძლო.

ვარია ატირებული თვალებით გამოვიდა და თავისი გამომეტყველებით მომხდარში მშობლები დაადანაშაულა, განსაკუთრებით კი ანდრეი. მერე დივანზე, გრაფის გვერდით ჩუმად ჩამოჯდა, ხელი ისე გადაუსვა, გადასაფარებელი არ აუხდია და თავის ოთახში ხმაამოუღებელივ წავიდა. ანდრეიმ მეზობელი გააღვიძა და შალითიანი პატარა სამხედრო ნიჩაბი გამოართვა. სიმთვრალე ძლიერ თავის ტკივილსა და დაქანცულობაში გადაიზარდა. ტატიანამ გრაფის ნივთები შეაქურჩა. ის წინკარში, პატარა სკამზე იჯდა, ნივთებს დასცქეროდა და ეტყობოდა, რომ მასში რაღაც შეიცვალა და მეტს აღარ იტირებდა.

ქალის წინ ელაგა გრაფის ლეიბი, ორი ჯამი, რომლებიც ტატიანამ რატომღაც გარეცხა. ძაღლის საყელო, ორი სატარებელი თასმა, ალიკაპი, რამდენიმე სათამაშო და ცისფერი, წითლით განყობილი რეზინის ბურთი. ანდრეიმ ნივთებს დახედა და გაიფიქრა, რომ ძაღლის ბენჯი თვალში კიდევ დიდხანს მოხვდებოდა როგორც სახლში, ისე მანქანასა და ტანსაცმელზე... ყველგან.

მკვდარი ძაღლის მიმართ გამოჩენილი ზიზღის გამო, ანდრეი საკუთარ თავს საყვედურობდა. მან ძაღლის გახევებული სხეული იმ გადასაფარებელზე გადაიტანა, რომელიც გრაფს ეფარა. იატაკი განმინდა და ჩვარი სანაგვეში ჩააგდო. სანამ ძაღლს გაახვევდა, ანდრეი დაფიქრდა და გრაფის გვერდით დადო მისი საყელო და ნეონის გაქუცული სატარებელი თასმა. ალიკაპიც უნდოდა, მაგრამ გაახსენდა, რომ გრაფს ის არ უყვარდა და დრუნჩზე წამოცმისას თავს ატრიალებდა. სამაგიეროდ, გრაფის საყვარელი სათამაშო, რეზინის დაღეჭილყურებიანი კურდღელი დადო. ეს კურდღელი ანდრეიმ გერმანიაში, ძაღლების მალაზიაში იყიდა, როდესაც იქ სადაზღვევო ტექნოლოგიებისა და მომსახურების გამოფენაზე იმყოფებოდა.

ანდრეიმ გაიფიქრა, რომ სწორედ ასე ატანდნენ საფლაკში რალაც-რალაცებს ძველ ადამიანებს, იმას რაც მათთვის საჭირო და ძვირფასი იყო. მერე ძაღლი და მისი ნივთები გადასაფარებელში გაახვია და ფუთა თეთრი თოკით გამოსკვნა.

მანამდე კი ტატიანამ გრაფის სხვა ნივთების გადაყრა მოასწრო.

– ნაგვის კონტეინერში ჩაგდება ვერ შეეძელი და გვერდზე მივანყვე. ყველაფერი ახალივითაა. ის ხომ ასეთი ფაქიზი იყო, – თქვა ტატიანამ, ფუთას დანახვისას შეკრთა და უხმო ტირილისგან სახე შეეჭმუხნა, – ბიჭმა ჩვენთან ერთად იცხოვრა, გაგვახარა და გათავდა. ჩვენ კი ვერ დავიცავით, – იგი დაიხარა, ფუთას შეეხო, თუმცა მაშინვე ხელი აიქნია და წელში გასწორდა. – სად უნდა წაიღო?

– არ ვიცი. სადმე დავმარხავ. მოვიფიქრებ. ნუ ნერვიულობ.

– ოლონდ, არ მითხრა, სადაც დამარხავ, – ქალს ხელები სახესთან ეჭირა, – მაშას მოვიყვან და დასაძინებლად დავწვები. ანდრეი, არ მანერვიულო, გეხვეწები.

– საყვარელო, მალე მოვალ, – ანდრეი ამას უკვე კარის ზღურ-

ბლთან მდგარი ამბობდა. – ნიჩაბი მომანოდე, გეთაყვა.

ლიფტში გრაფის ბრჭყალების ნაკვალევი შეამჩნია. ის მოუთმენლობისგან მუდამ უკანა ფეხებზე დგებოდა, ლიფტის კარს ფხოჭნიდა, თანაც ამის გაკეთებას მაშინ იწყებდა, როდესაც მეორე სართულს ჩასცდებოდნენ. ანდრეიმ გაიფიქრა, რომ კიდევ მრავალი რამ გაახსენებს ძალღს. იმის გაფიქრებაც მოასწრო, რომ სახლში რემონტი დაუყოვნებლივ უნდა გააკეთოს, ახალი შპალერი გააკრას და ახალი ავეჯიც შეიძინოს. დივანი აუცილებლად შესაცვლელია, სათაკილოა ასეთი დივანი. გრაფი მათ შინ არ ყოფნაში დივანზე ადიოდა და იქ არაერთხელ დაუმალავს ძვალი. ანდრეი ეზოში გავიდა და დაიბნა. ცხრასართულიანი სახლის ეზოში, რომელშიც ათწელზე მეტია ცხოვრობდნენ, ყველაფერი მოუნესრიგებინათ – მანქანის სადგომები, მათ შორის ანდრეის მანქანისაც, საბავშვო მოედანი, ორი უბადრუკი ყვავილნარი, სადაც ყვავილები დამჭკნარიყო.

ჩაფიქრდა. მეზობელი ეზოებიც მოვლილი იყო და ანდრეი მიხვდა, საკუთარ უბანს ცუდად იცნობდა. გრაფთან ერთად საბავშვო ბალამდე და სტადიონამდე მიდიოდა, იქ, სადაც ძაღლების მოედანი იყო. მალაზიასთან მისასვლელი გზაც იცოდა. სულ ესაა. და კიდევ, რასაკვირველია სკოლა. ვარიას სკოლა იქვე იყო, ხოლო სკოლა, რომელშიც თვითონ სწავლობდა, მოშორებით. ამ უბანში თითქმის მთელი ცხოვრება გაატარა და ისიც კი არ ახსოვდა, ეზოების გავლით თავის სკოლამდე როგორ მისულიყო. მცირე ხანს შედგა, დამძიმებულ შეკვრას ხელი მოუნაცვლა და მოხერხებულად დაიჭირა, ნიჩაბი ილლიაში ამოიღო და სკოლის ეზოსკენ გაემართა. გზა ფარნის ლაქებით იყო განათებული, ადამიანები იშვიათად ხვდებოდნენ. ორი ერთმანეთის მსგავსი მამაკაცი მიყოლებით შეეჩხხა. წელში მოხრილი ბიჭები ხმამაყოფებლივ მოდიოდნენ და ანთებულ სიგარეტებს აციმციმებდნენ. ასეთ ბიჭებს ბავშვობიდანვე უფრთხოდა და ამ სიფრთხილეს დღემდე არ გაუვლია. ბიჭებმა ჩუმად ჩაუარეს. როგორც ჩანს, მოზღვავებული ენერგია სადღაც უკვე დაეხარჯათ. რადგან ისინი მორიდებას არ აპირებდნენ, გზა ანდრეიმ დაუთმო.

ანდრეის ვარიას სკოლის ეზო მოვლილი და მოუნესრიგებული დახვდა. „კარგი დირექტორი ჰყავთ“, – გაიფიქრა და თავისი სკოლა და ეზო გაახსენდა, სადაც ბევრი სასეირნო ადგილი იყო: იასამნის ბუჩქები და ჯაგნარი, გავერანებული საფეხბურთო მოედანი, სათ-

ბურის ნანგრევები და უამრავი საიდუმლო ადგილი, სადაც ეწეოდნენ და გოგობთან ერთად ისხდნენ... აქ კი ვერსად მიაგნებდი მოუასფალტებელ და მოუვლელ მიწის ნაგლეჯსაც კი. „საცოდავი ბავშვები, – და ანდრეიმ კიდევ გაიფიქრა: – ალბათ, აქ თავს ძალიან ცუდად გრძნობენ. საშინელება!“ სკოლის ეზო გადაკვეთა და მცირე ხნით სპორტულ მოედანზე გაჩერდა, სადაც რკინის ლერძი იდგა და ირგვლივ მიმოიხედა. მიწა მოხრეშილი და კარგად დატკეპნილი იყო. მან გზა გააგრძელა. ტელეანძის წითელი ნათებისკენ მიდიოდა და ახსენებოდა, რომ ეს ნათება მასში მუდამ სევდასა და მოწყენილობას იწვევდა. ის მიდიოდა, რადგან იქით კინოთეატრი, პატარა საქალაქო პარკი და კიდევ რალაც ადგილები ეგულებოდა. კინოთეატრში დიდი ხანია აღარ ყოფილა და არ იცოდა, ეზოების გავლით იქამდე როგორ მისულიყო. თუმცა ახსოვდა, რომ ტელეანძის მიმართულებით უნდა ევლო. გრაფის სხეული კიდევ უფრო დამძიმდა, ნიჩაბი ილლიიდან უცურდებოდა. მერე ორივე ხელით დაიჭირა და მძიმე ტვირთი გულში ჩაიკრა. ასე უფრო მოხერხებულად მოეჩვენა, მაგრამ მცირე ხნით.

გრილოდა, არც სიმყუდროვე იყო და რაც ყველაზე მთავარია, როგორ უნდა ითქვას... ყველაფერი ისე არ ხდებოდა როგორც დღისით. გრძნობდა, რომ ახლა ქუჩაში არ უნდა ყოფილიყო.

სატრანსფორმატორო ქვესადგურს რომ ჩაუარა, ელექტროენერგიის გუგუნი და ზრიალი შემოესმა. ქვესადგურის უკან კარგი ადგილი შენიშნა: ბუჩქნარი და კედელი, მაგრამ ისეთ მნიშვნელოვან ობიექტთან, როგორც ელექტროენერგიის ეს მოზუზუნე ვეება სკაა, გათხრა არ ისურვა. თანაც ქვესადგურის გვერდით ბნელოდა. უახლოესი ფარნის ნათურა, როგორც ჩანს, გადაინვა. „ხ-ო-ო, აქედან ელექტროენერგია ყველა ფარნამდე მიდის, აქ კი ბნელა. ცხოვრებაც ასეა...“ – გაიფიქრა და ჩაიციინა. საბავშვო ბაღთან რომ ჩაიარა, შეეცადა, გალავანს იქით გამეფებულ სიბნელეში რაიმე გაერჩია. გზაზე ფარანი ანათებდა, გალავანს მიღმა კი კუნაპეტი სიბნელე იდგა. იქ ილანდებოდნენ პატარა სახლები, ხის ბორცვები, ქვიშის სოკოები.

– რას იყურები, ძია? – ხმა სიბნელიდან გაისმა. – ჩვენ ხომ არ გვეძებ? – რამდენიმე უჩინარმა ბიჭმა და ერთმა თუ ორმა გოგონამ გაიცინეს.

როგორც ჩანს, საბავშვო ბალის ვერანდაზე, ახალგაზრდებს მოეკალათებინათ. ანდრეი მათ ვერ ხედავდა, თავად კი ფარნით იყო განათებული.

– შენ რა, მამილო, განძის დასამარხავად მოხვედი? მოდი, ყველაფერი ჩვენ დაგვიტოვე, – დაიყვირა მეორე უჩინარმა ბიჭმა, რასაც ისევ სიცილი მოჰყვა.

– საით, ძვირფასო? – გაისმა უხეში ხმა. – სად გარბიხარ, განძი გაგვიყავი, – კვლავ გაიცინეს.

ანდრეი სწრაფად მიდიოდა. გამოდევნების არ ეშინოდა, რადგან ბიჭები მთლად ახალგაზრდები ჩანდნენ და უფრო გოგონებთან იწონებდნენ თავს. „შესაძლოა, ცუდი ბიჭები არ არიან და უბრალოდ, ზამთრის დადგომამდე ღამეს ქუჩაში ათენებენ“, – მსჯელობდა ის. თავადაც ბევრჯერ მჯდარა საბავშვო ბალებსა და სკვერებში. ანდრეიმ ცხადად წარმოიდგინა, როგორ გამოიყურებოდა ნიჩბითა და ჭრელ გადასაფარებელში გახვეული დიდი ტვირთით.

– რაღაც ბოღვაა, – აღმოხდა მას.

„ეს როგორ? ხომ უნდა არსებობდეს რაღაც სამსახური ან სერვისი, რომელიც ასეთ საქმეებს აგვარებს, – ხმადაბლა მსჯელობდა. – მკვდარი ძაღლები და კატები სადღაც ხომ მიაქვთ. ალბათ, რაიმე ტელეფონი ან ინფორმაცია არსებობს... უბრალოდ, მე არ ვიცი“.

ანდრეიმ გაიხსენა სატელევიზიო რეპორტაჟები ძაღლების საპარიკმახეროებზე, ძაღლებისა და კატების სასტუმროებზე და კბილის ექიმებზეც კი. გაიხსენა ისიც, რომ ინგლისში, თუკი ტელევიზიას დაეჯერება, ძაღლებს კბილებსაც კი უსვამენ. „რაღაც ამის მსგავსი ჩვენთანაც უნდა იყოს, სხვანაირად როგორ შეიძლება? უამრავი ძაღლია! დიდი ძაღლებიც!“ მაგრამ არასდროს სმენია ძაღლების სასაფლაოებზე და აზრი გაუკრთა, ამ ბიზნესით რატომ არავინ დაინტერესდა. ანდრეიმ მაშინვე გაიფიქრა, რომ ძაღლების სასაფლაოები აუცილებლად იქნება, უბრალოდ, მათ შესახებ არ სმენია. ის არ ყოფილა ფეხბურთის თავგადამკვდარი გულშემატკივარი და არც ძაღლების ნამდვილი მოყვარული. „სადღაც ხომ მიაქვთ მკვდარი ძაღლები, სად მიაქვთ?!“ – განუწყვეტილად ფიქრობდა.

ანდრეი გრძელი, მაღალი სახლის გასწვრივ მიდიოდა. აქაურობა ჯერ კიდევ აქა-იქ შემორჩენილი, გაჩახჩახებული ფანჯრებისა და სადარბაზოების სინათლისგან იყო განათებული. საბავშვო

მოედანთან ორი კაცი იდგა და ეწეოდა, მათ ფეხებთან კი ძაღლები იწვნენ: გერმანული ნაგაზი და დოგი. როგორც ჩანს, კაცები მათთან ერთად სეირნობდნენ და მოსაწევად და სალაყბოდ გაჩერდნენ. შუალამე გადასული იყო, მაგრამ კვირადღე თენდებოდა და ასე უქმად დგომა და გაბოლება შეიძლებოდა. გერმანული ნაგაზი ანდრეის დანახვაზე ყეფით წამოხტა, სატარებელი თასმა უმაღლესი დაიჭიმა და პატრონი კინალამ გადააყირავა.

– ფუ, ასტრა, ფუ! – დაიყვირა ძაღლის პატრონმა, – მაპატიეთ, არ შეგეშინდეთ, – შეუძახა ანდრეის.

დოგიც წამოდგა და დაიყეფა.

– დუნია, დაჯექი, – უბრძანა მეორე კაცმა. – ვის ვუთხარი, დაჯექი!

დუნია დაჯდა, ასტრა კი დადუმდა. ანდრეიმ დუნია იცნო. ძაღლების მოედანზე გრაფი დუნიას დანახვაზე წრიალს იწყებდა და რალაცის მიღწევას ცდილობდა. გრაფმა არ იცოდა არც „დანექი“, არც „დაჯექი“, არც „ფუ“, სამაგიეროდ, მშვენივრად იცოდა სიტყვა „სეირნობა“ და ამ სიტყვის გაგონება ძალიან ახარებდა. მისი სიხარული ისეთი ბობოქარი და გულწრფელი იყო, თითქოს ცხოვრებაში პირველად უნდა ესეირნა. წარმოუდგენელია, გრაფს მხოლოდ მოშარდვის გამო (თუნდაც აუტანლად ნდომებოდა) გამოეხატა ასეთი სიხარული. „რალაცის ეიმედებოდა, ყოველ ჯერზე რალაცის ეიმედებოდა“, – მუდამ ასე ფიქრობდა ანდრეი.

ანდრეი კაცებს არ მისალმებია, არც რჩევა უკითხავს და ჩქარი ნაბიჯით აუქცია მათ გვერდი. მკვდარი ძაღლისთვის ორივე ხელი შემოეხვია და გრძნობდა, ტვირთი სულ უფრო მძიმდებოდა.

იგი მიდიოდა და ფიქრობდა: „რა ვუყვით, მართალია, გრაფს პატრონის ბრძანებები არ ესმოდა, სამაგიეროდ, წვრთნებით ერთმანეთს არ ვანამებდით. ისედაც ჭკვიანი იყო და კარგად იცოდა, რა შეიძლებოდა და რა არა“.

ანდრეის გაახსენდა, როგორ მათხოვრობდა გრაფი მაგიდასთან. თავს ანდრეის მუხლებზე ადებდა და თან თვალებში შესცქეროდა, თითქოს პირდაპირ სულში უყურებო. სტუმრებს კი განმგმირავ მზერას ესროდა და თავს ისე აჩვენებდა, თითქოს პატრონები სცემდნენ და არასდროს აჭმევდნენ. ის დელფინის მაგვარ ხმებს გამოსცემდა. რალა თქმა უნდა, თავს ვერავინ იკავებდა და

ყველანი ანდრეისგან მალულად – ხოლო ანდრეი ყველასგან მალულად – მაგიდიდან რალაც-რალაცებს აწვდიდნენ. კარგად აღზრდილი ძაღლები ასე არ იქცევიან. ანდრეი მკვდარ ძაღლს მიათრევდა და თავის თავს ეუბნებოდა, რომ კარგს აკეთებდა, მკაცრად რომ არ ექცეოდა.

მან სახლს შემოუარა, პროსპექტზე, გზაჯვარედინთან გავიდა და უცებ მოისაზრა, სად იმყოფებოდა და საითკენ უნდა წასულიყო. პროსპექტი გადაკვეთა და ქუჩას გაუყვა. უფრო შორს კი კინოთეატრი და ცირკი იყო. განათებული გზაჯვარედინი ხმაურობდა. ანდრეი დაიბნა. სანინალმდეგო მხარეს რამდენიმე ტაქსი და კიდევ რალაც ავტომანქანები იდგნენ. პავილიონი ანათებდა. შუქნიშნები ციმციმებდნენ. პროსპექტზე გადმოკიდებული სარეკლამო პლაკატი კაშკაშებდა: ლამაზი სარეცხი მანქანიდამ ძალიან მხიარული და სუფთა პინგვინები ხტებოდნენ. მანქანები ხმამაღალი ღმუილით მიქროდნენ.

ანდრეი ფუთას ნიჩბით აწვებოდა და გულში იკრავდა. ჭრელი გადასაფარებლის კიდე გამონაკვანძიდან თანდათან გამოცოცდა და ჩამოეშვა. იმაზე ჩაფიქრდა, თუ როგორ გამოიყურებოდა და სახე გაუოფლიანდა. იდგა და ფიქრობდა, პროსპექტი გადასასვლელზე გადაეკვეთა თუ არა. შუქნიშნთან ორი მანქანა გაჩერდა: სატვირთო და რალაც სპორტული, ხმაურიანი ძრავით. მანქანების ფარების შუქზე ამხელა ტვირთით და ნიჩბით გადასვლას ვერ ბედავდა. ანდრეი შებრუნდა და პროსპექტს გასცილდა. სამასი მეტრი გაიარა და პროსპექტი მაშინ გადაირბინა, როცა მანქანების ჭაჭანებაც არ იყო. მერე მაღაზიის ჩაბნელებული ეზო გადაკვეთა, სადაც ძველი პროდუქტები ყარდა. მერე კიდევ რომელიღაც ეზო გაიარა და როგორც იქნა, მოუნესრიგებელ პარკში შეაბიჯა. პარკი შემოსაზღვრული იყო დაუანგული რკინის მესრით, სადაც პატარა ჭიშკრით უნდა შესულიყავი. კართან დაფა ეკიდა: „ძაღლების სეირნობა აკრძალულია“, ანდრეიმ მწარედ ჩაიცინა. აქ გრაფთან ერთად არასდროს ყოფილა.

პარკში სიბნელე და ნესტი იყო. ანდრეი ბილიკით ხეივნისკენ მიდიოდა. იქ განმარტოებით და მკრთალად ენთო კობრას მსგავსი ფარანი. შემხმარი ბალახი მაღლა ამოშვერილიყო. ალვის ხეები ირხეოდნენ და შრიალებდნენ, თუმცა ხეებს ნახევარი ფოთლებილა

შერჩენოდათ. ჩამოცვენილი ფოთლები კი ბილიკსა და ხეივანს ნესტიან, სრიალა აფსკად გადაჰკვროდა.

ფარნის შუქზე ანდრეიმ ხეივნის ჭუჭყიან ასფალტზე შეაბიჯა და სკამს მიუახლოვდა. სკამზე ფოთლები მიკრულიყო და ზედ წვიმისგან დაჟიბული გაზეთი ეგდო. შეკვრა სკამზე დადო, მთელი ტანით გაიზმორა და ამოსუნთქვისას პრიდინა ორთქლი ამოუშვა.

ანდრეიმ თავი გააქნია. ღამით ქალაქში ადამიანი ტომრითა და ნიჩბით მიდის! ეს როგორ უნდა ახსნა? ეს ადამიანი კი ანდრეია! მსუქანი, წესიერად ჩაცმული, მონიფული მამაკაცი.

ოდესღაც, ძალიან ადრე მსუქანი, საყვარელი ბავშვი დღესასწაულებზე დათვს თამაშობდა. უფროსებს გული უჩუყდებოდათ, ალტაცებული ბებია ტაშს უკრავდა. მერე მიხვდა, „ბუთხუზასა“ და „მსუქანას“ მეგობრები უბოროტოდ და მხიარულად რომ ეძახდნენ, აღარ სიამოვნებდა. ის ძლიერი იყო, ბევრ თავის თანატოლზე ძლიერი, მეგობრებზეც და მოძულეებზეც, მაგრამ ვერასდროს ირბენდა მათსავით სწრაფად და ხანგრძლივად. უკვე დიდობაში ყველაზე მოდურ ტანსაცმელსაც კი ვერ იხდენდა.

ანდრეიმ რამდენჯერმე სცადა გახდომა, ხან სერიოზულად, ხან ზერელედ. ამას სხვადასხვა მეთოდით აკეთებდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა, რომ თუ გახდომა გინდა, საერთოდ არ უნდა ჭამო. ანდრეის ეს არ გამოუვიდა. ყოველი მცდელობა მსგავსი შინაგანი მონოლოგით მთავრდებოდა: „ასე, დილით ვჭამე ხაჭო, შუადღისას – წყალწყალა წვნიანი და სალამოს – ორი პომიდორი. სისულელეა“. ამ მონოლოგის შემდეგ მაცივართან ღამის მსუნაგობა იწყებოდა. ყველაფერ ამაზე ხელი რამდენიმე წლის წინ ჩაიქნია და მოდური შარვლებისა და დახვენილი სვიტერებისკენ აღარც კი გაუხედავს.

თუმცა, მუდამ მოწესრიგებულ ანდრეის, თავისი პატარა, მაგრამ, მისი აზრით, ღამაზი ხელები მოსწონდა. ის პრაქტიკულად იცვამდა და ნითელი ფერები უყვარდა.

მას არ შეეძლო პროსპექტზე ნიჩბითა და ტომრით გავლა. ოდესღაც, უფროს კლასში რომ სწავლობდა, მამამ თითქმის ახალი პორტფელი აჩუქა. მან სიტყვები ვერ მოძებნა, რათა მამისთვის აეხსნა, რომ ასეთი პორტფელით, ასეთი დიდი პორტფელით სკოლაში სიარული წარმოუდგენელია და არა უბრალოდ წარმოუდგენელი,

არამედ შეუძლებელიც კი. მამას ვერაფერი უთხრა და სკოლაში პორტფელით წავიდა, ყავისფერი, სერიოზული ტყავის პორტფელით, რომელიც სკოლის დამთავრებამდე ტანჯავდა.

ანდრეიმ მიმოიხედა და ორმოს ამოსათხრელად პარკში ბევრი შესაფერისი ადგილი დალანდა. მან ნიჩაბი ჩაბლუჯა და შეკრულას შეხედა. შეეცადა, გზაჯვარედინზე რომ განიცადა, ის შეცბუნება და უნიათობა ჩაეხშო და სკამის უკან მდგარი ხისკენ გაემართა. ცდილობდა, შეუმჩნეველი ყოფილიყო, მაგრამ სინათლიდან გასვლა და სიბნელეში მუშაობა არ უნდოდა. ის ხის შავი ჩრდილის მხარეს დადგა. ფეხის დაბიჯებით მუშაობა არ გამოდიოდა, ხელებით ნიჩბის მინაში ჩასობა კი მის ძალებს აღემატებოდა. ანდრეიმ ბალახისა და ბელტების მოჭრა დაიწყო და მიხვდა, რომ ამ საქმეს მალე ვერ დაამთავრებდა. უცებ სინათლის კაშკაშა და მოძრავი სხივი დაეცა.

– მოქალაქე! აქ რას ვაკეთებთ? – ახალგაზრდული და ძალიან თავხედური ხმა შემოესმა.

ანდრეი შეკრთა და თვალი სინათლეს გაუსწორა. ფარნით პირდაპირ სახეში ანათებდნენ. მან ორი ქუდიანი სილუეტი გაარჩია და კიდევ – სინათლის სხივში შემოდგომაზეც კი აქტიურობაშენარჩუნებულმა ორმა მწერმა გაიფრინა.

– აქ მოდით! – ახლა სხვა ხმა შემოესმა და ერთი ქუდი შეირხა.  
– მოქალაქე, აქ მოდით!

ანდრეი მათკენ წავიდა, თვალებში დაუნდობლად ანათებდნენ.  
– გამარჯობათ, – თქვა მან.  
– სალამო მშვიდობისა, – უპასუხეს.

ორივე მილიციონერი ახალგაზრდა და დაბალი ტანისა იყო. როდესაც ანდრეი მიუახლოვდათ, ნიჩაბს ძალიან მეტყველად დახედეს, მერე კი ისევ თვალებში მიაჩერდნენ. თუმცა ფარანი ჩააქრეს.

– რას ვაკეთებთ? – ჰკითხა მთლად ფერმკრთალმა, ქორფლიანმა ბიჭმა. პარკის ფარნის შუქზე მისი თვალები უფერულად გამოიყურებოდა.

სანამ ანდრეი მათ მიუახლოვდებოდა, გაახსენდა, რომ თან არ ჰქონდა არც საბუთები და ეტყობა, არც ფული. ასევე აღიდგინა, რომ მართვის მოწმობა და მანქანის საბუთებიც სახლში დარჩა. ამის გამო წამიერად შეაცცია და გონებაში გაუელვა, კიდევ კარგი,

ახლა საჭესთან არ ვზივარო...

– ასე... რას ვაკეთებთ? – გაიმეორა ჭორფლიანმა.

– განძს ვეძებთ? – ჰკითხა მეორე, მთლად გამხდარმა მილიციელმა, თანაც გაუღიმა. წინა ერთი კბილი ჩამოტეხილი ჰქონდა, – ხომ არ დაგეხმაროთ?

– არა, რას ამბობთ, რა განძი? იცით, აქ... – ანდრეის უნდა აეხსნა, მაგრამ ამ დროს რაცია, რომელიც გამხდარს ხელში ეჭირა, ხმამაღლა აშიშინდა. მილიციელმა შიგ რალაც გაურკვეველად უპასუხა და რაციაც დადუმდა.

– რა? – ჩაეკითხა ჭორფლიანი.

– მე, თქვენ იცით... – კვლავ დაიწყო ანდრეიმ.

– შეიძლება თქვენი საბუთები ვნახოთ? – შეაწყვეტინა გამხდარმა.

ანდრეი არეულად უხსნიდა, რომ საბუთები არ წამოუღია, რადგან აქვე ცხოვრობს და თვალსაჩინოებისა და დამაჯერებლობისათვის ხელი თავისი სახლისკენ გაიქნია. იმავე წამს მიხვდა, რომ სულ სხვაგან მიანიშნა, ბოდიში მოიხადა და ახლა სხვა მხარეს მიუთითა. მილიციელებმა მისამართი ჰკითხეს. ანდრეიმ რატომღაც დაბნეულად და როგორღაც დაგვიანებით დაასახელა მისამართი. ოფლში გაიხვითქა და შეშინდა, კაცმა რომ თქვას, არც კი იცოდა რისი ეშინოდა. მილიციელებმა მისამართი ისევ ჰკითხეს, გაიგეს სახელი, მამის სახელი, გვარი, წლოვანება და გამხდარმა ყველაფერი რაციაში გაიმეორა, რაციამ პასუხად დაიციყინა და აშიშინდა.

– სათევზაოდ წასვლას ხომ არ აპირებ? – ჩაიცინა ჭორფლიანმა. – პარკში ჭიაყელების თხრა კარგი არ არის. აქ რა გვაქვს? – თქვა მან, ფარანი ჩართო და სკამზე შემოდგმულ შეკრულას მიანათა.

– მაპატიეთ, მესმის, რომ უცნაურად გამოიყურება, მაგრამ აქ ასეთი სიტუაცია... – დაიწყო ანდრეიმ, მაგრამ კვლავ რაციამ შეაწყვეტინა.

გამხდარმა რაციის ხრიალს ყური მიუგდო და უპასუხა: „კეთილი!“, რაცია კვლავ დადუმდა.

– მოქალაქევე, ეს რა გაქვთ? – ძალიან მკაცრად იკითხა ჭორფლიანმა. – ნება იბოძეთ და აგვიხსენით, აქ რას აკეთებთ.

ანდრეი მთლად შეშინდა და დაბნეულად, გაუგებრად და როგორღაც ძალიან შორიდან დაიწყო ახსნა, რა მოხდა და როგორ.

– იქ რა გაქვს, ძალღი?! – ჰკითხა გამხდარმა. – გვაჩვენეთ!

ანდრეი ლაპარაკს განაგრძობდა, თან თოკს ხსნიდა, წრიალებდა. როგორც იქნა, კვანძი გამოხსნა, შეკრულა ოდნავ გაშალა და გრაფის უკანა თათები და ხუჭუჭა წითური გვერდი გამოაჩინა.

– გასაგებია, საკმარისია, შეახვიეთ! – თქვა ჭორფლიანმა, – ესე იგი, ძაღლის აქ დამარხვა გინდოდათ? სწორად გაგიგეთ?

– უნდა დამემარხა, – მოკლედ უპასუხა ანდრეიმ.

– ა-ა-ა! თქვენ გესმით, რომ ეს პარკია? საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი, – უტიფარი ხმით თქვა გამხდარმა. – რა მოხდება, მკვდარი ძაღლის დასამარხავად ყველა აქ რომ მოვიდეს, – სიტყვას „დასამარხავად“ რალაც განსაკუთრებულად, გამქირდავად გაუსვა ხაზი. – მოიყვანეთ ძაღლები, კატები, ზაზუნები! აქ რა იქნება? მოათრიეთ თქვენი კუები და აკვარიუმები! აქ, სხვათა შორის, ბავშვები სეირნობენ.

ანდრეიმ თავის მართლება და რალაცის ახსნა დაიწყო, თან გრაფს ხელახლა ახვევდა. ის ეთანხმებოდა, ბოდიშობდა, თავს უქნევდა.

– წესით, უნდა დაგაჯარიმოთ და დაგაკავოთ, ანდრეი მიხაილოვიჩ, – განაგრძო გამხდარმა. – დაუყოვნებლივ შინ წადით, რომ მეტჯერ თვალი აღარ მოგკრათ. გასაგებია? გეკითხებით, გასაგებია?

ანდრეიმ თქვა, რომ გაიგო და ძაღლი ორივე ხელით ასწია. დაბალი ტანის მილიციელთა წინაშე ის მთლად გაოფლილი იდგა.

– ნიჩაბი წაიღეთ, თქვენი არაფერი გვინდა, – განაგრძო გამხდარმა.

– არ გინდათ ტრაგედიის გათამაშება! ჩვენ აქ, – მან გაურკვეველი შესტი გააკეთა, თითქოს მთელ ქალაქზე მიანიშნა, – ბევრი რამ გვინახავს.

– შინ წადით, – თქვა ჭორფლიანმა. – სოფელში მეც მყავდა ძაღლი. ვიცი, ეს რაც არის, როდესაც საყვარელი ძაღლი კვდება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი ადგილები დააბინძუროთ.

– მაპატიეთ, სად წავილო? – უმწეოდ თქვა ანდრეიმ.

– სახლში! ვერ გაიგეთ? – მკვეთრად უპასუხა გამხდარმა, – იქ მოიფიქრეთ.

– იცით, – თქვა ჭორფლიანმა. – იქ ნაგვის საყრელი კონ-

ტიენერები დგას, მთელი პარკის ფოთლებსა და ნაგავს ყრიან. იქ ნაიღეთ. საშიში არაფერია. მისთვის უკვე სულ ერთია. მერნმუნეთ.

ანდრეი მილიციონერებს გამოემშვიდობა და სხვადასხვა გზით ნავიდნენ. მითითებული მიმართულებით დაახლოებით ერთი წუთი მიდიოდა.

– თფუ! – ხმამალა გადააფურთხა. – თფუ, თფუ, თფუ, – ყველაფერი ფეხებზე დაიკიდა და დედის შეგინება მოუნდა. საზიზღრობა იყო, როგორღაც სასირცხვილო და მწარე... და კიდევ იგრძნო, რომ აუტანლად უნდოდა წყლის დაღევა, აუტანლად!

ხეივნის ბოლოს სამი დიდი სანაგვე კონტეინერი იდგა. მათ გარშემო უამრავი სველი ქალაღი, რაღაც დახეული პაკეტები და სხვა ათასი ხარახურა ეყარა. აშკარაა, ნაგვის მკვლევარებს აქაურობა საფუძვლიანად გადაექოთებინათ. ორ კონტეინერში ნაგავი ეყრა, მესამე კი ტოტებითა და ფოთლებით აევსოთ და მიუხედავად იმისა, რომ ნაწვიმარი იყო, კვამლი ამოდიოდა – ვილაცის მიერ ფოთლებზე წაკიდებული ცეცხლი ბჟუტავდა.

ანდრეი ახლოს მივიდა. კვამლის მძაფრი სუნი და ამჟავებული რაღაც-რაღაცების სიმყრალე იდგა. მან ნაბიჯი უკან გადადგა და გაჩერდა. დაილალა, გრაფი ძალიან დამძიმდა და საერთო აღარაფერი ჰქონდა ენერგიულ და მუდამ მხიარულ ძალღთან. ანდრეი არ განძრეულა, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, გრაფი სად გადაეგდო. სანაგვეში არ სურდა, საამისოდ ხელი არ დაემორჩილებოდა, ამის გაკეთებას ვერ შეძლებდა! კვამლს მძაფრი და მწარე სუნი ასდიოდა. წარმოიდგინა, როგორ გაიხრწნებოდა და რა მყრალი სუნი აუვიდოდა ძაღლის ბენეს. თუმცა მაინც კონტეინერისკენ გააბიჯა. უცებ თავის თავს უთხრა: „რატომ?“ მერე კი გაიფიქრა: „რატომ უნდა შევასრულო ის, რისი გაკეთებაც იმ ბიჭებმა მიბრძანეს? მე არ მსურს, იმათი დედაც!..“

შეტრიალდა და იქაურობას გასცილდა. პარკის გავლით მიდიოდა, თანაქალაქელი კოსმონავტების ძეგლის გვერდით. რაკეტას ჩახვეული ადამიანები ღამის პარკზე, ხეებზე და დაბალ ცაზე, საითკენაც ასე მიისწრაფოდნენ, კიდევ უფრო შავებად მოჩანდნენ.

ანდრეიმ პარკი გადაჭრა და იქიდან გამოსულს სატელევიზიო ანძა მთელი სიმაღლით წარმოუდგა. ლითონის მაღალი მესერი

ზღუდავდა სუფთა და კარგად განათებულ მოედანს, რომლის შუაში მეტალის კონსტრუქცია აღმართულიყო, სულ მალლა და მალლა რომ მიემართებოდა. ანდრეიმ თავი ასწია და წითელი ნათურები დაინახა, კიდეც უფრო მალლა – დაბალი ცა, რომელიც მოწითალო ფერით მქრქალად იყო განათებული. ქალაქის ყველა ქარხნის, ფარნის, ჩაუმქრალი ფანჯრის შუქი მძიმე, დაბლა მცურავ შემოდგომის ღრუბლებში ირეკლებოდა.

– და რა, მთელი ღამე ასე უნდა ვიარო?! – ხმამალლა, ისე რომ კბილები არ გაუხსნია, ანდრეიმ სადღაც იქ, ტელეანძის წითელ ნათურებს მიმართა.

წყლის დაღევა ისე უნდოდა, შესაძლოა ცხოვრებაში ასე არასდროს მოსწყურებია. ანდრეიმ სატელევიზიო ცენტრს გვერდი აუარა, მყუდრო ქუჩაზე გავიდა და გზას გაუყვა. არავინ მოძრაობდა, მხოლოდ რამდენიმე მალაზია და მორიგე აფთიაქი ანათებდა. ნიჩაბი და შეკრულა ხან ერთ ხელში გადაჰქონდა, ხან მეორეში. ანდრეიმ ჯიბეები მოიჩხრიკა და ხურდა ფული იპოვნა, მაგრამ მალაზიები, რასაკვირველია დაკეტილი იყო. ავტობუსის გაჩერებასთან მდებარე ჯიხურიც დაეკეტათ. აფთიაქში მხოლოდ ღამის მომსახურებისთვის განკუთვნილი პატარა ფანჯარა ენთო. ანდრეის ისე სწყუროდა, რომ ალაღბედზე დააკაკუნა. მართალია, მაშინვე არა, მაგრამ მალევე თეთრხალათიანი დედაბერი გამოჩნდა, რომელსაც დიდი სათვალე ეკეთა. ქალმა ფანჯარა გამოაღო.

– გისმენთ, – თქვა მან ისე, რომ ჩანდა, გასაწყრომად იყო გამზადებული.

– რაიმე დასალევი მომყიდეთ, – თქვა ანდრეიმ.

– შენ რა?! ეს აფთიაქია! სანამ მილიცია არ გამომიძახებია, აქედან მოშორდი.

– ნამალს უნდა დავაყოლო, – იცრუა ანდრეიმ. – ცუდად ვარ, დამეხმარეთ, გთხოვთ.

დედაბერმა ანდრეი ყურადღებით შეათვალიერა. კაცმა სახეზე შესაბამისი გამომეტყველების მიღებაც კი ვერ მოასწრო, რომ დედაბერს ხასიათი შეეცვალა:

– ოი! მაპატიეთ, ახლავე. მხოლოდ წყალი გინდათ?

– მხოლოდ წყალი! სწრაფად, გთხოვთ!

დედაბერი შეძლებისდაგვარად სწრაფად წავიდა. ანდრეიმ

გრაფი და ნიჩაბი ასფალტზე დაუშვა.

– აი, აიღეთ, ანადულარია! – თქვა დედაბერმა და ანდრეის დიდი, თეთრი ფაიფურის ყვავილებიანი ფინჯანი გაუწოდა.

ანდრეიმ ფინჯანი გამოართვა, ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს პირში აბი ჩაიდო და თბილი წყალი დალია, რომელსაც ძველი ჩაიდნის გემო გაჰკრავდა.

– გმადლობთ! მიხსენით! ახლა მომეშვება, – თქვა ანდრეიმ და ფინჯანი უკან დაუბრუნა.

– წნევა გაქვთ? – ჰკითხა დედაბერმა. ანდრეიმ თავი დაუქნია. – მაპატიეთ, რომ თავიდანვე ვერ მიხვდით. აქ მთელი ღამე დადიან ხან ლოთები მოდიან და სპირტს თხოულობენ, ხან ნარკომანები...

ანდრეიმ მოუსმინა, მადლობა გადაუხადა...

– ახლა გაცილებით კარგად ვარ, გმადლობთ! – თქვა კაცმა, გრაფი ასნია, შეტრიალდა და წავიდა.

„წყალი რომ დამელია მთელი სპექტაკლი გავითამაშე. მთელი სპექტაკლი... თფუი!!!“ – და გადააფურთხა.

ერთხანს კიდევ იარა, ავტობუსის მომდევნო გაჩერებამდე მივიდა და ცივ, სველ სკამზე ჩამოჯდა. არაფერზე ფიქრობდა და პირდაპირ იყურებოდა. წამოწვიმა, ის კი ისევ იჯდა. მერე საძაგელი აზრი მიეპარა: გრაფი გზისპირას ხომ არ მიაგდოს, ისე, თითქოს მანქანამ გაიტანა. მას მრავალჯერ უნახავს მანქანების გატანილი ძაღლები და ყოველთვის გულდასმით უქცევდა გვერდს. მკვდარი ძაღლები ქუჩიდან ყოველთვის ქრებოდნენ, ძალიან სწრაფად ქრებოდნენ, მაგრამ ეს აზრი, რომელიც რალაც უცხოვდ, ცივად და სამარცხვინოდ ეჩვენა, უარყო, ადგა და გზა განაგრძო.

ქალაქს ველარ ცნობდა. ანდრეის ესმოდა, რომ სახლიდან შორს წავიდა, მაგრამ ქალაქმა საცხოვრებელი გარემოს ნიშან-თვისებები დაკარგა. ის გაუჩერებლად მიდიოდა და უცებ მიხვდა, რომ ლილინებდა, უფრო სწორად, სიმღერის ტექსტს ტურების უხმო მოძრაობით წარმოთქვამდა. ტექსტმა და თავად სიმღერამ გააოცა. აღარ ახსოვდა უკანასკნელად ეს სიმღერა როდის მოისმინა, მხოლოდ ნაწყვეტს იმეორებდა.

ანდრეის სიმღერა უყვარდა და დარწმუნებული იყო, რომ სმენა და სასიამოვნო ხმა ჰქონდა. სიმღერა პატარა და მშვიდ კომპანიაში უყვარდა და არა ისე, ნასვამები ერთხმად, ხმის ჩახლეჩამდე რომ

გაჰყვირიან. ის ასრულებდა სიმღერებს ძველი კინოფილმებიდან, რომანსებს და მის ნამღერზე ცრემლსაც კი ღვრიდნენ.

ახლა ანდრეი სიმღერის სიტყვებს ჩურჩულებდა, სიტყვები რალაც მიუწვდომელი სახით მახსოვრობის წიაღში თავად იძებნებოდა. ის ჩურჩულებდა:

*როდესაც აღარ გეყვარები,  
მე წავალ შორს.*

*მოაჯირიდან ჩამოსრიალებული,  
მოაჯირიდან ჩამოსრიალებული,  
ჩავეშვები ღამეში, შორს!  
ნაი-ნა-ნა-ნა-ნა-ნა,  
ნაი-ნა-ნა-ნა-ნა-ნა-ნა-ნა...*

და ისევე თავიდან. მას გაახსენდა, რომ ამ სიმღერას ერთ დროს, დიდი ხნის წინ, ალა პუგაჩოვა მღეროდა. ეს სიმღერა მაინცადამაინც არ მოსწონდა, მაგრამ ახლა იმაზე გაოცდა, რალა ეს ნაწყვეტი ამეკვიატაო. სიტყვები შექმნილ სიტუაციას ზუსტად მიესადაგებოდა...

მთლად დაიქანცა. გრაფისა და ნიჩბის ტარებაზე ხელები უარს ამბობდნენ. ხანგამოშვებით ფუთას ხან ერთ მხარზე მოიგდებდა, ხან მეორეზე და ასე მიდიოდა.

როდესაც რალაც მშენებლობის გრძელ, ყრუ კედელს მიადგა, ანდრეიმ გაიფიქრა, მძიმე ტვირთი გალავნის იქით ხომ არ გადავაგდოო. ამით ყველაფერი დამთავრდებოდა, მაგრამ ამ აზრთან ბრძოლისას კედელზე მინაწერი წაიკითხა: „საცხოვრებელი სახლის მშენებლობას ანარმოებს (ესა და ეს) ორგანიზაცია“. წარწერის გვერდით კიდევ ერთი მინაწერი იყო: „ყურადღება: ტერიტორიას ძაღლები იცავენ“. ანდრეიმ წაიკითხა, ჩაიცინა და თავი გააქნია.

სამშენებლო ტერიტორიაზე კარი ღია, უფრო ზუსტად, შეღებული იყო. ანდრეი შევიდა და მიმოიხედა. მშენებლობა ახლახან დაეწყო, მარჯვნივ სხვადასხვა ტექნიკა იდგა, მარცხნივ ჩაბნელებულფანჯრებიანი ვაგონი. ვაგონის თავზე წვრილი ანძა აღმართულიყო და ზედ დამაგრებული ფარანი სამშენებლო მოედანს მოყვითალო შუქით ანათებდა. ანდრეის პირდაპირ არცთუ ისე ღრმა საძირკველში თეთრი ხიმინჯები ჩაესოთ. საძირკველის შორეულ მხარეს წყალი იდგა. წყალი ბნელ ცას და ფარნის შუქს ირეკლავდა.

– ეჰი... ალლ-ო-ო!.. – დაიძახა ანდრეიმ და მაშინვე მიხვდა,

რომ იქ არავინ იყო და რომ საჭირო ადგილას მოხვდა.

ანდრეი საძირკვლისკენ გაემართა და იგრძნო, რომ თითოეულ ნაბიჯზე წუმპის ჭუჭყი ფეხსაცმელზე ეკვროდა. სახეც კი დაემანჭა. ძალიან არასასიამოვნო იყო კარგი, მუდამ სუფთა ბატინკის ტალახში ჩაბიჯება.

ის ორმოს პირას დადგა. როცა იქნება, აქ სახლი აუცილებლად აშენდება. იქაურობა მოათვალეირა, საძირკვლის ყველაზე დამრეცი ნაპირი მონახა და სანამ იქამდე მიაღწევდა, კინალამ რამდენჯერმე დაეცა. კარგი იქნებოდა, სათვალე წამოეღო, რომლითაც ანდრეი სახლში ტელევიზორს უყურებდა და კითხულობდა. თვლიდა, რომ ნორმალური მხედველობა ჰქონდა, მაგრამ საღამოობით სახლში სათვალეს მაინც იკეთებდა. ნებისმიერ სათვალეში თავს კაროკატურას ამსგავსებდა ან კლასიკური ლიტერატურის პერსონაჟს, ან თანამედროვე ფილმების ბოროტ მანიაკს. ფეხსაცმლის ქვეშ ტალახი წკლაპუნობდა და სრიალებდა. ანდრეიმ ორმოს ფსკერამდე როგორღაც ჩააღწია და მიხვდა, რომ რაღაც განსაკუთრებული ადგილის შერჩევა საჭირო არ იყო.

გრაფი მიწაში ჩასობილი ხიმინჯის ნაპირზე შემოდო და ცდილობდა სინათლეს არ ჩამოფარებოდა. დაბლა იხედებოდა და ისე თხრიდა. მიწა იყო თიხოვანი, ბლანტი, თუმცა ადვილად ითხრებოდა. თხრიდა და თხრიდა. ანდრეის არ უნდოდა, გრაფი ტალახის თხელი ფენით დაეფარა. რახან ასეთი რთული და გრძელი გზა გამოიარა, სურდა, გრაფი რაც შეიძლება ღრმად დაემარხა. შარვალი, ფეხსაცმელი და ქურთუკის სახელოები ძალიან დაესვარა. ნებისყოფის დაძაბვით ამას ყურადღებას არ აქცევდა. ტალახის ქვეშ თიხა გამხმარი და მაგარი იყო. ანდრეი იძულებული გახდა, ამოთხრილი ორმოს ფსკერზე დამდგარიყო და მუშაობა ასე გაეგრძელებინა. დაახლოებით მუხლამდე ჩააღრმავა და მიხვდა, რომ ეს საკმარისი იქნებოდა. ორმოდან ამოვიდა და გადასაფარებელზე შემოჭერილი თოკის გახსნა დაიწყო.

– რას ვაკეთებ? რისთვის? – ჩუმად თქვა.

„თოკს გახსნა რად უნდა?“ – გაიფიქრა და მიხვდა, რომ ამას ანგარიშმიუცემლად აკეთებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ გადასაფარებელი უკან წამოეღო.

– თფუი, შენი, – გადააფურთხა და შეიგინა.

ანდრეიმ ფუთა აიღო, ჩაცუცქდა და ძალლი ორმოში ფრთხილად ჩაუშვა. ის იდგა პატარა, თითქმის მრგვალი საფლავის პირას და ცდილობდა, რომ ძალღთან ერთად ცხოვრების კარგი და ამაღელვებელი სცენები გაეხსენებინა. ანდრეის ესმოდა, რომ გრაფს უნდა გამოემშვიდობებოდა და რალაც რიტუალის შესრულება იყო საჭირო. ის გონების დაძაბვით იხსენებდა, თუ როგორი სასაცილო იყო პატარობისას გრაფი. როგორი თავდავიწყებითა და პასუხისმგებლობით თხრიდა ეზოში ორმოს, როგორ უყურებდათ თვალელებში და დელფინის მსგავს ხმებს გამოსცემდა, როდესაც საჭმელს თხოულობდა.

ანდრეი ფიქრობდა, იხსენებდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ამ ყველაფერს ძალდატანებით აკეთებდა. მიხვდა, რომ გრძნობების მართვა აღარ შეეძლო, თითქოს ეს გრძნობები მისი აღარ იყო, აღარც ეს ქალაქი იყო მისი და ძალლი, რომელსაც მარხავდა, ასევე უკვი...

რატომღაც წამით იმ აზრმა გაუელვა, თუ რა დიდხანს ემსახურებოდათ ეს გადასაფარებელი და რამდენ პლაჟსა და პიკნიკზე იყო ნამყოფი. ანდრეი ორმოში ტალახსა და თიხას ყრიდა. მერე პატარა, ამობურცული ადგილი ნიჩბით მოასწორა და ფეხებით დატკეპნა.

– აბა, მეგობარო! გმადლობ, რომ ჩვენთან ერთად ცხოვრობდი! ჩვენ გვიყვარდი, მაგრამ შენ ჩვენ უფრო ძლიერად გიყვარდით. მაპატიე, ყველაფრისათვის მაპატიე! მადლობა შენ, ჩემო ძალლო! მადლობა! – სიტყვებზე „ჩემო ძალლო“ ხმა აუთრთოლდა, თვალელები კი ცრემლით აევსო. ანდრეიმ თავი ოდნავ დახარა, საძირკველიდან ამოვიდა და იქაურობას სწრაფად გასცილდა.

ის სამშენებლო მოედნიდან ქუჩაზე გავიდა, ფეხსაცმელებზე მიკრული ტალახის მოსაშორებლად ფეხები ასფალტზე ძლიერად დააბაკუნა და სახლში წავიდა. ანდრეი მიდიოდა და ჭუჭყიანი ხელები ჭუჭყიანი ქურთუკის ჯიბეებში ჰქონდა ჩაყოფილი. სწრაფად მიდიოდა. მერე გაიფიქრა, თუკი ხელები ჯიბეებში აქვს ჩაყოფილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ნიჩაბი მშენებლობაზე დარჩა. გაჩერდა, თავი მარცხნივ დახარა. წარმოიდგინა, რომ უკან უნდა დაბრუნებულიყო, ისევ სამშენებლო მოედანზე შესულიყო და საძირკველში ჩასულიყო...

ანდრეიმ ჯიბიდან მარჯვენა ხელი ამოიღო, ჩაიქნია და გზა განაგრძო.

ქალაქში რალაც შეიცვალა. შენობებმა სხვა შეფერილობა მიიღო. სინათლეს არ მოუმატია, მაგრამ სახლები ახლა როგორღაც უფრო მკაფიოდ ჩანდა, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ფანჯარაში შუქი აღარ ენთო. არც მანქანები დაქროდნენ. ანდრეი მარტო მიდიოდა.

სიარულში ანდრეიმ თავი ასწია და გაჩერდა. მის ზემოთ, გაგლეჯილ ღრუბლებში დაინახა ის, რაც არასდროს არ ენახა, თანაც ასე ცხადად. ღრუბლის ნაგლეჯებში მან დაინახა ცისკრის ვარსკვლავები. ძალიან ბევრი ვარსკვლავი, რომლებიც სულ მალე უნდა გამქრალიყვნენ.



## ალექსანდრ ილიჩევსკი

პროზაიკოსი, პოეტი ალექსანდრ ილიჩევსკი დაიბადა 1970 წელს სუმგაითში. 1993 წელს დაამთავრა მოსკოვის ფიზიკის ინსტიტუტი.

მიღებული პრემიები: ჟურნალ „ნოვი მირის“ პრემია (2005), იური კაზაკოვის სახელობის პრემია წლის საუკეთესო მოთხრობისთვის (2005), პრემია „რუსული ბუკერი (2007), პრემია „დიდი წიგნი“ (2010), ჟურნალ „ზნამიას“ პრემია (2011), პრემია „დიდი წიგნის“ ფინალისტი (2016).



## ნამის წერტილი<sup>1</sup>

ყველაზე საოცარი ღრუბლები სან-ფრანცისკოს თავზეა. ცივი დინების, რომელიც წყნარი ოკეანის სანაპიროს ელამუნება და კონტინენტური ჰაერის თბილი მასების გამო, დილით და საღამოს, რძისფერი მდინარეები სანაპიროსკენ მიისწრაფიან. მაღალ გორაკებზე გაშენებულ ქალაქში კი, დაბლობები, ხევები, ქუჩები და ჩიხები სქელ ნისლშია გახვეული. სადღაც, მაღლა, ფარნები და ანთებული ფანჯრები ფერმკრთალდებიან. ნისლი თანდათან თბება, დიადი უსინათლო ზევით ადის, შესახვევებს ათავისუფლებს და ზედა სართულებს უხილავი, ლიბრგადაკრული თვალებით აცქერდება. მანქანები, კალიფორნიის პროსპექტით, ნისლის ტბაში ჩაშვებულები მეორე გორაკის ფერდობზე ამოდიან, რათა შუქნიშანთან, უკანა გაჩერების მაშუქებით, კვლავ წითლად ჩაინთქან.

ღრუბლის გაფრენა გორაკიდან შეუდარებელ სანახაობად მოჩანს. გიგანტური, ასეული პარტენონის ზომის, მარგალიტების მოსართავებით მოციმციმე დირიჟაბლი ქალაქის ცენტრს ზანტად

<sup>1</sup> ტემპერატურას, რომლის დროსაც ჰაერში არსებული ორთქლი იწყებს წყლად გადაქცევას, ნამის წერტილი ეწოდება.

ტოვებს. ტრანსამერიკული კორპორაციის ცათამბჯენის მუქი, პირამიდული სილუეტი გემის ანძად გელანდება. გვიან ღამით, სრულ სიჩუმეში, გამორთული შუქნიშნები რომ ციმციმებენ, იგუანის სარეკლამო ბიბილიოიანი ყვითელი ტაქსები, ფარებით, გზისპირებს ანათებენ და გორაკებზე ხან ჩაყვინთავენ და ხანაც ამოყვინთავენ.

ქალაქი რალაც იდუმალებითაა მოცული, ძველთაძველი შელოცვით, რომელიც იმ დროიდან არის შემორჩენილი, როცა აქ ინდიელთა ტომები სახლობდნენ. მაშინდელ ტყიან გორაკებზე, საიდანაც ოკეანის აბორგებული ტალღების ველი იშლებოდა, ისინი სასიგნალო საგუშაგო კოცონებთან ღვთაებებისთვის უთუოდ სამსხვერპლოებს აწყობდნენ, რომლებზედაც, ზოგჯერ, მშვენიერ ტყვე ქალებს აბამდნენ და სწამდათ, რომ მსხვერპლად შეწირულის სული, ნისლთან ერთად, ღრუბლების ღვთაებასთან მიჰქროდა. რომ სადღაც შორს, მალა, ვარსკვლავებს შორის, სახლობს იქ დავანებული ყველა ღრუბელი, ხატება, სახება.

გზიდან, ხშირად, ნავმისადგომისკე ვუხვევდი და ვიმედოვნებდი დაგვიანებული მეთევზეებისთვის მიმესწრო, რომლებსაც ნავეზიდან ნაირ-ნაირი თევზები ამოჰყავდათ. განსაკუთრებით, ბადეზე ბრტყლად დაყრილი, ვერცხლისფერი თინუსები მაინტერესებდა, ასევე მახეში გაბმული, მოფუთფუთე კიბორჩხალები.

მეთევზეებთან მაშინ მივდიოდი, ღრუბლები ცათამბჯენების ზედა სართულებამდე რომ აღიოდნენ და მზად იყვნენ ბერკლის მიმართულებით გაეცურათ, რათა მიეღწიათ უხეიროდ მიმოფანტულ სახლებამდე, უნივერსიტეტის კოშკამდე, მერე კი კონტინენტის გახურებულ მინებამდე და ჩამომდნარიყვნენ.

ის იყო ნაზი გოგონა, რომელსაც სინესტის ეშინოდა და გამუდმებით სციოდა. ოცნებობდა, ზაფხულში, თბილ სან-დიეგოში, სკოლის მეგობარ გოგონასთან სტუმრობაზე. მეგობარი, იქაურ უნივერსიტეტში, სამეცნიერო ხარისხს იცავდა ბიოლოგიაში.

მისი წარსულის შესახებ თითქმის არაფერი ვიცოდი და განსაკუთრებულს არც არაფერს ველოდი. მთელ დროს, რომელსაც ერთად ვატარებდით, უმეტესად ვდუმდით. არადა, სასიყვარულო ურთიერთობები, როგორც წესი, სიტყვაუხვია.

ისე მასავათებდა, რომ ძლივძლივობით ვაჩოჩებდი გვერდზე, რათა დავლოდებოდი, გამოლვიძებული ხელს როდის გამომიწვდიდა

და რამდენიმე ველური მოძრაობით საბოლოოდ გამოთიშავდა.

ერთხელ, კედლის მიღმა, რალაც უცნაური ხმები შემოგვესმა. ის ძველ, იაფფასიან სასტუმროში ცხოვრობდა (1906 წლის მიწისძვრისგან და ხანძრისგან გადარჩენილ უიშვიათეს შენობაში). სართულიდან სართულზე ასასვლელი ხვეული, ვიწრო კიბე, ძველი, მუქი ნითელი ფერის მაუდის ბილიკი, მტვერი და თხელი, ხელისგულებით გაპრიალებული მოაჯირები. ჩახლეჩილმა, სიკვდილისწინა შეძახილმა, რალაც ბუყბუყა შემადრწუნებელმა ხმამ ლეთარგიული მდგომარეობიდან გამოგვიყვანა.

„მეზობელს ასთმა აქვს“, – თქვა მან. ჯინსები ამოვიცვი, გარეთ გავედი და შეღებული კარისკენ გავემართე. კარის უკან მამაკაცი იდგა, რომელსაც ცალ ხელში ჟანგბადის ბალონი ეჭირა, მეორე ხელით კი ნიკაპზე ნილაბს იჭერდა. როდესაც, რალაცის სათქმელად, ნილაბი მოიხსნა, ასე ორმოცდაათი წლის კაცის სახეზე შევამჩნიე ხალი, დიდი ტუჩები, დამსკდარი, გაუხეშებული კანი და მაღალი ღანვები. მაშინვე მივხვდი, რომ კაცი უსინათლო იყო: მუქი სათვალეები, ჩაბნელებული ოთახი. მარგალიტივით ნისლი სარკმელს ეტმასნებოდა და სითეთრეში ხვევდა. კაცი ხრიალებდა, შეკითხვებზე არ მპასუხობდა, მერე კი იატაკზე ჩაიკეცა.

რატომღაც სინათლე ავანთე და სასტუმროს ადმინისტრატორთან მოვკურცხლე. სანამ სასწრაფო დახმარება გამოიძახეს, სანამ ექიმები მოვიდნენ, მუხლებზე ვიდექი და მომაკვდავს ცალი ხელით პირზე ნილაბს ვაჭერდი, მეორეთი კი მკერდზე რიტმულად ვანვებოდი. უცებ, ჩემი მზერა საჟურნალე მაგიდას მისწვდა – ბრაილის ნიგნებს და ლანგარზე მდგარ, ღია ყავისფერი პლასტილინით გამოძერწილ ქალის თავს, კედელს მიღმა, საწოლში მომლოდინე გოგონას რომ ჰგავდა.

კიბეზე ფეხის ხმა გავიგონე და აჩქარებით წამოვდექი. მერე ხელი გავინვდინე, რომ შემეგრძნო ის, რასაც, ოდესღაც, უსინათლოს თითები შეიგრძნობდნენ.


მეტჯერ ის გოგო აღარ მინახავს. მისი გემო ტუჩებზე დამრჩა, მისი კანის გემო, რომელიც ნისლიან ბინდბუნდში ცისფრად მეჩვენებოდა.

გოგონას ორი ბარდაყი საწოლში ისე ანათებდა, როგორც ნავის ფსკერზე ხის დიდი ძელები.

## რომან სენჩინი

პროზაიკოსი, ლიტერატურის კრიტიკოსი რომან სენჩინი დაიბადა 1971 წლის 2 დეკემბერს ქალაქ კიზილში (ტუვის რესპუბლიკა). 2001 წელს დაამთავრა მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი.

მიღებული აქვს: გაზეთ „ლიტერატურნია როსიას“ პრემია (1997), ჟურნალ „ზნამიას“ პრემია (2001), პრემია „ვერიკა“ (2002), პრემია „იასნაია პოლიანა“ (2014), პრემია „დიდი წიგნი“ (2015).



## სურათებიანი ცელოფნის პარკი

### 1.

როგორც ყველაფერი შემზარავი და აუხსნელი, ეს ამბავიც ეგრევე და მოულოდნელად დაიწყო. თითქოს ვიღაცის ძლიერმა ხელმა შემბოჭა და სადღაც წამათრია. ცხადი იყო, თავს ვეღარ დავიძვრენდი და აღარც წინააღმდეგობის გაწევას ჰქონდა აზრი.

სახლში ორი რამ მევალებოდა: ნაგვის გადაყრა და პურის ყიდვა. სამზარეულოს ნიჟარის ქვეშ გაკეთებულ კარადაში ცარიელი და სუფთა ვედრო უნდა მდგარიყო, საპურეში კი მუდამ ახალი პური ყოფილიყო.

იმ დღეს, როგორც ყოველთვის, გაკვეთილების შემდეგ მალაზიაში შევედი და პური და ცელოფნის პარკი ვიყიდე. მახსოვს, საკუთარ თავს ვუსაყვედურე, რომ დილით პარკი სახლიდან არ წავიღე.

ნავაჭრი სახლში ამოვალაგე და პარკი კაუჭზე დავკიდე, გვერდითა კაუჭზე კი პირსახოცი და ჭურჭლის ტილო ეკიდა. როდესაც პარკს ვკიდებდი მასზე გამოსახულ ფოტოსურათს მოვკარი

თვალი. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი სურათია, პარკის ორივე მხრიდან ერთნაირი, არცთუ ახალგაზრდა, მაგრამ სიმპათიური ქალით, რომელსაც თმები ყვითელი ფერის საღებავით ჰქონდა შეღებილი. ქალს მსუბუქი, იისფერი კაბა ეცვა და ხელები, ფეხები და მოშიშვლებული მკერდი მოუჩანდა. კაბა ქსოვილის ნაკუნს უფრო მიაგავდა. ქალი ხალებიან ხის ცხენზე იჯდა, ხელში კი ოქროსფერი ღვინით სავსე ორი ბოკალი ეჭირა. იცინოდა, დიდი თეთრი კბილები, ასაკისათვის შეუფერებლად ფუმფულა, გადატკეცილი პირისახე ჰქონდა და ხასხასა შავი თვალები ლალად მოეჭუტა. სიმპათიური, მომხიბლავი, პლაკატებისა და ჟურნალებისთვის განკუთვნილი სარეკლამო ფოტოების მენატურეა. გვერდით კი თეთრ პერანგში გამოწყობილი პეპელა-ჰალსტუხიანი მამაკაცი უდგას – ვენეციელი მუსუსი მხრებამდე თმებით, ერთი კვირის გაუპარსავი წვერითა და თავშეუკავებელი ღიმილით. ქალს ისეთი რამ უთხრა, გააცინა.

## 2.

ნესიერი და პასუხისმგებლობით აღსავსე ადამიანი ვარ. როგორც ჩემი თანატოლების უმრავლესობას სჩვევია, გვიანობამდე არ ვერთობი, არ ვენევი, გაკვეთილებს არ ვაცდენ; მეგობარი გოგონა მყავს, ალიონა, ჭკვიანი და საყვარელი გოგოა. დროს ძირითადად შინ ვატარებთ, ხან მასთან, ხან – ჩემთან. ხანდახან კინოში, ან სპექტაკლზე დავდივართ, ან უბრალოდ ვსეირნობთ. სწავლით კარგად ვსწავლობ, თუმცა, აღმაფრენის გარეშე. ჰუმანიტარულ საგნებში ძირითადად ხუთიანები მყავს, აი მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში – სამიანები.

საღამო ხანს სამზარეულოში ვიჯექი, გაკვეთილებს ვამზადებდი და მაგიდის სანათის მსუბუქი შუქი სიმშვიდისათვის განმანყობდა. დღემ კარგად, მშვიდად ჩაიარა. სკოლის შემდეგ, ალიონასთან ერთად, ორი საათი პარკში ვისეირნე და ახლახან ნაკითხულ წიგნებზე ვისაუბრეთ. ის ხეებიდან ჩამოცვენილ ლამაზ ფოთლებს აგროვებდა, მე ვეხმარებოდი. მერე გავაცილე და სახლში დავბრუნდი. კომპიუტერზე „ცივილიზაცია“ ვითამაშე, მშობლებთან ერთად ვივახშმე, მერე ისინი ტელევიზორს მიუსხდნენ, მე გაკვეთილებს ჩავუჯექი.

რთული საგნით – ფიზიკით დავინყე. საშინაო დავალებად

მოგვცეს მეჩვიდმეტე პარაგრაფი: „ინერცია“.

– „ყოველდღიური გამოცდილება გვაჩვენებს, რომ, სხეულის სიჩქარე შეიძლება შეიცვალოს მასზე სხვა სხეულის ზემოქმედების შედეგად. მაგალითად, მიწაზე დაგდებული ბურთი მხოლოდ მაშინ დაიწყებს მოძრაობას, თუ მას სხვა ბურთი დაეჯახება, ან ფეხს გაჰკრავენ“, – კითხვა ჩურჩულით დავინწყე, ისე როგორც მამამ ბავშვობიდან მიმაჩვია, რათა ნაკითხული უკეთ დამემახსოვრებინა.

ინერციის შესახებ ორი გვერდი ასე ჩურჩულით წავიკითხე და პარაგრაფის ბოლოს დასმულ კითხვებს ვუპასუხე.

– მოიყვანეთ მაგალითები, რომლებიც აჩვენებენ, რომ სხეულის მოქმედების სიჩქარე იცვლება სხვა სხეულის ზემოქმედებით, – თავი ვაიძულე, ჩავფიქრდი და ვიგრძენი, რომ წაკითხულიდან ვერაფერი დავიმახსოვრე.

პარაგრაფი კიდევ ერთხელ გადავიკითხე და შევამჩნიე, რომ ჩემი ფიქრები სხვაგან დაქროდა, – გაუგებარი იყო სად.

„კარგი, ინერციას მოგვიანებით მივუბრუნდები“, – გადავწყვიტე, ფიზიკა გადავდე და სხვა სახელმძღვანელო დავითრიე – მშობლიური ქვეყნის ისტორია.

„ბურთი მხოლოდ მაშინ რატომ ამოძრავდება, როდესაც მას სხვა საგანი დაეჯახება? – უცებ კითხვა გამიჩნდა. – ძლიერმა ქარმა რომ დაუბეროს, ანდა მიწა იძრას?.. ესენი ხომ საგნები არაა“. აზრები თავიდან მოვიშორე – ტვინის ჭყლეტის დრო არ იყო.

ისტორიაში საინტერესო გაკვეთილი გვექონდა: „სახალხო აჯანყება ალექსეი მიხაილოვიჩის მეფობისას“. სასწავლო წლის დაწყებამდე ეს სახელმძღვანელო თავიდან ბოლომდე წავიკითხე, ზეპირად ვიცოდი სპილენძის აჯანყება და სიამოვნებით დავინწყე გადაკითხვა. თუმცა, რამდენიმე სტრიქონის მერე კითხვა მომბეზრდა და მხოლოდ თარიღების გახსენებით დავკმაყოფილდი.

– სპილენძის აჯანყება – 1662 წლის ივლისი, – ვთქვი და ქრონოლოგიურ ცხრილში გადავამოწმე. სწორი აღმოჩნდა.

– აჯანყება სტეფანე რაზინის მეთაურობით – 1670-1671 წლები.

შესამონმებლად სახელმძღვანელოში ჩავიხედე, იქ კი კამკაშად და დამაბრმავებლად, თითქოს შიგნიდან განათდაო, ციფრებითა და ასოებით აჭრელებულ გვერდებზე გაკრთა სწორედ ის პარკზე გამო-

სახული ფოტოსურათი. წამიერად თვალი მოვხუჭე, მერე გავახილე. წიგნი ძველებურად გამოიყურებოდა, მაგრამ სურათი ჩემს გონებაში აღიბეჭდა და იმ წუთიდან სამუდამოდ დამიკარგა სიმშვიდე. თითქოს ვილაცის ძლიერმა ხელმა შემბორკა და სადღაც წამათრია. სად? თითქოს ჩემში ვილაც ჩასახლდა და ბრძოლა დამიწყო. შიშმა შემიპყრო, მაგრამ ფოტოსურათმა კიდევ უფრო მიმიზიდა.

სახელმძღვანელო დავხურე, ავდექი და სამზარეულოსკენ წავედი. სასტუმრო ოთახის გადაკვეთისას სავარძლებში მსხდომ მშობლებს შევხვადე, რომლებიც ფილმს უყურებდნენ.

დედამ ეკრანს თვალი მოსწყვიტა, ჩემი მზერა დაიჭირა და მკითხა:

– რამე მოხდა?

– არა, არაფერი, – მხრები ავიჩეჩე და ვიგრძენი, რომ ველავდი.

– ფერმკრთალი სახე გაქვს, დანეჭი და დაიძინე. გაკვეთილები ისწავლე?

– კი, – მოვიტყუე.

ფრთხილად, ისე რომ არ ეშრიალა პარკი კაუჭიდან ჩამოვხსენი, დავკეციე, ტრუსის რეზინში ჩავჩარე და ზემოდან მაისურით დავფარე. მერე წყალი მოვუშვი და ჭიქა ისე გავანკარუნე, თითქოს წყალს ვსმვამდი.

მშობლებს მშვიდობიანი ღამე ვუსურვე და ოთახში ჩავიკეტე. სურათს დიდხანს ვათვალიერებდი, ჯერ პარკის ერთი მხრიდან, მერე – მეორედან. ხან მეჩვენებოდა, რომ ორივე ფოტოსურათი სავსებით ერთნაირი იყო, ხან საეჭვო, ძლივსშესამჩნევ განსხვავებას ვპოულობდი, მაგრამ მაშინვე ვკარგავდი.

საქმიანობამ ისე გამიტაცა, ყველაფერი გადამავიწყდა. ვერ გამეგო რა მაიძულებდა სურათებისთვის დაჟინებით მეყურებინა და მეყურებინა. მაგიდის საიდუმლო უჯრაში ჟურნალ „ცდუნების“ რამდენიმე ნომერი მქონდა გადამალული, რომელთა ფურცლებზეც გამომწვევი, ლამაზი და აღმგზნები შიშველი ქალების ფოტოები იყო დაბეჭდილი, მაგრამ პარკის სურათზე არა აღგზნების, არა საამო ფანტაზიების, არამედ საიდუმლოს პოვნა მსურდა. ძლიერ ჟრჟოლამდე, უცნაურობამდე მისული შეგრძნება თავს არ მანებებდა – სადაცაა პეპელა-ჰალსტუხიანი კაცი და ცხენზე მჯდომი ქალი შეირხეოდნენ, გაცოცხლდებოდნენ და დამინახავდნენ. მხოლოდ

პარკის საგულდაგულოდ გასწორება იყო საჭირო და ქალი თვალს ჩამიკრავდა, მერე კვლავ მეგობრისკენ მიბრუნდებოდა და ბოლოს და ბოლოს ბოკალით ღვინოს გაუნვდიდა, ისინი ერთმანეთს ჭიქებს წკრიალით მიუჭახუნებდნენ და გადაჰკრავდნენ, ალაპარაკებოდნენ, გაიცინებდნენ. მე ვუცდიდი. სახეში შევცქეროდი და ვუცდიდი – სადაცაა, აი ახლა...

### 3.

ექვსივე გაკვეთილი მოუთმენლობისგან ვცქმუტავდი. გამიმართლა, რომ გაკვეთილი არ გამომკითხეს, არაფერი მქონდა ნასწავლი, უფრო სწორედ – არაფერი მახსოვდა. ის კი არ მამფოთებდა, რომ ცუდ ნიშანს მივიღებდი, – პარკზე გამოსახული ფოტოსურათი გამუდმებით და ავადმყოფურად მიზიდავდა. ვნანობდი, რომ პარკი თან არ წამოვიღე.

გაკვეთილების მერე სახლში გავიქეცი, პარკი ავიღე, ტახტზე ჩამოვჯექი და ყურება დავუწყე – კვლავ ქალის და კაცის გაცოცხლებას ველოდებოდი. შიმშილის გრძნობა გამიქრა, დავივინყე ალიონა, დავივინყე პურის ყიდვის მოვალეობა, გაკვეთილების სწავლა.

რალაც ძალამ თავზე მომიჭირა და სურათის გარდა ყველაფერი ნაშალა. უკვე პარკის შეხედვის გარეშეც ვხედავდი მომღიმარ მამაკაცს და მსუბუქ იისფერ კაბაში გამოპრანჭულ ქალს, მის თვალისმომჭრელად თეთრ, ქათქათა კბილებს, მის ქორფა, ხასხასა ტუჩებს...

ჩემი სიზმარი ზედაპირული იყო და სიცხიანივით ვკანკალებდი. გამუდმებით ერთსა და იმავეს ვხედავდი – გაშეშებულ ფოტოსურათს – და სიზმარში ველოდი, ველოდი, რომ ახლა, აი ახლა ქალი გაცოცხლდებოდა.

დღე და ღამე ერთმანეთს დაუსრულებელ მოლოდინად შეერწყა. წარმოსახული ნამდვილ ცხოვრებად, რეალური ცხოვრება კი ზედმეტ ტვირთად იქცა. ცუდ ნიშნებს ვიღებდი და მასწავლებლები შენიშვნებს მაძლევდნენ, რომ გაკვეთილებზე ზედმეტად ვწრიალებდი, უყურადღებო და მოუსვენარი გავხდი. მშობლებიც უკმაყოფილოები იყვნენ – სახლის საქმეებზე ხელი ავიღე.

ფოტოსურათის პირველად ნახვის მერე ოთხი დღე გავიდა. ალ-

იონამ დამირეკა. ჩვენ ერთმანეთისგან შორს ვცხოვრობდით და სხვადასხვა სკოლებში ვსწავლობდით.

– რატომ აღარ მნახულობ? არც კი რეკავ!

– აი... – არ ვიცოდი რა მეთქვა. – მაპატიე....

– ავად ხარ?

– არა, – ვუპასუხე, მაგრამ უცებ ვიცრუე. – ხო, გავცივდი.

– საბრალო! რატომ არ დამირეკე და არ მითხარი? მე ხომ

ვლელავ....

ვდუმდი და ალიონას წარმოდგენას ვცდილობდი, მაგრამ ეს ვერ შევძელი. თვალწინ გადაღბნილი უფერული ლაქა კი თანდათან ფერადდებოდა და ხალებიან ცხენზე მჯდარ მოცინარ ქალად გარდაისახებოდა, რომელსაც ჩამოქნილ ხელში ბოკალი ეჭირა.

– ალიონა, მაპატიე... ხვალ დაგირეკავ, – ნავილულულუღე. ყურმილის დადების დაუძლეველ სურვილს ვენინააღმდეგებოდი, – კარგი?

– კარგი. – მისი ხმა განანწყენებულ-შეცბუნებული გახდა. – გამოჯანმრთელდი.

#### 4.

მოუსვენრად გატარებული ყოველი საზარელი და ჯადოსნური ღამე, მოლოდინში განვლილი ყოველი დღე უფრო და უფრო შორს მითრევდა. მშობლები აღელდნენ. ერთ საღამოს როგორღაც ჩემს ოთახში შემოვიდნენ (თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს ხვალინდელი ფიზიკულტურის გაკვეთილისთვის პარკში კედებს ვაწყობდი) და იმის გამორკვევა დაიწყეს, თუ რა მემართებოდა. პასუხის გაცემა არ შემეძლო. თავი ჩაკვიდე, ვდუმდი.

როგორც იქნა მამამ მკითხა:

– ალიონასთან ძველებური ურთიერთობა გაქვს?

კითხვას მაშველი რგოლივით ჩავეჭიდე და მხრები ავიჩქეჩე:

– ისე... არა უშავს, რა, – მინდოდა მიმეხვედრებინა, რომ არც თუ ისე კარგი ურთიერთობა გვქონდა.

– რა, წაიჩხუბეთ?

– არაფერი... ისე...

– ნუ განიცდი, შერიგდებით. – მამამ თმები ამიჩქინა. – ამის გამო სწავლაში არ უნდა ჩამორჩე. ეს რას ჰგავს: ბოლო კვირაში

ოთხი ორიანი მიიღე. აქამდე, ასეთი ნიშნები არ მიგიღია.

– ხო, – დამნაშავესავით დავეთანხმე, თუმცა იმასლა ველოდი მშობლები როდის წავიდოდნენ.

დასვენების დღეები სახლში გავატარე. ალიონამ კვლავ დარეკა, მაგრამ საუბარი ვერ შევძელი. ალიონამ ყურმილი დააგლო.

ორშაბათს, გაკვეთილების შემდეგ, პურის საყიდლად მალაზიაში შევედი, მაგრამ რაც კი ფული მქონდა სურათებიანი პარკები ვიყიდე. დახლზე სურათის დანახვისას გული მომეწურა და რალაც ეჭვის მაგვარმა გამკრა. მაჟრჟოლებდა, როდესაც მათ უცხო, გულგრილი ადამიანების ხელში ვხედავდი. პარკები გამოტენილი იყო რალაც მძიმეთი და გაქონილით. გადავწყვიტე, დარჩენილი რამდენიმე პარკი მეყიდა და ძვირფას ადამიანებად ქცეული ქალი და მამაკაცი გადამერჩინა.

შინ დაბრუნებული ტყუპებით პარკებს დიდხანს ვალაგებდი, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ, როგორც ერთნაირად ჩაცმული, ერთნაირად თმაშეკრეჭილი, ერთი სიმალლის ადამიანები, რომელთაც თუ კარგად დააკვირდები მრავალ განსხვავებას აღმოუჩენ.

მეორე დღეს მთელი ჩემი დანაზოგი და თვის ბოლომდე სამყოფი პურის ფული დავხარჯე – ვიყიდე სამოცდარვა პარკი, კარადაში, ზამთრის ტანსაცმლის ქვეშ გადავმალე და წამდაუნუმ ვამონმებდი პარკები ადგილზე იყო თუ არა. უფრო და უფრო მოუსვენარი ვხდებოდი, მეჩვენებოდა რომ კარადიდან მხიარული გადაჩურჩულება, ჩუმი, ალერსიანი, გამომწვევი სიცილი ისმოდა.

იმ საღამოს მზად ვიყავი მშობლებისთვის საიდუმლო გამემხილა. მინდოდა მათთან მიმერბინა და პატიება მეთხოვა. მიკვირდა და საკუთარი თავის მრცხვენოდა – ცამეტი წლის ბიჭი ასეთმა სისულელემ როგორ ამიყოლია? მზად ვიყავი გამოვფხიზლებულიყავი, მაგრამ ძილქუშის მძიმე ტალღა დამანვა, გამსრისა და გაუხდელად, ისე რომ მაგიდის სანათი არ გამომირთავს ტახტზე დავწევი. რალაც დროის განმავლობაში – რამდენიმე წუთი, თუ რამდენიმე წამი ძილს ვებრძოდი – ვგრძნობდი, ჩათვლელმა არ შეიძლებოდა.

## 5.

თითქოს რალაცამ შემაჯანჯლარა, თვალები ფართოდ გავახ-

ილე, ნუთით მკვეთრი სინათლისგან დავბრმავდი და მხედველობიდან რალაც გამომრჩა. როდესაც ნათებას შევეჩვიე, მზის სხივებით გავსებულ ოთახში ქალი დავინახე, ზუსტად ის – იისფერკაბიანი და ყვითელთმიანი ქალი, რომელმაც მარჯვენა ტერფი ხის ცხენის საზურგეს თავმომწონედ დაადგა და წინდა აიჭიმა. იასამნისფერი, თხელქუსლა ფეხსაცმელი გაზაფხულის მზის სხივებზე ელავდა და ლივლივებდა.

ქალი... ქალი გაცოცხლდა! მიუხედავად ყველაფრისა, სწორედაც რომ ცოცხალა. ნამდვილია... ის ალერსიანი ხმით ლილინებდა, მისი მშვენიერი ხელები, მისი თმა, კაბა – ყველაფერი ნამდვილად იქცა, ახლა ის ცელოფანის პარკზე გამოსახული ბრტყელი ფოტოსურათი აღარაა... ქალმა ფეხი ცხენის ზურგიდან ჩამოდგა და ბასრი ქუსლების კაკუნით ოთახში სწრაფად გაიარა, მაგიდასთან გაჩერდა, რალაც ქალაღდები გადასინჯა, წაიკითხა და დახია.

ზარი დაირეკა და ქალი კარის გასაღებად გაიქცა.

წყნარად ვინეცი, ვცდილობდი არ მემოძრავა. არ მესმოდა, როგორ მოხდა რომ ქალი აქ აღმოჩნდა. ანდა – მე როგორ აღმოვჩნდი აქ? ვცდილობდი ჩემი ოთახი მეცნო, მომეძებნა ნაცნობი ნივთები, ავეჯი, წიგნები. არადა ყველაფერი უცხო იყო. ცხენი... თუმცა, არაფრის მეშინოდა, უფრო სიხარულსა და შვებას განვიცდიდი, რომ ველირსე და ხორცშესხმული ქალი დავინახე. უკანასკნელი დღეები ხომ სწორედ ამაზე ვოცნებობდი.

კაცი შემოვიდა. ზუსტად ისეთი იყო, როგორც სურათზე – ჯაგარივით თმითა და პეპელა-ჰალსტუხიანი თეთრი პერანგით. ხელში კვლავ ოქროსფერი ღვინით სავსე ბოთლი ეჭირა. ისინი იცინოდნენ და ჩემთვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკობდნენ. კაცმა წვრილ, ნატიფ წელზე ხელი მოხვია, ქალმა მოხდენილი წელი შეზნიქა და კაცს აეკრა.

მინდოდა წამოვმხტარიყავი, მათთან ერთად მეცინა, ჩავხუტებოდი, ხელით შევხებოდი და მათი სხეულები შემეგრძნო. დარწმუნებული ვიყავი ძალიან გაუხარდებოდათ, რადგან ჩემი დამსახურებაა, რომ ისინი გაცოცხლდნენ. ყველაფერი უნდა მოვუყვე! მინდოდა წამოვმდგარიყავი, მაგრამ ვერ შევძელი. მინდოდა დამეძახა, მაგრამ ხმა არ მქონდა. მე არაფერი მქონდა! არ მქონდა პირი, ხელები, სხეული. მხოლოდ თვალები და ტვინილა გამაჩნდა, მხოლოდ

დანახვა და ფიქრი შემეძლო.

გატოკებას ვცდილობდი, გამოლვიძება მინდოდა. არა, ეს სიზმარი არაა. სიზმარი არაა. როგორც ჩანს, მაგრად ვარ გაკოჭილი. რატომ?


ისინი ჩემგან ორ ნაბიჯში იდგნენ და ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. ნუთუ, ვერ მხედავენ?

ქალმა კაცის მკლავებისგან თავი ნაზად გაინთავისუფლა და რალაც უთხრა. კაცმა პასუხად თავი დაუქნია, სკამზე ჩამოჯდა და ბოთლის გახსნას შეუდგა. ქალმა მაგიდიდან ქალაღდის ნახევები წამოკრიფა და ჩემკენ წამოვიდა. ახლა დამინახავს. ახლა!

ქალმა ქალაღდის ნახევები პირდაპირ თავში ჩამჩარა, მერე ქსოვილისა და მოყვითალო ბამბის ნაკუნები, სავარცხელს მოცილებული თმები და ცარიელი ფლაკონი ჩამტენა. გული მერეოდა, როგორც შემეძლო ისე ვენინაალმდეგებოდი, აქეთ-იქით დავცოცავდი, ვშრიალებდი, სული მეხუთებოდა და ვცდილობდი დამეყვირა.

ქალმა ხელი დამტაცა და წამაკონწიალა. მე მსუბუქი და ფაფუკი აღმოვჩნდი, მისი ლამაზი ხელისგულის სითბოს ვგრძნობდი და თხელ, ოდნავ ნოტიო თითებზე ვეკვროდი.

ალბათ, სამზარეულო იყო, შეთვალეირება ვერ მოვასწარი... ქალმა რალაც თავსახური ასწია, ვინრო ხვრელში ჩამტენა და თითები გაშალა. ბნელი, მყრალი მილის სიცარიელეში ხათქახუთქით ჩავქანდი.



## მიხეილ ელიზაროვი

პროზაიკოსი მიხეილ ელიზაროვი დაიბადა 1973 წელს ივანო-ფრანკოვსკში. დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 2001-2003 წლებში სწავლობდა ჰანოვერის კინოსკოლაში რეჟისურას. ამჟამად ცხოვრობს მოსკოვში.

მიღებული აქვს: პრემია „რუსული ბუკერი“ (2008), პრემია „ნოსი“ (2014), არის პრემია „ნაციონალური ბესტსელერის“ ფინალისტი (2011).



## ბერიკაცი კონტრატევი

ბერიკაცმა კონტრატევმა ქალიშვილისგან ფულადი გზავნილი მიიღო. ერთ კვირაში კი ქალიშვილიც ჩამოუვიდა. მხოლოდ რამდენიმე დღით ესტუმრა, მამა თითო-თითო ტომარა შექრითა და წინიბურათი მოამარაგა და უკან გაბრუნდა.

მოულოდნელად კონტრატევს საპენსიო დავალიანებაც აუნაზღაურეს. ბერიკაცმა ფოსტალიონ ქალს, რომელიც სამი თვის ფულს ცხვირწინ ულაგებდა, მადლობა პირფერულად გადაუხადა, მერე ჩაი შესთავაზა. გაიძახოდა, რომ რეფორმების და საერთოდ, უკეთესი მომავლის სწამდა. ფოსტალიონმა თავი გადააქნია და უთხრა: „გამოუსწორებელი ოპტიმისტი ყოფილხარ“.

კონტრატევმა ბედნიერად და იდუმლად ჩაიცინა, თითქოს მართლაც ინახავდა სიმხნევის ერთგვარ საიდუმლოს, ომის წლებიდან და ნგრევიდან ახალ დროებაში გადმოყოლილს, სადაც ახალგაზრდები იხოცებიან, კონტრატევი კი არა.

მოზღვავებული სიმდიდრისგან გაბედნიერებული კონტრატევი ნასვამივით შებარბაცდა. უხაროდა, რომ უახლოეს ხანს თავს ვეტერანად აღარ გაასაღებდა. კონტრატევი ვეტერანი არასდროს ყოფილა. ასაკის გამო, ფრონტზე წასვლა არ მოუწია, რასაც ახალგაზრდობიდანვე საშინლად განიცდიდა, რადგან გარეგნულად

არაფრით განსხვავდებოდა ყოფილი ფრონტელებისგან. არც საბრძოლო დამსახურებებით ტრაბახი შეეძლო.

წლების მატებასთან ერთად კონდრატევი ომგამოვლილ თაობას შეეზარდა.

ერთხელ, რალაცის რიგში, კონდრატევემ აღშფოთებით დაიყვირა: „რისთვის ვღვრიდი სისხლს?!“ – და ძალიან შერცხვა.

თუმცა, სისხლთან დაკავშირებული ეს შეკითხვა უყურადღებოდ არ დარჩენილა და კონდრატევი დარწმუნდა, რომ ადამიანური თანაგრძნობითაც შესაძლებელია რალაც სარგებლის ნახვა. ბერიკაცი სულ უფრო ხშირად უწოდებდა საკუთარ თავს ვეტერანს და არც შესაძლო მხილებსა ერიდებოდა. ადამიანები, რომლებსაც კონდრატევის შერცხვენა შეეძლოთ, ან მოკვდნენ, ან წავიდ-წამოვიდნენ, ცოლს კი მრავალი წლის წინ გაეყარა.

კონდრატევი სავაჭროდ ბაზარში წასვლას აპირებდა, როდესაც ეზოში კარტოფილის ტომრებით დატვირთული უზარმაზარი მანქანა შემოგრიალდა. მეზობლებმა კარტოფილი ერთობლივად შეუკვეთეს. მიუხედავად იმისა, რომ კონდრატევს კაპიკი არ დაუდია, ეზოში გაჩერებულ მანქანას საქმიანად მიუახლოვდა.

ბერიკაცთან მეზობლის ქალმა მიირბინა, რომელიც ტომრების განაწილებას ხელმძღვანელობდა და სიაში ჩაუხედავად ჰკითხა:

– თქვენ ერთი ტომარა შეუკვეთეთ?

კონდრატევემ თავი გაურკვევლად დაიქნია. მეზობელმა რვეულში რალაც ჩაინიშნა და ბერიკაცს ტომრის ატანაში ვილაც დაეხმარა.

უცარი გამდიდრებისგან აღელვებული ოთახში ბოლთას სცემდა და ტომრებს შესცქეროდა, რომლებიც რუბენსის სამ გრაციასავით გამოიყურებოდნენ, ხანაც კარადაში მოწყობილ სამალავისკენ მიიჩქაროდა, სადაც პენსია და ქალიშვილის ნაჩუქარი ფული იდო. კონდრატევემ გონებაში დაიანგარიშა, რომ ეს ყველაფერი დაახლოებით ორი წელი ეყოფოდა.

კონდრატევი ცუდი მამა იყო, ამას აღიარებდა და ამიტომ კიდევ უფრო ეძვირფასებოდა ქალიშვილის საჩუქარი.

სინდისის ქენჯნის გამო ბერიკაცი შეეცადა ქალიშვილის პატარაობა გაეხსენებინა, რის სანაცვლოდაც საკუთარი ბავშვობა გაახსენდა.

დედა სალამოობით ქუჩაში არ უშვებდა, რომ უახლოესი კოლმეურნეობიდან კაციჭამიებს არ გაეტაცათ. ასეთებიც ხდებოდა. კონდრატევის გონებაში დედასა და მამას შორის ჩხუბის მივინყებული ეპიზოდი ამოტივტივდა. მამამ კარი გაიჯახუნა და წავიდა, დედა უკან გაჰყვა. მერე კი მთელი წელი ხორცი ჰქონდათ – მამა არ დაბრუნებულა.

კონდრატევის ფიქრადაც არ გაუვლია, რომ საკუთარი მამით იკვებებოდა, მაგრამ თავად საჭმლის მონელების პროცესს ბიჭი დანაშაულად აღიქვამდა. ბერიკაცს მუცელლორობის ცოდვა გაახსენდა და სხეულში ჟრჟოლამ და ძლიერმა სპაზმმა დაუარა.

კონდრატევის ტუალეტში გონება დაებინდა. როდესაც ცნობიერება დაუბრუნდა, მხოლოდ ისღა ახსოვდა, რომ შარვალი არ გაუხდია და უნიტაზზე არ ჩამომჯდარა. უკანალი ხელით მოისინჯა, – სიბინძურე არ აღმოჩნდა. ესე იგი, შარვალი ნამდვილად გაიხადა. ლოგიკის თანახმად, რახან შარვალი გაიხადა და უნიტაზზე არ ჩამომჯდარა, განავალი ფეხებთან უნდა ყოფილიყო. ყველაფერი რომ ლოგიკურად გამოსულიყო, კონდრატევემ განავალი უნიტაზიდან ამოიღო და იქვე დადო.

ბერიკაცმა ტუალეტიდან გამოიხედა და შეკრთა. დერეფანში დალაგებული ტომრები ცხედრებად ეჩვენა, საკვებით სავსე ცხედრებად, რომლებიც შიმშილით დახოცილიყვნენ.

„მეც ასე ვარ... – ნაღვლიანად გაიფიქრა კონდრატევემ და შიშის ახალმა ტალღამ გადაუარა. – მოვკვდები, მოვკვდები, ჩემო საყვარლებო!“ – აქეთ-იქით აწყდებოდა ოთახს.

უცებ მოეჩვენა, რომ ტომრები სინამდვილეში მისი გარდაცვლილი ცოლები იყვნენ, რომლებიც კონდრატევის მიწიერი სხეულით დაორსულდნენ.

ბერიკაცი კარტოფილის ტომარას გადაემხო და უხეში ქსოვილი ვნებიანად დაკოცნა. მერე კონდრატევი ბურღულიანი ტომრისკენ გადაგორდა და არაადამიანურად მიეაღერსა. შაქრიან ტომარაზე კი ტანსაცმელი გაიძრო და მორიგეობით, თითოეულ ტომარასთან სქესობრივი კავშირი დაამყარა.

– მიყვარხარ, – ყურში ჩასჩურჩულებდა კარტოფილის, შაქრისა და წინიბურას კონდრატევის.

უცებ ფარდა აეხადა შემზარავ ჭეშმარიტებას. კონდრატევის

წინ მისივე საკრალური სხეული – სამი სასიცოცხლო ენერჯის მომნიჭებელი ცხედარი იდო და ჭამდა რა მათ, ის ჭამდა საკუთარ სიცოცხლეს. ბერიკაცის მიერ თავისი სასურსათო ორეულეების გადასანსვლას, იმავე წამს მისი რეალური სიკვდილი მოჰყვებოდა. გამოსავალი დაუყოვნებლივ გამოიჩნებოდა.

– გადავრჩი, გადავრჩი! – დაიყვირა კონდრატევა და ანტრესოლისკენ გაქანდა.


„ეს მხოლოდ საჭმელია“, – ჩასჩურჩულა ეშმაკმა კონდრატევს.

„არა!“ – კონდრატევის სხეულში წკრიალა ხმა მღეროდა.

„ფულები არ გამქრალა“, – ჩასჩურჩულა გონებამ.

– ვერცხლის ფულები! – პასუხობდა კონდრატევი.

როგორც იქნა თოკი გამოძებნა და ყულფი გამოსკვნა. იუდა კონდრატევა ის ჭერთან, მილს მიამაგრა და ქრისტე კონდრატევის სამარადისო ცხოვრებისთვის თავი ჩამოიხრჩო.



## ბერმან სადულაევი

პროზაიკოსი, პუბლიცისტი გერმან სადულაევი დაიბადა 1973 წელს ჩეჩენო-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფელ შალიში. დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ცხოვრობს და მუშაობს სანკტ-პეტერბურგში.

მიღებული აქვს: პრემია „ვერიკა“ (2008), ჟურნალ „ზნამიას“ პრემია (2010). იყო ნომინანტი პრემიებისა „რუსული ბუკერი“, „ნაციონალური ბესტსელერი“, „დიდი წიგნი“.



## ღვთის გლახა<sup>1</sup>

ეს იყო დიდი ხნის, ძალიან დიდი ხნის წინ, იმ შორეულ, მითიურ წარსულში, როდესაც ადამიანებს ჯერ კიდევ ჰქონდათ საქმიანი ურთიერთობა ერთმანეთთან. მაშინ გამეფებული იყო ტოტალური მონობის ატმოსფერო. თითქოს, თითოეული ადამიანი ურთიერთობდა სხვებთან და მთელ საზოგადოებას კავშირი ჰქონდა ყოველ მათგანთან.

ახლა ჩვენ ვცხოვრობთ სხვა, სავსებით თავისუფალ სამყაროში. სამყაროში, სადაც ადამიანს უფლება აქვს ცხოვრების ფსკერს დაენარცხოს. მას არავინ გააჩერებს, ზევით არავინ ამოათრევს, უფსკრულის პირას მდგარს ხელს არავინ გაუწვდის. ადამიანი ახლა შეიძლება იყოს უსახლკარო, შეიძლება იყოს ლატაკი. არავინ არ დაარღვევს მის წმიდათანმიდა უფლებებს – დაეხმარებიან კიდე-

---

<sup>1</sup> ღვთის გლახა – რუსულად მოთხრობას ჰქვია „Бич Божий“. ქართულ ენაში სიტყვა Бич-ის შესატყვისი ტერმინი არ არსებობს. Бич-ებს ეძახდნენ ჩამოსულ ადამიანებს, რომლებიც სეზონური სამუშაოებისას არაოფიციალურ მოჯამაგირეებად უდგებოდნენ სოფლებებს. ისინი ძირითადად ლოთობისგან დეგრადირებული ადამიანები იყვნენ და ახასიათებდათ გაუაზრებელი ლტოლვა ხეტილისადმი, ადგილის მონაცვლეობისა და წანწალისადმი.

ვაც, რათა საკუთარი გადანყვეტილების სისწორეში დაარწმუნონ. მაგალითად, თუ ადამიანი მარტოდ დარჩა და სმა დაიწყო, მის შესახებ იგებენ ბინებზე დადარაჯებული თაღლითები და წინასწარ შემუშავებული სქემით ბინას სხვის სახელზე აფორმებენ. ბინის ნამდვილი მესაკუთრე კი ქალაქგარეთ გაჰყავთ, ანდა სულაც ქუჩაში აგდებენ, რამეთუ ჩვენ თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ და თითოეულს სრული უფლება გვაქვს თავქვე დაქანებულები ფსკერამდე ჩავგორდეთ.

ადრე ასე არ იყო. თუ ადამიანი სამსახურში არ დადიოდა, ლოთობდა, ან კითხულობდა წიგნს – „მშვიდობის ვარდი“, მას იძახებდნენ პროფკავშირში, ქარხნის ადმინისტრაციაში, ფაკულტეტის დეკანატში, მგონი თავად სახალხო კომისართა საბჭო იხილავდა მის საქმეს. ის თუ ერთ სამსახურს ანებებდა თავს – მეორეს სთავაზობდნენ. თუ წყალწაღებული ლოთი იყო, სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში მიჰყავდათ და მკურნალობდნენ. თუ მამაკაცს ცოლი მიატოვებდა – მიტოვებულს სხვა ქალი პოულობდა, კოლექტივი კი თავდებად უდგებოდა. სხვანაირად არც შეიძლებაოდა.

უწინდელი ტოტალიტარული საზოგადოება ეფუძნებოდა ამაზრზენ მონობას, ადამიანის ექსპლუატაციას და მის სულზე ძაღლობდა. ადამიანი სახელმწიფოს მთავარ ფასეულობას წარმოადგენდა და თითოეული მათგანი ესაჭიროებოდა. სახელმწიფოს არ შეეძლო დაეშვა, რომ ადამიანები, ეს უძვირფასესი ვალუტა ასე უბრალოდ დაკარგულიყო. არა, საქმე რაღაც განსაკუთრებულ ჰუმანიზმში არ ყოფილა – ადამიანები ნამდვილად სჭირდებოდათ: რათა ყამირი გაეტეხათ, საუკუნის მშენებლობებზე დაესაქმებინათ, გაეყვანათ მაგისტრალები ტაიგის გავლით და ვენერიდან მარსამდე, გამოეჩარხათ იარაღი, ემსახურათ მსოფლიოში ყველაზე დიდ არმიას და წელიწადში ორჯერ მოეწყოთ დიადი აღლუმები. სპექტაკლის საზოგადოება, ეს იყო სპექტაკლის საზოგადოება უზარმაზარი მასობრივი სცენებით, სადაც როლი თითოეულისთვის მოიძებნებოდა.

ახლა კამერული სპექტაკლის საზოგადოებაა. ბატონებს გარკვეული რაოდენობის მსახურები – სტატისტიები სჭირდებათ, რომლებსაც ორად ორი სიტყვის თქმა ევალდებათ: მიირთვით, გეთავა!

ადამიანის სიცოცხლე აღარაფრად ღირს, რადგან იგი ამინომჟავებისგან შედგება, ამინომჟავებს კი ფასი არა აქვს. აი, კაცობრიობა რომ ნახშირწყლებისგან შედგებოდეს! ადამიანთა რიცხვის შემცირება კარგია, რადგან დარჩენილებს მეტი ნახშირწყლები შეხვდებათ.

ოდესღაც, მსგავსი მიზეზით მონათმფლობელური წყობილება დაიშალა. მონების კვება ხეირს აღარ აძლევდათ – რადგან თავიანთი შრომით სალაფავის ღირებულებასაც ვერ ანაზღაურებდნენ. სალაფავი გაძვირდა, მონები კი აღარ სჭირდებოდათ. ასე დაეცა რომი.

აი, ჩვენს დროშიც, თუ ადამიანი მასწავლებელი ან ფოსტალიონია, ის არ ამართლებს მასზე დახარჯული ნახშირწყლების ღირებულებას. ნახშირწყლები ძალიან ძვირია, ადამიანებმა კი ფასი დაკარგეს. ამდენად, ყველასთვის გაცილებით უკეთესი იქნება თუ მასწავლებლები და ფოსტალიონები დაიხოცებიან. პენსიონერებზე რალა უნდა ითქვას? უნდა რცხვენოდეთ, რომ კიდევ ცოცხლები არიან.

თუმცა, ადამიანი უცებ არ კვდება და ჩვენი საზოგადოება, თავისუფალი საზოგადოება გულმონყალეა – ყველა ზედმეტ ადამიანს დაუყოვნებელ ფიზიკურ სიკვდილს არ ავალდებულებს. შეგიძლია იცხოვრო, სიცოცხლეს არავინ გიკრძალავს. მთავარია არ ხელყო ყველაზე წმიდა რამ – ნახშირწყლები.

ეს თავისუფალი სამყაროა.

და სულაც არ მიკვირს, როდესაც გლახაკებს ვხვდები მეტროში, მანანნალებს ნევის პროსპექტზე, ბოშებს ლენინგრადის სარკინიგზო სადგურზე – ევროპის ყველაზე ძვირადღირებული დედაქალაქის მთლად ცენტრში და საზიზღარ, დაგლეჯილტანსაცმლიან ადამიანებს, რომლებმაც ყაზანის რკინიგზის სადგური სამარად-ჟამოდ დაიპყრეს.

მაგრამ ის, წარსული სამყარო თავისუფალი არ ყოფილა.

ამდენად, ჩემთვის დღემდე გამოცანად რჩება: საიდან გაჩნდნენ მანანნალები?

ამის სოციალური წინაპირობები ნამდვილად არ ყოფილა. ეს ადამიანები ცხოვრებაში ძნელად იკვალავდნენ გზას, დინების წინააღმდეგ მოძრაობდნენ და პროფკავშირების, სახლმმართველო-

ბებისა და შრომითი კოლექტივების მჭიდრო მწკრივების გარღვევა უნევდათ. იმ დროს, მანანალად რომ ქცეულიყავი, ძალიან დიდი შეუპოვრობა იყო საჭირო.

და ისინი მაინც არსებობდნენ.

შეიძლება დავიხმაროთ ფსიქიატრიული ტერმინი – ნომადიზმი, რომელიც ცნობილი და საკმაოდ კარგად შესწავლილი დაავადებაა. მისი სიმპტომებია გაუაზრებელი სწრაფვა მომთაბარეობისა და ხეტილისადმი, ადგილის მონაცვლეობისა და წანწალისადმი, მიდრეკილება ცხოვრების ანტისაზოგადოებრივი წესისადმი. ნომადიზმი საკმაოდ გავრცელებულია, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში აქცენტუაციის საზღვრებს არ სცილდება. ნომადიზმის სოციალურად მისაღები ფორმით – ტურიზმით – ფულიც კი კეთდება.

ყველაფერი, რისგანაც ფულის გაკეთება შეიძლება, თავისუფალ სამყაროში სოციალურად მისაღებად ითვლება. სწორედ ესაა სოციალურად მისაღებლობის კრიტერიუმი.

ყველაფერი, რაც მოგებაზე არ არის მორგებული, ითვლება ნორმიდან სახიფათო გადახრად და უარყოფილია.

ვყიდულობთ რა საგზურს და ჩარტერული რეისის ბილეთს აეროპორტიდან ორ, სამ, ოთხ ან ხუთვარსკვლავიან სასტუმრომდე გადაყვანის უფლებით, ჩვენ საზოგადოებისგან ვიღებთ ნომადიზმზე ლიცენზიას და შეგვიძლია დავიკმაყოფილოთ საკუთარი მიდრეკილება მოხეტიალე ცხოვრებისადმი სოციალურად მისაღები ფორმით. უამრავი დამსვენებლიდან, შვებულებისას, ზოგი ზღვისკენ და ზოგიც დათოვლილი მწვერვალებისკენ მიილტვის.

მაგრამ ამაზე ლაპარაკი სულაც არ მინდოდა. საუბარი მანანალალებზეა.

რა ვიცოდი მაშინ, შორეულ ოთხმოციან წლებში, სოფელ შალის საშუალო სკოლის მოსწავლემ, პიონერმა, აქტივისტმა და ყმანვილმა ინტელექტუალმა უსახლკარო მანანალალებზე? ძალიან ცოტა.

ვისოცკი, სიმღერაში „მეგობარ უსახლკარო მანანალაზე“ ლირიკულ გმირს, ასევე მანანალას, ურჩევს წავიდეს ვაჩაზე, ოქროს საბადოებზე, რათა ახალი, ნათელი მომავლისთვის ფული იშოვოს. კიდევ მახსოვს ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებული სტატია.

ეს ყველაფერი ნაკლებად მეხმარებოდა, რათა ამ მოვლენის

სოციალურ არსს ჩავწვდომოდი. ჩვენთან უსახლკარო მანანნალებს ეძახდნენ ლოთობისგან დეგრადირებულ ადამიანებს, რომლებიც სეზონური სამუშაოებისას მოჯამაგირებდად უდგებოდნენ სოფლებს. ისინი ფარდულებსა და ძველ ბოსლებში ლუკმა-პურისთვის მუშაობდნენ. შრომობდნენ არყისთვის, იშვიათად ფულისთვის, რომლითაც ისევ არაყს ყიდულობდნენ. ისინი თოხნიდნენ ბოსტნებს, ბოსლებს ნაკელისგან ასუფთავებდნენ, მშენებლობებზე შავ სამუშაოს ასრულებდნენ და თავზარდამცემად გამოიყურებოდნენ: დაუბანლები, გაუპარსავები და თმაგაბურძენილები. სახეები ალკოჰოლისა და მზის ზემოქმედებისგან მოლურჯო მონითალო ჰქონდათ და ნაბახუსევს საზარელ სუნად ყარდნენ.

არც ერთი მათგანი ჩეჩენი არ ყოფილა.

არც ერთი ჩეჩენური ოჯახი, თუგინდ ღარიბი, ადამიანის ასეთ დაცემას, თუნდაც მათი ყველაზე უზნეო ნაშიერი ყოფილიყო, არ დაუშვებდა. ჩეჩენი, თუკი გაბედავდა და გადანყვებდა ზნედაცემული მანანნალა გამხდარიყო, პროფკავშირებისა და შრომითი კოლექტივების გარდა კიდევ ერთი დაბრკოლება უნდა გადაელახა – ოჯახი და თემი. ეს ბარიერი არავის დაუძლევია. იყვნენ მსმელი ჩეჩნები, ცოტანი, მაგრამ იყვნენ. და მათ აგზავნიდნენ სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმებში და თუკი ისინი მოახერხებდნენ და დანაშაულსაც ჩაიდენდნენ – ციხეში. მაგრამ ციხიდან და სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმიდან კვლავ შინ, ოჯახში ბრუნდებოდნენ, სადაც ტუქსავდნენ და ცდილობდნენ გამოეწონებინათ, მაგრამ ქუჩაში არ აგდებდნენ. არც ერთი მათგანი უსახლკარო მანანნალად არ ქცეულა

უსახლკარო მანანნალებს ნათესავები არ აგონდებოდათ. უმრავლეს შემთხვევაში, ისინი რუსები იყვნენ.

ახალგაზრდა ჩეჩნებისთვის, თუ ისინი მშობლიურ სოფლებს არ იყვნენ გაცილებულნი, ძნელი გასაგები იყო, რატომაა რუსეთი – კულტურული, თავისუფალი, დიდი ნაცია. რუსებს, რომლებსაც ყოველდღიურად ხედავდნენ, იყვნენ ზნედაცემული მანანნალები და მონები.

კაზაკები, რომლებიც ჩეჩნების მეზობლად ცხოვრობდნენ, მხედველობაში არ მიიღებოდნენ. კაზაკებს რუსებად არ მიიჩნევდნენ. მათი ყოფა-ცხოვრება, ადათ-წესები, ცხოვრებისეული სტრატე-

გია და ქცევითი სტერეოტიპები პრაქტიკულად ისეთივე იყო, როგორიც მთიელების. კაზაკები რუსებს აგდებულად უყურებდნენ – მათ მოსკალებს<sup>1</sup> და ჩაღდონებს<sup>2</sup> ეძახდნენ. თავად კაზაკები თავს კაზაკებად თვლიდნენ და არა რუსებად.

მოხუცი ჩეჩნები, რომელთაც ომი და გადასახლება კარგად ახსოვდათ, ახალგაზრდების შეხედულებებს არ იზიარებდნენ. მათ სჯეროდათ, უზარმაზარი რუსეთისთვის ამაყი ჩეჩენი ერის გასანადგურებლად ნეკა თითის შეტოკებაც კი საკმარისი იქნებოდა.

ახალგაზრდები მოხუცებს ყურს არ უგდებდნენ. ეს კავკასიაში იც ასეა. ოთხმოცდაათიან წლებში, ჩეჩნებს ეგონათ, რომ წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევდათ – ყოველ შემთხვევაში, არა ჩუმი და დაბეჩავებული რუსი „მუჟიკები“. ალბათ, რუსებზე ფიქრისას ახსენდებოდათ სოფლებს შეხიზნული უუფლებო და უსახლკარო მანანნალები.

უსახლკარო მანანნალები ჩეჩნურ თემებს ბუნებრივად ერწყმოდნენ. ისტორიკოსები წერენ, რომ რუსეთის შემადგენლობაში შესვლამდე, ჩეჩნეთში მონობა იყო გავრცელებული, რომელსაც პატრიარქალური ხასიათი ჰქონდა. ასე რომ, მონა ოჯახის წევრი ხდებოდა, მაგრამ ძალიან შეზღუდული უფლებებით. მამაკაცებს ადგილობრივ ქალთანაც შეეძლოთ ქორწინება და მათი შთამომავლები თემის სრულფასოვანი წევრები ხდებოდნენ, თუმცა მათ წარმომავლობას არავინ იფიქრებდა. უკვე საბჭოთა წყობილებისას, პარტიის რაიკომის პირველი მდივნისთვისაც კი შეეძლოთ შეეხსენებინათ, რომ ის მონების შთამომავალია და მისთვის უარი ეთქვათ ქალიშვილის ხელის თხოვაზე და პატივისცემაზე. მონების შთამომავლებს თავიანთი ადგილი უნდა სცოდნოდათ.

თავად ჩეჩნები თვლიან, რომ მათ წრეში არასდროს ყოფილან თავადები და მოჯამაგირეები. და ეს თითქმის ასეა. ძველმა გადმოცემებმა შემოინახეს ისტორიები თავადებზე, რომლებიც მწყემსებად ქირაობდნენ ზოგიერთი ჩეჩნური გვარის მამამთავრებს. როდესაც

<sup>1</sup> მოსკალები – მეტსახელი, რომელიც უკრაინულ, პოლონურ, ბელარუსულ ენებზე ხშირად გამოიყენება რუსების მიმართ სიძულვილის, ან ზიზღის ელფერით; აბუჩად ასაგდებად, ასევე ირონიული, ხუმრობითი მნიშვნელობით.

<sup>2</sup> ჩაღდონები – ციმბირში პირველი რუსი ჩასახლებულებისა და მათი შთამომავლების სახელწოდება.

ჩეჩნები მთიდან ვაკეში ბრუნდებოდნენ, მინები უკვე ყაბარდოელი და თურქი ფეოდალების საკუთრებაში იყო. ჩეჩნები იძულებულნი ხდებოდნენ მათ ვასალებად ქცეულიყვნენ. მაგრამ ასე დიდხანს არ გრძელდებოდა. გადმოცემები, როგორც წესი სრულდება იმით, რომ ჩეჩნები კლავენ თავადს და მინაზე უკვე ბატონის გარეშე, დამოუკიდებლად აგრძელებენ ცხოვრებას. ჩეჩნები ერთმანეთს არ ქირაობდნენ – მათ ფარებს მწყემსავდნენ „გადამთიელი ადამიანები“ დალესტნიდან და სხვა მხარეებიდან.

რუსი ისტორიკოსები და რუსეთის იმპერიის ჩინოვნიკები თვლიდნენ, რომ ყველა ჩეჩენი მიეკუთვნება ერთ ნოდებას – მთის თავისუფალ აზნაურობას. რუსეთში ცხენით სიარული და იარაღის ტარების უფლება მხოლოდ კეთილშობილ ადამიანებს ჰქონდათ. კავკასიაში კი თითოეული მამაკაცი ცხენზე იარაღით იჯდა და გარდა ალაჰისა მათზე არავინ ბატონობდა.

საბჭოთა უსახლკარო მანანნალებმა, ჩეჩნების ცნობიერებასა და საზოგადოებაში, მყარად დაიკავეს მონის, გადამთიელი მოჯამაგირის ადგილი.

საბჭოთა წყობილებისას, მეურნეობებსა და სოციალისტურ სანარმოებში, ჩეჩნები, რა თქმა უნდა, ქირით მუშაობდნენ, რაც მონობად არ აღიქმებოდა. მით უმეტეს, რომ ხელისუფლებამ მიწა და სანარმოო საშუალებები საერთო სახალხო საკუთრებად გამოაცხადა. საოჯახო მეურნეობებში კი მოჯამაგირეებად უთუოდ უცხო ტომელი კაცები მუშაობდნენ.

აქტიური ჩეჩენი მამაკაცები, სხვა მხარეებში, საშოვარზე ბრიგადებად დადიოდნენ. გაზეთებში ასეთ პრაქტიკას გამოხდნენ, მაგრამ პროპაგანდა ვერავის აკავებდა, რადგან სამ თვეში მათ საშუალება ეძლეოდათ მთელი წლის სამყოფი ფული გამოემუშავებინათ.

სიტყვამ მოიგანა და ბარემ ვისოცკის სიმღერაზეც ვთქვათ: ალბათ, ვლადიმირ სემიონოვიჩმა ტერმინების ზუსტი მნიშვნელობა არ იცოდა, ან მის გარემოცვაში ამ სიტყვებს სხვა აზრობრივი დატვირთვა ჰქონდა. მისი სიმღერის გმირი, ყველაფრიდან გამომდინარე, იყო არა უსახლკარო მანანნალა, არამედ საშოვარზე წასული ადამიანი. ისინი მდიდარ კოლმეურნეობებში, ფერმების ასაშენებლად მიემგზავრებოდნენ, სადაც ობიექტის ჩაბარებისთანავე ნაღდ ფულს უხდიდნენ და ანგარიშის გასწორებისთანავე შინ ბრუნდე-

ბოდნენ. ხანდახან მათ უსახლკარო მანანალები ეკედლებოდნენ.

როგორც ჩანს, კოლკა შალიში ასე მოხვდა.

ეს მოთხრობაც მასზეა.

კოლკა შალიში შემოდგომაზე გამოჩნდა, როდესაც ჩენები სეზონური საშოვრიდან დაბრუნდნენ. ის ბრიგადირ სულთანთან დასახლდა. სკოლიდან მომავლები, ვხედავდით, როგორ თოხნიდა მავთულის ბადით შემოლობილ მინის დიდ ნაკვეთს. მას მხარზე ცისფერი ლუზა ჰქონდა ამოსვირინგებული. ალბათ, შორეულ წლებში, მეზღვაური იყო. ნელზევით შიშველი კოლკა, როდესაც წელში გაიმართებოდა და მინაში ჩასობილ ნიჩბის ტარს ხელებით დაეყრდნობოდა, მკერდზე კიდევ ერთი სვირინგის დანახვა შეგვეძლო: დიდი ჯვარი და ჯვარზე ადამიანის სილუეტი, რომელსაც თავი დახრილი ჰქონდა, ცალი ფეხი კი მოხრილი. ეს რას ნიშნავდა, ჩვენთვის უცნობი იყო.

კოლკა სულთანთან, სახლზე მიშენებულ ერთ-ერთ ოთახში ცხოვრობდა. თუკი არ მუშაობდა, ქუჩაში, სულთანის ჭიშკართან იჯდა. სკამი კოლკამ გააკეთა. ჩვენს ქუჩაზე, ჭიშკართან სკამი არავის ედგა. როდესაც სახლშიც და ეზოშიც უამრავი საქმეა სკამზე უსაქმურად არავინ დაჯდება და დროს უაზრო ლაყობაში არ გაიყვანს, მაგრამ მაინც ისხდნენ და უსაქმურობდნენ და რადგანაც სკამები არ იყო, უბრალოდ ჩაცუცქედებოდნენ ხოლმე. კოლკამ სკამი გაიკეთა და მოხერხებულად დაჯდა.

კოლკას მიბაძვით მთელმა ქუჩამ, საკუთარ ჭიშკართან, სკამი დაიდგა.

მოხუცები თავს გაკიცხვით აქნევდნენ, მაგრამ ტექნიკური პროგრესის შეჩერება არ შეეძლოთ.

იჯდა კოლკა და სამყაროს ნათელი, ცისფერი თვალებით შესცქეროდა – უშფოთველად და მშვიდად ილიმებოდა. კოლკა ყველა გამვლელს ესალმებოდა. ეს მას ძალიან მოსწონდა.

ბოგეირთ მოხუცს რუსული ცუდად ესმოდა. მეზობლებმა კოლკას აუხსნეს, რომ ჯობდა მოხუცებს ჩენურად მისალმებოდა, თან ფეხზე წამომდგარიყო. იგი დარიგებას სერიოზულად მოეკიდა. ახლა თეთრწვერა ბერიკაცის დანახვაზე კოლკა სკამიდან დგებოდა და ამბობდა: „ხო ვოხშ ვუ!“. პატარა ბიჭები დამახინჯებული გამოთქმის გამო დასცინოდნენ და სთხოვდნენ, როდესაც მათ ეს-

აღმებოდა, ფეხზე წამომდგარიყო, მაგრამ ვერ აბრეყებდნენ. ის მხოლოდ იცინოდა და თავს აქნევდა. ხანდახან თითითაც ემუქრებოდათ: რა ჩაიფიქრეთ, თქვე ანცებოო?!

ასეც ხდებოდა, ცელქობისას ბავშვები კოლკას კენჭებს ესროდნენ. ასეთ დროს, კოლკა ეზოში შედიოდა, უკან ბალის დიდი მაკრატლით – სეკატორით ბრუნდებოდა და მრისხანე სახით ყვიროდა: დაგიჭერთ და ყურებს დაგაჭრითო!

დიდ ბიჭებს ამისი არ სჯეროდათ, თუმცა ყოველი შემთხვევისთვის კენჭების სროლას თავს ანებებდნენ, პატარა ბიჭები კი სახლებში ღრიალით გარბოდნენ. მალე დედებმა, კოლკას მუქარები თავიანთი სააღმზრდელო მიზნებისთვის გამოიყენეს. თუ ბავშვები უზომოდ ცელქობდნენ, მკაცრად ეუბნებოდნენ: „თუ ასე გააგრძელებ, კოლკასთან წაგიყვან და ყურებს დაგაჭრისო“. ეს სიტყვები ბავშვებზე ცივი შხაპით მოქმედებდა. ისინი ყურებზე ხელისგულს იფარებდნენ, გრძელ წამწამებს აფახულებდნენ და თავებს აქეთ-იქით აქნევდნენ, რაც ალბათ ნიშნავდა: „ოღონდ ყურები არ დამაჭრათ და მეტს აღარ ვიზამო!“ ეს ძალიან სასაცილო იყო, განსაკუთრებით დიდყურა მაგომედის შემთხვევაში. აი, ვის გაულამაზდებოდა ყურები, მაგრამ სხვა ბავშვებზე მეტად სწორედ მაგომედი დაჰკანკალებდა ყურებს და ერთბაშად გამგონე ხდებოდა.

დადგა ზამთარი. დეკემბრის ერთ ღამეს, ციდან ბრჭყვიალა ფიფქები დაეშენნენ და სახლები და ქუჩები თოვლის მოსასხამით დაფარეს. კოლკა დილით, ჭიშკართან, ხის ნიჩბით იდგა და პატრონის მანქანისთვის გზას წმენდდა. სულთანმა ძველი ბენვის ქუდი, დაბამბული ჯუბა და შალის ცალთითა ხელთათმანები აჩუქა. ფეხზე ნაცრისფერი ნაბდის ჩექმები ეცვა, რომლებიც რეზინის კალოშებში ჰქონდა წაყოფილი. კოლკამ განსაკუთრებით გაიხარა, თოვლს ხელით იღებდა, სახესთან მიჰქონდა, ყნოსავდა, თავს ვერ იკავებდა და ლოკავდა.

საქმეები რომ მოათავა, კოლკამ თოვლი ერთ ადგილას შეაქუჩა და საღამოს ორი ვედრო წყალი მოასხა. დილით, ქუჩაზე ნამდვილი სასრილო ბორცვი წამოიშალა. კოლკა ბორცვიდან საჯდომით დაცურდა და სახით თოვლს დაებერტყა. კვირა იყო და მთელი დღე ბორცვზე ვიცურავეთ, ზოგმა ციგებით, ზოგმაც საკუთარი საჯდომით. უფროსებმა სახლებში ძალით შეგვრეკეს.

მომდევნო დღეებში დაცხა. ბორცვი დადნა და ჩანვა. კოლკა ბორცვს გარს უვლიდა, წუხდა და ცდილობდა ნიჩბით შესსწორებინა. რალა თქმა უნდა, ჩვენთან ისეთი თოვლი არ მოდის, არც ისეთი სუსხია ლოყები აგინითლოს და არც ისეთი ჯადოსნური ზამთარი, როგორც კოლკას სამშობლოში. ბიჭებსაც კი შეგვებრალა: ბორცვიც და კოლკაც და საკუთარი თავიც, რომ ჩვენთან ნამდვილი ზამთარი არ იცის.

ზამთარს გაზაფხული მოჰყვა. აკაციათ თეთრად იფეთქა. ალუბლები და ვაშლი აყვავდა. კორდიდან სწრაფად ამოიზარდა მწვანე ბალახი და ყვითელი ბაბუანვერებითა და ბაიებით დამშვენდა. კოლკა სულთანის ბალსა და ბოსტანში მუშაობდა: პომიდორსა და კიტრს რგავდა, ხეებს ბარავდა, ნაკვეთში ნაკელს ეზიდებოდა. ხოლო როდესაც ზაფხული დადგა და უსაშველოდ დაცხა, კოლკა სულთანისაგან წავიდა.

„არაფერი მიწყენინებია, ოჯახთან ერთად, ერთ მაგიდასთან ვაჭმევდი და ვასმევდი, – სულთანი მეზობლებთან თავს იმართლებდა, – ის ჩემს შვილებზე მეტს არ შრომობდა. ამბობდა, თავისუფლად ცხოვრება მინდა, ისე როგორც ჩიტები და სხვა ღვთის ქმნილებები ცხოვრობენო“.

სულთანმა ნივთები შეუგროვა და საჭმელი და ცოტა ფულიც მისცა. კოლკას ფული არ აუღია, ნივთებიდან პატარა ფუთა შეკრა და მხოლოდ ერთი დღის სამყოფი საჭმელი წაიღო. თითოეულ სულიერს ღმერთი კვებავსო – ასე თქვა. საჭმლის მარაგი რომ წავიღო, ღმერთის იმედი აღარ უნდა მქონდეს და მარტო საკუთარ თავზე უნდა ვიყო დამოკიდებულიო. ვინ არის ადამიანი? და რა იცის ხვალინდელ დღეზე?

კოლკა შორს არ წასულა. მეურნეობის მინდვრების გადაღმა, ელექტროსადგურის გვერდით, თუთის ხეების ტყეში დასახლდა, ტოტებისგან ქოხი დადგა და სათბურის ცელოფნით გადახურა. ზაფხულში ჩვენთან ისე ცხელა, მიწაზე ძილიც კი შეიძლება.

კოლკას თავის სარჩენი საქმეც გამოუჩნდა. აბრეშუმის ჭია მხოლოდ თუთის ფოთლებით იკვებება, სოფელში კი აბრეშუმის მეურნეობა იყო. კოლკა ფოთლებს აგროვებდა, მეურნეობას აბარებდა და საჭმელს და სხვა საჭირო ნივთებს ყიდულობდა. ის ტყეს არ ანადგურებდა და თუთის ფოთლებს მხოლოდ მაშინ კრეფდა, როდესაც

საც საჭმელი უთავდებოდა. სხვა დროს – ქობთან იჯდა, ტყეში, მდელოებზე და ხორბლით დათესილი მინდვრების გაყოლებით დაეხეტებოდა. ტყეში სასეირნოდ და სათამაშოდ გავროდით, სადაც კოლკასაც ვხვდებოდით. ის გვესალმებოდა და გვერდს გვიქცევდა. ასეც ხდებოდა, საკუთარ თავს ესაუბრებოდა ხოლმე.

კოლკა განსაკუთრებული მანანნალა იყო. ის არ სვამდა, არც „ბელომორსა“ და „პრიმას“ ენეოდა და სუფთად ჩაცმა უყვარდა. როდესაც ტყეში დაიწყო ცხოვრება მდინარესა და არხებში ბანაობდა. მის ხელში წიგნი არასოდეს მინახავს, თუმცა, ბევრი რამ იცოდა და წიგნიერი ადამიანივით საუბრობდა.

როდესაც კოლკა, კვირაში ორჯერ, ჩვენს ქუჩაზე მდებარე სასურსათო მაღაზიაში საყიდლებზე მოდიოდა უფროსები შეკითხვებს უსვამდნენ და მისგან რჩევებსაც იღებდნენ. ბავშვები მათ ფეხებში ვებლანდებოდით, რადგან კოლკას მოსმენა საინტერესო იყო.

– კოლკა, რატომ არ მუშაობ? – ეკითხებოდა რომელიღაც მეზობელი, დარბაისლური შესახედაობის ოჯახის მამა, – მეურნეობას დარაჯი სჭირდება. ჯიხურში იცხოვრებ. არ სვამ, მიგიღებენ.

კოლკა იღიმებოდა და ხელს იქნევდა:

– ზეციური ფრინველები არ თესავენ და არც მოსავალს იღებენ, მათ ღმერთი ასაზრდოებთ. მინდვრის შრომანიც არსად მუშაობს, მაგრამ აბრეშუმით და ძონითა შემოსილი, ასეთნაირად სოლომონიც კი არ იმოსებოდა თავისი ბრწყინვალეებისა და დიდების ჟამს.

კოლკას სიტყვებმა განმაცვიფრა და მათზე დიდხანს ვფიქრობდი. ვუყურებდი ურცხვი, მუქთახორა მტრედების გუნდები როგორ უტევდნენ კალოზე, პურის ლენვისას, ხორბლის გორაკებს. ვფიქრობდი სოლომონზე. ვინ იყო ეს სოლომონი? იქნებ, კოლკა სალამანზე ამბობდა? სალამანი იყო საწყობის გამგე და ლამაზად იცვამდა: დღესასწაულებზე კოსტიუმი და ჰალსტუხი, ხან ჯინსებიც. ზამთარში კი „დუბლიონკა“ ეცვა.

კოლკა ხან ასეც პასუხობდა:

– ღმერთმა დამიფაროს! დაიწყებენ ქალაქების შევსებას, მერე ნომერს მოგანიჭებენ, საალრიცხვო წიგნში შეგიტანენ და ცოდვილი სულიც გაქრება.

– ცუდი რატომაა საალრიცხვო წიგნში შეტანა?

– ცუდი იმიტომაა, რომ მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი წიგნი არ-

სებობს – სასუფეველში, ქვის ფიცარზე დაწერილი სჯულის წიგნი. მასში თითოეული ადამიანის ბედ-იღბალია ჩანერილი დაბადებიდან გარდაცვალებამდე და ამ წიგნის მიხედვით უნდა იცხოვრო. ანტიქრისტიეს, რომელიც ღმერთისგან დედამიწაზე გაიქცა, საკუთარი წიგნი აქვს. ამ წიგნში თითოეულ გზაკვალარეულ ადამიანს ჩანერენ, შენს სახელს დაეპატრონებიან, მერე კი სულს და ჯოჯობის ცეცხლისკენ გაგაქანებენ. აი, ესეც შენი სააღრიცხვო წიგნი.

სოფლის პატივსაცემ დედაკაცებს, რომელთაც ხუთ-ხუთი შვილი გააჩინეს, არ ესმოდათ, ოჯახის გარეშე მამაკაცი ბედნიერი როგორ უნდა ყოფილიყო, ასეთ გამონაკლისს კოსმიური ნესრიგის დარღვევად თვლიდნენ და ცდილობდნენ მონაწილეობა მიეღოთ კოლკას ბედისწერაში:

– როგორ ცხოვრობ ცოლის, შვილების გარეშე? არაფერი გაბადია. მისმინე, ჩვენთან, წყალსატუმბის იქით, ერთი ქვრივი ქალი ცხოვრობს. რა თქმა უნდა მზეთუნახავი არ არის, მაგრამ მშვიდი ხასიათისაა, სახლიც აქვს და ნაკვეთიც. მოდი, ცოლად შეგერთავთ.

კოლკა ქალებთან იბნეოდა, მაგრამ მათთან გულლიად საუბრობდა:

– ცოლი, – ეშმაკის ჭურჭელია, უდიდესი საცდური. მათზე წმინდა ბერები ბევრს წერდნენ.

– ისინი ბერები იყვნენ. შენ ჯერ კიდევ მშრომელი, ახალგაზრდა კაცი ხარ. არ სვამ. ცოლი გინდა, ცოლი გაგამხიარულებს.

– ღვთის წყალობით, ისედაც კარგად ვცხოვრობ... ცას შეეყურებ, მარადიულ სიცოცხლეზე ვფიქრობ... მოწყენილი არ ვარ.

მალე კოლკამ სახელი მოიხვეჭა როგორც არანორმალურმა თუ წმინდანმა. პირველი ვერსიისკენ უფრო მეტად კაცები იხრებოდნენ. ოჯახზე ზრუნვით გასავათებული მამაკაცები სულიერებისგან მუდამ შორს იდგნენ. თუმცა, გულში კოლკასი შურდათ, რადგან თითოეულ მამაკაცს თავისუფალი ცხოვრება სურს.

ქალებს თავიანთი ქმრები უყვართ, რომელთაც ოჯახებში ფული შემოაქვთ და ბავშვების აღზრდაში ეხმარებიან. თუმცა, ყოველ ქალს გული წმინდანობისკენ მიუწევს და სულის სიღრმეში ხვდებიან, რომ მხოლოდ გასხივოსნებულ კაცს შეუძლია მათი ღმერთის სასუფეველში მიყვანა.

დიასახლისები კოლკას რჩევებს აღარ აძლევდნენ. სამაგიეროდ,

ახალდაცხობილ მარილიანი ხაჭოს ხმიადებს ტილოში გადაახვევდნენ, შუშის ქილაში ჩასხმულ რძეს პლასტმასის ხუფს დააფარებდნენ, ბავშვებიდან რომელიღაცას უხმობდნენ და ეტყოდნენ:

– აბა, გაიქეცი, კოლკას მიუტანე.

ბიჭი კოლკას ქოხთან პოულობდა, საჭმელს გადასცემდა და ჩვეულების მიხედვით წარმოთქვამდა:

– სახინ!

კოლკა მოწყალეობას ღირსეულად ლებულობდა და წესისამებრ პასუხობდა:

– დერ ეზ ხილ!

ხმებმა კოლკას შესახებ სოფლის მოლამდეც მიაღწია, მხოლოდ მან იცოდა არაბული ენა და წმინდა ყურანის კითხვა. თუმცა, ამბობდნენ რომ არც მოლამ იცოდა არაბული, მხოლოდ ჩახლართულ ასოებს კითხულობდა, მაგრამ რად გინდა, აზრი ვერ გამოჰქონდა. ამაზე, მისი თანდასწრებით არ ლაპარაკობდნენ. ისე კი, რასაკვირველია, მოლას პატივს სცემდნენ.

რადგან კოლკას მატერიალურ ცხოვრებაზე ხელი ჰქონდა ჩაქნეული, მოლამ გადაწყვიტა, განდეგილი წინასწარმეტყველ მუჰამედის ქეშმარიტ რწმენაში მოექცია. დიდება და გამარჯვება მას. იგი კოლკას სავანესთან მივიდა და მასთან თეოლოგიურ საკითხებზე დიდხანს საუბრობდა. მოლამ მიზანს ვერ მიაღწია, თუმცა კმაყოფილი დაბრუნდა: კოლკამ თქვა, რომ ალაჰი დიდია და თითოეული თავისებურად ასხამს ხობტას. ხოლო გადახტე ერთი რწმენიდან მეორე რწმენაში ნიშნავს, რომ დაემსგავსო თხას ან უგუნურ ძროხას, რომელსაც ერვენება, რომ ბალახი გზის გადაღმა უფრო მწვანეა. თუკი ადამიანს არ შეუძლია რწმენაში ღვთაებრივი სრულყოფის მიაღწევა, მაშინ ამაში დამნაშავეა არა საღვთო წერილი და წინასწარმეტყველები, არამედ ჭუჭყიანი გული და უზნეო გონება.

ვერ მოხერხდა კიდევ ერთი ვიზიტის თავიდან აცილება. როდესაც უსახლკარო მანანნალები პატრონებთან ცხოვრობდნენ, მილიცია მათით არ ინტერესდებოდა – თითოეული სოფლელი მილიციონერის მეგობარი ან ნათესავი იყო და შეეძლო ეთქვა, რომ ეს ადამიანი რუსეთიდან ჩამოსული სტუმარია, ისვენებს და თან ცოტას მეხმარებაო. მაგრამ როდესაც კოლკა წყალწალბებულ მანანნალად იქცა, იძულებულნი გახდნენ, საპასპორტო რეჟიმის დარღვევისა

და მუქთახორობისთვის პასუხისგებაში მიეცათ. მუქთახორობაზე სისხლის სამართლის საბჭოთა კოდექსში სპეციალური მუხლი არსებობდა, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი უმუშევრის გასამართლება შეიძლებოდა.

ამიტომ მილიციონერმა კოლკა იპოვნა და არასასიამოვნო კითხვები დაუსვა.

თუმცა კოლკა, ასეთი სტუმრობისთვის მომზადებული აღმოჩნდა. მას თან ჰქონდა პასპორტი, იგი ტამბოვის ოლქში იყო ჩანერილი. უმუშევრობის ბრალდებაზე კოლკამ კიდევ ერთი დოკუმენტი წარმოადგინა – ცნობა ინვალიდობის შესახებ, ოღონდ გაუგებარი იყო რა ავადმყოფობის გამო. კოლკა სავსებით ჯანმრთელად გამოიყურებოდა – მაგრამ მას საბუთი ჰქონდა. განდევილმა ასევე თქვა, რომ კავკასიის ჰავა საბჭოთა ექიმებმა ურჩიეს და ამიტომ გადმოსახლდა მშობლიური ციმბირიდან.

მილიციონერი არ ჩუმდებოდა: მანანალობა არ შეიძლება. თუ ავადაა, შესაბამისი დაწესებულებები სანატორიუმის საგზურს კანონიერად და ოფიციალურად გამოუწერენ.

და აქ კოლკამ მილიციონერი სახტად დატოვა.

– მე ბომა ვარ და როგორც მცირე ერის წარმომადგენელს, თვითმყოფადი კულტურის შენარჩუნებისთვის, რის შესახებაც პარტიულ ყრილობაზეც იყო საუბარი, ძალიან მჭირდება მომთაბარეობა. მაღლობა უფალს, კაპიტალისტურ ამერიკაში არ ვცხოვრობთ, სადაც უუფლებო ინდიელებს რეზერვაციაში ერეკებიან, ზანგებს კი სახრჩობელაზე ჰკიდებენ.

– რანაირი ბომა ხარ... – არც ისეთი დარწმუნებით შეეპასუხა მილიციონერი, – ბოშები, თითქოს შავები და ხუჭუჭთმიანები არიან...

– თქვენ რა, ბოშებში კარგად ერკვევით?!

და კოლკამ ჯიბიდან ნამდვილი ვერცხლის საყურე ამოიღო და არა მხოლოდ ამოიღო, ყურზეც კი მოირგო – ყური გახვრეტილი ჰქონდა.

– ასე, ვგავარ?

სამართლდამცავმა შეიგინა, საქალაქი დახურა და წავიდა.

სახლში კი მილიციონერს ცოლმა ტვინი გაუბურლა: ხულიგნების ნაცვლად რალა ღვთის ადამიანს გადაეკიდე, რომელიც თავისი არ-

სებობით ხელს არავის უშლისო.

ჩეჩენი ქალები მხოლოდ სხვათა დასანახავად არიან მდუმარენი და ქმრების ხაზგასმულად მორჩილები. ცოტამ თუ იცის რა ხდება სახლში, როდესაც კარი იხურება...

ასე გავიდა ორი წელი. შესაძლოა, სამიც. მე კლასიდან კლასში გადავდიოდი. მეზობლის პატარები დაიზარდნენ. მეურნეობას ყოველწლიურად ხორბლის, ჭვავისა და შვრიის სარეკორდო მოსავალი მოჰყავდა. სოფლელები სიმინდს ფშვნიდნენ, საქონელს კლავდნენ, დაქორწინებული შვილებისთვის ახალ სახლებს, ხოლო საქონლის ნამაგისთვის ახალ საძროხეებს აშენებდნენ.

გამოსაზამთრებლად, კოლკა რომელიმე შეძლებულ მესაკუთრეს მშენებლობაზე ეხმარებოდა. ზაფხულის დადგომისთანავე კი, განდევნილი ტყესა და მდელოებს მიაშურებდა. თუთის ფოთლების გარდა, ის ასევე კრეფდა თუთის ხის ნაყოფს, ველურ გარგარსა და ვაშლს, მერე დამამზადებელ კანტორაში აბარებდა და ასე ირჩენდა თავს, რისთვისაც ძალიან ცოტა რამ სჭირდებოდა: საჭმელი, სასმელი და რალაც ჩასაცმელი, რათა შიშველსა და ჩამოფლეთილს არ ევლო და საზოგადოება არ დაეთრგუნა. კოლკას ყველა შეეჩვია და სულიერ გმირობაში ხელს არ უშლიდნენ.

თუმცა, კოლკა სულიერად დაეცა.

მხოლოდ ძლიერი რწმენის მქონე ადამიანები შეიძლება დაეცნენ, მხოლოდ მათ წინააღმდეგ იყენებს ადამიანთა მოდგმის მტერი თავის ყველაზე მზაკვრულ ცდუნებებს. ამქვეყნიურ სიამებებზე დახარბებული ადამიანები ეშმაკს არ აინტერესებს, მათ სულელებს ისედაც მბრძანებლობს.

კოლკას დაცემა ერთგულებით დაიწყო, რომელიც თავიდან უწყინრად გამოიყურებოდა და გულსაც კი გიჩუყებდა.

ერთხელ, კოლკა ჩვენს ქუჩაზე ბრმა, გალუმპული ლეკვით გამოჩნდა. კოლკა დაბნეულად გამოიყურებოდა და ყველა შემხვედრს უხსნიდა:

– ბებერმა ძუკნამ არხში დაყარა... და მოკვდა... მე კი თავს დავტრიალებდი. ვუყურებ – თითქმის ყველა ლეკვი მკვდარია. მხოლოდ ერთი მოძრაობს! ესეც ხომ ღვთის ქმნილებაა... დრუნჩს ძუძუს ურტყამდა... რძე უნდა!..

კოლკას რძე მისცეს. მან ალუმინის ჯამი იპოვნა და ლეკვი

რძის სვლეპას მიაჩნია. ლეკვს მასთან ერთად ეძინა, ღამით საკუთარი სხეულით ათბობდა. ასე რომ, ლეკვისთვის დედად იქცა, შეეჩვია და შეიყვარა.

ეს შეცდომა იყო. თავისუფლების გზაზე შემდგარი ადამიანისთვის, ამ წარმავალ ქვეყანაში, საჭირო არ არის ვინმეს შეჩვევა და შეყვარება. ღირს კი ცოლის და ბავშვების, მოხუცი მშობლების მიტოვება, მხოლოდ იმისთვის, რომ შემდეგ უთვისტომო ძალღი შეიყვარო?

მსგავსი ისტორია, ათასი წლის წინათ, ინდოეთში, დიდ მეფე ბხარატას გადახდა, რომელმაც სასახლე და ოჯახი მიატოვა და ტყეში ირემი შეიყვარა. კოლკას ისტორიაც ტრაგიკულად დასრულდა.

ლეკვი გაიზარდა და ბანჯგვლიანი, მოღრეცილი ფეხებით კოლკას დასდევდა და კუდს სასაცილოდ უქიცინებდა. კოლკა სახელმწიფო სამსახურზე კვლავ უარს ამბობდა და უცნაურად საუბრობდა, მაგრამ როდესაც ძაღლს უყურებდა, მის თვალებში ჩვეული მინიერი სიყვარული, სითბო და მზრუნველობა იკითხებოდა.

ერთხელ, როდესაც ლეკვი წამოიზარდა, კოლკა ჩვენს მეზობლებთან ჩაის დასალევად შევიდა, ძაღლი კი ქუჩაში დატოვა. აქ ქალაქი არ არის, ძაღლის სახლში შეყვანა აკრძალულია.

ბიჭებმა კი ძაღლების ჩხუბი მოაწყვეს.

- დავნიძლავდეთ, შენი ბორზიკი კოლკას ძაღლს ვერ მოერევა.
- ჩემი ბორზიკი ნაფლეთებად აქცევს.
- მოდი, ერთმანეთს მივუქსიოთ!

მიუქსიეს.

ბორზიკი ახალგაზრდა, მაგრამ ვეება ქოფაკი იყო, რომელსაც მგლის სისხლიც ერია. დიდყურა მაგომედის დაგეშილი ბორზიკი, კოლკას შვილობილს ეცა და წამში მინაზე გააგორა. როგორც წესი, ბორზიკი დამარცხებული მეტოქის დამცირებით უნდა დაკმაყოფილებულიყო და ჩხუბი შეენწყვიტა, მაგრამ ან კოლკას შვილობილს არ უნდოდა დანებება და მიუხედავად განწირული წკავწკავისა კბენას განაგრძობდა, ან ბორზიკს გაახსენდა თავისი მგლური წარმომავლობა და მეტოქეს ხორცს აგლეჯდა. მაგომედიც აღარ უქსევდა, აღარ გაჰყვიროდა: „ხაეც, ფასს!“, მაგრამ ბორზიკი არ შოშმინდებოდა.

კიდევ წუთიც და ყველაფერი დამთავრდებოდა, მაგრამ სახლი-

დან კოლკა გამოვარდა, გადაჯაჭვულ ძაღლებს შიშველი ხელებით ეძგერა, ბორზიკი უშიშრად უკუაგდო, დასისხლიანებული, საყვარელი ძაღლი ხელში აიყვანა და ბავშვებს გაბოროტებული მზერა ესროლა. მერე იქაურობას გასცილდა და სოფელში დიდხანს აღარ გამოჩენილა.

მან ძაღლი ისევ გადაარჩინა.

მერე, მეურნეობის სატვირთომ, დაბნეულ შვილობილს მოსახვევში ბამპერი გაჰკრა. კოლკამ ძაღლს ისევ უმკურნალა და სიკვდილისგან იხსნა.

მაგრამ ძაღლს სიცოცხლე არ ეწერა!

კოლკას შვილობილი მოკვდა.

საწყობის გამგის, სალმანისგან, კაპიკებად ნაყიდი სანამლავით სოფლელები ქრცვინებს ანადგურებდნენ, რომლებიც ბოსტნებს აფუჭებდნენ. კოლკას ძაღლმა მონამლული, უსიცოცხლო მღრღნელი დაიჭირა და შეჭამა. ძაღლი დიდხანს, წამებით კვებოდა. აგონია დღეზე მეტხანს გაგრძელდა და ყვითელი ქაფი ხახიდან ფანტელებად სცვიოდა.

როდესაც ძაღლის სხეული გაცივდა და გაშეშდა, კოლკა ქურჩაში გამოჩნდა – ძაღლი წინ განვდილ ხელებზე ესვენა. როცა ხალხი შეგროვდა, მან თქვა:

– მწვალებლებო! მიწას სანამლავით წამლავთ და ღვთის ქმნილებებს ღუპავთ! ბრალი შენი, ბაბილონო, ცოდვილო მეძავო!

კოლკას გაუპარსავი ლოყებიდან ცრემლი სცვიოდა.

ეგონათ, რომ კოლკა ძაღლს დამარხავდა, მაგრამ გვამი შუა ქურჩაში მიატოვა და წავიდა. სულთანმა მკვდარი ძაღლი უკანა ფეხებით ასწია და სანაგვეში გადააგდო.

კოლკამ სმა დაიწყო, გამოუფხიზლებლად სვამდა. უფილტრო პაპიროსებს განუწყვეტლივ ეწეოდა. ყველა მანანნალაზე უარესი გახდა, აყროლებული და ჭუჭყიანი.

დასაღვეად ფულია საჭირო და კოლკამ ქურდობაც იკადრა. თავიდან მხოლოდ ტუქსავდნენ, რადგან კოლკას სულიერი გმირობა ახსოვდათ. მერე მსუბუქად მიტყეპავდნენ ხოლმე. ბოლოს კი, რაც ხელში მოხვდებოდათ, გამეტებით ურტყამდნენ. თუმცა კოლკა არ შოშმინდებოდა, იპარავდა და სვამდა. მისი მილიციაში ჩაბარება მოუწიათ.

კოლკამ დატუსაღებას ვერ გაუძლო, ვერც სევდას, ვერც საშინელ ნაბახუსევს დააღწია თავი და სოფლის წინასწარი დაკავების საკანში ამოხდა სული.

ის რელიგიური წეს-ჩვეულების დაცვის გარეშე, მუსულმანური სასაფლაოს გაღავნის მიღმა დამარხეს. რუსულად წესის აგება ჩვენს სოფელში თითქმის არავინ იცოდა. ვინც იცოდა – სოფელში რუსებიც იყვნენ – ამ საქმეში გარევა არ ინდომეს. უახლოესი ეკლესია და მართლმადიდებლური მღვდელი მხოლოდ გროზნოში იყო. არავის სურს მანანნალის სხეულის თრევა! მით უმეტეს, რომ სხეულით სატარებელი ვერცხლის ჯვარი კოლკამ სასმელში გაანიავა.

ამით კოლკას ისტორია დასრულდა.

და დაიწყო სხვა ისტორია, რომელიც ძნელი ასახსნელია.

სოფლის გადაღმა არხში, ლეკვების დასაყრელად, კვლავ ძუკნამ დაიბუდა. ოთხი ლეკვიდან სამი დედამ შეჭამა. დარჩა მხოლოდ ერთი ლეკვი, დიდი, შავი, გვერდებზე ნაცრისფერი ლაქებით. დედის მთელი რძე მას ერგო და ჯანმრთელი და ავი გაიზარდა.

სოფელში, განსაკუთრებით მის შემოგარენში, მუდამ ცხოვრობდნენ მანანნალა ძაღლები. ძაღლების დამჭერი ბრიგადები ხშირად ჩამოდიოდნენ და ძაღლებს სხვადასხვა სენის გავრცელების თავიდან ასაცილებლად იჭერდნენ. მაგრამ დადგა დიადი ქვეყნის აღსასრულის ჟამი, სანიტარულის ჩათვლით ყველა სამსახური მოიშალა და შავი ძაღლის დასაჭერად აღარავის ეცალა. ის გაიზარდა სანაგვეებზე, ახრჩობდა დაკარგულ ქათმებს და იმ შფოთიან დრომდე მოაღწია, როდესაც ქარმა ჩრდილოეთიდან დენტის ტკბილი სუნი და ომის სიმყრალე მოიტანა.

ერთ ღამით, შავი ძაღლი ჩვენს ქუჩაზე ხმამაღლა აყმუვლდა. სახლის ძაღლებმა გაბმული ყეფით უპასუხეს. მან იყმუვლა და ტყეში გაიქცა.

დილით კი საჭაერო თავდასხმა მოხდა. რუსულმა თვითმფრინავებმა ბომბები ბაზარში ჩამოყარეს და ერთბაშად ასობით ადამიანი მოკლეს და დაასახიჩრეს.

ძაღლი ხშირად მოდიოდა. ვიღაცის კართან გაჩერდებოდა და ყმუოდა.

მეორე დღეს კი მოღუშული, გამურული, ფედერალურ ჯარებთან შეჯახებებით გასავათებული მეომრები მეგობარს მოასვენებდნენ.

სოფლელებმა შავი ძაღლის მოკვლა გადაწყვიტეს, მაგრამ უხუცესებმა შეაჩერეს: უბედურება ძაღლს არ მოაქვს, ძაღლი მხოლოდ ამ უბედურებას გვამცნობს, გვაფრთხილებსო.

მშობლები შვილების სახალხო ლაშქრიდან დახსნას ცდილობდნენ. არაფერი გამოდიოდა. შავი ძაღლი დაიყმუვლებდა – რუსები მოვიდოდნენ და სახლიდან შეუიარაღებელ შვილს გამოიყვანდნენ. უკან კი აღარავინ ბრუნდებოდა.

დედებმა უხუცესებს უთხრეს: ძაღლის გაფრთხილება ფუჭია, რადგან არაფრის გაკეთება არ შეგვიძლიაო.

შავი ძაღლი დაიჭირეს, თოკით გაკოჭეს და განაჩენის გამოსატანად ჩვენს ქუჩაზე მოათრიეს. სოფლელების უმრავლესობას სანადირო, ორლულა თოფები ეჭირა, სხვები ავტომატებითა და პისტოლეტებით იყვნენ შეიარაღებულნი, მაგრამ სროლას ვერავინ ბედავდა. შიშობდნენ, შავ ძაღლს კიდევ უფრო მეტი უბედურება არ მოეტანა.

ხალხს წლებისა და მწუხარებისგან თმაშეთეთრებული სულთანი გამოეყო. მას შემდეგ, რაც მისი ვაჟიშვილები წაიყვანეს, გაგიჟებას ცოტადა ეკლდა.

სულთანს ხელში დიდი დანა ეჭირა, ის გაკოჭილი ძაღლის წინ ჩაცუცქდა, გაავებულ თვალებში ჩახედა და მშვიდად უთხრა:

– გამარჯობა, ეს მე ვარ, სულთანი, მიცანი? კოლკა, სახლში დაბრუნდი. ჩვენ შენთვის არაფერი დაგვიშავებია. აქედან წადი და საიდანაც მოხვედი იქ დაბრუნდი!

სულთანმა ძაღლის თათებზე დახვეული თოკი გადაჭრა. შავი ძაღლი ფეხზე წამოხტა და ჩრდილოეთით გაიქცა.

რაც შემდეგ მოხდა, მხოლოდ საკუთარი სიზმრებიდან ვიცი. აი, ძაღლი სატივროთო ავტომობილების და ჯავშანმანქანების ფარების შუქში გზის გასწვრივ მიძუნძულებს. აი, ის სამხედრო ნაწილთან ჩერდება და საველე სამზარეულოსთან რაღაცებს ჭამს. მერე კვლავ ველზე გარბის. ის გაირბენს სოფლებს, გვერდს აუვლის ქალაქებს, სანამ მთლად მთავარ დედაქალაქს არ მიადგება. დაუსხლტება რა მილიციასა და ძაღლების დამჭერ ბრიგადებს, ღამით მთავარ მოედანზე შეირბენს, რომლის გასწვრივაც დაკბილული აგურის კედლებია. ის ძველ ქვაფენილზე ჯდება, ხახას ცისკენ გამომწვევად იშვერს და ყმუის.

იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რასაც გამოღვიძებული ვხე-  
დავ, ძალს გზის ბოლოსთვის ჯერ არ მიუღწევია. ის გზაშია.  
და თუ თქვენს ეზოში, ან სახლთან პარკში, ან ტყის ველობზე, ან  
სკოლასთან, სადაც შვილები დაგყავთ შეამჩნევთ შავ, უსახლკარო,  
გვერდებზე ნაცრისფერლაქებიან ძალს, თქვენ გეცოდინებათ: ის  
კოლკაა, ღვთის გლახა.



## ზახარ პრილეპინი

პროზაიკოსი, პოეტი, ჟურნალისტი ზახარ პრილეპინი დაიბადა 1975 წელს სოფელ ილინკაში (რიაზანის ოლქი). დაამთავრა ნიჟნი ნოვგოროდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

მიღებული აქვს: ბორის სოკოლოვის პრემია (2004), „ლიტერატურნაია როსიას“ პრემია (2004), ჩინეთის საერთაშორისო ლიტერატურული პრემია 2006 წლის საუკეთესო საზღვარგარეთული წიგნისთვის (2007), პრემია „იასნაია პოლიანა“ (2007), ალექსანდრე ნეველის ისტორიულ-ლიტერატურული პრემია (2007), პრემია „ნაციონალური ბესტსელერი“ (2008), ბუნინის პრემია (2009), პრემია „წლის წიგნი“ (2014), პრემია „დიდი წიგნი“ (2014), ესენინის ლიტერატურული პრემია (2015), ივო ანდრიჩის პრემია, სერბია (2017), რუსეთის ფედერაციის მთავრობის პრემია (2017) და სხვა.



## ცხელი არყით სავსე ზაბინკები

ორი მეგობარი მყავდა, თმათეთრა და თმაშავა. პირველი შვიდი წლით უფროსი იყო, მეორე – შვიდი წლით უმცროსი.

პირველი ღამლამობით მირეკავდა და მუდამ ერთსა და იმავეს მეუბნებოდა:

– ძმაო, თავის მოკვლას რომ დააპირებ, გამაგებინე. ასეთი რამ მეც ვცადე, დაგეხმარები. გგონია, ყოველთვის ბედნიერი იქნები? გამოუცდელი ყმანვილი ხარ. გავა კიდევ შვიდი წელი და შავ ლულას პირში ჩაიდებ. ვიდრე ოფლიან და ყინულივით ცივ საჩვენებელ თითს სასხლეტს გამოჰკრავდე, გაიხსენე, რას გეუბნებოდი და დამირეკე.

– აუცილებლად, ჩემო დენის, როგორც კი ლულას ჩავიდებ, მაშინვე საჩვენებელი თითით შენი ტელეფონის ნომერს ავკრეფ.

– ოფლიანი თითით.

ტელეფონს დავცქერი, თითებს ერთმანეთს ვახებ და ვცდილობ, ყინულივით ოფლი შევიგრძნო.

უმცროსი მეგობარი ასეთ რამეებს არ მეუბნებოდა და დამცინავი, მაგრამ კეთილგანწყობილი თვალებით მიყურებდა. ის შავთმიან თავს ხრიდა და კეფაზე უჩუმრად დავცქეროდი.

– ...როგორ ფიქრობ? – მეკითხებოდა გულწრფელად, თუმცა ჩემზე უკეთ აზროვნებდა. რალაცნაირი მხედველობა ჰქონდა, ხედავდა იშვიათ ფერებს და უცნაურ ნახევარტონებს.

– მე საერთოდ არ ვფიქრობ, საშა, – ვპასუხობდი. მერე ერთმანეთს დიდ ბოკალებსა და პატარა სირჩებს ვუჭახუნებდით და მაგიდაზე ისე ვალაგებდით, როგორც ჭადრაკის დაფაზე.

ჩვენ ვწერდით სევდიან წიგნებს და რუსეთში ყველაზე ნიჭიერები ვიყავით, მაგრამ პირველს, უფროსს, თმათეთრას – და მესამეს, უმცროსს, თმაშავას ერთმანეთი არ უყვარდათ. სამაგიეროდ, მე მიყვარდა ორივე.

უფროსი იყო დაუდგრომელი და მძვინვარე. ქოთქოთებდა და ჩხუბობდა, იმორჩილებდა მთის მდინარეებს და ფრჩხილებით ფართე მკერდს იგლეჯდა. არაფერზე უარის თქმა არ იცოდა. ყველაფერი ერთდროულად უნდოდა – ბედნიერებაც, სახელიც და სიმშვიდეც, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა.

უმცროს ნათელი სახე და წკრიალა ხმა ჰქონდა, დადიოდა ამაყად, თითქოს ხელში უჩინარი დროშა უჭირავსო. უმცროსს ბევრი რამ გამოსდიოდა, მაგრამ კიდევ უფრო მეტის მიღწევა სურდა.

დღე თმათეთრასთან ერთად დაიწყო – განშორების მერე დედაქალაქში შევხვდით. ჩვენი მესამე წიგნი გამოიცა და წიგნის ბაზრობაზე დავეხეტებოდით სავაჭრო ფარდულებს, ნანგრევებს, სტენდებს, ხმის გამაძლიერებლებსა და მიკროფონებს შორის და ერთი სასაუბმიდან მეორე სასაუბმეში გადავდიოდით.

– ორმოცდაათ-ორმოცდაათი? – შევთავაზე მე.

– ას-ასი, – მაძალებდა ის.

– ორმოცდაათ-ორმოცდაათი და ლუდი.

– ლუდს არ ვსვამ.

ის ლუდს არ სვამდა.

– ას-ასი და ლუდი, – შევუკვეთე მე.

წიგნის ბაზრობას მესამე წრეს ვურტყამდით და ძალიან მოვი-

თენტეთ. ნერწყვს იმ ძალღებვიტ ვყლაპავდით, საჭმელს ხარბად რომ შესცქერიან.

დენისი დარწმუნებული იყო, რომ თითოეული ლუკმა, რომელიც ცხოვრებისგან ერგო, ნამდვილად იმსახურებდა.

მე კი პირიქით, საკუთარი ცხოვრების ყოველ წუთზე გუნებაში ვხარხარებდი და ვამბობდი: „ვინ ვარ მე? აქ საიდან გავჩნდი? რატომ დამიძახეთ? ეს ყველაფერი სერიოზულად ხდება?“

ცხოვრებისგან მიღებული სიკეთისა და სიხარულის ყოველი ულუფა გადამეტებულად მეჩვენებოდა. დენისი, თავის მხრივ, ნებისმიერი ულუფით უკმაყოფილო იყო. ეგებ, ღირდა ჩვენგან ერთი ნორმალური ადამიანის გამოძერწვა? თუმცა ჩემი თავი სრულიად მაკმაყოფილებდა, – მას კი არა.

ბუტერბროდებით და წითელი თევზით ნავიხემსეთ. დენისი უკმაყოფილოდ იმანჭებოდა: ეს რა თევზია, არც წითელია და არც მთლად თევზი.

– შენი თავი ხომ მოგწონს? – მეკითხებოდა და ისედაც ვინრო თვალებს კიდევ უფრო ავიწროვებდა. მისი თვალები სიმთვრალის ხარისხის მიხედვით იმღვრებოდა.

– კი! – ვპასუხობდი მხიარულად. – მომწონს! შენ – შენი თავი?

– ბოლო დროს სულ უფრო ნაკლებად, – მპასუხობდა, თუმცა მის ხმაში გაჟღერებული მტრული კილო არა საკუთარი თავისკენ, არამედ ჩემსკენ იყო მომართული.

მერე ეს განწყობა ქრებოდა და ახალ წრეზე მივდიოდით. მე ვკოჭლობდი, რადგან ახალი, ლამაზი ბატინკები მეცვა და ფეხი მქონდა გადაყველეფილი.

თმაშავას უნდოდა რევოლუცია ზევიდან, მე მსურდა რევოლუცია ქვევიდან, თმათეთრას კი ყოველგვარი რევოლუცია ძულდა.

– შენ არ გესმის, – ეს იყო ყველაზე ხშირად ნათქვამი ფრაზა, რომლითაც მომმართავდა.

– შენ ხომ ყველაფერი გაქვს, რევოლუცია რა ეშმაკად გინდა?

– რა შუაშია აქ „მე ხომ ყველაფერი მაქვს?“

– შენ არ გესმის.

ვიცინოდი და მერამდენედ ვცდილობდი რალაცის ახსნას.

– ძალიან სწრაფად ლაპარაკობ, – ერთი და იმავე ფრაზით მანყვეტინებდა. – სწრაფად და ბევრს.

– აბა, როგორ უნდა ვილაპარაკო?  
– ჭკვიანური რალაცები უნდა თქვა. ბევრი ჭკვიანური რალაც.  
თმათეთრა ბოროტად იცინოდა და თვალეებში პირშუშხას არაყი  
ულიცლიცებდა.

– სასაცილოა, – ასე ახსნა თავისი სიცილი.

ეს იყო მისი საყვარელი სიტყვა.

ზოგჯერ „სასაცილოა“ წარმოითქმებოდა სათუთად, ერთგვარი  
მამაკაცური სისინა ბგერებით.

სხვა შემთხვევაში „სასაცილოა“ ფურცელზე ბეჭედივით  
ირტყმებოდა. როდესაც ლაპარაკი ეხებოდა არასწორსა და სულე-  
ლურს, მაშინ ეს სიტყვა წარმოითქმებოდა მოკლედ და ყრუდ, რო-  
გორც ჩემს შემთხვევაში.

– მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, – შევთავაზე კეთილმო-  
სურნედ.

– აბა, მოდ-დი! – მპასუხობდა სულელური ხმით, ესეც მისი  
საყვარელი სიტყვა იყო.

– დღეს მაღაზიაში მამაკაცის საუცხოო სასაჩუქრე ნაკრები  
შევათვალიერე – გასაპარსი ქაფი, გელი შხაპისთვის და პრეზერ-  
ვატივი, – მაცნობა თმათეთრამ. – ეს ასეა: გაიპარსე, მიიღე შხაპი,  
წამოიცივი პრეზერვატივი და საგრილოდ მოუსვი. ჭკვიანურია.

მას ქალები ვნებიანად, მტანჯველად, დაულაღავად უყვარდა,  
ქალებს კი საპასუხო სიყვარულის გამოხატვის სურვილი არ ჰქო-  
ნიათ. ვფიქრობ, თმათეთრას ცოლისთვის არასდროს უღალატია.

ქალებზე ლაპარაკი არ მიყვარდა და მეოთხე წრეზე ხმამაღულე-  
ბლად ნავედით.

მერე ქუჩაში ვფიხზლდებოდით და ვარდისფერი სახეები გვე-  
მანჭებოდა.

– როგორი ლამაზი ივლისია, ღრუბლიანი და ნელი, თვალე-  
ბიდან ქრება... – ვთქვი და დუმილი დავარღვიე. – თვეების ძვე-  
ლი სახელწოდებები მომბეზრდა. ივლისს უნდა დაერქვას თეთრი  
გედების თვე, ნოემბერს – შავი წეროების თვე.

– ასეც შეიძლებოდა თქმულიყო: „არ ესროლოთ თეთრ გედებს“,  
– დაასრულა ჩემი აზრი თმათეთრამ და ლოყიდან ერთი კურცხალი  
მოიწმინდა. ის ხანდახან ტიროდა კიდევც.

დღე თმაშავასთან გაგრძელდა.

თმაშავა ცოლს გასცილდა. მას ქალები არ უყვარდა, სამაგიეროდ, ქალებს უყვარდათ გულში ჩამწვდომად. თმაშავას პოლიტიკა უყვარდა, პოლიტიკაში ყოფნა მოსწონდა.

მისი კარიერული წინსვლა თავბრუდამხვევი იყო. თმაშავას ლამაზი სახე და გიმნაზიელის წარმოსადგეობა ჰქონდა. მისი გაბრაზებული, მართალი კაცის აქსტების თვალყურის დევნება შეიძლებოდა ვამპირთა კრებებზე, თავს რატომღაც პოლიტიკოსებს რომ უწოდებდნენ.

თმაშავამ ისეთ სიმაღლეებს მიაღწია, ვეჭვობდი, ხელის ჩამოსართმევად თუ შევწვდებოდი. თუმცა შეხვედრისას დავმშვიდდი – ადვილად შევწვდი. მისი სრულებით არ მშურდა, ის თავის თავს კვლავინდებურად ირონიულად უყურებდა.

– ჩვენი შეხვედრა შემთხვევითი არ არის! – თქვა თმაშავამ და თვალები ფართოდ გაახილა.

სიტყვის იდეალური შეგრძნება ჰქონდა და შეეძლო პათოსით ესაუბრა.

– ეს შეხვედრა ჩემთვის სასარგებლო იქნება! – თქვა თმაშავამ. ის თვალებს ავინროვებდა და მაგიდის იქითა მხრიდან ჩემსკენ იხრებოდა.

– დღეს შესანიშნავი წინადადება მივიღე. იქიდან, – მან ოდნავ შესამჩნევად გაიქნია თავი.

ჩვენ კრემლთან, კაფეში ვისხედით.

ქონგურებს აღმაცერად გავხედე.

– რას ფიქრობ? – თმაშავა ასე ხშირად მეკითხებოდა. თმათერთა კი მხოლოდ იმას მეუბნებოდა, რას ფიქრობდა თავად.

– ვფიქრობ, ეს შესანიშნავია, – ვუპასუხე წრფელი გულით. – უნდა დათანხმდე.

– უკვე დავთანხმდი, – მიპასუხა საზეიმოდ და მტკიცედ.

თმაშავას იმ საღამოს არ დაუღევია, მაგრამ კაფე მაინც შევიცვალეთ, რათა კრემლის მაღალი, უსიცოცხლო კოშკებიდან ჩვენთვის არ ეთვალთვალათ.

ქუჩაში წვიმამ მოგვისწრო. თმაშავას წვიმა თმებიდან ლოყაზე ჩამოსდიოდა.

თმათეთრასთან ერთად ღამე ნაცნობის სახლში გავათიე, რომლის ქმარიც მივლინებაში იყო წასული. ამ თემაზე ცოტა ვიხუმრეთ

და ერთი ბოთლი არაყი დავლიეთ, მერე მეორეც.

ვსვამდით და ბევრს ვლაპარაკობდით, თმათეთრა – ალგზნებულად, მე – კეთილმოსურნედ. „სასაცილოა! – ხშირად იმეორებდა თმათეთრა, – სასაცილოა!“

– შენ რა, ანეკდოტებს უყვები? – ჩვენმა ნაცნობმა გვერდითი ოთახიდან გამოყო თავი.

– დიახ, ანეკდოტებს, – გამეცინა.

– დაქალმა უნდა შემომიაროს და აბა თქვენ იცით, როგორ გაამხიარულებთ.

თმათეთრა გამოცოცხლდა, სახე გამოუფხიზლდა.

დაქალი ძალიან საყვარელი გამოდგა და მისი გამხიარულება იმდენად სასიამოვნო იყო, რომ კიდევ ერთ ბოთლ არაყზე მოგვინია ნასვლა.

ისინი წინ მიდიოდნენ, თმათეთრა იყო თავშეკავებული და თავის თავში დარწმუნებული, გოგონა დამყოლი და ტიტინა. კოჭლობით მივყვებოდი.

– უკან რატომ რჩებით? – გოგონა შემობრუნდა და მკითხა.

– ახალი ბატინკები ვიყიდე და ძალიან მიჭერს, – დავიჩივლე.

ჩემს ფეხსაცმელს შეხედა და თქვა:

– ერთი ძალიან კარგი ხერხი ვიცი – თუ ბატინკები გიჭერს, შიგ ცხელი არაყი უნდა ჩაასხა.

მე და თმათეთრამ ერთმანეთს გადავხედეთ.

– ცხელი არყით სავსე ბატინკები, – გულში ჩამწვდომი ხმით წარმოთქვა თმათეთრამ.

– მოთხრობისათვის მშვენიერი სათაურია, – ვთქვი მე.

– ამ მოთხრობას პირველად მე დავწერ, – განაცხადა მან.

– არა, მე! – დავპირდი.

კარგი დრო გავატარეთ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თმათეთრამ გოგონას პანანა ფეხს მოჰკრა თვალი და ლირიულად აღნიშნა, რომ ყველაფერი პატარა უყვარდა.

კარადაში მაშინვე მოვძებნე პატარა, სათითესავით სირჩა და გოგონას შევთავაზე.

– ახლა პატარა სიგარეტს მოგიტან და პატარა რგოლებს გამოუშვებ, – სიცილისგან ვიგუდებოდი. – დილისთვის მოგიმზადებთ პატარა, ფრჩხილისხელა კოტლეტებს. მერე ფეხსაცმელს პა-

ტარა ზონარით შეიკრავ და ვინრო ბილიკით ნახვალ.

კიდევ დიდხანს ვიცინოდით. თმათეთრა ხმამალა გრუხუნებდა, მერე კი მოულოდნელად სევდა მოერია და ხუმრობის ხალისი გაუქრა.

შუალამით გოგონამ სამზარეულოში ბოთლებთან, პურისა და ყველის ნაჭრებთან დაგვტოვა. ჩექმებს დიდხანს იცვამდა, თმათეთრა კი ზემოდან დაჰყურებდა.

ღვიძლი ძმებზე მშვიდები დასაძინებლად ერთ ვეება სანოლში, თეთრ ზენრებსა და ფუმფულა ბალიშებზე დავენქით.

ღილით თმათეთრა მარწმუნებდა, რომ ღამით თავზე ხელს ვუსვამდი და ვეუბნებოდი: „ჩემო დიდო, თეთრო მეგობარო! არ გაბრაზდე!“

ნიგნის ბაზრობაზე კვლავაც საათის ისრებზე ვმოდრობდით და წრებს მშვიდად ვარტყამდით. თმათეთრა მტკიცედ მიაბიჯებდა, მე კი კოჭლობით და სანყლად. შესმული სასმელი ჩვენს სხეულებში ჩქაფუნობდა და ნათელი თვლებსკენ მოინევდა.

ვერ მოვითმინე და თმათეთრას თმაშავას გამარჯვებაზე ვუამბე.

– ამ ღილით ისეთ ადამიანად იქცა, ვერავინ წარმოიდგენდა, – ვჩქარობდი და ვცდილობდი, თმათეთრას ჩემი სიხარული გაეზიარებინა.

– სასაცილოა, – თქვა თმათეთრამ მოლუშული სახით. – ის არაფერი იყო და არაფრად იქცა.

– შენ რა, მართლა ვერაფერი გაიგე? როგორ შეგიძლია ასე ლაპარაკი? ჩვენს ქვეყანაში ას ორმოცდაათი მილიონი ადამიანია, ჩემი თმაშავა კი ამიერიდან ყველაზე მნიშვნელოვან, ყველაზე გავლენიან ადამიანთა ათეულში შედის.

– შენ ხომ ისინი მუდამ გძულდნენ, – მკითხა თმათეთრამ.

– ახლაც მძულს. იქ საშა ერთადერთი მართალი ადამიანი იქნება.

– სასაცილოა, – გაიმეორა თმათეთრამ.

– სულელი ხარ, – ვუპასუხე. ერთმანეთს არ წავჩხუბებდით. ეგ იყო, მეგობრის წარმატება მხოლოდ მე მიხაროდა და გულში რალაც ნაზად მილიტინებდა.

მორიგი წრის მერე კაფეში შევედით და მოციმციმე ტელევი-

ზორში თმაშავას ფერმკრთალ სახეს მოვკარი თვალი. ფოტოაპარატების ნათებით დაბრმავებული და ხანჯალივით ამოჩრილი მიკროფონებით დაჩხვლეტილი წმინდა სებასტიანივით იდგა. უურნალისტიები ნახევარწრეში ვერ ეტეოდნენ და თმათეთრა კედელზე მიაჭყლიტეს. ამართული ფოტოაპარატებით კეფას უღებდნენ, რომელსაც ახლახან ალერსით დავყურებდი და მსურდა, შავი ბაზუანვერასავით სული შემებერა.

– უყურე, უყურე! – თავი კვლავ ვერ შევიკავე. მინდოდა, თმათეთრასაც გახარებოდა, – ეს ის არის! ის არის! აი, ის!

სასიხარულო ამბის აღსანიშნავად ორმაგი დოზა გადავხუხეთ და ყოველ საათში ერთხელ ახალი ამბების საყურებლად კაფეში შევვრბოდი.

თმაშავა კაბინეტში ზის, თმაშავამ პირველი განკარგულება გასცა, რომელმაც სენსაცია მოახდინა. თმაშავამ ორ სახელისუფლებო კლანს შორის ძალთა თანაფარდობა შეცვალა.

– ახლა მაინც მიხვდი, რამდენს მიაღწია? – თმათეთრას მხარზე ხელი ვაძგერე. – ის ხომ ასეთი ახალგაზრდაა! მთლად ბავშვი!

თმათეთრა შეცბუნებული იყურებოდა და უკმეხად იჯდა. მაგიდაზე მისი თეთრი და მძიმე ხელები ელაგა, რომლებიც მუშტებად იკვრებოდნენ და უხალისოდ იშლებოდნენ, თითქოს დარტყმას მიპირებეს და ვერ გადაუწყვეტიაო.

– ადამიანებმა მინაზე ფეხის მოკიდება დაიწყეს, – თქვა ბოლოს თმათეთრამ, – ახლა კი მოვა მურტალი ყმანვილი, ყვავილებს გათელავს და ფესვებიანად დაგლეჯს.

– ვის რაში სჭირდება შენი ფესვები? – გავიცინე. – ჩვენ რა, პირველყოფილები ვართ? თვითონ ჭამე ფესვები...

წრეზე სიარულმა დაგვღალა და საღამოს ერთი ბოთლი კონიაკილა დავლიეთ, რომელმაც ორ ახალგაზრდა მწერალს სწრაფად და საბოლოოდ მოგვიღო ბოლო. ღამით აცივდა და ოფლში გახვითქულს გამომეღვიძა. ოფლს ალკოჰოლის მძაფრი სუნი ასდიოდა.

დილის ახალ ამბებში დაგვპირდნენ, რომ ჩემი თმაშავა მეგობრის დანიშვნასთან დაკავშირებით, შუადღისთვის საინტერესო სიახლეებს გვამცნობდნენ. გული ცუდს მიგრძნობდა, ოთახში ბოლთასა ვცემდი და მუცელს ვიფხანდი.

თმათეთრა შხაპქვეშ ბობოქრობდა და წყალს დგაფუნით ისხ-

ამდა. მან სწრაფ ნაკადად გადმოღვრილი ტონა წყალი გადაისხა და გამოვიდა მხნე და ჭრაჭუნა, როგორც ახალი კომბოსტო.

ამ დროს კი ტელევიზორის ეკრანიდან ამოხტომას ცდილობდა ყმანვილი – რამდენიმე წლის წინათ გადაღებულ ვიდეოში თმაშავა უზარმაზარი წითელი დროშითა და მიხაკისფერი უნიფორმით მოჩანდა, რომელიც მის თხელ, მაღალ სხეულს ძალიან შვენოდა.

– ჩვენი პრეზიდენტი იატაკის ჩვარია! – გაჰყვიროდა თავგადაპარსულ მოზარდთა ბრბოში, – ჩვენს პრეზიდენტს ისეთი სუნი ასდის, როგორც ოდეკოლონის ცარიელ ფლაკონს. შენობა უნდა გავანიავოთ.

– ეს რა არის? – გაუხარდა თმათეთრას.

მოზარდები ეკრანზე წვრილ, მუშტად შეკრულ ხელებს ზევით ისროდნენ და ხრინწმორეული ხმით მღეროდნენ – დიდება რუსეთს.

თმაშავა გათელეს – ვხედავდი ეკრანზე; თმაშავა მტვერში გასრისეს – მესმოდა მე; თმაშავა დამარცხდა – დავასკვენი.

– გაუგებარია, ასეთი შეხედულებების ახალგაზრდა კაცი ხელისუფლებაში როგორ აღმოჩნდა, – ტელენამყვანი სიტყვებს მკაფიოდ გამოთქვამდა და იქედნურ ღიმილს ძლივს იკავებდა.

ვინ იცის, როდის და როგორ გადაღებული მიტინგის ჩვენებიდან რამდენიმე საათში, პირადად ქვეყნის პირველი პირის თანხმობით, ჩემი მეგობარი კრემლის კედლებიდან გამოიყვანეს, სახლთან დასვეს და სამუდამოდ დაივიწყეს.

მან სალამოს დამირეკა და მკითხა, სად ხარო.

– ყოველთვის შენ გვერდით ვარ, – ვუპასუხე. – მოდი.

თმათეთრასთან ერთად ფულს ღორის ყურებსა და მაგარ სასმელებში ვხარჯავდი. ყურები კბილებში ხრაშუნობდა.

საშკა კაფეში დაბნეული და დანაღვლიანებული შემოვიდა, ასეთი არასდროს მინახავს. მან თავი გაიქნია და სახეზე ძლივს შესამჩნევი თბილი ღიმილი გამოესახა. მის დანახვაზე კინალამ ავტირდი და ჩემდა უნებურად ოდნავ გამელიმა.

თმათეთრა დაიმანჭა და არყით სავსე ვეება სირჩა ისე გადაკრა, ჭიქა არ მოუჭახუნებია.

– როგორ დამთავრდა ხელისუფლებისათვის ლაშქრობა? – იკითხა თმათეთრამ ისე, რომ კმაყოფილება არ დაუმაღავს.

– მე იქ სუფთა მივედი და სუფთა წამოვედი, – თქვა თმაშავამ

მტკიცედ, თან გრძელი თითებით მაგიდის დასრესილ სუფრას ას-  
ნორებდა.

– იქ რა ხდება? სიმაღლეზე როგორი ქარი ქრის? – არ ცხრე-  
ბოდა თმათეთრად.

– იქაც ჩვენნაირი ხალხია. ოღონდ უფრო უარესები.

– მე კი ვფიქრობ, შენზე უარესი არავინ არის, – უპასუხა თმა-  
თეთრამ. – შენ, ალბათ, თორმეტ წლამდე თასმებს ძიძა გიკრავდა.  
ახლა კი თქვენ... ო, როგორი ნამუსგარეცხილები ხართ.

თმათეთრამ კიდევ ერთი სირჩა გადაჰკრა და ხარის თვალებით  
სიტყვების გამეორება დაიწყო:

– სასაცილოა. ამის დედაც ვატირე, ძალიან სასაცილოა. სა-  
საცილოა.

– იქნებ, მოკეტო? – ვთხოვე.

– შენ ვინ ხარ? – მკითხა თმათეთრამ. – ორივეს ცარიელი თვა-  
ლები გაქვთ, არაფერს განიცდით. ტირილი თუ მაინც იცით? შენ  
ბოლოს როდის იტირე, შენ? – მაგიდაზე გადმოიხარა და შეეცადა,  
ჩემი სახე ხელისგულში მოექცია.

თავი დავიძვრინე. მეორე ხელი თმაშავასკენ წაიღო, თუმცა ვე-  
რაფერს გახდა.

სკამებიდან წამოვცვივდით და რალაც დრო სუნთქვაშეკრულე-  
ბი, სმენად ქცეულები და დაძაბულები ვიდექით.

– სისულელები? – ჩურჩულით იკითხა თმათეთრამ. – ბოლოს  
რა სისულელე ჩაიდინეთ? თქვენ გეკითხებით, – და მძიმე ხელი  
მაძგერა.

მაგიდასთან ისე დავჯექი, არაფერი მიპასუხია. ახალ ბატინკებ-  
ში ფეხზე დგომა ძალიან მტკივნეული იყო.

თმაშავამ ყბა ნერვულად შეათამაშა, დაჯდა, არაყი დაისხა და  
ისე დალია, არც კი გაგხსენებოვარ. მერე თავი დახარა და მისი კეფა  
ცივ ბრინჯაოსფრად განათდა.

– აქ რატომ მომიყვანე? – ისე მკითხა, თმაშავას თვალები არ  
აუნწევია.

– აქ რატომ მომიყვანე? – მკითხა თმათეთრამ, როდესაც ჩემი  
მზერა დაიჭირა.

– აქ ქელეხია, – ვთქვი და სირჩა ისე გადავკარი არავისთვის  
მიმიჭახუნებია.

ჩემი მეგობრები ადგნენ და წავიდნენ. მათთვის ზურგში არ შემიხედავს.

ოფიციანტს დავუძახე და ყელის ტკივილი მოვიმიზეზე. ქალმა გაკვირვებით და ყურადღებით დამიქნია თავი.

– შეგიძლიათ, ერთი ბოთლი ცხელი არაყი მომიტანოთ? – ვთხოვე.

– კარგით, გავაცხელებთ.

გავაცხელეს და მომიტანეს. ბატინკები გავიხადე, მაგიდაზე დავანყვე და არაყს მორიგეობით ვასხამდი ხან ერთ, ხან მეორე ფეხსაცმელში. ოფლის, ტყავისა და არყის სუნი ერთმანეთში გულისამრევად აიზილა.

– ახალგაზრდავ, რას აკეთებთ?! – შეჰყვირა ოფიციანტმა და ჩემთან მოირბინა.

ლანგარი ჭუჭყიანი არყით იყო სავსე.


დაცვის ბიჭები მოცვივდნენ და ხელი ალერსიანად წამავლეს. რამდენიმეჯერ უკან მივიხედე და ბატინკები შევათვალიერე, თითქოს ველოდებოდი, რომ კვალდაკვალ გამომყვებოდნენ.

მძიმე კარი ცხვირწინ მომიხურეს და ცეცხლში, ღრიანცელსა და ამქვეყნიურ ამაოებაში მიკრეს თავი.

მოსკოვში ფეხშიშველა გამოვედი.

მოთხრობა პირველმა დავწერე.

მე გავიმარჯვე.



## გუზელ იახინა

პროზაიკოსი გუზელ იახინა დაიბადა 1977 წელს ყაზანში. დაამთავრა ყაზანის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უცხო ენათა ფაკულტეტი, ხოლო 2015 წელს მოსკოვის კინოსკოლის სასცენარო ფაკულტეტი.

1999 წლიდან ცხოვრობს მოსკოვში.

მიღებული აქვს: პრემია „ნლის წიგნი“ (2015), პრემია „იასნაია პოლიანა“ (2015), პრემია „დიდი წიგნი“ (2015), პრემია „სირანო“ (2016), „მკითხველის“ პრემია (2017).



## შაშხანა

მოკლულს მაიამ შაშხანა სახლთან აართვა. თავიდან, ვერც კი მიხვდა, ჩვენიანი იყო თუ გერმანელი. ქვაფენილზე გამსკდარი ჭურვისგან პირდაღებულ ორმოდან მხოლოდ ფეხები და ხელები მოჩანდა. მოკლული ჩექმის წვერებით ორმოს მთელი ძალით ებჯინებოდა და შაშხანას ხელს ძლიერად უჭერდა. მაია შაშხანის ლულას ისე წაეტანა, რომ მიწიდან არ წამომდგარა – ორმო თავისას არ თმობდა. მაიამ მაგრად მოქაჩა, მამაკაცის თითები ტარს კავივით ეჭიდებოდა. როგორც იქნა იარალი დაემორჩილა, მისკენ ზანტად გამოცოცდა და უმაღ მიხვდა, რომ შაშხანას მოკლულის ხელი მოჰყვებოდა – უკან კი მსხვილ, მკვეთრ კვალს ტოვებდა, თითქოს ტუბიდან წითელი საღებავი გამოწურესო. მაიამ თვალები დახუჭა და მოკლულის თითები კონდახიდან ერთმანეთის მიყოლებით ააძრო. ახლა, ეს მისი იარალია – ახალი მაუზერი. შაშხანა მხარზე გადაიკიდა და სახლში შეფოფხდა.

როდესაც მეეზოვის ოთახის დაბალ რაფაზე ფეხით შედგა და მინებჩაღენილი ფანჯრის ზედა ჩარჩოს ხელისგულებით მიებჯინა,

აფეთქების ტალღამ უკან, ხმელ ტახტზე გადაისროლა, რომელზეც კვამლისა და ნესტის სუნით გაჟღენთილი საბანი იყო გადაფარებული. მაუზერი ზევიდან დაეცა. ერთხანს ასე იწვა, სული მოითქვა, იატაკზე ჩამოსრილდა, მხარზე სამედიცინო ჩანთა შეისწორა. მერე გასასვლელის მოსაძებნად ოთხზე დამდგარი კიბის ბაქანზე გავიდა. შაშხანას იატაკზე კაკუნით მიათრევდა.

ფანჯრები და სადარბაზოები ორ ქუჩაზე გადიოდა. ერთ ქუჩაზე ჩვენები იდგნენ, მეორეზე – გერმანელები. ქუჩა მოკლე იყო, მაგრამ გააფთრებული ბრძოლა დიდხანს გრძელდებოდა.

საინტერესოა, რამდენი დაჭრილი გამოიყვანა მაიამ? თოთხმეტი? ესე იგი, მის ჩანთაზე თოთხმეტი ადამიანის სისხლია.

მათი სახეები უკვე დიდი ხანია ერთ სახედ იქცა. მოკვნიტილი ტუჩები, პირის კუთხეებიდან – ნერწყვის ნაკადულები. ყვითელი, დაკრეჭილი კბილები, სახეში კი არყის ოხშივარი: „დაო! დაო-ო-ო!.. ოხ, როგორი ახალგაზრდაა...“ შუბლზე ღრმა ფოსოები, შავი ოფლი გრძელ წვერზე ნაკადებად ჩამოსდით. ჭუჭყიანი, სისხლით გათხუპნული ეს ადამიანები ყველაფერთან ერთად წარმოუდგენლად მძიმეები იყვნენ. მაია ფრონტის ხაზიდან მათ ისე მოათრევდა, როგორც ჯიუტი ჭიანჭველა ეზიდება გრძელ ლერწმას. ზოგჯერ გაჩერება უწევდა, მიწას ეყრდნობოდა და სხეულს უკნიდან აწვებოდა. ჩახერგილ ადგილებში კი დაჭრილებს მორივით მიაგორებდა. ვინც გრძნობაზე იყო, ცდილობდა მიხმარებოდა, მაგრამ ხელს უფრო უშლიდნენ. „ხელები კისერზე მომხვიე! – მკაცრად ეუბნებოდა და სპირტის სიმყრალისთვის თავი რომ აერიდებინა მკვეთრად ტრიალდებოდა (ოხ, ეს საფრონტო ასი გრამი!). – გესმის, ძლიერად მომხვიე!“ ომამდე ორმოცდარვა კილოს იწონიდა. ახლა, ალბათ, გახდა.

სამი მეტრძოლი ჭურვის ნამსხვრევებმა პირდაპირ მის ზურგზე მოკლა, ხუთი მოგვიანებით დაილუბა – საველე ჰოსპიტალში, დანარჩენები კი გადარჩნენ. ქალს გამოჯანმრთელებულეებთან შეხვედრა არ უყვარდა. რატომ გამოჰყავდა დაჭრილები? ერთხელ როგორღაც თქვა და დაამახსოვრდა: „ადამიანი ომში შაშხანასავით უნდა იყოს. თუ საჭიროა – უნდა ისროლო, თუ საჭირო არაა – უნდა მოიცადო“. საჭირო იყო და მოათრევდა.

ახლა მეთხუთმეტეს გადასარჩენად მიცოცავდა. გუშინ ჩვენებმა სახლი აიღეს, მაგრამ შენარჩუნება ვერ შეძლეს და უკან, ქუჩის

გადაღმა დაიხიეს. სხვენში რამდენიმე დაჭრილი რჩებოდა და მანამ უნდა გამოეყვანათ, სანამ გერმანელები სახლს კვლავ არ დაიკავებდნენ.

მეორე აფეთქებისას მაია პირველი სართულის კიბეზე ადიოდა. მან გადმოხტომა მოასწრო, სახე საფეხურებზე გულაღმა მიწოლილ დიდ, ჯერ კიდევ თბილ სხეულში ჩარგო და რბილ, სამხედრო ქურთუკს შუბლი მიაბჯინა. მერე ხელი ქვეშ შეუცურა, წამოსწია და სხეული ფარივით აიფარა. თუკი სროლა კვლავ განახლდა, ნამსხვრევებისა და ტყვიისგან დაიცავს. სხეული არ ეწინააღმდეგებოდა. თამბაქოსა და ოდეკოლონის სუნი ასდიოდა. გაიფიქრა: გერმანელია, მეტისმეტად სასიამოვნო სუნი ასდის. რამდენიმე წუთი ასე იწვა, მერე გამოცოცდა. მართლაც გერმანელი აღმოჩნდა, თანაც ოფიცერი. იარაღი არ ჰქონდა.

კიბეზე ასვლისას დროის შეგრძნება დაკარგა. რამდენი სართულია ამ დაწყვეტილ სახლში?! ეჩვენებოდა, რომ ხუთი. უკვე მერამდენე კიბის ბაქანი მოიტოვა უკან, საფეხურები კი არ თავდება. ოხ ეს მეთხუთმეტე, სადამდე ამძვრალა... კიდევ რამდენიმე სხეულს გადააწყდა – ერთი-ორი ჩვენთანის და ერთი-ორი გერმანელის. ერთიმეორეზე მიყრილები იწვნენ, თითქოს ეხუტებოდნენ. საინტერესოა, რომელიმე გერმანელი ცოცხალი რომ აღმოჩენილიყო, ზურგით გაათრევდა? თუ სასიკვდილოდ გაიმეტებდა, საფეხურებზე მიატოვებდა და ოფლიანი და ჭუჭყიანი თავისიანისკენ გაცოცდებოდა? გერმანელი კი მავედრებელ თვალებს გააყოლებდა და თავის ენაზე დაიწურჩულებდა: „დაო... დაო-ო-ო...“ ნუთუ მის მიტოვებას შეძლებდა?.. იქნებ, უნდა ესროლოს? მტერს ცოცხალს ხომ არ დატოვებს? შეძლებს კი? მაიამ არ იცოდა. იარაღი მოსაკლავად ჯერ არავისთვის დაუმიზნებია. სროლა უწევდა: მედღების კურსებზე ორი მჭიდი დაცალა. მოკვლით კი ჯერ არავინ მოუკლავს.

ბოლო, მესამე აფეთქებას სიჩუმე მოჰყვა. მაია კიბეზე მიძვრებოდა, ნიკაპით საფეხურებს ითვლიდა და სადარბაზოს სიღრმიდან საკუთარი სუნთქვა ესმოდა: ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა... ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა... მაუზერი ტაქტს ითვლიდა: ბახ... ბახ...

და მინც, საფეხურებზე ახობება ქალისთვის უფრო საძნელოა ვიდრე კაცისთვის – მკერდი უშლის ხელს. არადა, პატარა მკერდი აქვს. ყოველ ჯერზე იძულებულია საფეხურზე მკერდი ფრთხილად

მოათავსოს, ისე როგორც თაროზე. და რატომ პატარა? კარგად ახსოვს, დაჭრილი უფროსი ლეიტენანტი როგორ ამტერდებოდა. და არა მხოლოდ უფროსი ლეიტენანტი. ჰოსპიტალში რამდენჯერმე შეამჩნია, რომ გამოჯანმრთელებული ჯარისკაცები სხვადასხვანაირად შეჰყურებდნენ: ვინ – მამობრივი სიყვარულით, ალერსიანად, ვინ კი განსაკუთრებულად. დროა ამგვარ მზერას შეეჩვიოს: ახლახან თვრამეტი წლის გახდა.

ავტომატის გრძელმა ჯერმა სიჩუმე დაარღვია.

– Schneller! Kommt, Kommt! Dahin!<sup>1</sup> – ქვევიდან მტკიცე, ხმამალალი ხმა მოისმა და სადარბაზო ნალიანი ჩექმების ბრაგაბრუგით ავისო.

მაია ზევით, კიბის ბაქნისკენ აქანდა.

– Es gibt da jemanden! Aufwärt!<sup>2</sup> – იმავე ხმამ ბრძანება გასცა და ჩექმები საფეხურებზე ახმაურდა.

ავტომატის კიდევ ერთი ჯერი აკაკანდა. ჩემსკენ მოდიან, გაუელვა გონებაში.

ცდილობდა ფეხისწვერებით უხმაუროდ ევლო (ოცდათხუთმეტი ზომის კირზის ჩექმები არ იყო და ორმოცი ზომისა ეცვა). მაიამ პირველ კარს მხარი უბიძგა, მაგრამ დაკეტილი აღმოჩნდა! მეორე კარიც დაკეტილი იყო, მხოლოდ მესამე – უკანასკნელი გაიღო! ოთახის სიბნელეში შესრიალდა, კარი ფრთხილად მიხურა, მაგრამ მაინც დაიჭრიალა. გაიგონეს? ხელებს კარზე აფათურებდა, ჩამკეტს ეძებდა. აი, ისიც! დაკეტა და ხმამალალი ჩხაკუნი გაისმა. ეშმაკმა დალახვროს! ეშმაკმა დალახვროს! ჩექმების ბრაგაბრუგი ახლოვდებოდა.

მაია ერთი ხელით შაშხანას იხუტებდა, მეორით კი სივრცეში მიიკვლევდა გზას. როგორ ბნელა. სწრაფად... დერეფანი, საგარდეროზო ოთახი, ღია კარის წინ ჩამოფარებული ფარდა. სწრაფად!... კარი მოძებნა, სახელური გადაატრიალა და ფართე წინკარში აღმოჩნდა, მერე დარბაზში; მზის სხივი ფარდის მაქმანში ატანდა და დიდ, მრგვალ მაგიდასა და ოთახში მიმოფანტულ, ამოტრიალებულ ვენურ სკამებს ანათებდა. სად დაიმალოს? წინ გაიქცა: სასადილო ოთახი, სამზარეულო, საბავშვო ოთახი... დამტვრეული ავეჯი,

<sup>1</sup> სწრაფად! იმოძრავეთ, იმოძრავეთ! იქით! (გერმ.)

<sup>2</sup> იქ ვილაცაა! ზევით! (გერმ.)

გამოშიგნული ზანდუკები, მიმოყრილი ნივთები...

გარედან რალაც მძიმედ დაბრახუნდა, ჭახაჭუხი გაისმა – საკეტს ამტვრევდნენ. მაია დარბაზში გავარდა, რომლის კედლებშიც ორი მაღალი, ნახევრად შემინული კარი იყო დატანებული. მინას მძიმე ფარდები ფარავდა. კარი ყურთამდე ღია იყო და კედელში ჩამაგრებულ კაუჭებზე ნამოცმული სპეციალური ხავერდის ლენტები იჭერდა. მაია ერთ-ერთი კარის უკან დადგა და შაშხანა მკერდზე მიიხუტა. თუკი კარის უკან არ შემოიხედეს, ისე ვერ მოძებნიან. თუკი...

– Haben Sie hier geguckt?<sup>1</sup> – კვლავ ის მბრძანებლური ხმა.

– Noch nicht, Herr Oberleutnant.<sup>2</sup> – სხვა ხმა, მთლად ახალგაზრდის.

– Schauen Sie Mal hier überall.<sup>3</sup> – ვილაცამ ფანჯარასთან გაიარა, ალბათ, მტკიცე ხმის პატრონმა.

სკამი იატაკიდან აიღო, ხმაურით დადგა და დაჯდა. სკამი საცოდავად აჭრიალდა. მძიმე მამაკაცია, ოთხმოცდაათი კილო მაინც იქნება, დაასკვნა თავისთვის. ასეთს მარტო ვერ გამოათრევ. მოკლე ჩხაკუნი გაისმა (სანთებელა!). მაიამ თამბაქოს კვამლის სუნი იგრძნო. ოფიცერმა, მეორე ოთახში რომ დააბოტებდა, გააბოლა, ის ნივთებს ხმაურით ყრიდა აქეთ-იქით და კუთხეებში იხედებოდა. სხვებიც მოვიდნენ. გერმანელები საუბრობდნენ, იცინოდნენ. მაიამ წყლის რაკრაკი გაიგონა. სიცილზე მიხვდა, რომ ჯარისკაცები ოთახის კედლებზე შარდავდნენ. უცებ გაახსენდა, რომ მთელი დილაა ტუალეტში არ შესულა და მაშინვე თვითონაც მოუნდა.

– Scheißbeutel!<sup>4</sup> – ბრაზმორეულმა ოფიცერმა იღრიალა – Aufhören!..<sup>5</sup>

ჯარისკაცებმა ხარხარი შეწყვიტეს. ოფიცერმა ერთხანს კიდევ იყვირა, მერე კი ბრძანებები გასცა. რამდენიმე ჯარისკაცი გაიქცა, დარჩენილებმა აყირავებული სკამებისა და მაგიდის ფეხზე დადგმა და ავეჯის გადაადგილება დაიწყეს. რას აპირებენ?..

<sup>1</sup> აქ ნახეთ? (გერმ.)

<sup>2</sup> ჯერ არ გვინახავს ბატონო უფროსო ლეიტენანტო (გერმ.)

<sup>3</sup> ყველაფერი შეამონმეთ (გერმ.)

<sup>4</sup> გერმანული გინება.

<sup>5</sup> შეწყვიტეთ! (გერმ.)

ცდილობდა არ ესუნთქა. რა ბედნიერებაა, რომ მაუზერი იატაკზე დააყუდა და მხარზე არ გადაიკიდა! როგორც ჩანს, აქ დგომა დიდხანს მოუწევს... ოთახში დარჩენილი ოთხი თუ ხუთი გერმანელი რალაცისათვის ემზადება. თოფის საკეტების გაჩხაკუნებაზე მიხვდა: ომისთვის.

– Noch zwei Minuten, – გაისმა უფროსის ხმა და დანარჩენები დადუმდნენ.

– Eine Minute.<sup>1</sup>

ისეთი სიჩუმე ჩამოდგა, რომ მაია შიშობდა მეტისმეტად ხმა-მალალი ამოსუნთქვით ან ტანსაცმლის შრიალით თავი არ გაეცა.

– Dreißig Sekunden... Jetzt.<sup>2</sup> – ეს მშვიდად და მტკიცედ ითქვა.

ერთ წამში აფეთქების ხმა გაისმა. იატაკისა და კედლების სუსტი შექანებით მაია მიხვდა, რომ ჭურვი სახლის ახლოს აფეთქდა.

– Was für ein Tagist heute?<sup>3</sup> – ჩუმად იკითხა ერთმა გერმანელმა.

– Sonntag,<sup>4</sup> – ასევე ჩუმად უპასუხა მეორემ.

სროლა ისე მოულოდნელად დაიწყო, როგორც აგვისტოს თავსხმა წვიმა. მაიას მოეჩვენა, რომ ყველგან ისროდნენ: ქუჩაზე, გვერდითა ბინებში. ერთ გაელვებაში ოთახი გრუხუნითა და ლანალუნით, ადამიანების შეძახილებითა და გერმანელების გინებით აივსო. ოთახში თითქმის შეუჩერებლად ისროდნენ. რკინა ღრჭი-ალებდა, იარაღის საკეტები ტკაცუნობდა, მასრები იატაკზე რკინის წვიმასავით ცვიოდა, ბოლისა და დენტის სუნი კი თვალებს წვავდა. ხანგრძლივმა გრუხუნმა მაიას საფეთქლები აატკივა.

თუ ტყვია ფიცარს მოხვდება გახვრიტავს და მომკლავს? თუ ხეში ჩარჩება? და თუკი მინას მოხვდა?..

მაიამ შეამჩნია, რომ ოთახში უკვე ერთი ავტომატი ისროდა და დანარჩენებზე უფრო შეუპოვრად კაკანებდა, თუმცა ბოლოს ისიც დადუმდა. სახლში კიდევ ისროდნენ. მაიამ რამდენიმე წუთს მოიცადა და თავშესაფრიდან გამოიხედა. ოთხი მოკლული გერმანელი ფანჯრებთან მიწოლილიყო. მეხუთე, ოფიცერი – შუაგულ ოთახში ეგდო. გოგომ კარის უკნიდან გამოაბიჯა, შუა ოთახში მდგარ სკა-

<sup>1</sup> კიდევ ორი წუთი... ერთი წუთი (გერმ.)

<sup>2</sup> ოცდაათი წამი... ახლავე (გერმ.)

<sup>3</sup> დღეს კვირის რა დღეა? (გერმ.)

<sup>4</sup> კვირა (გერმ.)

მზე ჩამოვდა და ცდილობდა გვერდით მწოლი ოფიცრისთვის არ შეეხედა. შაშხანა იატაკზე დააყუდა და შუბლით დაეყრდნო. ერთხანს ასე იჯდა.

ავტომატი აიღოს? აი, რამდენი ყრია... არა, ეს შაშხანა უკვე ახლობელი გახდა, მასთან ერთად რამდენი რამ გადაიტანა. იქნებ, ბედნიერების მომტანი თილისმაა? ამიერიდან, მასთან ერთად ივლის.

კიბიდან იშვიათი სროლა ჯერ კიდევ მოისმოდა. უცებ შემოსასვლელ კარს ჩექმა მიენარცხა და ოთახში რამოდენიმე კაცი შემოვარდა. სულელო! სულელო! თავშესაფრიდან დროზე ადრე გამოვიდა! უკან უნდა დაბრუნდეს! მაია კარის უკან დამალვას ველარ ასწრებდა, იმ მხრიდან აჩქარებული ნაბიჯების ხმა ახლოვდებოდა.

მაუზერს ხელი სტაცა და გვერდით ოთახში შევარდა. ბედად, უამრავი ოთახია და თანაც ერთმანეთზე მძივებოვით არიან ასხმულები. მაგიდის ქვეშ შეძვრა და თითქმის იატაკამდე დაშვებული სუფრის ქვეშ გაიტრუნა. სიტყვების ნაწყვეტები გაიგონა, ისევ გერმანელები იყვნენ!

ოთახში სხვებმაც შემოირბინეს და სროლა ატყდა. ისროდნენ შაშხანებიდან და პისტოლეტებიდან. ვილაც იატაკზე ხმაურით დაეცა. მაია იატაკზე გაცოცდა, ცხვირი მაგიდის მრგვალ, მსხვილ ფეხს მიაბჯინა, რომელიც კარზე გაცილებით მსხვილი იყო. ტყვია რომ მოხვდეს, გახვრიტავს?..

რამდენიმე ადამიანი ოთახში შემოვიდა. სუფრის ფოჩებიდან სამი წყვილი ფეხი დაინახა. ისვრიან.

მაგიდის ზედაპირი ისე შეხტა, თითქოს ლურსმანი ჩააჭედესო. ეს ტყვია იყო. რა უცნაური აზრია: მე არასოდეს შემიღებია ტუჩები დედაჩემის წითელი პომადით. რამდენჯერ მინდოდა მეცადა, მაგრამ არ შემიღებავს. მაგიდის ზედაპირი კიდევ შეხტა – მეორე ტყვიაა.

უცებ – Oh, Shande!<sup>1</sup> – ვილაცის მძიმე სხეული მოკლე შეძახილით მაგიდის ფეხთან დავარდა. მისი სახე მთლად ახლოსაა. სქელი, სილურჯემდე გაპარსული ლოყები ჟელესავით ქანაობდა. გერმანელს თვალები ღია ჰქონდა, მაგრამ მაიას ველარ ხედავდა.

ორნი სროლას განაგრძობდა. ერთს ტყვიები გაუთავდა, პისტოლეტი მოისროლა და მოკლულ ამხანაგს მივარდა. მაია მაგი-

<sup>1</sup> გერმანული გინება

დის ქვეშ ოთხზე დადგა. გერმანელი ცხედრის მუხლებთან დაეშვა და ხელიდან ვალტერი რომ გამოჰგლიჯა მაგიდის ქვეშ მოძრაობა შენიშნა. დაიხარა, გადასაფარებლის ბოლო ახლახანს მისაკუთრებული ვალტერით ასწია და მათი თვალები ერთმანეთს შეეფეთნენ. მაია ხედავს ელვარე მოყვითალო-მოყავისფრო თვალებსა და შავ, დიდრონ, ბარდის მარცვალისფერ გუგას. გუგები იკუმშება. გერმანელის თვალები ვეფხვის თვალებად გადაიქცა და სასხლეტს დაანვა. ყრუ ჩხაკუნი – პისტოლეტმა უმტყუნა და საკეტის სწრაფად გადატენას ცდილობს. მაიამ ხელისგულებით შაშხანას სიცივე შეიგრძნო – აი, რატომ ათრია მთელი დღე! თუმცა იარაღის აწევას და დამიზნებას უკვე ვეღარ მოასწრებს. ყველაფერი სულელურად გამოვიდა...

უცებ გერმანელი მთელი სხეულით შექანდა – ზურგიდან რალაცამ უბიძგა (ტყვიას!) და სახით წინ გადავარდა. თუმცა დაცემამდე ამობრუნება მოასწრო და რამდენჯერმე ისროლა. მაიამ მაუზერს ხელი დასტაცა, ოთხზე დამდგარი მაგიდის ქვემოდან გამოძვრა და მომდევნო ოთახში გავარდა, რომელიც ბოლო გამოდგა, საიდანაც მხოლოდ აივანზე თუ გახვიდოდი.

მაია აივანზე გაქანდა და ზურგით კედელს აეკრა. აივნის კარი ჩაუკეტავი დარჩა – მიხურვა ვერ მოასწრო. მიხვდება გერმანელი, რომ ის აქაა? თუ კიდევ უფრო ადრე ქუჩიდან დაუმიზნებენ? მზე თვალებში აჭყიტებდა და ვერ ხედავდა ქვემოთ რა ხდებოდა.

ესმის როგორ შემოდის ოთახში, ფეხაკრეფით, მსუბუქად მოაბიჯებს. მეპარება, არამზადა! რამდენიმე ნაბიჯის მერე ჩერდება. აივანთან არ მოდის. ხომ ხედავს, რომ კარი ღიაა, – მასთან თამაში გადანყვიტა? მიზანში ჰყავს ამოღებული და უცდის ნერვები როდის უმტყუნებს? ძალიშვილი!

მოვკლავ.

მაია საკეტს ნელა ხსნის, მჭიდში ტყვიები აწყვია! უხმაუროდ კეტავს! მზე სივრცეს შუქით ავსებს. ზურგს კედელს აცილებს და გრძელი, შაშხანა მომარჯვებული ჩრდილი ოთახს გარდიგარდმო ეცემა. მაია გერმანელს ხედავს.

ოდნავ მოხრილი ფეხებით, ოთახის შუაში გვერდულად იდგა მაღალი, გამხდარი, მიხაკისფრად შემოსილი გერმანელი და გამოშვრილ ხელში შავი პისტოლეტი დაძაბულად ეჭირა. მაია ისვრის

და კონდახი მტკივნეულად ხვდება მხარში. ტყვიის დარტყმა გერმანელს ტირის თუნუქის ფიგურასავით ატრიალებს, პისტოლეტი გვერდით მიფრინავს და კედელს ენარცხება. დაჭრილი კისერს ძლიერად აბრუნებს, თვალებით მაიას ეძებს და აკანკალებული მუხლებით ძირს ეშვება.

ღმერთო, ის ხომ მთლად ბავშვია!.. მაიას უზარმაზარი, შიშით აღსავსე, აცახცახებულ წამნამებიანი ნაცრისფერი თვალები შეჰყურებს. ბიჭს გუგები მონეტებივით აქვს გადიდებული. მიტკლისფერ სახეზე ნიკაპი უცახცახებს, პირის კუთხეები დაძაბულობისგან ნაპირებისკენ გასწეულია, თითქოს ძაფებით დაუჭიმესო. გახშირებულად, მაგრამ ოდნავ შესამჩნევად სუნთქავს. დიდი, ვერცხლის პრიალა თავისქალიანი ქუდი კეფაზე ჩასცურებია, ერთი ყური მეორეზე მაღლა აშვერია. მოკლე შარვლიდან კი გრძელი ფეხები მოუჩანს.

ბიჭი იატაკზე პირაღმა დაეცა. იქაურობა მთლად მიჩუმდა. მარჯვენა მკერდზე მუქი ლაქა ამჩნევია, საიდანაც სისხლი ჟონავს და აქეთ-იქით მიცოცავს. რთული ჭრილობაა, პირდაპირ საოპერაციო მაგიდაზე...

რა უნდა ქნას? მაია მის პირდაპირ დგას, მაღალი, დიდი, შაშხანა მომარჯვებული. კეფაზე მზე დაუნდობლად აცხუნებს. ბიჭისკენ ერთი ნაბიჯი გადადგა და მისი სახე დაინახა: ცოცხალია, ღია თვალებით ჭერს შეჰყურებს და ბაგეებით უხმოდ რაღაცას ჩურჩულებს. რამდენი წლის იქნება – თორმეტის? ცამეტის?

როგორ მოხდა, რომ ვერ შევამჩნიე?.. რომ შემემჩნია, რა, არ ვესროდი? დიახაც ვესროდი, არადა ის მესროდა. და ახლა რა, ბოლო მოუღოს? აი ასე, ზემოდან ქვემოთ სახეში უყუროს და ისე? ოფლის ცივი ნაკადი ხერხემალზე ეშვება.

მაია გრძნობს, რომ თითები ტკივილისგან ტეხს. ისე დიდხანს და მაგრად უჭერდა შაშხანას, რომ თითები გაუქვავდა. ხედავდა გათეთრებული თითებით ბიჭი იატაკს როგორ ფხოჭნიდა. აი, შეცინგლიანო ჯარისკაცო...

და მაინც, ნუთუ ბოლო უნდა მოუღოს? ისე რომ შაშხანა არ დაუშვია კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა მისკენ. მაიას დანახვაზე ბიჭს თვალები დაებრიცა. ლამაზი თვალები ჰქონდა, გრძელწამნამიანი, თითქოს შეღებილიაო.

– Du hast Mamas Haare,<sup>1</sup> – დაიჩურჩულა.

მაიამ იარალი დაუშვა. არა, არ შემოძლია.

ვერავინ გაიგებს, რომ ცოცხლად დატოვა. იქნებ, მისიანებმა წაიყვანონ. მაია კედელს გასასვლელისკენ ისე მიუყვებოდა, რომ ბიჭისთვის თვალი არ მოუცილებია. ბიჭი მზერას აყოლებდა. ნორჩი სახე აქვს, ნაზი კანი, ალბათ წვერი ჯერ ერთხელაც არ გაუპარსავს. წვრილ კისერზე ხორხი არ იკვეთება. თმები ბურბუშელასავით აყრია. გაიფიქრა, რა ძალიან ჰგავს ჩემს...

– Hilf mir,<sup>2</sup> – როდესაც კარებთან მივიდა, ძლივს გასაგონად თქვა დაჭრილმა.

დახმარებას მთხოვს?

მაია ოთახიდან გადის, კარის წირთხლს ზურგით ეყრდნობა. იქნებ თოთხმეტი წლისაა?

ქვევით კვლავ სროლა ატყდა. აქაურობას სწრაფად უნდა გაეცალოს, ახლავე. თუ გინდა გადარჩე, კიბზე სწრაფად ჩაირბინე...

ოთახში ბრუნდება, ბიჭის გვერდით მუხლებზე ეშვება, თეთრ სახვევს მკერდზე აჩქარებით ადებს და მის ხელს მხარზე იგდებს; კისერზე მომეჭიდე, მაგრად!

იატაკს ფეხებით დაებჯინა, მუხლები გამართა, წამოდგა და დასუსტებულს ერთი ხელი კისერზე მოხვია. ბიჭი მაიას მარცხენა მხარზე ეკიდა, მარჯვენა მხარზე კი მაუზური ქანაობდა. როგორი მსუბუქი ბიჭუნაა. ჩემზე მსუბუქი. აბა, წინ!

ნაბიჯის გადადგმა უჭირს, ფეხს ვერ იმორჩილებს. სქელ-ლანჩიანი, შავი პრიალა ტყავის ბატინკები აცვია (როგორც ცა და დედამიწა ისე განსხვავდება მისი კირზის ჩექმისგან) და იატაკის ფიცარს კარგად ეჭიდება. ბიჭს თითქმის მიათრევს, რომელსაც ერთი ხელი მაიაზე აქვს გადადებული, მეორეთი კი მუქ ლაქას იფარავს, რომელიც მკერდზე აქეთ-იქით მიცოცავს და ფართოვდება.

მომდევნო ოთახს მიაღწიეს და ცოტა ხნის წინ მოკლულებს ჩაუარეს. აი, გალურჯებულ ლოყებიანი მსუქანი, კვლავინდებურად მაგიდასთან წევს, გვერდით კი სწორედ ის ვეფხვისთვალეა გდია და პისტოლეტს კვლავინდებურად ხელს უჭერს... აი, კარი, რომლის

<sup>1</sup> დედაჩემივით თმები გაქვს (გერმ.)

<sup>2</sup> დამხმარე (გერმ.)

უკანაც იმალებოდა. კარი ტყვიებისგანაა დაცხრილული, მინა კი ნამსხვრევებადაა ქცეული. დერეფანში ბნელა. ფეხები გადაადგი, ბიჭუნა, არ მოეშვა.

მის კანს დენტის სუნი ასდის და თითქოს რძიანი ყავისაც. მაიას კარგად ახსოვდა ეს სუნი: რძიან ყავას სკოლაში ოთხშაბათობით ურიგებდნენ ხოლმე.

სულ უფრო და უფრო სწრაფად სუნთქავს და პირდაპირ ყურთან ამოიქშინა:

– Romm. Ich heiße August Romm.<sup>1</sup>

სულელი, გამონახა რალა ლაყბობის დრო.

აი, გასასვლელი კარიც. კარგია, რომ შემტვრეულია, საკეტის ხელის შეხებით მოძებნა საჭირო აღარაა. გვერდულად გავძვრეთ, გვერდულად...

ახლა ყველაზე ძნელი – კიბე. აქ ვერსად დაიმალები. გადარბენებით წავალთ. სწრაფად დავეშვებით მეოთხე სართულზე და კართან დავისვენებთ. მერე მესამე სართულზე და ასე ბოლომდე. გაიგე?

– Ich bin vierzehn,<sup>2</sup> – ჯიუტად მის ყურთან სუნთქავს.

მოგუდული ხმით ჩურჩულებს, თითქოს ხრიალებს. როგორი ყბედია! ძალ-ღონეს გაუფრთხილდი...

კიბეზე ეშვებიან – სწრაფად, სწრაფად! ვაი თუ კოტრიალით ჩავგორდეთ... მეოთხე სართულამდე ჩააღნიეს და დასასვენებლად რამდენიმე წამით კედელს მიეყრდნენ. ბიჭი მძიმედ სუნთქავს, კვნესის. მაიამ ხელი პირზე ააფარა: ჩუმად!

ქუჩაში სროლა მატულობს. თუკი ვინმე სადარბაზოში შემოირბენს და კიბეზე ამოვა, როგორ უნდა მიხვდე ჩვენთანია თუ გერმანელი? მაიამ გადაწყვიტა, რომ აღარ მოიცადოს და თუკი ღია კარს იპოვის, ოთახში შეათრევს.

მესამე სართულზე, ქვევით – ნაბიჯით იარ! ხელები გაატოკე, ბიჭუნა! აი, მაიას ძველი ნაცნობები – ერთმანეთში ჩახვეული ოთხი ცხედარი. ბიჭმა მათ ვერ გადააბიჯა და იატაკზე ჩაიკეცა. მაიამ ხელი ილღიაში ამოსდო, გვამებზე გადაატარა და მესამე სართულამდე ზურგით შეტრიალებულმა ჩაათრია. ბიჭის ბატინკები

<sup>1</sup> რომი. ავგუსტ რომი მქვია (გერმ.)

<sup>2</sup> თოთხმეტი წლის ვარ (გერმ.)

საფეხურებზე აბრაახუნდა.

ბინის კარს მიეყრდნენ. ბიჭი ცუდად დგას, ფეხები ელუნება. ხელი, რომელსაც ქრილობაზე იჭერს მთლად გაუნითლდა. აი, აგერ, შენი სისხლიც ჩემს ჩანთაზეა, მეთხუთმეტეც... ნახევარი გზალა დაგვრჩა, ბიჭუნა, გაუძელი!

– Ich hatte drei Brüder. Alle im Krieg gefallen,<sup>1</sup> – სუნთქვა უჭირს, სიტყვები თითქმის არ განირჩევა.

აი, ენატარტარა! ძალები დაზოგე, ვის ვეუბნები!

მეორე სართულამდე დიდხანს ეშვებოდნენ. კიბის ბაქანზე ცხადი გახდა, რომ ბიჭი სიარულს ველარ შეძლებდა და მაიამ ის ზურგზე აიკიდა. ამას ადრევე უნდა მიხვედრილიყო, რამდენი დრო დაიკარგა!

მეორე სართული. მეთხუთმეტეც, მოითმინე, თითქმის მივედით. მაიამ ბიჭი კედელთან დასვა და მხარზე შაშხანა შეისწორა. ბოლო სართულია დაგვრჩა და...

– Sich zerstreu'n! – ძალიან ახლოდან, პირველი სართულიდან ხმები და ბრაგუნის ისმის. – Die erste Gruppe - nach links! Die zweite - nach rechts!<sup>2</sup>

ემშაკმა დალაზგროს! მაიამ უახლოესი კარის სახელურს ჩააგლო ხელი – ღიაა! მერე ბიჭისკენ შეტრიალდა, რომელიც კედელთან ნაჭრის თოჯინასავით გვერდზე გადაქანებული იჯდა, ორივე ხელის-გული მკერდზე მიედო და ყურადღებით შეჰყურებდა. იმასსოვრებს?

ქვევით ბრაგაბრუგი ძლიერდება. შენიანები არიან, გესმის? მაღე გიპოვნინან. თუ გაგიმართლა, შესაძლოა სიკვდილს დაუძვრე. მაიამ თვალი ჩაუკრა – პასუხად ბიჭმაც ჩაუკრა.

მაია შაშხანას ფრთხილად იჭერს და კარის ქუჭრუტანაში იჭყიტება. ამ სახლიდან უნდა წავიდე. არ ვიცი როგორ, მაგრამ აუცილებლად უნდა წავიდე. ოთახებში დაძვრება. ოთახის ფანჯრები ქუჩის იმ მხარეს იმზირებიან, რომელიც ჩვენიანების ხელშია. მაია ფანჯრების გასწვრივ დაქრის და სახანძრო კიბეს დაეძებს. მონესრიგებულ სახლებში ყოველთვისაა სახანძრო კიბე! წელში მოხრილი, ფანჯრის ღიობებს შორის დახტის. ისლა აკლდა თავისიანებს მოეკლათ. მეორე ფანჯარა, მეხუთე, მეშვიდე...

<sup>1</sup> სამი ძმა მყავდა. ყველანი ომში დაიღუპნენ (გერმ.)

<sup>2</sup> გაიფანტით!.. პირველი ჯგუფი მარცხნივ! მეორე – მარჯვნივ (გერმ.)

ხომ ვამბობდი! აი ისიც – საყვარელო, საყვარელო! მაია ფანჯრის რაფაზე შეხტა და ერთი ნახტომით სხეული მარჯვნივ გატყორცნა, სადაც შავად მოჩანს ჟანგიანი კიბის რკინის წვრილი ღერძები და მათ თითებით ეჭიდება. კიბე ყრუდ კვნესის, ცახცახებს და აგურის კედელს ეხლება. მაია კიბეს ფეხებით ეხება და ჟანგისგან შეჭმული რკინის ღერძებით ქვევით ეშვება. ოღონდაც მისიანებმა არ ამოიღონ მიზანში! შაშხანა ბეჭზე ეხლება.

მომდევნო ღერძი ფეხქვეშ ემტვრევა, კიდეც და კიდეც. მაია მინისკენ მიფრინავს და ხელისგულები და იდაყვები ჟანგიან რკინაზე ეყვლიფება. გაისმის გახეული ქსოვილის ფხრინინი და გიმნასტურის ნაგლეჯი კიბეზე რჩება. მაია ქუჩას ზურგით ენარცხება და კეფას ძლიერად ახლის. მერე მუცელზე ბრუნდება და მუხლებით და იდაყვებით მიხობავს. ამჩნევს, მაუზური ზურგზე აღარ ჰკივია. შეტრიალდა: კიბეს წამოდებული შაშხანა ერთ-ერთ ჩამოტეხილ ღერძზე ქანქარასავით ქანაობს.

შაშხანა შეებრალა, ძალიან შეეთვისა.

ვერაფერს გაანყობს. მაია სწრაფად მიცოცავს კედლიდან ლობემდე, ლობიდან ხეებამდე, ხეებიდან ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მდგარ სახლამდე, სადაც დანახშირებულ საბურავებიანი ავტომანქანა ამობრუნებული იწვის. ქუჩაში კვამლის სუნი დგას, იქაურობა ყვითელი მასრებითაა მოფენილი, რომლებიც ერთმანეთზე დაცემისას წკარუნობენ. ქუჩაში არავინაა. სინყნარეა. მაღლიდან სუსტად მოისმის თვითმფრინავების გუგუნი.

ალბათ ის დიდი ხნის წინ შეამჩნიეს და შაშხანების სამიზნეებიდან უყურებენ. უცდიან, ახლოს როდის მიხობდება. ამხანაგებო, თქვენიანი ვარ!

თვითმფრინავების გუგუნი მკვეთრად და მოულოდნელად ახლოვდება. ქუჩა კი არ მთავრდება. ნეტავ გერმანელები არ იყვნენ! თითქოს ხელისგულზეაო. მაიას ისე მოცელავენ, როგორც სასროლეთზე დადგმულ სამიზნეს – ზუსტად შუაგულში და გულდასმით... ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მდგარი სახლი სულ უფრო ახლოვდება. მოასწრო?

თვითმფრინავები უკვე ზედ კეფასთან ღმუიან.

– აქ რას აკეთებ?! – გადაბრუნებული ავტომანქანის უკნიდან უცნობი კაპიტნის დალრეჯილი სახე გამოჩნდა, რომელსაც ქუდი

კეფაზე ჩამოსცურებია და დაჭყეტილი თვალებით უყვირის: აქეთ, შენი დედაც!

კაცმა ხელები მონყვევით გამოუწვდინა. მაიამ ვერაფერი გაი-  
აზრა, თუმცა მაინც გადახტა და ჩაებლაუჭა. ხელებმა ავტომანქა-  
ნის უკან გაათრიეს. მაია მიწას მტკივნეულად დაენარცხა, იმავნამს  
ზემოდან კაპიტანიც დაემხო და სხეულით დაფარა.

– ბრძანება ვერ გაიგე, სულელო? – პირდაპირ ყურში ჩასჩხა-  
ვის. – ისინი ახლა ქუჩაზე ყველაფერს...

სიტყვის დასრულებას ვერ ასწრებს, რომ ციდან ხმამალალი,  
გაბმული ზუზუნი მოისმის. თვითმფრინავი მოუახლოვდათ, თავს  
გრუხუნით დაესხათ და როგორღაც საბანივით თავზე გადაეფარათ.  
მიწა შეირყა და მაიას მკერდში, ნეკნებსა და მუცელში უბიძგა. მერე  
კიდევ ერთხელ, კიდევ...

დაბომბვა მოულოდნელად შეწყდა. მკვეთრად ჩამოვარდნილ  
სიჩუმეში ცხადად მოისმის გაფრენილი თვითმფრინავის გუგუნი.  
მიწა მაიას აღარ უბიძგებს. ის კაპიტნის ქვემოდან გამოძვრა. თმე-  
ბიდან კენჭები და ნაგავი სცვივა. მიწაზე დაჯდა და უკან, სახლს  
გახედა.

ქუჩაზე თორმეტიდან არც ერთი სახლი აღარ დგას. მტვრისა  
და ბოლის უზარმაზარი კედელი წამოიმართა, რომელშიც ძლივს  
მოჩანს სახლის ნანგრევები, სადაც ფანჯრების ადგილას ნახვრეტე-  
ბილაა. მერე მტვერი მიწას ნელ-ნელა ეფინება. ზევიდან ათასგვარი  
ხარახურა ცვივა: ბალიშის ბუმბულები, გაზეთის ნაგლეჯები, ქა-  
ლალდის ნახევები, ძონძები, ნაფოტები...

– ხომ ვამბობდი, ამის დედაც! – კაპიტანმა ამოახველა, წამოდ-  
გა, მტვერი ჩამოიბერტყა, შორეულ გუგუნს გაუღიმა და მომუშ-  
ტული ხელი გამარჯვების ნიშნად ცაში ამართა.

მაია ისევ მიწაზე ზის და ეჩვენება, რომ კვამლსა და მტვერს  
მიღმა კვლავინდებურად მოჩანს სწორედ ის კედელი, სწორედ ის  
კიბე, სწორედ ის ღერძი, რომელზეც მის მიერ დატოვებული შაშხა-  
ნა მძიმე ქანქარასავით ქანაობს.

## ალექსანდრ სნეგირევი

პროზაიკოსი ალექსანდრ სნეგირევი დაიბადა 1980 წელს მოსკოვში. დაამთავრა ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი. არის პოლიტოლოგიის მაგისტრი.

მიღებული აქვს: პრემია „დებიუტი“ (2005), პრემია „ევრიკა“ (2008), პრემია „რუსული ბუკერი“ (2015), არის პრემია „ნაციონალური ბესტსელერის“ ფინალისტი.



## ღვთაებრივი ხელრთვა

ყვითელ ზღვას გავცქეროდით და ვუცდიდით როდის მოგვიტანდნენ საჭმელს. რესტორანი პლაჟის ზემოთ, ტერასაზე მდებარეობდა. რუსი კოლონიზატორების აშენებული ქალაქი მთებზე აცოცებულიყო და ცდილობდა თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს ვერ ამჩნევდა, რომ კვლავ ზღვის პირას იმყოფებოდა. პლაჟი რესტორანსა და პორტს შორის იყო ჩაჭედილი, დარჩენილი სანაპირო ზოლი კი გაპარტახებულიყო და ნაგვის გროვები ამშვენებდა. ქალაქმა ყვითელ ტალღებს ზურგი აქცია და მთებისკენ გაეშურა. დიდი ხნის წინათ, ამჟამინდელი ქალაქელების წინაპრები, რუსმა დამპყრობლებმა მთებიდან ველზე ჩამორეკეს და სწორ, გრძელ ქუჩებსა და კეთილმოწყობილ სახლებში დაასახლეს. ათასი ხარახურით გატენილი სანაპიროები, სხვადასხვაგვარი მინაშენები, გადალესილი, ძნელად საცნობი ფასადები და სხვა შესამჩნევი თუ უმნიშვნელო დეტალები გვამცნობდნენ რუსული მკაცრი ხელის შესუსტებას და მკვიდრი მოსახლეობის დაბრუნებას ჩვეულ გარემოში: ყრუ კედლებით, დახშული ეზოებით, უნდობლობით, მტრობითა და, რაც მთავარია – შიშით ზღვის უკიდევანო სივრცის მიმართ.

ცარიელ ტერასაზე ვიჯექით და ამ ყველაფერზე ვმსჯელობდით. ცივილიზაცია, რაც არ უნდა სიმკაცრით იმკვიდრებდეს ადგ-

ილს, მაინც უკეთესია, ვიდრე არაორგანიზებულობა, უწესრიგობა და შუასაუკუნეობრივი სიბნელე. რაც არ უნდა ილაპარაკონ რუსული საექსპედიციო კორპუსების სისასტიკეზე, ის ახლოსაც ვერ მივა დასავლელი კოლეგების სისასტიკესთან. აქ სწორედ რუსებმა შემოიტანეს ადამიანის გონების ტრიუმფალური გამარჯვების პირველი ყლორტები: არქიტექტურა, დამწერლობა, ხელოვნება, მეცნიერება, ანტიბიოტიკები და უამრავი სხვა რამ.

სანამ საკუთარი კულტურის დიდებულებით ვტკბებოდით, ლამაზი სახის ოფიციატმა ქალმა, რომელსაც ლაქებიანი კანი ჰქონდა, სავსე თეფშები მოიტანა და გარკვეული ხნით დავდუმდით, რადგან ბარბაროსების საჭმელს გემრიელად შევექეცით. მადაზე მოგვიყვანა არა მარტო შიმშილმა და ზღვის ჰაერმა, არამედ ოსტატურად მომზადებულმა ადგილობრივმა კერძებმა. როდესაც თეფშები დაცარიელდა, ჩვენი საბრძოლო განწყობა მშვიდობიანი გახდა. მსჯელობა ზანტად განვაგრძეთ და ვალიარეთ, რომ ამ უხეშ, ერთი შეხედვით უწესრიგობაში არის თავისებური მომხიბლაობა, რომელიც, შესაძლოა ხეივნიან ბულვარებზე, მოჩუქურთმებულ ფასადიან კერძო სახლებზე და დრამატულ თეატრებზე (თავისი კლასიკური დადგმებით) უკეთესიც კია.

საჭმელმა მოგვთენთა. ბოკალებიდან და ბროლის პატარა ჭიქებიდან ყლუპ-ყლუპად შესმულმა სასმელმა სიკეთის ძალით აღგვაკვსო და შევთანხმდით, რომ ცხოვრება ყველგან სხვადასხვაგვარია, რომ გამჩენმა სწორედ ასე ჩაიფიქრა და ჩვენი საქმე ის კი არაა ვინუნუნოთ, არამედ ამ ყველაფერს უნდა ჩავწვდეთ, ვისიამოვნოთ და სხვებს ხელი არ შევუშალოთ. ფილოსოფიურ საუბარს მალევე შევეშვიტ და წარსული გავიხსენეთ.

მაგრამ სანამ წარსულს გავიხსენებდეთ, უნდა გაგაცნოთ ისინი, ვინც რესტორნის ტერასის სახურავქვეშ კასპიის მზეს ვემალებოდით. ჩვენ დედაქალაქიდან ჩამოვედით და ქალაქელების იმ ტიპს განვეკუთვნებით, რომლებიც თვითდაჯერებულ ლაპარაკს არიან ჩვეულნი – ზოგჯერ ნაკლებად ცნობილ თემებზეც კი ქედმაღლურად საუბრობენ. ადგილობრივ მკვიდრთა ზნე-ჩვეულებებმა ცოტა არ იყოს დაგვძაბა და ზღვისპირა რესტორანში სადილობა გადავწყვიტეთ. ჩვენ ხუთნი ვიყავით: საშუალო ასაკის ორი ენამახვილი მამაკაცი, სახელმოხვეჭილი ხანდაზმული პროფესორი, თქვენი

მონა-მორჩილი და ბრწყინვალე ქალბატონი, რომელიც ჩვენს მამაკაცურ კომპანიას ხელმძღვანელობდა ნაწილობრივ თანამემამულე მამაკაცების ტრადიციული სიზარმაცისა და პასიურობის მიზეზით, ნაწილობრივ – ჩვეულების გამო. ჩვენ ყველანი კულტურულ ფორუმზე ჩამოვედით, რომელიც კულტურებს შორის დიალოგს ეძღვნებოდა. ქალაქში ფორუმი მხოლოდ იმიტომ იმართებოდა, რომ იქაურ ჩინოვნიკებს ცენტრალური ხელისუფლებისათვის ანგარიშის ჩაბარების მარჯვე შემთხვევა ეძლეოდათ. ამ ღონისძიების კიდე ერთი შედეგი ის გახლდათ, რომ შეთხელებულ ადგილობრივ ინტელიგენციას დასუსტებული მეტროპოლიის დიდ კულტურასთან თანაზიარობის ილუზია ექმნებოდა. ჩვენ წარსულის თავშესაქცევი და კურიოზული ისტორიების მოყოლა დავინწყეთ და მალე გაჯახუნებული კარის მარადიულ თემაზე გადავედით. სწორედ მაშინ დაგვაღუმა ჩვენმა ბრწყინვალე წინამძღოლმა და ამბის თხრობა დაიწყო...

ეს ოციოდე წლის წინათ მოხდა. მაშინ ის იყო... მთხრობელმა თვალები ეშმაკურად მონკურა. საშუალო ხნის ენამახვილებმა ქალის ასაკის გამოცნობა სცადეს და სხვადასხვა ციფრებს ასახელებდნენ – პირფერული „ჩვიდმეტიდან“ თავხედურ „ოცდაათამდე“. რამდენი წლისაც არ უნდა ყოფილიყო მთხრობელი, ცხადია, მაშინაც უნაკლოდ გამოიყურებოდა და საკუთარ თავზე ეგოისტურად შეყვარებული იასამნისფერ პიჟამასა და ქუსლიან ფეხსაცმელებში გამონყობილი თავის ლამაზ ოთახში ბოლთას სცემდა. მიმზიდველობის მიუხედავად ქარაფშუტა არ ყოფილა, თვალებს აქეთ-იქით არ აცეცებდა და იმ კაცის ერთგული იყო, რომელსაც სასტუმრო ოთახში დივანზე წოლა უყვარდა. კაცი ტყუილუბრალოდ არ იწვა, ყურსაცმებიდან ღვთაებრივ საორღანო მელოდიას ისმენდა. ქალს მუსიკა უყვარდა, მაგრამ ზომიერად – არ შეეძლო მთელი ეს საეკლესიო პათეტიკა მუდმივად ესმინა და ცხოვრების თანამგზავრისთვის საყვარელი გატაცებით ტკობა რომ არ მოესპო ყურსაცმები შეიძინა და ერთ საღამოს თავზე ნაზად მოარგო – ძვირფასო, რამდენიც გინდა უსმინე. მათ დრო ასე გაჰყავდათ: კაცი ყურსაცმებით დივანზე კოტრიალობდა, ქალი კი ქუსლიანი ფეხსაცმელებით ოთახებში დაკაკუნობდა და ფიქრობდა, რომ მისთვის ყველაფერი მყუდროდ და ლამაზადაა. სიგარეტს კი ზედიზედ ეწეოდა.

ერთ ასეთ საღამოს, როდესაც კაცს, ჩვეულებისამებრ, თვალები დაეხუჭა და მელოდიით ტკბებოდა, ქალმა მორიგ მენტოლიან სიგარეტს გამოუყვანა წირვა და აზრად მოუვიდა, რომ ფანჯარაში გაეხედა. მინის იქით იანვრის ყინვა მძვინვარებდა, ეზოში კაციშვილის ჭაჭანება არ იყო, წყვილიადა წვებოდა. ნანახმა ქალი კიდე უფრო კარგ ხასიათზე დააყენა: ის სითბოსა და სიმყუდროვეშია, იქ კი ყინვა და მშფოთვარებაა. ქალი უცნაურმა და ამავე დროს ყველასთვის ნაცნობმა სურვილმა შეიპყრო – გარეთ, შედედებულ სიბნელეში გასულიყო. ცხვირის გაყოფაც კი საკმარისი იქნებოდა, რომ დაესუსხა. ყინვას გააღიზიანებდა და მაშინვე დაუბრუნდებოდა კედლებზე გამოკიდებულ აკვარელისა და ზეთის ტილოებს, კარადაში დაწყობილ ფაიფურის ჭურჭელსა და იატაკზე დაგებულ პარკეტს. სწორედ ასეთი სურვილი გვიზიდავს კეთილმონწყობილი ქალაქებიდან უდაბურ ადგილებში – მამიკოს გოგონებს ბარიკადებისკენ უბიძგებს, დედიკოს ბიჭებს კი სისხლმონყურებულ გმირებად აქცევს და გინდა რაც შეიძლება მძაფრად შეიგრძნო სახლში ყოფნის ბედნიერება.

ყურსაცმიან მამაკაცს ქუსლიანი ფეხსაცმლების კაკუნით ჩაუარა და იასამნისფერ პიჟამით ცივ სადარბაზოში გავიდა. აბსოლუტური სიჩუმე იდგა; ისიც კი მოეჩვენა, რომ გამოძახებით აფორიექებული ლიფტი თითქოს ძალიან გოცდა. ძირს ჩასულმა ქალმა სადარბაზოს კარი გახსნა.

ყინვა, როგორც ვნებიანი საყვარელი სახეში ეძგერა და იმავე წამს მთელ სხეულზე მოედო: თმებს უწენავდა, პიჟამას ქვეშ დაფათურობდა, ფეხის წვერებზე წინკნიდა. ქალი ქარს მინებდა. მხოლოდ ერთი ნაბიჯი – ყინვას უფრო ძლიერად შეიგრძნობს და უკანვე გამობრუნდება.

ამის მერე რაც მოხდა, ძნელი გამოსაცნობი არაა. ამ ამბის მხოლოდ დეტალებია საინტერესო. სადარბაზოდან გამოსვლისას ქალს ფეხი გაყინულ გრანიტზე აუცურდა, სახელურიდან ხელი გაეშვა, დავარდა და წამოდგომისას კარი ჯახუნით დაიკეტა. ქალს სხვა აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ გასაღების ამოძიებაში იასამნისფერი ჯიბეები მოეჩხრიკა.

ყინვის შეუპოვრობა ამაღელვებლად აღარ ეჩვენებოდა – ეზოში პიჟამის ამარა იდგა და შემზარავმა სიცივემ აიტანა. დომოფონით

დარეკა, მაგრამ ყურსაცმით მოსმენილი საორღანო მუსიკა ხმას ახშობდა და ხელი ერთბაშად ყველა ღილაკს დააჭირა. ბედი არ გინდა? ეს ყველაფერი იანვრის პირველ რიცხვებში ხდებოდა – მეზობლები არდადეგებზე გაემგზავრნენ, მთელ სადარბაზოში მხოლოდ მის ფანჯრებში ენთო სინათლე. გულგრილობაში ვინმეს გადაჭრით დადანაშაულება შეუძლებელი იყო, ყურსაცმებიც თავადვე იყიდა. ქალმა იქაურობას თვალი მოავლო და ეზოში შემოსული მანქანა დაინახა, რომელმაც გვერდით ჩაუარა. ქალი სულიერად გამხნედა, რადგან იმედოვნებდა, რომ საჭესთან მეზობელი აღმოჩნდებოდა, ხოლო როდესაც სავარძელში მამაკაცს მოჰკრა თვალი, ულამაზოდ მობუზული წელში გასწორდა, გაყინული ხელების სრესვას თავი ანება და ქუსლებს ყურადღების მისაქცევადლა აბაკუნებდა.

მძლოლმა ძრავა გამორთო და სანამ გადმოვიდოდა ერთხანს სალონში შეყოვნდა. ქალმა ის ფიქრში ააჩქარა, თითქოს დიდხანს იქექებო. როდესაც მთელი ტანით დაინახა, მიხვდა – ბედმა საინტერესო ადამიანს შეჰყარა. საწყენი მხოლოდ ისაა, რომ კაცს ყვავილების თაიგული ეჭირა. აქ კიდევ ერთი იმედგაცრუება ელოდა: ახალმოსული სადარბაზოსკენ კი არ გაემართა, არამედ მოპირდაპირედ – რესტორნისაკენ.

სევდით შეჰყურებდა საგულდაგულოდ შეფუთულ თაიგულს და ფიქრობდა, რომ ურუგვალ ვარდებზე უფრო მეტს ზრუნავდნენ, ვიდრე მასზე. ქალმა კეკლუცობას თავი ანება, მხრები დაიზილა, ხელები დაიორთქლა და გვარიანად შენითლებული ცხვირის სრუტუნით მამაკაცს უკან აედევნა.

მეგარდერობის კითხვით აღსასვსე მზერის პასუხად თავი ამაყად ასწია, პიჟამა შეისწორა და დარბაზში მედიდურად შეაბიჯა. ცარიელ რესტორანში მხოლოდ ერთ მაგიდას მისხდომოდნენ და თაიგულიანი მამაკაცი სწორედ იქით გაემართა. მხიარული ადამიანების კომპანია მას სიხარულით აღსავსე შეძახილებით შეეგება. თაიგულით დასაჩუქრებულმა ქალბატონმა მამაკაცს ისეთი მზერა ესროლა, რომ ისამნისფერ პიჟამიანი ქალი ლამის ადგილზე გამშობდა და ზიზლით შეტრიალდა.

დახლთან ჩამომჯდარმა კითხვაზე – რა ნებავს ქალბატონს? რამდენჯერმე მკვეთრად ამოისუნთქა და ბარმენს მომხდარზე უამბო. ბარმენმა მოუსმინა, ყველაფერი მმართველს გაუმეორა, რო-

მელიც ქალის მდგომარეობაში შევიდა და არაყი უფასოდ მიართვეს.

ცეცხლოვანმა სითხემ სხეული გაუთბო და გული მოუღებო. საკუთარი თავი შეეცოდა. ყველაფრით უზრუნველყოფილს უცებ ასეთი ამბავი შეემთხვა. ქალი ყურსაცმიან მამაკაცზე ფიქრობდა – მასთან ერთად ცხოვრება შეუძლებელია, მის გარეშე კი აუტანელი.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ბედის რომანტიკული შემობრუნება, რომელიც საახალწლო ისტორიებში ხშირად ხდება ხოლმე, ქალს არ ელის. არ შეიძლება სიუჟეტის განვითარების შესახებ მკითხველს წინასწარ აცნობო, მაგრამ ამის გაკეთება სწორედ ახლავა საჭირო, როდესაც გამთბარმა და შემთვრალმა ქალმა კიდევ ერთხელ ესროლა მზერა საინტერესო მამაკაცს და მწარედ ჩაფიქრდა ქმარზე, რომელიც დივანზე ბახთან ლაღატობდა. ზუსტად ახლა, დამცირებული, როდესაც სხვა მამაკაცის სიახლოვეს აღმოჩნდა, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა მომხდარიყო, მაგრამ არა ის, რასაც ჩვენ ვვარაუდობდით: ორი ენამახვილი მამაკაცი, პროფესორი, თქვენი მონა-მორჩილი, თქვენ, ძვირფასო მკითხველო და თავად ამ ამბის გმირი. ქალს შეხვედრა მართლაც ელოდა, მაგრამ არა სასიყვარულო ისტორიებით აღსავსე და ეგრეთ წოდებული „ბედნიერი დასასრულით“.

სასმელი ბოლომდე რომ გამოსცალა მიხვდა, რესტორანში ერთი წუთითაც ველარ გაჩერდებოდა, მით უფრო, რომ კომპანიამ მთლად აიშვა, საინტერესო მამაკაცმა კი თაიგულიანი ქალი კვლავ საცეკვაოდ გაინვია. ჩვენმა ქალბატონმა მომსახურე პერსონალს გულისხმიერებისთვის მადლობა გადაუხადა, მეგარდერობეს გვერდი აუარა, ეზოში გავიდა და საკუთარ სადარბაზოსკენ გაემართა, მაგრამ მისი ყურადღება კედელში დატანებულმა, ოდნავ შეღებულმა პატარა კარმა მიიქცია. კედელი ძველი სახლის ბაღს ფარავდა, რომლის კარიც მუდამ გამოკეტილი იყო და ჩვენმა შეუდარებელმა მთხრობელმა, რომელიც აქ ბავშვობიდან ცხოვრობდა, კარგად იცოდა ბაღის არსებობის შესახებ და ისიც რომ იქ შესვლა შეუძლებელი იყო. ბაღის ერთი ბენო ნაგლეჯის დანახვა ზედა სართულებიდან შეიძლებოდა, თუმცა საამისოდ მეზობლების შეწახება არ ღირდა. მეორე კლასში სურვილი გაუჩნდა, რომ მაღალ კედელზე გადამძვრალიყო. მერე ეს ინტერესი ნელ-ნელა მინელდა და საერთოდაც გაქრა. ახლა კი, როდესაც შეღებულ კარს მოჰკრა თვალი

ძველმა ინტერესმა გაიღვიძა, ძალა შემატა და აიძულა სიცივე დაე-  
ვინყებინა. შავმა, გაყინულმა რკინის კარმა ხელი დაწვა, თუმცა  
დამორჩილდა და მიძიმე, დაჟანგულმა ანჯამებმა გაიღრჭიალა.

თვალწინ გადაიშალა არა მხოლოდ ბალი, არამედ მთელი პარ-  
კი. მცირეთოვლიანი ზამთარი იდგა და ალაგ-ალაგ მიწას მიყინული  
თოვლის გროვები ნაცრისფრად მოჩანდა. ფარნები არ შეუმჩნევია,  
სინათლე ციდან იღვრებოდა, სადაც ქალაქური ლამის ოქრო და  
ძონეული კაშკაშებდა. ბუჩქებს, ყვავილნარს, ბილიკებსა და შად-  
რევანს უფერო აბრეშუმის ელფერი დაჰკრავდა. კედლის გასწვრივ  
ჩამწკრივებული ხეები აშკარად მებაღეს დაერგო. ბრტყელი, აჩხო-  
რილი, თითქოს უფოთლებო ტოტებით ისინი უზარმაზარ ხალიჩის  
საბერტყებს წააგავდა. ფუმფულა, სწორკუთხად შეკრეჭილი ტუ-  
იები ლაბირინთად ჩამწკრივებულიყვნენ, მათ შუაში კი პირი დაელო  
შადრევნის დაცარიელებულ ფიალას. ფიალის ცენტრში აღმართუ-  
ლიყო ობმოკიდებული ქვის კუბიდონი, რომელსაც ვეება თევზი ჩაე-  
ბლუჯა. ცხელ დღეებში თევზის ხახიდან უთუოდ იღვრება მოელ-  
ვარე წყლის ნაკადი, ვარჯებში კი ბულბულები გალობენ.

ჩაძინებულ ყვავილნარში, მცენარეების უცნაური ფიგურების  
გვერდით, ტუიების ლაბირინთში გაყინულ თოვლზე ხრამაზრუშით  
დადიოდა. ყინვამ კიდევ უფრო მოუჭირა, თუმცა იასამინისფერ  
პიჟამიანი ქალი ცქერით ვერ ძღებოდა. ათასგვარი პარკი უნახ-  
ავს – სახელგანთქმულები, ამაზე უფრო დიდები და ლამაზებიც,  
მაგრამ ასე არც ერთ პარკს არ აუღელვებია. ველური სამყაროს  
ქაოსი მოწესრიგებული ფორმებსა და ნაქარგობებში ადრე ასეთი  
მრავალმნიშვნელოვანი არასოდეს ყოფილა. მას მოეჩვენა, რომ და-  
დიოდა არა ჩვეულებრივ ბილიკებზე, არამედ თავისი ნაბიჯებით  
იმეორებდა რალაც იდუმალი ხელრთვის კონტურებს, ეგებ თავად  
უფალი ღმერთის ხელრთვისაც კი.

შესაძლოა ასეთი აზრების მიზეზი კიბეზე დაცემა იყო, თუმცა  
თითქოს თავი არ დაურტყამს. იქნებ მომხდარმა ამბავმა იმოქმედა,  
ანდა ღვინით, ხილითა და სანელებლებით დამზადებულმა ცეცხ-  
ლოვანმა სასმელმა, სხეულის გადაციებამ და საკუთარი ურყეობის  
რწმენის დაკარგვამ. იქნებ მისი ფანტაზია ბავშვური ოცნების ახ-  
დენამ ააფორიაქა. თუმცა, მიზეზს მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი  
იყო საიდანღაც გაჩენილი რწმენა, რომ ხეებში, მცენარეებში, ლა-

ბირინთსა და შადრევანშია მოქცეული ყველა პასუხი და უმთავრესი – არანაირი პასუხი არ არსებობდა.

უცრად წამოთოვა. ქალს თავი არ აუნევია და ბაგეებით ფანტელები არ დაუჭერია, ასეთი არაფერი მომხდარა. ათოვდა პირამიდულ და სწორკუთხოვან წინვიან ხეებს, ბილიკებს, კუპიდონსა და იასამნისფერ პიჟამას. თოვლის წამოსვლისთანავე კიდევე უფრო აცივდა.

სასონარკვეთილი და ყინვისგან შეფუცხუნებული ქალი ბალიდან სწრაფად გავიდა და შეუმჩნეველად მშობლიური სადარბაზოს დაკეტილ კართან აღმოჩნდა. კვლავ საკუთარ ბინაში დარეკა და კვლავ ზარმა უპასუხა. მაშინ ღილაკებს ჰაიჰარად დააჭირა და კარი მოულოდნელად გაიღო.

რაც მერე მოხდა, უმნიშვნელოა. ოთახში არაფერი შეცვლილა, დივანზე წამოწოლილი კაცის ყურსაცმებში კვლავ ორლანი ქუხდა. ქალის წასვლიდან ერთი საათიც არ გასულიყო.


ქალმა ამბავი რომ დაასრულა, ტაში დავცხეთ, ერთმა ენამახვილმა კი მისი სადღეგრძელო წარმოთქვა. ჩვენ ვკითხეთ: მას შემდეგ მელომანთან როგორი ურთიერთობა აქვს? ბაღში კიდევე ხომ არ ყოფილა? და მომხდარ ამბავში მორალი თუ არის? პირველ კითხვაზე გვიპასუხა, რომ ყველაფერი უცვლელადაა. მელომანი კვლავინდებურად ყურსაცმებით წევს, ეგაა ახალი დივანი იყიდეს. ბაღში მეტჯერ აღარ ყოფილა – კარი ყოველთვის დაკეტილია. მორალი...

– რა არის რწმენა, რელიგია? – იკითხა ჩვენმა შეუდარებელმა წინამძღოლმა და თავადვე უპასუხა: – რწმენა და რელიგია – ეს ის ფარდაა, რომელიც ჩვენსა და მარადისობას შორისაა ჩამოშვებული. თითოეული ჩვენგანისკენ ტანკი მოდის, ყოველდღიურად გვიახლოვდება და მისგან დამალვა ან ტანკის გაჩერება ჩვენს ძალებს აღემატება. ფარდას ჩამოვაფარებთ, მუსიკას ხმას ავუნევთ და ფსალმუნებს ვმღერით, რათა მოახლოებული გუგუნი ჩავახშოთ. საკუთარ თავს შთავაგონებთ, რომ როდესაც ტანკი გადაგვივლის, სამაგიეროდ რაღაც საჩუქარს მივიღებთ. ქალაქის მსგავსად თავს ვიტყუებთ, რომ თითქოსდა ზღვა არ არსებობს, მაგრამ ამით ზღვა არ ქრება და ყოველდღიურად, ყოველწუთიერად ძირს უთხრის ქალაქს. ჩვენც ასევე ვფიქრობთ – თუ ბალს ვერ ვხედავთ, მაშასადამე ის არ არის. ბალი კი არსებობს და კარს მაშინ გვიღებს, როდესაც ამას ყველაზე ნაკლებად ველით.

## სერგეი შარგუნოვი

პროზაიკოსი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე სერგეი შარგუნოვი დაიბადა 1980 წელს მოსკოვში. დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

მიღებული აქვს: პრემია „დებიუტი“ (2001), პრემია „ვერიკა“ (2005), პრემია „ცისარტყელა“, იტალია (2011), ანტონ დელვიგის პრემია (2014); საერთაშორისო ლიტერატურული პრემია „რუსეთის თეთრი წეროები“ (2014) გორკის ლიტერატურული პრემია ნომინაციაში „მხატვრული პროზა“ (2015), პრემია „დიდი ნიგნი“ (2017), რუსეთის ფედერაციის მთავრობის პრემია (2018).



## ბოლბასეპი

როცა ბავშვი ვიყავი, ძია კოლია, ნახევარ წელიწადში ერთხელ ჩამოდიოდა. ერთდროულად უწყინარი და შთამბეჭდავი გარეგნობისა იყო. ის ურალის ქალაქ ორსკის მეტალურგიული ქარხნის საამქროს უფროსად მუშაობდა. გვარად ბოლბასი იყო, რაც სავსებით შეეფერებოდა მის – მძლავრსა და სასაცილო აღნაგობას. ამ ქერა კაცს ვარდისფერი სახე ჰქონდა, ცისფერი თვალები და პაჭუა ცხვირი. თავს გაცნობისთანავე დაგამახსოვრებდათ ფუთიანი მუშტებითა თუ კასრისხელა მუცლით.

ბოლბასი მესხიერებაში ჩამრჩა სიცხისგან ქანცვაცლილი, ჭიპამდე ჩახსნილი პერანგით. ზის მთლად სანდომიანი და ნესტოებიდან ბენვები აქვს გამოჩრილი. თვალედაჭყეტილი შევცქერი. ის კი ცისფერი თვალებით მიყურებს და მილიმის. ძია კოლიას ჰქონდა ის, რაც სუფთა ბუნების რუს ადამიანებს აქვთ – მომხიბვლელობა. ბოლბასი ხელცარიელი არასდროს ჩამოდიოდა.

იგი იყო მებადურიც, მონადირეც, მეფუტკრეც. ჩამოჰქონდა ხან ლოქო, ხან ტახის ბარკალი, ხან ფიჭის ნაჭერი. ლოქო მკაფიოდ

დამამახსოვრდა, ისინი ხომ ერთმანეთს ჰგვანდნენ – ძია კოლია და ლოქო.

ქარხანა გავარჯარებული, მოგრუხუნე ფოლადით არაფრით არ უკავშირდებოდა მოთენთილ ბოლბასს. ძილი დღისით უყვარდა, ღამით კი ფხიზლობდა. ოთახიდან სამზარეულოში მიძიმედ გადიოდა, კარადებს აჭრიალებდა, მაცივრის კარს აჯახუნებდა, ტაფებს აჩხარუნებდა, ასხამდა წყალს, იწყებდა წვასა და ხარშვას. ის ღამით ჭამდა, დღისით კი ისვენებდა. ხვრინავდა (მრისხანე ხრრ, შესაბრალისი პიი) და შიშველი მუცელი ზევით ჰქონდა აშვერილი. ძია ღამით ჩემს მშობლებს აღვიძებდა და დედაჩემმა მასწავლა დღისით როგორ უნდა გამომეფხიზლებინა – კატას ღიპზე შეუბრალებლად ვაგდებდი, ან ყურთან ზარს ვურეკავდი, ან იატაკს მისი ქამრის ბალთას ვურტყამდი. ხვრინვა წყდებოდა, ძია მთელი ტანით კრთებოდა, ოხრავდა და თვალებს შეშინებული აჭყეტდა. თუ კატა დახვდებოდა, ქეჩოში ხელს ჩაავლებდა და ძირს ისროდა. თუ შემამჩნევდა, ჩახლეჩილი ხმით მეკითხებოდა:

– პატარავ, რატომ ხმაურობ? – და კვლავ ძილში იკარგებოდა. რანაირი ძია იყო?

კოლია და მამაჩემი ერთად იზრდებოდნენ. დედამისი პაპაჩემის და იყო (ქალიშვილობაში შარგუნოვი), რომელსაც ოთხივე ძმა ომში დაელუბა. მისი ქმარიც ომის პირველსავე თვეებში მოკლეს – მხიარული გლეხი ბიჭი, რომლისგანაც დარჩა თოთო ბავშვი და სასაცილო გვარი ბოლბასი. კოლიას დაქვრივებულმა დედამ, ურალის სოფელ ეტკულაში, ვიატკიდან გადასული, ასევე ქვრივი ბებიაჩემი სამ შვილთან ერთად შეიფარა. კოლიას დედა მალაზიაში გამყიდველად მუშაობდა. ბებიაჩემი სასტუმროში თეთრეულის მრეცხავად მოეწყო და კოლიას ორენბურგელი გოგონა, მისი მომავალი მეუღლე გააცნო, რომელიც იმავე სასტუმროში ცხოვრობდა. იქაური გოგონა, ერთხელ კოლიას კინოში არ წაჰყვა, ბებიაჩემმა კი ბიჭს თავისი მდგმური შეაჩჩა. მათ უყურეს ფილმს „მიფრინავენ წეროები“. მერე ძიამ ქალიშვილი სასტუმრომდე მიაცილა და მომდევნო დღითაც მიაკითხა. კოლია უწინდელ სატრფოს ჩამოშორდა და ახალს კი ისე ჩაებლაუჭა, რომ გოგონას მალე ორენბურგთან განშორება მოუწია, – გაცნობიდან ერთ თვეში იქორწინეს.

ანა, ასე ეძახდნენ კოლიას ცოლს, პროფესიით მკერავ, შავ-

ტუხა, მხიარულ, გულუბრყვილო ფუნჩულას. ისინი კუბაში გაფრენამდე გვესტუმრნენ. მაშინ შვიდი წლის ვიყავი. კოლიას ნაცრისფერ სამრეწველო ქალაქ ორსკიდან, ცისფერ ოკეანეზე ქარხნის ასაშენებლად აგზავნიდნენ. ორსკში მათი მოზრდილი ქალიშვილი დარჩა.

ანია მსუბუქი ირონიითა და ნაზი ღიმილით ხშირად იხსენებდა კოლიას გაცნობის ისტორიას: „ყველაფერი კარგად დაიწყო. კინოში მიგყავდი, უკანა გზაზე კი სიმღერებს ღიღინებდი. პირველ კოცნაზე რომ დაგეყოლიებინე მუხლებზე დადექი! რას იცინი? მევედრებოდი, რომ როგორმე ცოლად გამოგყოლოდი. ასე ამბობდი: ანია, თაფლში გაბანავებ, შენთვის ყველაფერს გავაკეთებ, იცხოვრე ჩემთან ერთად და გაიხარე. ამბობდი თუ არა? მართალია, მეთანხმები. როდესაც გაიგე, რომ ტანიას ვუცდიდი, მთელი საათი ქერამდე ხტუნაობდი. მეზობლებმა მილიცია გამოიძახეს, ეგონათ ვჩხუბობდით“.

იმ დღეებში, როდესაც ბოლბასები გვესტუმრობდნენ, ყოველ დილას და ყოველ საღამოს ერთი და იგივე მეორდებოდა: აცეტებუ-ლი ძია კოლიას სქელ მუცელში მუშტს ვარჭობდი და იმედი მქონდა, რომ იქიდან ჰაერს გამოვუშვებდი.

დეიდა ანია შეშფოთებით მსაყვედურობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა დილით და საღამოს ღიპი შუა ოთახში მოგორავდა. ძია მაგულ-ლიანებდა: „მიდი, მუშტი დამარტყი! ფიქრობ, მეშინია? ეს ქონი არ არის, ეს პრესია!“. მე ვზოზინებდი, ის გულგრილად ამთქნარებდა და ლულულულებდა: „მიდი, მოკალი, ნუ ტანჯავ“, – და ხუმრობით ამოისლუკუნებდა. მე ვბრუნდებოდი, ყურადღება სხვა რამეზე გადამქონდა და უცებ ხელს მოქნევით ვურტყამდი.

ბოლბასი იმანჭებოდა.

– ცოცხალი ხარ? – ეკითხებოდა შეშფოთებული ცოლი.

– ყველაფერი წესრიგშია.

– სერიოზა სწორედ იქცევა. დროა გახდე, რას დაემსგავსე!

– ახალგაზრდობაში ჩამოსაკიდ რგოლებზე ვინეოდი, – სიცილი-ით ღიპზე ხელს ისვამდა და სახე უნათდებოდა. ბავშვურმა ეგზე-კუციამ გადაიარა.

ის საერთოდ დაბალ ხმაზე ლაპარაკობდა. ხმა რატომ უნდა აიმაღლო, როდესაც ვეება სხეულის პატრონი ხარ.

– ძია კოლია, ქარხანაში რა ხდება? – ეკითხე მე.

– ყველაფერი კარგადაა. ქარხანაში გინდა?

– კი.

– ასე უცებ იქ ვერ შეხვალ, – მისთვის დამახასიათებელი, აუჩქარებელი, ოდნავ დამცინავი მანერით დაიწყო თხრობა, – მომზადებაა საჭირო. გაფრენამდე კოსმონავტებს ხომ ამზადებენ, ჰოდა ქარხნისთვისაც უნდა მოემზადო. ჩხუბში ყბების მონგრევა და მატარებლის სახურავზე ასვლა უნდა შეგეძლოს. ტყეში დათვს რომ გადააწყდები უვნებლად უნდა გადარჩე. კიდევ რა? – ტუჩები დაბურცა და ნაზად ამოისუნთქა, როგორღაც აგდებულად და იმავდროულად დელიკატურად, ზუსტად ისე, როგორც ბუმბულს უბერავენ, – ყველანაირ ტექნიკაში კარგად უნდა ერკვეოდე.

– ეს ყველაფერი იცით?

– ყველაფერი გამოვლილი მაქვს. მამაშენს გამოჰკითხე, ისიც ქარხანაში მუშაობდა. სუფოროვის სასწავლებლის დამთავრებისთანავე ქარხანაში ფოლადს ადნობდა. ლექსების წერა მერე დაიწყო და მოსკოვში გადმოსახლდა.

– ქარხანა გიყვარს?

– ძნელია, მაგრამ შრომის გარეშე არ შემოძლია. ბიჭებს ვუყვარვარ, ჩემს მეგობრებს. ქარხანაში ბევრი ხალხი ტრიალებს, სიცხე და უჰაერობაა, გრუხუნია და ნაპერწკლები ცვივა. სულ იმას გეუბნები: ასეთი ამბებისთვის ბავშვობიდანვე უნდა მოემზადო. ჩემს მეგობარს წამით თვალი გაუშტერდა და ხელი დაკარგა.

– როგორ თუ დაკარგა?

– ხელი წაესხიპა, – აუღელვებლად თქვა ბოლბასმა და ვეება მხარი შეარხია. ყირიმში საგზურით დასასვენებლად გაგზავნეს, მაგრამ რა ხეირი, ხელი თავიდან ხომ არ ამოვა.

იმავე დღეს, ამ საუბრის შემდეგ, დეიდა ანიასთან ერთად ტროლეიბუსით ბაზარში წავედი. ჩასასვლელთან ვიჯექი, ვტრიალებდი, ხელს ვიქნევდი. გაღებულ კარში მარჯვენა ხელის მტევანი ჩამყვა. მტკივნეულად მიჭერდა და თავს ვერ ვაღწევდი. ალბათ განგება, ძია კოლიას მუცელში ჩარტყმული მუშტისთვის, სამაგიეროს მიხდიდა.

დეიდა ანიამ შეჰყვირა და მძლოლის კაბინას მივარდა. კარი დაიხურა. მგზავრებმა დამტუქსეს, მაგრამ რაც მთავარია ხელი გამითავისუფლდა.

– ნუ ცელქობ! – თქვა ანიამ და თითები მომისინჯა, – ცოცხალი ხარ?

– ჩემი ბრალი არ არის, იმან ტარება არ იცის, – ხელი კაბინისკენ გავიშვირე, – სოფლელი!

– რა? – დეიდა უკან გახტა.

– რა იყო? – მისმა სახის გამომეტყველებამ შემაშინა.

– სოფლელი, – ანია წელში გაიმართა, – იქ ყოფილხარ?

– სად იქ? – ძლივს წამოვიკნავლე.

– სად, სად? სადაც მამაშენი დაიბადა, საიდანაც ძია კოლიაა, საიდანაც ყველა ჩვენია. ასე აღარასოდეს თქვა: „სოფლელი“, გაიგე?!

თავი დავუქნიე. მგზავრების მრცხვენოდა და მივხვდი, რალაც საშინელება ვთქვი.

– ახლა მიგატოვებ. გზა მშვიდობისა, ქალაქელო!

– არ მიმატოვო!

ტროლეიბუსი გაჩერდა. ნატკენისთვის ყურადღება არ მიმიქცევია და ლანდივით ავედევნე.

– ბაზარში მივდივართ. ბაზარი კი – რა არის ბაზარი? სწორედ ეს არის სოფელი. ბევრმა აწყენინა სოფელს, შენც აწყენინე. სოფელი კი ახლაც გასმევთ, გაჭმევთ, გაძლევთ რძეს, კარაქს, ყველს, ხაჭოს, ხორცს. საიდან ეს ყველაფერი, გიფიქრია?

– ვაშლი, მსხალი, გოგრა... – მკვირცხლად ავიტაცე, რადგან დანაშაულის გამოსყიდვა მინდოდა, – ფეიხოა!

– ფეიხოა სხვა ქვეყნის სოფლიდანაა, არა რუსული, მაგრამ სოფლიდან. ხელი როგორ გაქვს? გაგიარა, ლენჩო? – მისი ინტონაციით მივხვდი, რომ მაპატია.

საინტერესო ამბავია, ოც წელზე მეტი გავიდა და თუკი გავიგონებ აგდებულ „სოფელს“ ან შემწყნარებლურ „სოფელს“ ახლაც აპათია მეუფლება, ვშეშდები, სახე მემანჭება და მარჯვენა ხელი მტებს – იმიტომ რომ არ შეიძლება, აკრძალულია. წინააღმდეგ შემთხვევაში დეიდა ანია ბოლბასი ტროლეიბუსში მიმატოვებს.

აბა რა, წმინდა ადამიანები იყვნენ – კოლია და ანია, რომელთაც ერთმანეთისთვის არასდროს უღალატიათ და არც ღალატის სურვილით აღტყინებულან. უკვე მონიფულს, ეს ორივემ ცალ-ცალკე გამანდო. ტემპერამენტთან კუბაში არაფერს შეურყევია მათი მალალზნეობრივი კავშირი.

სამაგიეროდ კოლია თანამემამულეებთან, ასევე ზანგებთან და

ლათინოსებთან ერთად ბევრ რომს სვამდა. რამდენიმე იქაური სიმღერაც შეისწავლა, რომლებსაც ხელგადახვეულები ღრიალებდნენ. თავშესაქცევად სიმღერები რუსულ ყაიდაზე გადაასხვავებდა და ფუტურისტულ სტილში სიტყვების უაზრო ნაკრები მიიღო, თუმცა ისტორიას ეს სიტყვები არ შემოუნახავს. დღესასწაულებზე კუბიდან მისალოცი ბარათები მოდიოდა: მახსოვს ხაოიანი ჰოლოგრამები. თუკი ღია ბარათს აამოძრავებდი მაიმუნი, თუთიყუში და ქოქოსი აცეკვდებოდა. კიდევ მახსოვს კონვერტში ჩადებული ფოტოსურათი – ზემოდან გადაღებული სანაპირო, სადაც ბოლბასების საცხოვრებელი და ძია კოლიას სამუშაო ადგილები ავტოკალმით, ჯვრებით იყო აღნიშნული.

ბოლბასები გაფრინდნენ 87-ში და ჩამოფრინდნენ 90-ში. მათ ჩამოიტანეს ანანასები და ქოქოსები, კანში გამჯდარი მზე და რწმენა იმისა, რომ ცხოვრებამ წარმატებით ჩაიარა. ძია კოლიამ, იქ მუშაობის წლებში, საკმაო რაოდენობის სერტიფიკატი დააგროვა და ახლა შეეძლო ფულზე გადაეცვალა და ეყიდა ახალი ბინა, მანქანა, დახმარებოდა ქალიშვილს. კუბური შთაბეჭდილებებიდან, დეიდა ანია ვერ ივინყებდა „კუკარაჩას“ – დიდ მფრინავ ტარაკანას. ძია კოლიამ იმღერა რამდენიმე კუბური სიმღერა, რომელიც რუსულად გადააკეთა. დილით კი მანეჟის მოედანზე, მიტინგზე წავიდა, ნახა ელცინი და უკან გაზეთების დასტით დაბრუნდა. ბოლბასები ჩემს მშობლებთან ერთად შუალამემდე იხდნენ და გატაცებით საუბრობდნენ. ძია კოლია მამაჩემს შეჰპირდა, როგორც კი ორსკში ჩავიდოდა, პარტიას დატოვებდა და კიდევ დიდხანს მსჯელობდა „ძლიერ პატრონზე“, რომელსაც „ასეთად გახდომა უნდა, ამის საშუალებას კი არ აძლევენ“. ასევე ილაპარაკეს ცხოვრებაგამწარებულ წინაპრებზე: „ნახევარი გააკულაკეს, ნახევარი კი ფრონტზე დაიხოცა“. ჩვეულებისამებრ აუჩქარებელი და წყნარი ლაპარაკი რამდენჯერმე აჩქარდა და სამზარეულოდან ლოზუნგების მჭექარე ხმებმა მოაღწია.

წლის ბოლოს თავისუფლებამ გაიმარჯვა და „კუბური სერტიფიკატები“ ბოლბასებს გაუუქმდათ.

90-იან წლებში ძია კოლია წარმოებიდან წამოვიდა – ხელფასს აღარ უხდინდნენ. ბოლბასები ქალაქგარეთ მონყობილი საფუტკრის წყალობითლა საზრდოობდნენ და მოსკოვში ჩვენს მოსანახულებლად

ველარ ჩამოდიოდნენ. ჩემამდე მოაღწია მათი ყოფა-ცხოვრების ამბებმა. ქალიშვილმა გოგონა გააჩინა და ქმარს გაეყარა. „კოლია სადილზე ერთ ბოთლ არაყს სვამსო“, – გვაცნობა დამწუხრებულმა ძია გენადიმ, ჩემმა ლეიძლმა ბიძამ ეკატერინბურგიდან.

შემდეგი შეხვედრა 2004 წლის ზამთარში მოხდა. ბოლბასებმა ძალები მოიკრიბეს და ჩამოვიდნენ. მე მათ სადგურზე დავხვდი. კოლია ბაქანზე იდგა, უზარმაზარი, მაღალ ბენვის ქუდში, წითელი, ფართო პირისახით, საიდანაც კუბური რუჯი ჯერ კიდევ არ გაცილებოდა, თუმცა ღანვებზე, როგორც თრთვილი წვერი უფერულად მოუჩანდა. ის იდგა, არ ინძრეოდა და ჩემს მიახლოებას ელოდებოდა. ნელ-ნელა, ნახად გამიღიმა. მე ლოყაზე ვაკოცე, ჯაგარით წვერმა მიჩხვლიტა, მერე დეიდა ანია გადავკოცნე, რომელიც არ შეცვლილიყო, მხოლოდ უფრო ჩამრგვალებულიყო და შინაურ იხვს დამსგავსებოდა. წყენით – ეს თავიდანვე შევნიშნე – შავი ჩიტის თვალით მბურღავდა.

ერთი ხელით ჩემოდანს მივაგორებდი, მეორეთი კი ზორზოხა ნათესავის იდაყვი მეჭირა, რომელიც ბაქანზე თოვლის კაცივით მძიმედ დაცურავდა და რისკავდა, რომ ნატყებად არ დაშლილიყო. ბოლბასები ჩემს მშობლებთან მივიყვანე, სადაც ძია კოლია უმაღლარაყით გაიღეშა.

– ჩემო მწვალბებლო! მთელი ცხოვრება დამინგრეი! – ამოიხრა დეიდა ანიამ.

ძია კოლიამ წარბები შეჭმუხნა და დედაბერს უძღური ხმით დედის გინება დაუწყო.

მშობლებმა ხვენწით დამიყოლიეს, რომ ბოლბასებთან ერთი კვირით დავრჩენილიყავი, თვითონ კი საჩქაროდ აგარაკზე წავიდნენ. ძია კოლია მთელი დღე სვამდა და ცოლს დედას აგინებდა. უკვე დილის ბინდბუნდში კედელს მიღმა ისმოდა ხველება და უძღური, მაგრამ გაშმაგებული დედის გინება. დეიდა ანია წყენით ეხმიანებოდა: „რას გადამეკიდე?“ და გამუდმებით წუხდა დანგრეულ ცხოვრებაზე. ქალს მოსკოველი ექიმის (ქმრის გამოსაკვლევად) და იურისტის (დაკარგული სერთიფიკატების კომპენსაციის მისაღებად) ნახვა უნდოდა.

ძია კოლია ნაცნობ, კარგ ექიმთან წავიყვანე. ყველაფერი დედის გინებით დასრულდა. „არაფერი არ ესმის, წესიერადაც კი არ

დამხედა. ჩვენთან, ქალაქში, თერაპევტია, კლავდიევი, ოქროს ხელები აქვს, გრიჟა გააქრო, თქვენთან კი...“ ტუჩები მოკუმა და გამკიცხავი მზერით გამბურლა. ანია მეუღლეს ყურადღებით უსმენდა. ვერც იურისტთან აენწყოთ საქმე, ისიც უვიცი გამოდგა, რადგან უთხრათ, კომპენსაციის მიღების იმედი ტყუილად გაქვთო.

ძია კოლია არყით დათვრა და მეხსიერებაში ბავშვობა აღიდგინა: დამრეც მინდორზე ფეხით მიდიოდა... ამბობდა, რომ ყველაფერს სინდისიერად აკეთებდა. „და აქედან რა მივიღე? დაბინძურებული ფილტვები... ხედავ, ქარხნის ჰაერის წყალობით როგორ მახველებს“. ბოლბასები კუბას არ იხსენებდნენ – კუბასთან დაკავშირებული იყო გაცრუებული იმედები.

ერთხელ, როდესაც შინ დავბრუნდი, პელმენებით დამხვდნენ. მსუქანი, ქონიანი პელმენებით, რომლებსაც ნახევარი დღე აკეთებდნენ და თან ერთმანეთს ლანძღავდნენ.

– ხედავ, ჩვენ კეთილები ვართ, – ძია კოლია ცისფერ თვალებს აციმციმებდა, – ხომ არ გაშიშობილებთ?

ხუთი ცალი პელმენი შევჭამე, მეტი ვერ შევძელი და ბოლბასები შეურაცხყოფილები დარჩნენ. ხმას აღარ მცემდნენ, თავს ისე მაჩვენებდნენ, თითქოს ჩემი არ ესმოდათ. თავად კი ერთმანეთს მოკლე, არისტოკრატიული თავაზიანობით აღსავსე ჩუმ ფრაზებს ესროდნენ. ჩემზე განანწყენებულებმა ერთმანეთის ლანძღვას თავი ანებეს.

თუმცა, ნახევარი საათის მერე, ძია კოლიამ ოთახში შემოიხედა და შემრიგებლური, გაუბედავი, მოკრძალებული ღიმილით: „გული ვიჯეროთ პელმენებით?“ იმავე წამს უმოწყალო ხველებამ მისი სახიდან ღიმილი წაშალა. მე ვუთხარი, რომ არ მინდოდა. „ორასი მანეთი მომეცი“, – ამოთქვა ხველებისას. ათასი მივეცი, უფრო დაბალი ფული არ მქონდა. ნათესავი ქუჩაში გავიდა და უკან მოსულმა (მოძრაობა უჭირდა) ხურდა არ დამიბრუნა. მალევე მისმა გაბოროტებულმა დედის გინებამ დაიქუხა.

– მეგობრები გყავს? – მკითხა ძია კოლიამ, როდესაც პელმენებით ვსაუზმობდით.

– მყავს.

– სად სვამთ?

– კაფეში.

– იქ ხომ ბევრი ფულია საჭირო! – გაზის ქურასთან, ნამტირალევი ხმით, წამოიძახა დეიდა ანამ.

– ჩემი ჩერჩეტი შემირჩნდა, გინდა თუ არა რესტორანში წამიყვანო. ადრე დამყავდა. კაფე სახლის გვერდითაა. შევდივარ, ვჯდები. „ლუდი, – ვეუბნები, – ჩამომისხი“. გოგონამ კათხა ლუდი მომიტანა, მერე კი განაჩენიც მოაყოლა. თვალები შუბლზე ამიცოცდა. ეს მხოლოდ სამ ყლუპ ლუდში. სახლში ცოლს ვუთხარი: „არანაირი რესტორანი არ იქნება! – მაგიდაზე მუშტი დაჰკრა, – არასოდეს, არანაირი!“

დეიდა ანია მოშიშხინე ტაფასთან ნელში მოხრილი იდგა.

ორი წლის შემდეგ ძია კოლია მოკვდა.

ქვრივი ქალიშვილთან და შვილიშვილთან, ჯერ კიდევ დახურულ ქალაქ ოზერსკში დასახლდა, ღრმანყლიან ტბასთან, უხვი მცენარეულობითა და რადიაციის მაღალი დონით რომ იყო ცნობილი. დეიდა ანია მოსკოვში გვეწვია. სადგურზე დავხვდი. მან ჩემს მშობლებთან, აგარაკზე, ორი თვე გაატარა. ზაფხული იდგა. მეზობლად სკები ეგულეობდა და სალამოობით იქ მიდიოდა: „ფუტკრებს დავხედავ და ჩემს კოლიას გავიხსენებ, ფუტკრებს უკანასკნელ სკამდე ინახავდარ...“ ყოველი სტუმრობისას თითო ფუტკარი მოჰყავდა. მერე ტანსაცმელს აინევიდა და ფუტკარს ფერდში აკბენინებდა. ფუტკარი მიწაზე ფართხალებდა, კვებოდა. დედაბერი ნესტარს მარჯვედ იღებდა. მე კი სახალხო მედიცინის სამკურნალო სეანებს მიღმა – თითქოს წნევას შველისო – რალაც წარმართულს ვხედავდი. ტკივილის განცდით თავის მეფუტკრე ქმარზე მწუხარებდა და მის ხსოვნას სისხლში უშვებდა...

როდესაც დეიდა ანიას მატარებელზე ვაცილებდი, სადგურის კაფეში შევიყვანე და შემწვარი ორაგული და ლუდი შევუკვეთე.

– რა საინტერესო თევზია! ეს რა ლუდია? გერმანულია? ჩემიანებთან ჩავალ და მოვყვები, სერიოზუა მოსკოვში როგორ გამიმასპინძლდა.

ნახევარი კათხა დალია და თქვა:

– იცი, ალბათ დალევის უფლება უნდა მიმეცა.


– ძია კოლიასთვის?

– იწვა და ბურტყუნებდა. „რა გინდა?“ ვკითხე. თვალები სველი ჰქონდა და სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა. „არ... არ... არა...“ – „არაყი?“ – ვეკითხები. ბავშვივით გაუხარდა. თვალებს ხშირ-

ხშირად აფახულებდა: ხო, მინდაო. მე კი დამცინავად ვეუბნები: „აი, დალიე, – და ბრანი ვუჩვენე, – არაყი მოინდომა! არაყთან ერთად ჩემი სისხლიც დალეული გაქვს. არაყმა გაგანადგურა. ახლა კი ინექტი და ამიერიდან ისე იქნება, როგორც მე მინდა. რამდენს მანამებდი, მთელი ცხოვრება დამიმსხვრიე!“ ის კი წევს, თვალები დახუჭული აქვს, ხელს მიჭერს. ნაზად მიჭერს, ისე როგორც პირველად, როდესაც სიყვარულმა თავგზა აგვიბნია.

ერთ დღეს, თითქოს ანგელოზმა მიბიძგაო, კოლიას რვეული ვიპოვნე. რატომღაც ავეჯი გადავადგილე და კარადის უკნიდან ამოვიღე. სქელი რვეული იყო, ფურცლები ძველი, გაყვითლებული ჰქონდა. ფურცლებს შორის რამდენიმე ფოტოსურათი იდო – ბავშვობისა, დედასთან ერთად, სტუდენტობისდროინდელი, ჩემთან ერთად გადაღებული, ქარხანაში, ქალიშვილთან ერთად და კიდევ ქარხანაში. რვეულში სიმღერებსაც ინერდა, ხალხში ნამღერებსა და ასევე მომღერლების – პუგაჩოვა, ლეშჩენკო და კუბური სიმღერები. ბოლო ფურცლებზე სიყვარულზე წერდა, დაბრეცილი ასოებით, ისე რომ ძლივს გაარჩევდი: „ძვირფასო... მაპატიე... ცოდვილიანი ცხოვრების კაშკაშა მზეო...“ როდის დანერა? ამ ამბამდე ერთი წლით ადრე? ოთხი წლით ადრე? მთვრალი იქნებოდა, გადაადგო და დაავინყდა? უცებ ცრემლები ღვარად წამსკდა, მასთან მივირბინე და ვუყვირე: „ეს ყველაფერი მე რატომ არ მითხარი?“ და დავხიე, წარმოგიდგენია, მთელი რვეული, ყველა ფურცელი მიყოლებით დავფლითე და ფოტოსურათებიც ზედ მივაყოლე. ის კი თითქოს არაფერი, მიყურებს, დუმს. პირი განელა, არ გახსოვს, როგორი გაცინება იცოდა? მსუბუქად გაიცინებდა და მაშინვე ყველაფერს მიუტევებდი. მან კი მე მაპატია... მეც ხომ ტვინს ვუჭამდი, ვეჩხუბებოდი, რომ ქარხანაში ტყუილუბრალოდ მუშაობდა, არც პირდაპირობა იყო საჭირო, არც სამართლიანობა. ეგებ უნდა ევაჭრა ან კარიერა აენყო, საჭირო მეგობრები გაეჩინა, ღარიბებად რომ არ დავრჩენილიყავით. ბოლო წლები გაბმით სვამდა, იმიტომ რომ ცხოვრებამ გვერდით ჩაგვიქროლა. სერიოჟა, იცოდე, ძია კოლიასავით არ ისულებო: შეგეძლოს თავის მოკატუნება, გამოსადეგ ხალხთან იმეგობრე... და შვილსაც ასწავლე: მთავარია შრომა არ უყვარდეს. ნაკლებ საზრიანები ვიყავით, სულელები, მიმნდობები, სოფლელები...

– რა? ასე ლაპარაკი როგორ შეიძლება! – მოგონებებით თავგზაბნეული მატარებლისკენ მიმავალ დეიდა ანიას ზურგში შეეცურებდი.



## ანა კოზლოვა

პროზაიკოსი, სცენარისტი ანა კოზლოვა დაიბადა 1981 წელს მოსკოვში. 2003 წელს წარჩინებით დაამთავრა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

მიღებული აქვს: პრემია „ნაციონალური ბესტ-სელერი“ (2017).



## შეხვედრა სადგურზე

### საშობაო მოთხრობა

1.

– ვანია, პულტი სად არის?! – ლელავდა ნადეჟდა იაკოვლევნა.

– დივანზეა! – თქვა ივან ნიკოლაევიჩმა.

– სადაცაა დაინყება! – ნადეჟდა იაკოვლევნამ გადასაადგილებელი ყავარჯენი ააჭრიალა.

– ვნახოთ, დივნამდე ვინ უფრო სწრაფად მივა! – ჩაიხითხითა ივან ნიკოლაევიჩმა.

ლიდა წინკარიდან იყურებოდა. მოხუცებმა ტელევიზორი ჩართეს, ჩამოსხდნენ და სერიალის „ზამთარი ხარბინში“ ყურებამდე სული მოითქვეს.

– ნადენკა იმ რესტორანში წავიდა სადაც ელენე მღეროდა, – ჰყვებოდა ნადეჟდა იაკოვლევნა და დაძაბულობისგან გაფითრებული თითებით ყავარჯენს ებლაუჭებოდა.

– მოიცადე! – ნერვიულობდა ინვალიდის სავარძელში მჯდარი ივან ნიკოლაევიჩი. – რესტორანში როგორ წავიდა? კაბა გამოისყიდია?

– არ მითქვამს? – ნადეჟდა იაკოვლევნამ მხიარულად გაიცინა.

– ივანმა რუსულ რულეტკაში მოიგო და ნადენკას კაბა გამოისყიდა!

ლიდა დარბაზისკენ ზურგით იდგა და ფანჯარაში იყურებოდა. ბინდებოდა. ხმელნიკში, მოხუცებულთა სახლის ეზოში, თოვლი სქელ ქერქად გაიყინა, ისე როგორც მრუდედ გამომცხვარ ტორტზე შემხმარი კრემი. კრემი ფარავდა გაოხრებულ, დაკბილულ ბილიკებს, დანაოჭებულ შავქერქიან ხეებსა და სამსაფეხურიან წინკარს.

– ელენა კი მშვენიერია! – თქვა ივან ნიკოლაევიჩმა.

ნადეჟდა იაკოვლევნას გამოპასუხება არ უნდოდა, მაგრამ როგორც ჩანს რემარკამ თავმოყვარეობა შეუღალა, რადგან რამდენიმე წამში თქვა:

– ელენა უხამსი დედაკაცია. თავის ხარბ მისწრაფებებშიც კი მოსაწყენი.

ივან ნიკოლაევიჩმა ამაზე ვერაფერი უპასუხა და თითქოს გამჭოლმა ქარმა უცებ ბეჭებში დაჰკრაო ლიდა შეკრთა.

წინკარის ფარნიდან ჩრდილი ჩამოცოცდა, ჩრდილს კი ანტიპინი მოჰყვა. ლიდას გული ყელში მიეზღინა. ანტიპინმა წინკარიდან ეზოსკენ რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯი გადადგა და შედგა. მერე ტყაპუჭის ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, მოსწია.

ლიდამ არ იცოდა რა ხარბი მისწრაფებები ჰქონდა მისთვის იდუმალ და არასაინტერესო ელენეს სერიალიდან, მაგრამ თავისი მისწრაფებების შესახებ ყველაფერი მშვენივრად იცოდა.

ლიდა ხმელნიკში ბისკიდან ჩამოვიდა. ის დედასა და მამინაცვალს გამოეცა, რომლებიც ყოველდღე ეკითხებოდნენ – „შეჭამ?“ ლიდამ თავი დააღწია მედსასწავლებლის შავბნელ საშინელებებს, იმ ცხოვრებას, რომელიც კი არ მიედინებოდა, არამედ მიხობავდა. ხმელნიკის მოხუცთა სახლი მისთვის მხსნელად იქცა, რომელიც წარსულს დაავიწყებდა და სიყვარულს აზიარებდა.

ანტიპინმა ნამწვი თოვლში მოისროლა. ლიდა მოხუცებისკენ ლიმილით შებრუნდა.

– საკვირველია! – თქვა ივან ნიკოლაევიჩმა, – ორმოცდაათიანი წლების ბოლოს მეც ხარბინში ვიყავი.

ნადეჟდა იაკოვლევნა მისკენ შეტრიალდა.

– ეს შეუძლებელია, – თქვა მან, – წარმოუდგენელია! ხარბინში ორმოცდაცხრამეტ წელს ჩავედი.

ლიდამ ჯიბიდან სარკე ამოიღო და სახე შეითვალიერა.

– იმ დღეს ძალიან მშოიდა, – თქვა ნადეჟდა იაკოვლევნამ, –

ფუნთუშის ყიდვა მინდოდა, მაგრამ სადგურზე მხოლოდ თეთრი ცომის პარკები იყიდებოდა...

– მოხალული ბრინჯით! – დააბოლოვა ივან ნიკოლაევიჩმა.

## 2.

როდესაც კაცი მხრებსა და კისერს შორის პატარა ფოსოს უკოცნის ქალს გული უთრთის, მხრები უცახცახებს და ზურგზე დაფენილი თხელი თმა ყალყზე უდგება. ისინი პერსონალის დასასვენებელ ოთახში, შტამპიანი თეთრეულით განწყობილ ტახტზე იწვნენ. ყველაფერი მოთავდა, მაგრამ ლიდას გაჩერება არ შეეძლო, ის კაცს მხარზე ხელს უსვამდა და ენის წვერით ნიკაპზე ჯაგარივით წვერს ეხებოდა.

– ეს ყველაფერი მალე მოგბეზრდება? – ანტიპინმა კი არ ჰკითხა, არამედ თითქოს ამ საკითხზე სასაუბროდ გამოიწვია.

ლიდას ადრე ასეთ სიტყვებზე მაშინვე ეტირებოდა, ახლა კი მის მკერდზე უდევს თავი, დუმს და კაცის თანაბარ გულის ცემას აყურადებს. როგორ შეუძლია თავს არ იფასებდეს? ჭკვიანი, გამჭრიახი, ასეთი ნიჭიერი. ფსიქიატრიაზე დაწერილ მის სტატიებს ხომ მოსკოვური ჟურნალები აქვეყნებდნენ... და კიდევაც გამოაქვეყნებენ! ის კი აღარაფერს წერს და როდესაც ქალი მორიდებით ინტერესდება, თუ რატომ – კაცი ღვარძლიანად პასუხობს: იმიტომ რომ ბოლო ათი წელია ჩემი სპეციალიზაცია მოხუცებულობის დემენციაა. და თითქოს ამაზე ვერ შეეპასუხები – ვისთვისაა საინტერესო მოხუცებულობის დემენცია?... ის უნდა წააქეზო, უსასრულო სიყვარულით საკუთარი თავის რწმენა დაუბრუნო. და მაშინ... მაშინ, იღიმება ლიდა, წერილებიც იქნება და სამეცნიერო წრეებში აღიარებაც, შესაძლოა, ცოლადაც შეირთოს.

## 3.

ვახშამზე თევზის სალათი, მაკარონიანი ქათამი და თითო შოკოლადის კანფეტი მოჰქონდათ. ნადეჟდა იაკოვლევნა ივან ნიკოლაევიჩთან ერთად კუთხეში იჯდა და გადასაადგილებელ ყავარჯენს ფისო „ლაპოჩკა“ მსუქანი ფერდებით ეხახუნებოდა.

– სუნგარის პროსპექტზე ბინა მქონდა, – ყვებოდა ივან ნიკოლაევიჩი, – იქ სადაც რესტორანია, რომელშიც ივანმა ტყვია დაიხალა...

– ოჰ, მახსოვს! – თქვა ნადეჟდა იაკოვლევნამ. – იქ კიდევ მოოქრული მინის თხილი ეკიდა...

– კი, ეკიდა! – დაადასტურა ივან ნიკოლაევიჩმა. – რა საოცარია, ერთსა და იმავე დროს ვიყავით ერთსა და იმავე ქალაქში და ერთსა და იმავე რესტორანში დავდიოდით!

– განსაცვიფრებელია! – დაეთანხმა ნადეჟდა იაკოვლევნა. – აღარაფერი მახსოვდა: არც მინის თხილი, არც რესტორანი, არც სუნგარის პროსპექტი და უცებ, ტელევიზორმა ყველაფერი გამახსენა...

– მართალია! – დაუდასტურა ივან ნიკოლაევიჩმა. – უცნაური შეგრძნებაა, მხოლოდ სიკვდილის წინ გამახსენდა...

– ასე ნუ ლაპარაკობთ! – შეანყვეტინა ნადეჟდა იაკოვლევნამ.

– ვილაპარაკებ, არ ვილაპარაკებ, რა მნიშვნელობა აქვს? მარადიულად მაინც ვერ ვიცოცხლებთ, – გაჯიუტდა ივან ნიკოლაევიჩი.

მაგიდას მსუქანმა დედაკაცმა – სანიტარმა ევსეევამ ჩაუარა, სიკეთეს რატომღაც მოჩვენებითი უხეშობით რომ ფარავდა.

– გეყოფათ ყბედობა, ჩახეთქეთ! – ჩაილაპარაკა ევსეევამ. – ესენი ლაყბობენ, მე კი შინ შვილები მელოდებიან!

– მომეცით თქვენი კანფეტი, – ჩურჩულით თქვა ნადეჟდა იაკოვლევნამ. – კარადაში კიდევ მაქვს, ამასაც დავამატებ და შობას ერთად შევხვდეთ.

ივან ნიკოლაევიჩმა თავი დაუქნია და გამონვდილ ხელსახოცზე კანფეტი თავაზიანად დადო.

#### 4.

ლიდამ თქვა:

– იცი, მიყვარხარ.

მან კი შეხედა და უპასუხა:

– კარგია.

და მორჩა. კაცს მეტი აღარაფერი უთქვამს. ქალმა ყველაფერი გააფუჭა. ისინი ისხდნენ და ამოთხრილ ორმოებზე საუბრობდნენ, სადაც ჩინელები თევზ ტილაპიას აშენებდნენ.

– ჰო კარგია, თუკი შენ ეს სიამოვნებას განიჭებს, – ხანმოკლე დუმილის შემდეგ თქვა ანტიპინმა.

– შენ, არ განიჭებს? – ჩუმად იკითხა ლიდამ და სუნთქვა გაუხშირდა.

– მისმინე, – კაცმა ხელი ჩაავლო, – მეც მიყვარხარ. უბრალოდ, არ მინდა, ჩვენს ამ ურთიერთობას რაღაც განსაკუთრებული რომ დაუკავშირო.

ლიდა დუმდა. ანტიპინი ღელავდა.

– რაღაც უაზრო, არაადეკვატური მოლოდინები, იმედები, რომ რახან გიყვარს, ცხოვრება შეიცვლება... – ანტიპინმა მოლუშული სახით ჩაიხითხითა, – ხმელნიკი, საძაგელი ბუნაგი, თვალისმომჭრელი ნათებით აკაშკაშდება და მოხუცები აღარასოდეს ჩაისვრიან.

ლიდა ცრემლს ძლივს იკავებდა.

– არაფერი შეიცვლება, საყვარელო, – თქვა ანტიპინმა. – სიყვარული ადამიანს არ ცვლის. უნიჭო შეყვარებული ტალანტად, გონჯი კი მზეთუნახავად ვერ გადაიქცევა. სიყვარულით მხოლოდ დროს ვკლავთ.

– დროს ვკლავთ? – ჩურჩულებდა ლიდა.

ანტიპინმა თმაზე ხელი გადაუსვა.

– რისი ატანაც ადამიანს უნევს, ცხოვრება ყველაზე გრძელი და მოსაბეზრებელი რამაა.

## 5.

კარადაზე ბლუჯად ელაგა ვახშმობისას შეგროვებული კანფეტები: ოთხი ცალი შოკოლადი „ასორტიდან“, ორი „ბატის თათი“, ორი „დათუნია“ და კონახურები, რომლებსაც სათვალავშიც კი არ აგდებდნენ. ფანჯარაში გამოჩენილ ცის შავ ნაგლეჯზე ვარსკვლავები ღილებივით ჩაბნეულიყვნენ. ნადეჟდა ივანოვნა სანოლზე ჩამომჯდარიყო და ჩურჩულით ყვებოდა:

– იცით, რა არის ყველაზე საშინელი? არშემდგარი სიყვარული. რაც ჩაფიქრებული, დანერილი იყო, მაგრამ არ ასრულდა.

– თქვენ ასეთი სიყვარული გამოგიცდიათ? – ჩუმად იკითხა ივან ნიკოლაევიჩმა.

– დიახ, – ნადეჟდა იაკოვლევანამ თავი დაუქნია. – ხარბინში, სადგურზე, როდესაც მივემგზავრებოდი. ყველაფერი დღევანდელივით მახსოვს: ბაქანზე ვდგავარ, ირგვლივ ჭუჭყია, სიგარეტის ნამწვი, ჩინელები ყაყანებენ, ურიკებს მიათრევენ. ჩემოდანს ჩავაფრინდი, შემეშინდა არ გაეტაცათ. და უცებ, ბრბოს ოფიცერი გამოეყო და ჩემკენ წამოვიდა. ჩინელებთან შედარებით ძალიან მაღალი, ცისფერთვალეა... – ნადეჟდა იაკოვლევანა დადუმდა.

– მერე რა მოხდა? – ივან ნიკოლაევიჩმა დედაბერი ააჩქარა.

– არც არაფერი! – ამოიოხრა ნადეჟდა იაკოვლევნამ. – ერთ-მანეთს დიდხანს შევცქეროდით. თვალი პირველმა ავარიდე, ეს ხომ უნესობაა... მამაკაცს ასე რომ უყურებ... მერე ვაგონში ავედი და ფანჯარასთან ჩამოვჯექი... ვფიქრობდი, იქნებ მატარებელში ამოვიდე, იქნებ ჩემს ვაგონში... მაგრამ არ ამოსულა.

ნადეჟდა იაკოვლევნა უცებ ატირდა.

– ეს სისულელეა, ნამდვილი სისულელე! – ჩურჩულებდა და გაუხეშებულნი, ართრიტიანი თითებით ცრემლს ინმენდდა. – ოფიცერი ხარბინის სადგურში! ალბათ, ფიქრობთ, რომ ჭკუიდან შევიშალე... მე კი მხოლოდ ამ მამაკაცში დავინახე ერთად ცხოვრების ნადილი. რისი მეშინოდა?... ვისი მრცხვენოდა? გამელიმა მაინც...

ივან ნიკოლაევიჩი ინვალიდის ეტლში ნერვულად შეირხა.

– ცუდად ხართ? – იკითხა ნადეჟდა იაკოვლევნამ.

– სადგურზე თქვენ იყავით? – თქვა ივან ნიკოლაევიჩმა, – თქვენ თეთრსაყელოიანი მწვანე პალტო გეცვათ... და შავი ბატინკები. ხელთათმანები არ გეკეთათ. მახსოვს თქვენი ხელები, ისეთი პატარები, დაუცველები. მაშინვე ხელებზე შემოგხედეთ, ბეჭედი ხომ არ უკეთია მეთქი.

6.

8 იანვრის დილას ლიდა ნადეჟდა იაკოვლევნას პალატაში შევიდა და სანოლთან შედგა.

ისინი ქალის სანოლში შიშვლები იწვნენ, მიცვალებულები, გამეშებულები! – ლიდა მერე ევსეევას უყვებოდა. მისი ხელი მას ჰქონდა... თვითონაც გესმის სადაც.

– ასეთ ასაკში არც სირცხვილი, არც სინდისი! – დაასკვნა ევსეევამ.

ლიდა ანტიპინთან გაიქცა, პალატაში მიიყვანა და მის უკან დადგა. კაცს სიკვდილი უნდა დაედასტურებინა, ისედაც აშკარა რომ გამხდარიყო. სიყვარულმა დაგრეხილ სხეულებს თავისი დამლა დაასვა და როგორღაც ყველას უფლებას აძლევდა ერწმუნათ ან არ ერწმუნათ მისი არსებობის.

– მათ რომანი ჰქონდათ? – ხითხითით იკითხა ანტიპინმა.

– თითქოს ადრე ხვდებოდნენ, – უპასუხა ლიდამ. – ხარბინში

გაიცნეს ერთმანეთი, ორმოცდაათიან წლებში.

– ხარბინში? – გაოცდა ანტიპინი.

ლიდამ მხრები აიჩეჩა:

– ისინი ასე ამბობდნენ.

– ქალი მთელი ცხოვრება საბავშვო ბაღში აღმზრდელად მუშაობდა, საზღვარგარეთის პასპორტიც კი არ ჰქონია. კაცი კი მეტალურგიული ქარხნების დაპროექტების ინსტიტუტში მექანიკოსად მსახურობდა. ორმოცი წლისამ სანარმოო ტრამვა მიიღო და სავარძელს მიეჯაჭვა. ლიდა, ისინი ხარბინში არასოდეს ყოფილან. არასოდეს.

ლიდა ოთახისკენ ზურგით იდგა და ფანჯარაში იყურებოდა.

– ისინი მარაზმში იყვნენ. შენ ეს მშვენივრად იცი... მარაზმში ცხოვრებაც ადვილია და სიყვარულიც, – მან კვლავ ჩაიხიოხითა.

ანტიპინმა მოხუცებს ბოლოჯერ შეხედა და პალატიდან გასვლა დააპირა, მაგრამ შემოტრიალდა და თქვა:

– გადააფარე.



## ალექსეი რიასკინი

პოეტი, პროზაიკოსი ალექსეი რიასკინი დაიბადა 1984 წელს ვორონეჟში. დაამთავრა ვორონეჟის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. რუსეთის მწერალთა კავშირის წევრი. არის ისაევის პრემიის ლაურეატი. ცხოვრობს ვორონეჟში.



## ალუბლები

შუადღეა. ბაღში ძველ სანოლზე ვწევარ და თავს ზემოთ გადმოკიდებულ ვაშლის ტოტებს შევყურებ. მზის სხივები ფოთლებში ისე ბრჭყვიალებს, როგორც ფერადი მინის ნატეხები კალეიდოსკოპში. სადღაც ჭრიჭინა მოსაწყენად ჭრიჭინებს. დროდადრო ძაღლის ყეფა და სიცხისგან გამოთაყვანებული მამლის ყვირილი ისმის. მთელი სამყარო გაურკვეველი ხმებით აღსავსე სიჩუმეში ინთქმება. მეჩვენება, იდუმალი სიჩუმე მდებლობაზე ამოსული ბალახებიდან, თავს ზემოთ ჩამოშვებული თითოეული ტოტიდან, ცის თითოეული ნაგლეჯიდან ჟონავს.

საათზე მეტია გაუნძრევლად ვწევარ და ზაფხულის მზისგან გავარვარებული მოთენთილობა მთელ სხეულში მეღვრება. აზრები, როგორც გამდნარი თაფლი, ჩემს თავში მდორედ მიედინება. რა ხანია, კრაზანა ბაბუანვერას ყვავილზე დაცოცავს. მახსოვს, პატარაობისასაც მიყვარდა კრაზანების თვალთვალი.

– ფტიუ-იუ-იუ!

სიჩუმეს არღვევს გამკვივანი სტვენა თუ ყვირილი. მერე ზრიანლის ხმა ისმის, თითქოს ვიღაცას აკოკოლავებული თეფშები რკინის იატაკზე დაუცვივდაო. კვალდაკვალ გაისმა ფრინველების ფრთების

ფართოხუნი – ხმაურით შეშინებული შაშვეები შეფრთხილდნენ.

სახე უკმაყოფილოდ შევჭმუხნე და გვერდზე გადავბრუნდი. ორი კვირაა რაც აქ ვარ და ამ ხმებმა თავი მომაბეზრა. ყველაფრის მიზეზი ჩვენი მეზობელი დარია მიხაილოვნა ბაშჩევაა, რომელსაც სოფელში უბრალოდ მიშინას ეძახიან.

მიშინა ალბათ ოთხმოცი წლისაა, შესაძლოა მეტისაც. წარსულში ეს ქალი შრომის გმირი იყო, მოწინავე კოლმეურნე, რომლისგანაც მაგალითს იღებდნენ მოწინაველებიცა და ბავშვებიც. იგი ლამის დაწყებითი კლასებიდანვე მუშაობდა, მამას სოფლის ნახირის მწყემსვაში ეხმარებოდა. როცა წამოიზარდა, დედასთან ერთად საკოლმეურნეო მინდვრებზე ჭარხალს მარგლავდა. სასკოლო გამოსაშვებ საღამოზე ბაშჩევას მუშაობისგან ხელები მთლად დაკოჟრილი ჰქონდა. მას უქმე დღეებიც ვერ წარმოედგინა საქმის გარეშე. შრომის გმირის წოდების მინიჭება მიშინას პირადად თავმჯდომარემ მიულოცა და თავდაუდებელი მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა. მისალოცად რაიონულ ცენტრშიც კი გამოიძახეს. დღემდე, ჩრჩილებით სავსე ძველი კარადის სიღრმეში ინახება შეყვითლებული გაზეთი, რომლის პირველ გვერდზეც ახალგაზრდა დარია მიხაილოვნას ფოტოსურათია დაბეჭდილი წარწერით: „მშრომელები, რომლებითაც ჩვენი სამშობლო ამაყობს“. ჯერ კიდევ ბებიაჩემი მიაბობდა, მასთან ერთად როგორ დადიოდა კოლმეურნეობიდან ტორფის ამოსაღებად და მიშინა მანქანებს მამაკაცების დარად ტვირთავდა. ქალი ჭაობის ნუშპეში მუხლებამდე იდგა, საბჭოთა ნიჩაბს მარჯვენდ ხმარობდა და დროდადრო მხოლოდ იმიტომ ჩერდებოდა, რომ კოლოები დაეფრთხო. მიშინას ქმარი არ ჰყოლია – პირადი ცხოვრება ვერ აინყო. თუმცა არსებობდა ვასკა კომოვი და როგორც ამბობდნენ, ქალიშვილი ბიჭის ჯარიდან ჩამოსვლას ელოდა, მაგრამ ვასკა სოფელში არ დაბრუნებულა – სამხედრო სამსახურის ადგილას დასახლდა, მუშაობა იქვე დაინყო, დაოჯახდა, შვილებიც ეყოლა. ეგებ ვასკაზე წყენა მიშინას თითოეული მამაკაცისადმი უნდობლობად გადაექცა? შესაძლოა, ეს ამბები ჭორებია, ქალს ცხოვრებაში უბრალოდ არ გაუმართლა. როგორც არ უნდა იყოს, ეს ყველაფერი შორეულ წარსულში მოხდა. ახლა მიშინა უოჯახო, უფულო, ჯანმრთელობაშერყეული უსინათლო ბებრუხანაა.

– ფტიუ-იუ-იუ! – კვლავ გამკვივანი ხმა გაისმა.

ისევე რკინის ქახანი და შაშვების ხმაური. თვალი დავხუჭე და წარმოვიდგინე ალუბლების ქვეშ სკამზე ჩამომჯდარი ქალი, რომელიც ცარიელ ქვაბზე კოვზს არაკუნებს. შაშვები მიფრინავენ, მაგრამ რამდენიმე წუთში უკანვე ბრუნდებიან. მიშინას ჩასთვლემს და ქვაბი კინალამ ხელიდან უვარდება. დედაბერს ეღვიძება, თავს ზემოთ ფრინველების ხმაური ესმის და სიჩუმეს კვლავ ნაცნობი ხმა მსჭვალავს.

– ფტიუ-იუ-იუ!

ასეა ყოველდღე, მთელი კვირა, მთელი ზაფხული, სანამ ალუბალი არ მოილევა. მას შემდეგ, რაც დედაბერმა ექვსი წლის წინ მხედველობა დაკარგა, ალუბლებზე ჩამომსხდარი შაშვების დაფრთხობა მის ერთადერთ საქმიანობად იქცა. დილაობით, მიშინა ბაღში მისი დეიდაშვილის ქალიშვილს – კლავდია ივანოვნა ილიმოვას გამოჰყავს. კლავდია სამოც წელსაა გადაცილებული, მაგრამ კოლმეურნეობაში მწველავად მუშაობს. მისი ქმარი დიდი ხნის წინათ გარდაიცვალა, შვილები სოფლიდან წაუვიდნენ – ისიც მიშინასავით მარტოსული დედაბერია. გარიჟრაჟზე, დილის წველაზე მიმავალი კლავდია ივანოვნა მიშინას აკითხავს, ბანს, აჭმევს, ბაღში გაჰყავს და სკამზე, რომელიც მუდამ ერთსა და იმავე ადგილას დგას, ალუბინის კოვზითა და ცარიელი ქვაბით სვამს. როდესაც საღამოს წველიდან ბრუნდება მიშინა სახლში შეჰყავს, აჭმევს, ტანისამოსს უცვლის და დასაძინებლად საწოლში აწვენს. მთელ სოფელში ის ერთადერთი ადამიანია, რომელსაც ურთიერთობა აქვს ბრმა დედაბერთან, რომელმაც თავისი წუთისოფელი უკვე მოჭამა. შესაძლოა ეს მოვალეობის გრძნობაა, ანდა ცხოვრებაში დაუხარჯავი მოთხოვნილება ვიღაცის მოვლისა. შესაძლოა, ეს უბრალოდ სიკეთეა.

– ფტიუ-იუ-იუ!

შაშვები კვლავ ხმაურით ტოვებენ ალუბლის ტოტებს.

ბაბუანვერას ვუყურებ, კრაზანა გაფრენილა. საინტერესოა, დარჩა თუ არა ყვავილში ცოტაოდენი ნექტარი? თუ უკანასკნელ წვეთამდე ამოწოვა? ეგებ, კრაზანამ ოდნავ მოსვა და მამინვე გაეცალა არა იმიტომ რომ ყვავილი უგემურია, ანდა შემდეგი უფრო ტკბილი იქნება, არამედ იმიტომ რომ განგებამ ასე დაანესა – ერთი ყვავილის არომატს რომ იგემებ, სხვა ყვავილთან უნდა

გადაფრინდე და წინანდელი დაივიწყო, მერე შორეულ მდელსკენ გასწიო და შემოდგომას უცნობ ყვავილზე სევდისა და სინანულის გარეშე შეეგებო. ეგებ ყოველი განვლილი დღის შემდეგ ადამიანებიც ასე უნდა მოვიქცეთ?

– ფტიუ-იუ-იუ!

ქვაბის წკარუნი უკვე მერამდენედ აყრუებს ბალს. გულაღმა ვწვები და კვლავ მიშინაზე ვფიქრობ.

იგი მახსოვს ხმელ-ხმელი, მოძრავი ბებრუხანა, რომელიც მთელ დღეს ბოსტანს მარგლავდა და როცა უცხო ქათმები მის ბაღში იპარებოდნენ მეზობლებს ხმამაღლა ლანძღავდა. იგი არასოდეს შემინიშნავს სახლის წინ მდგარ სკამზე ჩამომჯდარი. გამუდმებით რაღაცას საქმიანობდა: თიბავდა, მარგლავდა, რწყავდა, ამზადებდა, რეცხავდა. მგონი მის სხეულში ზამბარა იყო გადამალული, რომელიც გამუდმებით ცდილობდა, რომ მიღწეული ძალა კვლავ აემოქმედებინა. სამოცდაათ წელს იყო მიღწეული, როდესაც მიხვდა, რომ ძროხის მოვლა აღარ შეეძლო. ღორები კი მაშინ მოიშორა, როცა ცალი თვალიდან ველარაფერი დაინახა და მეორე თვალითაც ბრმავდებოდა. მიშინა მთლად რომ დაბრმავდა, ქათმები კლავდია ივანოვნას აჩუქა. მისი ეზო დაცარიელდა და დადუმდა. დარწმუნებით არ შემიძლია ვთქვა, მაგრამ ვფიქრობ, ეს სიჩუმე ბრმა ბებრუხანას აშინებდა. ამ სიჩუმით ვერც მე ვტკებობდი და ვაშლის ხეების ძირში ძველ საწოლზე წამოგორებული მწვანე ფოთლებში სინათლის ციალს შევცქეროდი. დედაბრის დაცარიელებული სახლის სიჩუმე მისივე დაცარიელებული ცხოვრების სიჩუმესავით იყო, რომელმაც ყველანაირი აზრი დაკარგა. მიუხედავად წლებისა, სიბრმავისა და სრული უმწეობისა, მიხრწნილ, დაუძლურებულ სხეულში კიდევ იკუმშებოდა და იშლებოდა სწორედ ის, მოქმედებას დახარბებული ზამბარა. ამიტომაც დედაბერი ზაფხულის დადგომას მოუთმენლად ელოდა, ხოლო შემოდგომობით თავს არასაჭირო ნივთად გრძნობდა. მცირე ხნით ზაფხული დედაბრის არსებობას აზრს სძენდა. მიშინას კვლავ შეეძლო მუშაობა, ისევ საჭირო ხდებოდა, თუნდაც ისეთ უმნიშვნელო საქმეში, როგორც ალუბლებიდან შაშვების დაფრთხობაა.

მიშინას ბალი დიდი არ ყოფილა – სულ რაღაც რვა-ცხრა ხე.

პატარაობისას ხშირად ვძვრებოდი ბაღში ალუბლებისთვის და ან-  
ცობისთვის. უკვე იმ დროიდან ბაღმა ნელ-ნელა გაველურება დაი-  
წყო. ხეები უწესრიგოდ იზრდებოდნენ, ალუბალი წვრილი და მჟავე  
იყო. აქა-იქ ამოსულ ნორჩ ხეებს მიშინა იშვიათად ქრიდა. დაბ-  
რმავების შემდეგ კი იქაურობა მთლად გაიბარდა.

– ფტიუ-იუ-იუ!

შაშვები ცაში აიჭრნენ.

ერთხელ გავიგონე კლავდია ივანოვნა მიშინას რომ ატყუებდა,  
ერთი ვედრო ალუბალი ჩამოსულ დამსვენებლებს მივყიდეო. დედა-  
ბერი ილიმებოდა, უკბილო ღრძილებს აჩენდა და კლავდია ივანოვ-  
ნას არიგებდა სარფიანად როგორ ევაჭრა და ფასი არაფრისდიდებ-  
ით არ დაეკლო.

– თავფლივით ალუბალია, – ირწმუნებოდა წრიპინა ხმით. –  
ბეჟენცევებს შესთავაზე, მათ ბაღში ალუბლებს არასოდეს გაუხ-  
არიათ.

მისმა წარმოთქმულმა ალუბალმა ჩემი გარდაცვლილი ბებიები  
გამახსენა. მომაგონდა ბევრი რამ, რომელთა გახსენებაც არ მსურ-  
და. მესსიერებამ წარსული დაუნდობლად გადაქექა და გარდასულ  
ბავშვობაზე სევდა და მონყენილობა მომასკდა. მე არ მჭირდება  
ერთი ყვავილიდან მეორე ყვავილზე უზრუნველად გადაფრენა, რო-  
გორც იმ კრაზანას, რომელიც ბაბუანვერაზე იჯდა. რასაც უკან  
მოვიტოვებ, მემახსოვრება და თითოეულის გახსენებაზე ნაღველი  
მომეძალება.

იმ დღეს მოზღვავებული მოგონებების ტყვეობაში ვიმყოფე-  
ბოდი და გადავწყვიტე უსინათლო დედაბრისთვის მესიამოვნებინა  
– მისგან ალუბალი მეყიდა. ავიღე ვედრო და მიშინას ბაღისკენ  
გავემართე. დედაბერი დაბალ სკამზე იჯდა და ალუბლის ხეს ეყრდ-  
ნობოდა. ხელში განუყრელი კოვზი და ქვაბი ეჭირა. ნაბიჯების ხმა  
რომ გაიგონა თავი ჩემკენ მოაბრუნა.

– გამარჯობათ, – ხმამალლა ვთქვი მე.

მიშინა დუმდა. ხმაზე ვერ მიცნო.

– გავიგე, ალუბალს ყიდით. ერთ ვედროს ვიყიდი.

მისი სახე ერთხანს დაძაბულ გამომეტყველებას ინარჩუნებდა,  
ხოლო როდესაც ჩემი ნათქვამის აზრს ჩასწვდა უცნაურად გაიღიმა  
– ნაოჭებისგან მთელი სახე დაეჭმუჭნა და ხორცშესხმულმა სი-

ბერემ შემომხედა.

– მოკრიფე შვილო, – მოთქმით თქვა დედაბერმა, – თაფლივით ალუბალია.

როგორ გაიგებს რამდენს ჩამოვკრეფავ? დედაბერი ხომ ბრმაა. ეგებ ორი ვედრო გავაფსო? რა არის ეს: ზედმეტი მიმნდობლობა, უგუნურება თუ მოხუცებულობის ჭკუასუსტობა?

მიშინა დუმდა, თითქოს ჩასთვლიმა კიდეც. მასთან ლაპარაკი, რალაცის გამოკითხვა მინდოდა, მაგრამ არ ვიცოდი რა და როგორ მეთქვა და ალუბალს უჩუმრად ვკრეფდი. დროდადრო სკამისკენ ვიხედებოდი და გამხმარ, დაღმეჭილ სილუეტს შევყურებდი. დედაბერი ისე შესაბრალისად და უმწეოდ გამოიყურებოდა, რომ მომინდა უბრალოდ ფული მიმეცა და წავსულიყავი, ოღონდაც იგი აღარ დამენახა. რა იყო მისი არსებობის მიზანი და რა მისცა სამყაროს? ათასი გამარგლული კვალი? ორი ათეული ტორფით დატვირთული მანქანა? ყველაფერი ეს სისულელეა, უაზრობა და ამაოებად მეჩვენებოდა. როდესაც ეს ბებრუხანა აღარ იქნება, დედამინაზე მისი არსებობის კვალს რა შეგვახსენებს? შეყვითლებული ქების სიგელები თუ გაზეთში გამოქვეყნებული სტატია? მთელი ცხოვრება შრომას ანაცვალა, მაგრამ მხოლოდ შრომაა საკმარისი ცხოვრების ფიალა ბოლომდე რომ აავსო? მინდოდა მეკითხა, ხომ არ ნანობს მისი ბედ-იღბალი ასე რომ აენყო?

რამდენიმე ალუბალი პირში ჩავიდე. მჟავე იყო. სახედაღმეჭილმა გადავყლაპე და კრეფა განვაგრძე. ბაღში სიჩუმე იდგა, გრილ-და. ნახევარი ვედრო რომ დავკრიფე დასასვენებლად ჩამოვჯექი. მიშინა დუმდა, არ ინძრეოდა. მხოლოდ დროდადრო თითებით ძველ კაბაზე ნაკეცებს ისწორებდა. ფეხებთან დავიხედე და ბალახებში პატარა ჭიანჭველა შევნიშნე, რომელიც პანანინა ჩალის ღეროს მიათრევდა. განა ჭიანჭველა იმაზე ფიქრობს, მისი ცხოვრება რას წარმოადგენს? განა მას სიკვდილის შემდეგ დიდება და სამუდამო ხსოვნა ელის? ის სამყაროს ორომტრიალში მხოლოდ ქვიშის მარცვალა, რომლის არსებობასაც ვერავინ ვერ შეამჩნევს. ჭიანჭველა ჩალის ღეროს ბუდისაკენ ჯიუტად მიათრევს, რადგან ეს მისი საკეთებელი საქმეა, რადგან ის ცოცხალია...

მცირე ხანს ვიჯექი, მერე დედაბრისაკენ წავედი. ნახევარი ვედროც საკმარისზე მეტი იყო.

- მოკრიფე? - იკითხა ფეხის ხმის გაგონებისას.
- დიახ, - ვუპასუხე.
- ერთი ვედრო?
- დიახ.

მიმინამ ალუბლის ფასი მითხრა. შეუვაჭრებლად გადავუხადე. ფულის გამორთმევისას არანაირი განსაკუთრებული სიხარული დედაბრის სახეზე არ აღბეჭდილა. ვერც მე ვიგრძენი, რომ რალაც კარგი გავაკეთე. პირიქით, თავი მატყუარად მიმაჩნდა. ნახევრად გავსებული ვედროს გადაყრა მომინია, ალუბლები მჟავე იყო და საჭმელად არ გამოდგებოდა, მურაბის მომხარშავი კი არავინ იყო.

- ფტიუ-იუ-იუ!

ქვაბზე დარახუნებული კოვზის ხმა კვლავ ანმყოში მაბრუნებს. სანოლიდან გაღიზიანებული ვდგები. უადგილოდ გაჩენილმა მოგონებებმა და აზრებმა დასვენება ჩამიშხამა. წოლით დაბუყებული ფეხი არ მემორჩილება და სახლისკენ კოჭლობით მივდივარ. ზეგ შევებულება მიმთავრდება და ვგრძნობ, რა ძლიერ მომნატრებია ქალაქი.



## სარჩევი

დანიილ ბრანინი. დაბრუნება.....	5
ლეონიდ ზორინი. სავიზიტო ბარათი .....	20
ვლადიმერ მაკანიანი. კავკასიელი ტყვე.....	27
ანდრეი ბიტოვი. დეჟავიუ .....	57
ედუარდ კოჩერგინი. სააპრილო ამბავი.....	68
ზორის ეკიმოვი. „ილაპარაკე, დედა, ილაპარაკე...“ .....	76
ვლადიმერ კრუპინი. იაპონელი მელიფტე.....	82
ლუდვილა ულიცკაია. ისინი ცხოვრობდნენ დიდხანს... ..	86
ლეონიდ იუზაფოვიჩი. სამი ხმა .....	98
ტატიანა ტოლსტაია. მამაზე.....	101
დინა რუბინა. გზა შინისაკენ .....	105
იური პუიდა. ზღვაოსანი სინდბადი.....	110
ვლადიმერ სოროკინი. გულითადი თხოვნა .....	115
ანდრეი ვოლოსი. მკითხველი .....	122
მიხაილ შიშკინი. ნაბოკოვის მელნის ლაქა.....	126
ილია ზოიაშოვი. ცხრამეტი მოკლული გერმანელი.....	139
ვიქტორ პელეკინი. ზიგმუნდი კაფეში.....	145
ევგენი ვოდოლაჰინი. ასეთი განსხვავებული დაკრძალვები ...	152
ანდრეი გელასიშვილი. საოჯახო შემთხვევა .....	161
ევგენი ბრიშკოვი. ანგელოზის დაკრძალვა .....	169
ალექსანდრ ილიჩევსკი. ნამის წერტილი .....	193
რომან სენინი. სურათებიანი ცელოფანის პარკი .....	196

<b>მისილ ელიზაროვი.</b> ბერიკაცი კონდრატევი.....	205
<b>გერმან საღულაევი.</b> ღვთის გლახა .....	209
<b>ზასარ პრილაპინი.</b> ცხელი არყით სავსე ბატინკები .....	229
<b>გუზელ იახინა.</b> შაშხანა .....	240
<b>ალექსანდრ სნეპირევი.</b> ღვთაებრივი ხელრთვა.....	254
<b>სერგეი შარგუნოვი.</b> ბოლბასები .....	262
<b>ანა კოზლოვა.</b> შეხვედრა სადგურზე.....	273
<b>ალექსეი რიასკინი.</b> ალუბლები .....	280

---

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
თამარ სტიფნაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
აღ. ყაზბეგის გამზ. №47  
E – mail: meridiani777@gmail.com  
ტ. 239-15-22



პროზაიკოსი, მთარგმნელი აკაკი დაუშვილი დაიბადა 1961 წლის 9 აპრილს თბილისში.

1986 წელს დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი.

გამოცემული აქვს მოთხრობების ოთხი კრებული: „განაჩენის მოლოდინში“ (1991), „საყმაწვილო მოთხრობები“ (1994), „უცნაური ბიჭი“ (1997), „გლადიატორები“ (2008).

1992 წლიდან არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

1993 წლიდან იყო ჟურნალ „ცისკრის“ დამატება „ნობათის“ სრუდაქციო კოლეგიისა და სარედაქციო საბჭოს წევრი.

2004 წლიდან არის ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ მთავარი რედაქტორი.

მინიჭებული აქვს გურამ რჩეულიშვილის (2007), ნიკოლორთქიფანიძის (2010), დავით კლდიაშვილის (2019) სახელობის ლიტერატურული პრემიები. არის რევაზ ინანიშვილის სახელობის ერთი მოთხრობის კონკურსის პრიზიორი (2017, 2018).

მისი მოთხრობები თარგმნილია რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე.

